ქუთაისის
უნივერსიტეტი

unik


# ეკონომიკური პროფილი, ტომი 17, N1(23), 2022

# ECONOMIC PROFILE, Volume 17, Issue 1(23) 2022

**ქუთაისის უნივერსიტეტის რეფერირებადი
და რეცენზირებაზი საერთაშორისო
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი**

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ავტორი.
ამასთან, მისი პოზიცია შესაძლოა არ ემთხვეოდეს ჟურნალის
სარედაქციო კოლეგიის მოსაზრებებს.

აკრძალულია ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამრავლება
და გამოქვეყნება კომერციული მიზნებისათვის

---

REFEREED AND PEER-REVIEWED INTERNATIONAL
SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL OF KUTAISI
UNIVERSITY

Each author is responsible for the accuracy of the article in
this journal. His/her position may not coincide with the
opinions of the editorial board.

Reproduction on distribution of the materials published in
this journal for commercial purposes is strictly prohibited.

www.economicprofile.org
**ISSN 1512-3901**
**eISSN 2587-5310**
**DOI:https://10.52244/ep**

# სარედაქციო საბჭო

**ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული საბჭო: გოჩა თუთბერიძე** (თავმჯდომარე, ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი); **თეონა გრიგოლაშვილი** (ქუთაისის უნივერსიტეტი); **ნიკოლოზ ჩიხლაძე** (ქუთაისის უნივერსიტეტი); **გივი ბედიანაშვილი** (ევროპის უნივერსიტეტი);

**სარედაქციო კოლეგია:** პროფესორი **ნიკოლოზ ჩიხლაძე** (მთავარი რედაქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტი); პროფესორი **იოსებ არჩვაძე** (ქუთაისის უნივერსიტეტი); პროფესორი **გივი ბედიანაშვილი** (ევროპის უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **ბადრი გეჩბაია** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **როსტომ ბერიძე** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **ლია ელიავა** (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი); პროფესორი **მირზა ხიდაშელი** (ქუთისის უნივერსიტეტი); პროფესორი **პანტელეიმონ კლდიაშვილი** (ქუთისის უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **ნაირა ვირსალაძე** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **ხათუნა შალამბერიძე** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **გურამ უფლისაშვილი** (ქუთაისის უნივერსიტეტი); **ლაშა ბერიძე** (წმ. ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტი); პროფესორი **აზა იფშირაძე** (ქუთისის უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **გოდერძი შანიძე** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **ნანა შონია** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **აკაკი ბაკურაძე** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **მურმან ცეცხლაძე** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **ციური დურული** (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **იური პაპასქუა** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **გიორგი ღავთაძე** (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი); პროფესორი **რევაზ შენგელია** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); პროფესორი **პაატა კოღუაშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); პროფესორი **ევგენი ბარათაშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ავთანდილ სილაგაძე** (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **ლოიდ ქარჩავა** (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი); პროფესორი **ნანა რინკიაშვილი** (იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **ინეზა გაგნიძე** (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი **ნინო ფარესაშვილი** (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი **მიხეილ თოქმაზიშვილი** (წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქართული უნივერსიტეტი); პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **მიხეილ ჯიბუტი** (ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქართული უნივერსიტეტი);

**სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები:** პროფესორი **სერგეი ლუკინი** (ბელორუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოცირებული პროფესორი **იულიან იგნატოვი** (ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი, რუმინეთი); ასოცირებული პროფესორი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, **ვერა კომაროვა** (დაუგავპილსის უნივერსიტეტი, ლატვია); ასოცირებული პროფესორი **ევგენი გაიდანკა** (ტრნავას უნივერსიტეტი, სლოვაკეთი); პროფესორი **ლევან ჩიხლაძე** (რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი); პროფესორი **სერგეი ზახარინი** (ეკონომიკური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი, უკრაინა); ასოცირებული პროფესორი **თეიმურაზ აბესაძე** (სამხრეთ ნორვეგიის უნივერსიტეტი, ნორვეგია); პროფესორი **ელენა ბაკულიჩ** (ტრანსპორტის ნაციონალური უნივერსიტეტი, უკრაინა); პროფესორი **გინდრუტ კასნაუსკიენე** (ვილნიუსის უნივერსიტეტის, ლიეტუვა)

# EDITORIAL BOARD:

**O R G A N I Z A T I O N A L - A D M I N I S T R A T I V E BOARD:**

**Gocha Tutberidze** (Chairman, Rector of Kutaisi University); **Teona Grigolashvili** (Kutaisi University), **Nikoloz Chikhladze** (Kutaisi University); **Givi Bedianashvili** (European University);

**MEMBERS OF EDITORIAL BOARD:**

Professor **Nikoloz Chikhladze** (Chief Editor, Kutaisi University); Professor **George Gavtadze** (Georgian National University); Professor **Joseph Archvadze** (Kutaisi University); Professor **Givi Bedianashvili** (European University); Associated Professor **Badri Gechbaia** (Batumi Shota Rustaveli State University); Professor **Rostom Beridze** (Batumi Shota Rustaveli State University); Professor **Lia Eliava** (Georgian National University); Professor **Mirza Khidasheli** (Kutaisi University); Professor **Panteleimon Kldiashvili** (Kutaisi University); Associated Professor **Guram Uphlisashvili** (Kutaisi University); Professor **Aza Iphshiradze** (Kutaisi University); Associated Professor **Akaki Bakuradze** (Akaki Tsereteli State University); Associated Professor **Khatuna Shalamberidze** (Akaki Tsereteli State University); Associated Professor **Lasha Beridze** (St. Tbel Abuserisdze University); Associated Professor **Naira Virsaladze** (Akaki Tsereteli State University); Associated Professor **Goderdzi Shanidze** (Akaki Tsereteli State University); Professor **Nana Shonia** (Akaki Tsereteli State University); Professor **Tsiuri Duruli** (Gori State Teaching University); Professor **Iury Papasqua** (Sokhumi State University); Associated Professor **Murman Tsetskhladze** (Batumi Shota Rustaveli State University); Professor **Revaz Shengelia** (Georgian Technical University); Professor **Paata Koguashvili** (Georgian Technical University); Professor **Evgeniy Baratashvili** (Georgian Technical University); Professor, Academician of the National Academy of Science of Georgia **Avtandil Silagadze** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University); Associated Professor **Loyd Karchava** (Caucasus International University); Associated Professor **Ineza Gagnidze** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University); Associated Professor **Nino Paresashvili** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University); Professor **Mikheil Tokmazishvili** (St. Andrew the Firs Called Georgian University of Patriarchate of Georgia); Professor **Nana Rinkiashvili** (Iakob Gogebashvili Telavi State University); Professor, Academician of the National Academy of Science of Georgia **Mikheil Jibuti** (St. Andrew the Firs Called Georgian University of Patriarchate of Georgia);

**FOREIGN PART OF EDITORIAL BOARD MEMBERS:**

Professor **Gindrute Kasnauskiene** (Vilnius University, Lithuania); Professor **Levan Chikhladze** (Peoples' Friendship University of Russia, Russia); Associate Professor **Iulian Ihnatov** (Alexandru Ioan Cuza University, Romania); Professor **Siarhei Lukin** (Belarus State University, Belarus); Lead Researcher, Ph.D., **Vera Komarova** (Daugavpils University, Latvia); Professor **Sergii Zakharin** (Research Institute for Economic Development, Ukraine); Associated Professor **Teimuraz Abesadze** (University of Southeast Norway, Norway); Professor **Olena Bakulich** (National Transport University, Ukraine); Associate Professor **Yevheniy Haydanka** (Trnava university, Slovakia);

## სარჩევი
## CONTENT

### მაკროეკონომიკა, ფინანსები, მუნიციპალური ეკონომიკა
### Macroeconomics, Finance, Municipal Economy


Mirza Khidasheli
CENTRAL BANK DIGITAL CURRENCY EFFECTS ON FRACTIONAL RESERVE BANKING....8
მირზა ხიდაშელი
**ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის გავლენა ნაწილობრივი დარეზერვების სისტემაზე**.... 13

გიორგი აბუსელიძე, ალეკო მელაძე
**ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფორმირების პრობლემები და მისი დაძლევის მიმართულებები**....15
Giorgi Abuselidze, Aleko Meladze
**PROBLEMS OF FORMATION OF TAX REVENUES OF THE BUDGET OF TERRITORIAL UNITS AND WAYS OF IT OVERCOMING** ....27

ლაშა ბერიძე
**საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი ეკონომიკის სტიმულირებაში**....30
Lasha Beridze
THE ROLE OF INTERNATIONAL FINANCIAL ORGANIZATIONS ....42

Tsitsino Dzotsenidze
COMPARATIVE ANALYSIS OF MONETARY POLICY OF EASTERN EUROPEAN COUNTRIES AND GEORGIA....45
ციცინო ძოწენიძე
**აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს მონეტარული პოლიტიკის შედარებითი ანალიზი** ....54

გურამ უფლისაშვილი
საქართველოს სააქციზო პოლიტიკის პრობლემური საკითხები....56
**Guram Uphlisashvili**
**PROBLEMATIC ISSUES OF THE EXCISE POLICY OF GEORGIA** ....65

დავით ბიძინაშვილი
**რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლებზე**....67
Davit Bidzinashvili
THE IMPACT OF THE RUSSIA-UKRAINE WAR ON GEORGIA’S ECONOMIC ACTIVITY....71

ბესიკ ბაუჩაძე
**მმართველობითი აღრიცხვის ევოლუცია**....74
Besik Bauchadze
EVOLUTION OF ESSENCE OF MANAGEMENT ACCOUNTING....81


### მარკეტინგი და მენეჯმენტი
### MARKETING AND MANAGEMENT


Olena Bakulich, Anton Bokyi
OMNICHANNEL MARKETING AS A NEW OPPORTUNITY TO BUILD AN EFFECTIVE CONSUMER INTERACTION STRATEGY....84
ელენა ბაკულიჩი
**მრავალარხიანი მარკეტინგი, როგორც მომხმარებელთან ურთიერთქმედების ეფექტური სტრატეგიის შექმნის ახალი შესაძლებლობა**....90

გოდერძი შანიძე
**ანტიკრიზისული მენეჯმენტის გამოყენება ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფაში**......................91
Goderdzi Shanidze
USE OF ANTI-CRISIS MANAGEMENT IN THE COUNTRY'S FOOD SUPPLY......................................96

ნანა ლუხუტაშვილი, თეა ვალიშვილი, ლია გენელიძე
**განათლების მენეჯმენტის გამოწვევები პანდემიით შექმნილ რეალობაში (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე)**.......................................................................98
Nana Lukhutashvili, Tea Valishvili, Lia Genelidze
CHALLENGES OF EDUCATIONAL MANAGEMENT IN PANDEMIC REALITY (ON THE EXAMPLE OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY)..................................................106

## ეკონომიკური უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება
## ECONOMIC SECURITY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT

პაატა კოღუაშვილი, იოსებ არჩვაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე
**სასურსათო უშიშროება – ეროვნული უშიშროების საფუძველი**...............................................109
Paata Koguashvili, Joseph Archvadze, Nikoloz Chikhladze
FOOD SECURITY AS THE BASIS OF NATIONAL SECURITY..............................................................124

დარეჯან ჩხიროძე, მანანა ბანძელაძე
**ომი და მისი გავლენა მდგრად განვითარებაზე**....................................................................126
Darejan Chkhirodze, Manana Bandzeladze
WAR AND ITS IMPACT ON SUSTAINABLE DEVELOPMENT..............................................................130

პაატა კოღუაშვილი, ბადრი რამიშვილი
**მიწა ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი კომპონენტია**........................................132
Paata Koguashvili, Badri Ramishvili
LAND IS AN ESSENTIAL COMPONENT OF A NATION'S EXISTENCE AND CREATIVITY ............140

## დოქტორანტთა შრომები
## WORKS OF DOCTORAL STUDENTS

ანა ჭიპაშვილი
**მიწის ადმინისტრირების ინფორმაციული უზრუნველყოფა**...........................................................143
Ana Chipashvili
INFORMATION PROVISION OF LAND ADMINISTRATION................................................................149

ალიმ ხერხაძე
**საქართველოს ფინანსური ბაზრების განვითარების პოტენციალი და შესაძლო ეფექტი**.........152
Alim Kherkhadze
POTENTIAL AND POSSIBLE EFFECT OF THE DEVELOPMENT OF GEORGIAN FINANCIAL MARKETS..........................................................163

ლია ხელაძე
**საქართველოს საგადასახადო სისტემა პანდექსიტის პირობებში**................................................166
Lia Kheladze
THE TAX SYSTEM OF GEORGIA IN PANDEXIT PERIOD...................................................................172

# მაკროეკონომიკა, ფინანსები, მუნიციპალური ეკონომიკა

# MACROECONOMICS, FINANCE, MUNICIPAL ECONOMY

# CENTRAL BANK DIGITAL CURRENCY EFFECTS ON FRACTIONAL RESERVE BANKING

**Mirza Khidasheli**
Doctor of business administration, Professor of Kutaisi University
mirza.khidasheli@unik.edu.ge

**KEY WORDS:** CBDC; Money; Credit; Fractional reserve banking; Monetary system.
J.E.L. classification: E4, E5. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.06

**For citation:** Khidasheli M., (2022) Central bank digital currency effects on fractional reserve banking. Vol. 17, 1(23), p. 8-14. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.06

**Abstract:** *An aim of the paper is to explore the outlines of the looming monetary order. For these purposes, we have made a brief retrospective analysis of money genesis. In its inception market had selected gold as a medium of exchange and gold had become a social institution. After WWII the leading force of monetary order changed. The Bretton Woods conference had made a political agreement to endorse the US dollar as a reserve currency. In 1971 the picture had become more clear, and the gold-backed dollar system collapsed as it was predicted earlier. A digital environment has given the reborn of new types of money. The pioneer of digital money was the cryptocurrency, a decentralized and transparent system to pay and hold the value. As the old saying tells, everything new is well forgotten old one. Since 2021 central Bank of China has launched a digital RMB pilot program. It is easy to grasp that the state tries to substitute the market-developed money (cryptocurrencies) with the monopolistic system of CBDC. We have found out the effects of CBDC on retail banking and the incapability of CBDC monetary order with fractional reserve banking.*

**Introduction.** Since 2009 we have observed a tremendous expansion of the cryptocurrency market. The pioneer of them obviously was bitcoin, based on block chain infrastructure. After quickly attracting popularity bitcoin prices have soared from zero to more than $60 000 in 2021. In 2022 there are 10,363 active cryptocurrencies and the crypto market's value stood at $2.04 trillion.

In April 2021 P.R.C. central bank issued the first digital RMB as a legal tender, which has equivalent value to other forms of the Renminbi (CNY). The action of China's government was obvious, the totalitarian state has grasped that digitalization is an irreversible process and decentralized cryptocurrencies are a real threat to their regulatory power of finance.

Today almost all central banks are working on their models of CDBC but the complexity of the issue constrains their agenda to implement the reforms in the short-run future.

**The genesis of money**

There could be endless disputes, about the most important invention of mankind. But from my personal point of view, it is money as a social

institution. The progress of mankind is based on labor division and specialization of the workforce. Internet, smartphones, cars, and other complex instruments are developed by scientists and made by plants with plenty of high skilled workers. Therefore, money as a basis of the labor division process is a driving force of progress.

But money, as we know and use in ordinary life, had gone through long phases of evolution, from barter to gold and fiat currencies. From its inception, there was some cumulative evolution of money as a social institution. For example, when we are talking about gold money, it was not a state invention or product of state coercion for the mandatory use of gold as legal tender.

Money did not and never could begin by some arbitrary social contract, or by some government agency decreeing that everyone has to accept the tickets it issues. Even coercion could not force people and institutions to accept meaningless tickets that they had not heard of or that bore no relation to any other pre-existing money. Money arises in the free market, as individuals on the market try to facilitate the vital process of exchange. (Rothbard Murray N, 1994)

There was a transition process from the gold standard to the fiat currency regime. As Rothbard mentioned above, gold was a social institution, but after WW II we had got new financial order, called the gold-dollar standard. The US dollar had a fixed price in gold, $35 per ounce of gold and each central bank could hold the reserves in USD dollars instead of gold. The system dissolved between 1968 and 1973. In August 1971, U.S. President Richard Nixon announced the "temporary" suspension of the dollar's convertibility into gold. In fact, it was the end of the system and we have got a fiat currency model.

From its inception, the money evolution process was managed by the free market but, as we have seen above, since 1945 the character of the evolution changed and became a political process. In a fiat money monetary system, the central bank doesn't have any limits to print money because it is note-backed by gold or anything else. The quantity of the monetary base is not determined by the market. The central bank executives are analyzing and decide how much money is needed in the economy at a particular date of time.

I do not believe we can now remedy this position by constructing some new international monetary order, whether a new international monetary authority or institution or even an international agreement to adopt a particular mechanism or system of policy, such as the classical gold standard. I am fairly convinced that any attempt now to re-instate the gold standard by the international agreement would break down within a short time and merely discredit the ideal of an international gold standard for even longer. Without the conviction of the public at large that certain immediately painful measures are occasionally necessary to preserve reasonable stability, we cannot hope that any authority which has the power to determine the quantity of money will long resist the pressure for, or the seduction of, cheap money. (Hayek F.A. 1976)

**CBDC phenomenon**

We define a central bank's digital currency simply as an electronic, fiat liability of a central bank that can be used to settle payments or as a store of value. It is in essence electronic central bank, or `narrow', money. (Bank of England, 2018)

There are some similarities and differences between crypto and CBDC. In both cases, the currency is given in the digital form, but cryptocurrencies are decentralized blockchain products. In contrast, CBDC is given as a centralized account in the central bank's balance sheet.

The arrival of digital money has reopened the debate about the role of central banks. First, CBDCs have become feasible. Second, the internet allows a central bank to skip building an extensive network of branches, either directly or in cooperation with existing commercial banks. Both factors suggest that we can, and very likely will, revisit the sharp separation wall between central banks and the public at large. But, for such an endeavor, we require a formal economic model (Fernández-Villaverde Jesús, 2020)

CBDC gives new scope of central bank functionality and operations. In the current fiat currency system, monetary architecture central banks are in the role of wholesale dealers of money, but they don't execute retail banking services. First of all, from point of view of central banks, it is inefficient to make branches and manage retail banking globally. The second factor is a conflict of interest, to supervise the banking sector and operate in the sector at the same time. CBCD is a game-changer, it gives an opportunity to the central bank to provide retail banking without significant cost and management burden.

We thus sketch the development of a CBDC through an approach that proceeds from consumer needs to design choices.4 The left-hand side of the CBDC pyramid (Graph 1) sets out such consumer needs and six associated features that would make a CBDC useful. Starting with cash-like peer-to-peer usability, these features also comprise convenient real-time payments, payment security, privacy, wide accessibility, and ease of use in cross-border payments (Graph 1). The pyramid's right-hand side lays out the

The CBDC pyramid Graph 1

Source: BIS Quarterly Review, March 2020



The CBDC pyramid maps consumer needs (left-hand side) onto the associated design choices for the central bank (right-hand side). The four layers of the right-hand side form a hierarchy in which the lower layers represent design choices that feed into subsequent, higher-level decisions.

associated design choices. (BIS Quarterly Review, March 2020.)

There are 3 types of possibilities to provide retail banking with CBDC:

- The direct CBDC, when retail banking is provided by Central banks;
- The indirect CBDC, when retail banking is provided by commercial banks;
- The hybrid CBDC, in this model, a direct claim on the central bank is combined with a private sector messaging layer

Why the private sector itself has not found ways of enabling households and companies to hold bank deposits that are fully secured by central bank money. Such an approach would offer public deposits that are virtually identical to digital central bank money or sovereign money accounts. Why does nothing like this exist? The answer may be that bank customers are broadly satisfied with what is available today. Banks offer customers holding sight deposits with them a range of services, mostly relating to account management and payment transactions. In addition, they generally pay interest. From the point of view of customers, the services offered by commercial banks and the fact that they are paid interest on deposits probably offset any disadvantages stemming from the fact that sight deposits with commercial banks are not central bank money (Jordan Thomas J. 2018)

It will be hard to find out which mix of the above-mentioned forms of CBDC retail banking will be better. Empirical examples had shown that economic factors will not be decisive arguments in this field. The primary factor would be the political environment. In a totalitarian state probably we will see the direct CDBC models. In the case of free-market democracies, there will be some segment of the banking sector for commercial bank operations. The question is how to provide the CBDC transactions? Make an individual account on central banks' balance sheets and give permission to commercial banks to develop on this basis or use distributed ledger technology. From my point of view, the case of Yap described by Milton Friedman (The Island of Stone Money) is so interesting one. The model was incredibly simple and effective.

Large stones quarried and shaped on a distant island were used as, money on the Island of Yap. After Germany acquired the island at the turn of the century, its officials had difficulty inducing the residents to repair the footpaths until they resorted to the desperate expedient of taking possession of many of the stones by marking them with a cross in black paint, to be removed when the paths were repaired. (Friedman M, 1991)

If implement the Stone Money model for CBDC architecture, the system will become more flexible and safe. First of all, you will be able to hold your CBDC offline as a digital key, and the second monitoring of the accounts will not be needed at all, the central bank only needs to register the digital currency as property and change its owner after transactions. It does not need to create personal financial accounts at all. The approach with the digital currency will be the same as with the property and its right.

**Credit and fractional reserve banking**

An individual commercial bank cannot use the granting of loans to ensure a lasting increase in the deposits it holds. Due to payment transfers, the deposit created by a loan flows out and disappears from the books of the lending bank. For the banking system as a whole, however, things look different. The payment transfer creates a new deposit at another bank. While the total volume of central bank money remains unchanged, lending by an individual bank increases deposits in the banking system and hence also the overall money supply (Jordan Thomas J. 2018)

A more interesting process is going on with

fractional reserve banking. As we know within the fractional reserve system, commercial banks make loans from deposit accounts also. The process is suitable for the fiat currency system because no one records and tracks the serial numbers of banknote bills. but how is it will possible in the case of CBDC? As we mentioned above, clearing of CBDC means tracking each move of digital currency, because it is a "serial number" itself. So, at any stage of the transaction, the owner will have full control of his (her) money. Therefore, commercial banks will not have the ability to give this money for credit and create such type of money by using a fractional reserve system and the money multiplier.

In a free-market economy, where there is no fractional reserve banking practice, the source of credit resources is savings, temporarily free money funds, which, through the banks as the mediators, flow from the savings holders to business operators in the form of loans. The existence of savings is, on the one hand, are the means for obtaining credit resources for business, and on the other hand, the indicator of the existence of the additional demand, which should provide support for the economic growth, as well as the application of the additional issue. Everything changes in the conditions of a fractional reserve system, when the source of loan is not the real savings but a monetary multiplier (Khidasheli M, Chikhladze N, 2019)

In a fiat money system, you are not holding or tracking the serial number of your money, because it does not have an essence. Your interest is an amount on your bank account indifferently what serial numbers they have. The fractional reserve banking itself is based on this condition. But everything is changing in the case of CBDC because it's a "serial number" itself and you primarily hold CBDC as a property rather than merely an amount. The implementation of the CBDC system will demolish the basis of fractional reserve banking.

**Conclusions**

As we have seen above the evolution of the monetary system had two layers:

- Cumulative evolution shaped the social institution – gold standard;
- The Breton wood s agreement transited the nature of the monetary system's evolution, from social institution to political one.

Empirical pieces of evidence have shown that social institutions are born (with cumulative evolution) and are sustainable creatures. Artificial (political) institutions don't have the same characteristics. The gold standard lasted centuries and the Breton Woods agreement only two decades. The development of the digital economy creates an alternative economic environment, not fully controlled by a state, and the process of evolution starts again. Primarily we saw cryptocurrencies, decentralized, blockchain products without any state regulator and interventions from a central authority. The distributed ledger technology gives much more control, transparency, and safety over your crypto money than commercial banks account. The popularity of cryptocurrency was considered a threat to the current monetary order and the process of political intervention to control the process is going on.

CBDC was an echo of decentralized cryptocurrencies, the state approach to the money digitalization process. In some states may we will see a ban on decentralized currencies and fully substitute them with CBDC but one is inevitable: fractional reserve banking is inconsistent with the CBDC environment, where you own a currency as a property with a specific form and not an account with an amount on it.

**References:**

1. Bank of England (2018). Staff Working Paper No. 724. Broadening narrow money: monetary policy with a central bank digital currency.
2. Bank of international settlement. (2020). Quarterly Review, March. The technology of retail central bank digital currency.
3. Fernández-Villaverde Jesús, (2020). "Central bank digital currency: Central banking for all?". Review of Economic Dynamics.
4. Friedman M, (1991). "The Island of Stone Money". Working Papers in Economics, no. E-91-3. Stanford, California: Hoover Institution
5. Hayek F.A. (1976). "Choice in Currency". The institute of economic affairs. Great Britain. ISBN 255 36078-9
6. Jordan Thomas J. (2018). "How money is created by the central bank and the banking system". Swiss National Bank. Zurich.
7. Khidasheli M, Chikhladze N, (2019). "Financial system stability threats after 2008 anti-cyclical policies". Social science bulletin. Daugavpils University. Latvia.
8. Rothbard Murray N, (1994). "The case against the fed". U.S. Library of Congress Catalog Card Number: 94-073591

# ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის გავლენა ნაწილობრივი დარეზერვების სისტემაზე

**მირზა ხიდაშელი**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის
პროფესორი, mirza.khidasheli@unik.edu.ge

**საკვანძო სიტყვები:** CBDC; ფული; კრედიტი; ნაწილობრივი დარეზერვების სისტემა; მონეტარული სისტემა.

**J.E.L. classification:** E4, E5. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.06

**ციტირებისთვის:** Khidasheli M., (2022) Central bank digital currency effects on fractional reserve banking. Vol. 17, 1(23), p. 8-14. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.06

## რეზიუმე

*ნაშრომის მიზანია შეისწავლოს მონეტარული სისტემის მოსალოდნელი ცვლილების კონტურები. ამ მიზნებისათვის ჩავატარეთ ფულის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის გენეზისის მოკლე რეტროსპექტული ანალიზი. ფულადი ურთიერთობების დასაწყისში ბაზარმა ოქრო აირჩია როგორც გაცვლის უნივერსალური საშუალება და ამ სახით ოქრო გახდა ერთგვარი სოციალური ინსტიტუტი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიცვალა მონეტარული წესრიგის წამყვანიძალები.ბრეტონვუდსისკონფერენციამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება ოქროს ნაცვლად აშშ დოლარის სარეზერვო ვალუტად დამტკიცების შესახებ. 1971 წელს სურათი უფრო ნათელი გახდა, როგორც მოსალდონელი იყო ოქროთი უზრუნველყოფილი დოლარის*

*სისტემამ კრახი განიცადა. ციფრულმა გარემომ დასაბამი მისცა ახალი ტიპის ფულის აღორძინებას. ციფრული ფულის პიონერებად კრიპტოვალუტები მოგვევლინენ, რომელთაც შექმნეს დეცენტრალიზებული და გამჭვირვალე სისტემა ღირებულების გადახდისა და შენახვისათვის („ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია“). 2021 წლიდან ჩინეთის ცენტრალურმა ბანკმა დაიწყო ციფრული RMB საპილოტე პროგრამა. ადვილი მისახვედრია, რომ სახელმწიფო ცდილობს შეცვალოს ბაზრის მიერ განვითარებული ფულადი სისტემა (კრიპტოვალუტები) ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების მონოპოლისტური სისტემით. ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის, როგორც ფულადი ერთეულის გავლენა საცალო საბანკო სერვისებზე და ვაჩვენეთ ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის შეუთავსებლობა ნაწილობრივი დარეზერვების სისტემასთან.*

# ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფორმირების პრობლემები და მისი დაძლევის მიმართულებები

**გიორგი აბუსელიძე**
ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, abuselize@gmail.com

**ალეკო მელაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, alekomeladze88@gmail.com

**საკვანძო სიტყვები:** *ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი; მუნიციპალიტეტების ბიუჯეტი; ფისკალური დეცენტრალიზაცია; საგადასახადო შემოსავლები;*

**J.E.L. classification:** H61, H72, H77 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.07

**ციტირებისთვის:** აბუსელიძე გ., მელაძე ა., (2022) ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფორმირების პრობლემები და მისი დაძლევის მიმართულებები. ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 15-29. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.07

**ანოტაცია.** *ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური სიძლიერე სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების განმაპირობებელი ფაქტორია. ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური სტაბილურობისათვის უმნიშვნელოვანესია ფინანსური დეცენტრალიზაციის ხარისხის გაზრდა და მათი ბიუჯეტების შემოსავლების საკუთარი საგადასახადო წყაროებით უზრუნველყოფა, რომელიც სახელმწიფოს მიერ გატარებული ეფექტური ფისკალური პოლიტიკით მიიღწევა.*

*ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის საგადასახადო წყაროებით უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ფისკალური პოლიტიკის ისეთი კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომლებიც ადგილობრივ ორგანოებს მისცემს მნიშვნელოვან სტიმულებს: იყოს ეკონომიკურად აქტიური, შექმნან მეტი სამუშაო ადგილები, მეტი დამატებული ღირებულება, გაზარდონ თავიანთი წვლილი ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.*

## შესავალი

ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური განვითარების საფუძველს ფინანსური რესურსების მობილიზების სტაბილურობა წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ გატარებულ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკასა და ქვეყანაში საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე. აღნიშნულს ემატება რეგიონის ფინანსური დეცენტრალიზაციის უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რაც

თავისთავად ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ტერიტორიული ერთეულებისათვის ფინანსებისა და გადასახადების განკარგვის უფლების გადაცემას გულისხმობს. ტერიტორიული ერთეულების ფინანსური დამოუკიდებლობისთვის აუცილებელია, რომ ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად გააჩნდეთ საკუთარი შემოსავლები.

ფინანსური დეცენტრალიზაციისა და ბიუჯეტების დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით საქართველოში რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს რეფორმები, თუმცა თანამედროვე მდგომარეობა არასახარბიელოა, რაც საჭიროებს კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას. გამომდინარე აქედან, ტერიტორიული ერთეულების საგადასახადო შემოსავლების ოპტიმიზაციის პრობლემა იძენს მეტ აქტუალობას და მიგვაჩნია, რომ საგადასახადო შემოსავლების სრულყოფის ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა და მათ გადასაწყვეტად გარკვეული ღონისძიებების დასახვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

თანამედროვე პირობებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში საგადასახადო შემოსავლების წილი მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 95%-ზე მეტს შეადგენს, რაც გამოწვეულია ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში მიმართვით, მაგრამ არსებული მექანიზმი ხარვეზებით ხასიათდება, რაც მისი მასტიმულირებელი როლის ნაკლებობით აიხსნება. არასახარბიელო მდგომარეობაა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაშიც, რასაც უმეტესწილად დღგ-ს განაწილების არსებული სქემა განსაზღვრავს და რაც ეკონომიკური აქტივობის ნაკლები სტიმულირებით ხასიათდება.

კვლევის მიზანია რეგიონის საგადასახადო შემოსავლების ფორმირების პროცესებთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ზოგიერთი საკითხების შესწავლა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და წინადადებების მომზადება. მიზნის შესაბამისად დასახული ამოცანებია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლების საგადასახადო წყაროებით უზრუნველყოფის მექანიზმის სრულყოფა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლების სტრუქტურაში საგადასახადო შემოსავლების პროპორციული წილის ზრდის შესაძლებლობების გამოვლენა.

კვლევის საგანია ტერიტორიული ერთეულების (ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტების) ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების წყაროები, მისი ფორმირების, ზრდისა და განვითარების თანამედროვე პრობლემები, ხოლო კვლევის ობიექტად აღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები.

**კვლევის მეთოდოლოგია**

ნაშრომზე მუშაობისას პრობლემის შესწავლა განხორციელდა ძირითადად თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. თვისობრივი კვლევის ფარგლებში მოხდა საკვლევი საკითხის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი. რაოდენობრივი კვლევის

ფარგლებში ძირითადად ვიხელმძღვანელეთ ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციით. მიზნების შესაბამისად დამუშავდა რაოდენობრივი მონაცემები, რის საფუძველზეც გამოიკვეთა პრობლემისათვის დამახასიათებელი კონკრეტული ტენდენციები. აღნიშნული მეთოდების საშუალებით შეგროვებული მასალების შედარებისა და გაანალიზების საფუძველზე ჩამოყალიბდა შესაბამისი დასკვნები.

**ძირითადი ნაწილი**

ტერიტორიული ერთეულების ფინანსები მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორიაა, რომლის საშუალებით ხორციელდება მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ნაწილის განაწილება და გადანაწილება. იგი დაკავშირებულია გარკვეული ფინანსური ფონდების ფორმირებასთან, რომელიც გამოიყენება ხელისუფლებისა და მმართველობის ტერიტორიული ორგანოების მიერ განსახორციელებელი სხვადასხვა რეგიონული პროგრამების დაფინანსებისა და სხვა ფუნქციების შესრულებისათვის, რაც, როგორც შედეგი, უზრუნველყოფს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასა და ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ტერიტორიული ერთეულების ფინანსების უმთავრეს რგოლს ადგილობრივი (მუნიციპალური) ბიუჯეტები წარმოადგენენ. ისინი გვევლინებიან ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის ფორმად. ადგილობრივი ბიუჯეტები წარმოების პროცესის საბოლოო შედეგების მოსახლეობამდე დაყვანის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. ამ ბიუჯეტებიდან ფინანსდება, ძირითადად სოციალური სფერო (სკოლები, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური და სხვა ობიექტები), აგრეთვე, საწარმოო სფეროს სხვადასხვა ობიექტები.

ნებისმიერი სახელმწიფოს საბიუჯეტო სისტემა იურიდიულ ნორმებსა და ეკონომიკურ ურთიერთობებზე დაფუძნებულ მართვის ყველა დონის ბიუჯეტების ერთობლიობას წარმოადგენს, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მექანიზმებისა და მეთოდების სისტემას განსაზღვრავს. საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების წესებისა და პრინციპების ერთობლიობა კი საბიუჯეტო მოწყობაა. საბიუჯეტო მოწყობამ, როგორც სოციალურ-ეკონომიკურმა მექანიზმმა, უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა დონის ხელისუფლების ორგანოების ინტერესების ბალანსი შემოსავლების მოზიდვისა და რესურსების განაწილების მიმართულებით (ღლონტი, 2007:40).

რეგიონული საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა არის სახელმწიფო საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ასახავს ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის თანაფარდობას, განსაზღვრავს რეგიონის საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის ხარისხს. რეგიონის ბიუჯეტისათვის საკუთარი საშემოსავლო ბაზის არსებობა წარმოადგენს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების დამოუკიდებლობის საფინანსო საფუძვლებს, საშემოსავლო ბაზის მოცულობა კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონული ბიუჯეტის საფინანსო-ეკონომიკურ მდგრადობაზე (ღლონტი, 2007: 43-44).

ტერიტორიული ერთეულების საფინანსო-ეკონომიკური განვითარებისათვის

მნიშვნელოვანია სახელმწიფო საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, რეგიონული და მუნიციპალური ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირების მიზნით კონკრეტული გადასახადის მიკუთვნების თვალსაზრისით. თუმცა, „ფისკალურ პოლიტიკაში ერთ-ერთ რთულ პრობლემას სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილება წარმოადგენს. კერძოდ, ადგილობრივ ბიუჯეტებში მეტწილად ჩაირიცხება ძნელად ამოსაღები და მცირე ოდენობის საგადასახადო შემოსავლები, რაც მძიმე პირობებს უქმნის ადგილობრივ ორგანოებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული საგადასახადო შემოსავლების სამართლიანი განაწილების მეთოდოლოგია და მეთოდიკა" (აბუსელიძე, 2009:42-46).

ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით დღემდე პრობლემად რჩება ბუნებრივი რესურსების საკუთრების საკითხი. ამ კუთხით აზრთა სხვადასხვაობაა ქართველ თუ უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებებში. პროფესორ ნ. ჭითანავას აზრით „ბუნებრივი რესურსების გამოყენებაში, როგორც არსად, საჭიროა მაღალი დონის სახელმწიფო რეგულირების ხარისხის უზრუნველყოფა, რაც მიღწეული იქნება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩება ბუნებრივი რესურსები" (ჭითანავა, 1999: 274-276). ჩვენი აზრით, ბუნებრივი რესურსები ისე უნდა იქნეს გამოყენებული, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპები, ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, ადგილობრივ ხელისუფლებასა და მმართველობით ორგანოებს გააჩნდეთ საკუთარი შემოსავლების წყაროები თავიანთი ფუნქციების განსახორციელებლად.

სხვა სიტყვებით, ბუნებრივი რესურსების გამოყენებით წარმოებული საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად შექმნილი დამატებული ღირებულების ნაწილი საბიუჯეტო-საგადასახადო მექანიზმის გამოყენებით უნდა მიემართებოდეს მუნიციპალიტეტის ან/და, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში. ცხადია, იგივე პრინციპი უნდა იქნეს შენარჩუნებული საწარმოო სხვა რესურსების გამოყენების თვალსაზრისითაც. ფინანსური მექანიზმებით, ტერიტორიული ერთეულების ფინანსებისა და საბიუჯეტო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით შესაძლებელია შეიქმნას ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა, რომლის მოცულობა დამოკიდებული იქნება რეგიონში და მუნიციპალიტეტებში არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ფორმირების თავისებურებები**

ტერიტორიული ერთეულების მმართველობითი ორგანოების ეკონომიკური და სოციალური პროცესების მართვის ფუნქციის რეალური შესრულებისათვის მნიშვნელოვანია ბიუჯეტის სტატუსის განსაზღვრა. ბიუჯეტის მდგომარეობა ხელისუფლების მიერ გატარებული ფინანსური პოლიტიკის შედეგია, რაც საბიუჯეტო რესურსების მართვის გრძელვადიან სტრატეგიას ეფუძნება, რომლის მიზანი გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურობის უზრუნველყოფაა (Glonti, 2018: 1-2).

რეგიონული ფინანსების სფეროში წარმოებული სახელმწიფო პოლიტიკა რეგიონის ეკონომიკურ აქტივობას უნდა

განაპირობებდეს, რაც გამოიხატება რეგიონში მწარმოებლურობის ზრდით, რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდით, სამუშაო ადგილების ზრდითა და რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებით.

თანამედროვე პირობებში საქართველოში საბიუჯეტო ურთიერთობები ეყრდნობა დამოუკიდებლობის (ავტონომიურობის) პრინციპს. მიუხედავად ამისა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების სახელმწიფო ბიუჯეტთან დამოკიდებულობის ხარისხი მკვეთრად დიდია, ვგულისხმობთ როგორც ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს, ასევე ადგილობრივ (მუნიციპალიტეტების) ბიუჯეტებს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, გარკვეულ ობიექტურ მიზეზთა გამო, ცხადია მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტზეა დამოკიდებული, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი 2018 წლიდან ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადით ფორმირდება, ამდენად, მისი დამოკიდებლობის ხარისხიც შედარებით დიდია.

ცხრილი 1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო
შემოსავლები, 2021 წ. (მლნ. ლარი)

| | |
|---|---|
| შემოსავლები | 303.9 |
| მათ შორის: **გადასახადები** | **290.0** |
| **სხვა შემოსავლები** | **13.9** |

როგორც ვხედავთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო შემოსავლების სტრუქტურაში საგადასახადო შემოსავლები წარმოადგენენ მთლიანი შემოსავლების 95%-ზე მეტს, რაც გამოწვეულია ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში მიმართვით, დანარჩენს კი (5%-ზე ცოტა ნაკლებს) სხვა არასაგადასახადო შემოსავლები შეადგენს (შემოსავლები საკუთრებიდან, როგორებიცაა პროცენტები, დივიდენდები, რენტა, იჯარა და სხვ. ასვე, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, ჯარიმები, საურავები და სხვადასხვა სახის ტრანსფერები).

შემოსავლების წყაროებს შორის არსებული პროპორცია ერთი შეხედვით მისაღებია. თუმცა, ჩვენი აზრით, ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში მიმართვის ხარჯზე ჩამოყალიბებული რეგიონის ბიუჯეტის საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ეს პროპორცია, უმეტესწილად, ფისკალური თვალსაზრისითაა ეფექტიანი და მას მარეგულირებელ-მასტიმულირებელი ხასიათი ნაკლებად გააჩნია. გრძელვადიან პერსპექტივაში საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტენდენციის მისაღწევად საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკაში მარეგულირებელ-მასტიმულირებელი როლი უმნიშვნელოვანესია. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად გავაანალიზოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა 2019 და 2020 წლებში და დავაკვირდეთ მათ დინამიკას.

ცხრილი 2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
საბიუჯეტო შემოსავლები, 2019-2020 წწ.

(მლნ. ლარი)

| დასახელება | 2019 | 2020 |
|---|---|---|
| შემოსავლები | 294.7 | 247.8 |
| მათ შორის: **გადასახადები** | **274.9** | **237.2** |
| **სხვა შემოსავლები** | **19.8** | **10.6** |

როგორც ჩანს (იხ. ცხრ.2) პროპორცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიან შემოსავლებში, გადასახადებსა და სხვა შემოსავლებს შორის დიდად არ იცვლება, უფრო მეტიც, 2020 წელს საგადასახადო შემოსავლების წილმა ზუსტად იგივე, 95% შეადგინა, როგორც 2021 წელს, ხოლო 2019 წელს - 93%-ზე ცოტა მეტი. აბსოლუტურ მაჩვენებლებს თუ შევადარებთ, 2020 წელს 2019 წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების კლება შეინიშნება. ეს ძირითადად კორონა ვირუსის გავრცელების შედეგია, რომელმაც შეამცირა სამუშაო ადგილები და შესაბამისად საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრი ბაზა, ხოლო 2021 წელს 2020 წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 52.8 მლნ ლარით გაიზარდა (დაახლოებით 22%-ით).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, საშუალო ყოველთვიური ხელფასი 2021 წელს 2020 წელთან შედარებით 16-22%-ის ფარგლებში ეტაპობრივად გაიზარდა (საქსტატი, 2022). ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2021 წელს 2020 წელთან შედარებით ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდა გამოწვეულია დაქირავებით მომუშავე პირთა შრომის ანაზღაურების საერთო დონის ზრდით და არა დაქირავებით მომუშავე პირთა რაოდენობის ზრდით (სამუშაო ადგილების გაზრდით), ან სხვა რაიმე ეკონომიკური მექანიზმის ამოქმედებით ან გააქტიურებით. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ საშემოსავლო გადასახადის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში მიმართვის მექანიზმს, ამ შემთხვევაში, მოაქვს მხოლოდ ფისკალური ეფექტი (ავსებს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს) და მას მასტიმულირებელ-მარეგულირებელი ხასიათი ნაკლებად გააჩნია (ნაკლებია საგადასახადო ბაზის ზრდის სტიმულები, როგორც მოკლევადიან ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში).

ცხადია, რაღაც დოზით, რეგიონის მმართველობით ორგანოებს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების არსებული მექანიზმი აძლევს გარკვეულ სტიმულს, რადგან ყოველი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა მათთვის მეტ შემოსავალს ნიშნავს. თუმცა, მისი განხორციელება ეკონომიკური სტიმულების მექანიზმებთან არასაკმარის კავშირშია.

იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმებულ პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი საჯარო სექტორში დასაქმებულებზე მოდის (საქართველოში, ბოლო წლების მონაცემებით საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანად დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობის 30-40%-ის ფარგლებშია) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური), რეგიონის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კერძო სექტორის ზრდის ხარჯზე რეგიონის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსვლების ზრდის უზრუნველყოფა. ჩვენი აზრით, მოგების გადასახადის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების წყაროდ ქცევა (რა თქმა უნდა საშემოსავლო გადასახადთან ერთად) უზრუნველყოფს როგორც ფისკალური, ასევე მასტიმულირებელ-მარეგულირებელი ფუნქციის უფრო ეფექტიანად შესრულებას.

ბოლო რამდენიმე წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას თუ დავაკვირდებით, მოგების გადასახადის თანხა

3-3.5-ჯერ, ზოგჯერ მეტადაც, ჩამორჩება საშემოსავლო გადასახადს და სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 10%-ს შეადგენს. ამიტომ, რეგიონის (ჩვენს შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მოგების გადასახადის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში მიმართვა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ დანაკარგს არ წარმოადგენს. იგი შეიძლება არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტისთვის იყოს ფინანსური თვალსაზრისით გადამწყვეტი: თუმცა, რომ ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მოგების გადასახადის საგადასახადო ბაზის ზრდისკენ, ეკონომიკური მექანიზმებითა და ინსტრუმენტების გამოყენებითაა შესაძლებელი. აქ საუბარია ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობის ზრდაზე და საქმიანობის გაფართოებაზე, რაზეც პასუხისმგებლობა რეგიონულმა მმართველობის ორგანოებმა უნდა აიღონ, საგადასახადო შემოსავლების გაზრდის მოტივით.

ეს მექანიზმი, ამავდროულად, პირდაპირ იმოქმედებს საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზის ზრდაზე (დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა) და შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის საერთო მოცულობის ზრდაზეც. ამდენად, მიგვაჩნია, რომ მოგების გადასახადის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში მიმართვა მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის როგორც ფისკალური ეფექტის მიღებას, ასევე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას.

ჩვენი აზრით, ასევე აუცილებელია, რომ საშემოსავლო გადასახადის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტზე მიკუთვნების თვალსაზრისით მოხდეს საგადასახადო ადმინისტრირების პრინციპის ცვლილება. კერძოდ, ამ გადასახადიდან ამოღებული სახსრების განაწილება უნდა მოხდეს არა დამქირავებლის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, არამედ დაქირავებულ ფიზიკურ პირთა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საშემოსავლო გადასახადი არის ფიზიკური პირის გადასახადი და დამქირავებელი ამ შემთხვევაში მხოლოდ საგადასახადო აგენტის როლს ასრულებს, ამიტომ ის უნდა მიემართებოდეს იმ რეგიონის ბიუჯეტში სადაც დაქირავებული ფიზიკური პირია რეგისტრირებული.

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სრულყოფის მექანიზმი

საქართველოში თითოეულ მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია, როგორც სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისაგან, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და სახელმწიფო ბიუჯეტისაგან. ასევე, ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებს არა აქვთ უფლება ჩაერიონ მუნიციპალიტეტების ხელისუფლების ორგანოებს საბიუჯეტო უფლებამოსილებაში (ჩიხლაძე და რუსაძე, 2015:153).

მსოფლიო პრაქტიკის თანახმად, განვითარების ცალკეულ ეტაპზე ფინანსურ უფლებამოსილებათა მკაცრი გამიჯვნა იწვევს ცალკეული რეგიონების უფრო სწრაფ

განვითარებას და დანარჩენი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის ჩამორჩენილობას (აბუსელიძე, 2004: 164).

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების როლი მნიშვნელოვანია პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში. თუმცა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს შორის არსებული დისბალანსი ყველა დანარჩენი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსავლებზე უარყოფითად აისახება, რაც საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ამიტომ მთავრობამ ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად უნდა გაატაროს შესაბამისი ფისკალური პოლიტიკა. ფისკალურმა დეცენტრალიზაციამ უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ მიაღწიონ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სათანადო დონეს (აბუსელიძე, 2006:101-106; Abuselidze, 2019:12).

მუნიციპალიტეტების საგადასახადო შემოსავლების ფორმირების თვალსაზრისით, თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში ძალზე არასახარბიელოა, რადგანაც ყველა გადასახადი, გარდა ქონების გადასახადისა მიკუთვნებული აქვს ცენტრალურ ბიუჯეტს (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საშემოსავლო გადასახადი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს).

ქონების გადასახადის დასაბეგრი ბაზა ძალიან მცირეა, რასაც კიდევ უფრო ამცირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია შეღავათების სისტემა, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, 5 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ქონა თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან. ასევე პირი, რომლის წლიური შემოსავალი 40 ათას ლარზე ნაკლებია თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან. გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ მაღალმთიანი რეგიონებში მუდმივად მცხოვრები პირები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მასთან გათანაბრებული პირები, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება და ა.შ. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2021).

ფისკალური დეცენტრალიზაციის უნივერსალური მოდელის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან თითოეულ ქვეყანას საკუთარი ისტორია და მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სტრუქტურები გააჩნია. ამიტომ თითოეულმა მათგანმა ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მმართველობის ავტონომიურობის ხარისხი, ამისათვის მუნიციპალური ბიუჯეტების ფორმირებისათვის გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას გააჩნდეს, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გადასახადების დაკისრების უფლებამოსილება (Abuselidze, 2021:11).

2019 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, დამატებული ღირებულების გადასახადის 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებზე, შესაბამისად, ის გვევლინება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების წყაროდ.

აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე დაკვირვებით მოვახდინოთ მცირე ანალიზი დამატებული ღირებულების გადასახადის 19%-ის განაწილების სქემის ეფექტიანობაზე.

ცხრილი 3

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები - 2021 წ. (მლნ. ლარი)

| | |
|---|---|
| მთლიანი შემოსავლები | 138.1 |
| საგადასახადო შემოსავლები | 71.8 |
| მათ შორის: **დღგ** | **42.8** |
| **ქონების გადასახადი** | **29.0** |
| გრანტები | 45.9 |
| სხვა შემოსავლები | 20.3 |

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში საგადასახადო შემოსავლები შეადგენს მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 52%-ს. საგადასახადო შემოსავლების მთლიანი მოცულობის თითქმის 60%-ს განაწილებული დღგ წარმოადგენს, დანარჩენ 40%-ს კი, შესაბამისად, ქონების გადასახადი. ქონების გადასახადის მოცულობის მხრივ ბათუმის მუნიციპალიტეტის შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებს, რაც გამოწვეულია ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის არსებობით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი განაწილებული დღგ-ს მოცულობითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებს მკვეთრად აღემატება, რაც ბოლო პერიოდში აქტიური მოსახლეობის რაოდენობის მუდმივი ზრდითა განპირობებული.

ცხრილი 4.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები - 2021 წ. (მლნ. ლარი)

| | |
|---|---|
| მთლიანი შემოსავლები | 35.1 |
| საგადასახადო შემოსავლები | 16.2 |
| მათ შორის: **დღგ** | **12.4** |
| **ქონების გადასახადი** | **3.8** |
| გრანტები | 16.6 |
| სხვა შემოსავლები | 2.2 |

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში საგადასახადო შემოსავლები შეადგენს მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 46%-ს, ხოლო საგადასახადო შემოსავლების მთლიანი მოცულობის თითქმის 77%-ს განაწილებული დღგ წარმოადგენს, დანარჩენ 23%-ს კი, შესაბამისად, ქონების გადასახადი. ქონების გადასახადის თანხის სიმცირე განპირობებულია ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის სიმცირით.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში საგადასახადო შემოსავლები შეადგენს მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 70%-ს, ხოლო საგადასახადო შემოსავლების მთლიანი მოცულობის თითქმის 60%-ს განაწილებული დღგ წარმოადგენს, დანარჩენ 40%-ს კი შესაბამისად ქონების გადასახადი.

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში საგადასახადო შემოსავლებიშეადგენსმთლიანიშემოსავლების დაახლოებით 66%-ს, ხოლო საგადასახადო შემოსავლების მთლიანი მოცულობის თითქმის 96%-ს განაწილებული დღგ წარმოადგენს, დანარჩენ 4%-ს კი, შესაბამისად, ქონების გადასახადი. ქონების გადასახადის მცირე წილი მთლიან შემოსავლებში გამოწვეულია აღნიშნული გადასახადით დასაბეგრი ბაზის სიმცირითა და ზემოთ აღნიშნული საგადასახადო შეღავათებით.

შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში საგადასახადო შემოსავლები შეადგენს მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 32%-ს, ხოლო საგადასახადო შემოსავლების მთლიანი მოცულობის თითქმის 9%-ს განაწილებული დღგ წარმოადგენს, დანარჩენ 91%-ს კი,

შესაბამისად, ქონების გადასახადი. შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განაწილებული დღგ-ს სიმცირე გამოწვეულია უმეტესწილად, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და ფართობის სიმცირით.

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში საგადასახადო შემოსავლებიშეადგენსმთლიანიშემოსავლების დაახლოებით 49%-ს, ხოლო საგადასახადო შემოსავლების მთლიანი მოცულობის თითქმის 45%-ს განაწილებული დღგ წარმოადგენს, დანარჩენ 55%-ს კი, შესაბამისად, ქონების გადასახადი. განაწილებული დღგ-სშედარებით მცირე რაოდენობა სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, აქაც, მსგავსად შუახევის მუნიციპალიტეტისა, გამოწვეულია მუნიციპალიტეტის ფართობის სიმცირითა და მოსახლეობის მცირერიცხოვნობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებს შორის ბიუჯეტის შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების ყველაზე მეტი ხვედრითი წილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს უჭირავს 70%-ით, ქედის მუნიციპალიტეტი - 66%, ქალაქი ბათუმი 52%, ხულოს მუნიციპალიტეტი - 49%, ქობულეთის მუნიციპალიტეტი - 46% დაბოლოს, შუახევის მუნიციპალიტეტი 32%. ეს პოზიციები ერთი მხრივ გამოწვეულია ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის მოცულობით, მეორე მხრივ კი დღგ-ს 19%-ის განაწილების არსებული მექანიზმით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მიერ მიღებულ განაწილებული დღგ-ს თანხის აბსოლუტურმაჩვენებლებსთუგავაანალიზებთ დავინახავთ, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ამ მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობასთან (ერთი გამონაკლისის გარდა - ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა უფრო მეტია, ვიდრე ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, თუმცა საგადასახადო შემოსავლები და მათ შორის, განაწილებული დღგ ქედის მუნიციპალიტეტში უფრო მეტია, ვიდრე ხულოს მუნიციპალიტეტში). ეს ფაქტი კი დაკავშირებულია დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების არსებულ მექანიზმთან, რომლის ერთ-ერთი კრიტერიუმის თანახმად, გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის საერთო მოცულობის 60% ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციების, თეორიული მასალებისა და ზოგადი ეკონომიკური პრინციპების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დღგ-ს განაწილების არსებული მექანიზმი არაეფექტიანია. ამ მექანიზმის საშუალებით თითოეული მუნიციპალიტეტი იღებს ყოველწლიურად ფიქსირებულ თანხას ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ფორმირებისთვის. არა აქვს მნიშვნელობა კონკრეტული მუნიციპალიტეტი, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით აქტიური თუ პასიური, იგი მაინც თითქმის იმავე თანხას მიიღებს განაწილებული დღგ-ს სახით რასაც ღებულობდა წინა წლებში. ეს კი იგივე გათანაბრებითი ტრანსფერის ტოლფასი მექანიზმია, ოღონდ განსხვავებული სახელით, განაწილების წესითა და ფორმულით. ეს მექანიზმი მოკლებულია ეკონომიკური განვითარების მასტიმულირებელ როლს, რომელიც, ჩვენი აზრით, რეალური თვითმმართველობისა და ფინანსური

დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით ესოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

ჩვენთვის გასაგებია, რომ დღგ განსხვავებული ბუნებისაა, რომ რთულია იმის გაგება თუ სად იქმნება დამატებული ღირებულება, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ კონკრეტულ მუნიციპალიტეტში შექმნილი დამატებული ღირებულების დადგენის მექანიზმები იქნეს შემუშავებული, ვინაიდან, ამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელი პირის მიერ გადახდილი დღგ-ის მოცულობა გახდეს მთავარი კრიტერიუმი დღგ-ს განაწილების მექანიზმისა.

**დასკვნა**

რეგიონის ეკონომიკურ ძლიერებას მისი ფინანსური დამოუკიდებლობა და ფისკალური დეცენტრალიზაცია განსაზღვრავს, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საკუთარი, საგადასახადო წყაროებით უზრუნველყოფა განაპირობებს. ეს, როგორც შედეგი, უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ზრდის ხარჯზე ტერიტორიული ერთეულების (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) ბიუჯეტის საგადასახადო შემოსვლების ზრდის უზრუნველყოფა. ამისათვის კი საჭიროა მოგების გადასახადის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების წყაროდ ქცევა, რა თქმა უნდა, საშემოსავლო გადასახადთან ერთად. ეს მექანიზმი, ამავდროულად, იმოქმედებს საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზის ზრდაზე და შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის საერთო მოცულობის ზრდაზეც, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს, როგორც ფისკალური, ასევე მასტიმულირებელ-მარეგულირებელი როლის ეფექტურად შესრულებას;

2. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფორმირების თვალსაზრისით, თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში ძალზედ არასახარბიელოა, რადგან თითქმის ყველა გადასახადი, გარდა ქონების გადასახადისა, მიკუთვნებული აქვს სახელმწიფო ბიუჯეტს. ქონების გადასახადის დასაბეგრი ბაზა კი ძალიან მცირეა, რასაც კიდევ უფრო ამცირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათების სისტემა. დღგ-ს განაწილების მექანიზმი კი არაეფექტურია და არანაირ ეკონომიკურ სტიმულებს არ ეფუძნება;

3. აუცილებლად მიგვაჩნია შემუშავდეს კონკრეტულ მუნიციპალიტეტში შექმნილი დამატებული ღირებულების გეოგრაფიული არეალის დადგენის მექანიზმები, ვინაიდან, ამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელი პირის მიერ გადახდილი დღგ-ის მოცულობა უნდა გახდეს მთავარი კრიტერიუმი დღგ-ს განაწილების მექანიზმისა. შედეგად, მუნიციპალიტეტები რეალურად შეძლებენ შესასრულებელი ფუნქციების ფინანსურ უზრუნველყოფას.

**ლიტერატურა:**


1. აბუსელიძე, გ. (2004). რეგიონული ბიუჯეტების როლი ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. *სოციალური ეკონომიკა*. 4, 157-166;
2. აბუსელიძე, გ. (2006). ფისკალური პოლიტიკის ოპტიმიზაციისათვის. *სოციალური ეკონომიკა*. 4, 101-106;
3. აბუსელიძე, გ. (2009). საგადასახადო კოდექსის ადეკვატური საბიუჯეტო კოდექსის მიღების აუცილებლობის შესახებ. *ეკონომიკა და ბიზნესი*. 1, 42-46;
4. საკანონმდებლო მაცნე (2021). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ;
5. საკანონმდებლო მაცნე (2021). საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
6. საკანონმდებლო მაცნე (2021). საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
7. საკანონმდებლო მაცნე (2021). საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები. URL: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
10. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
12. ღლონტი, ვ. (2007). რეგიონი (ანალიზი, შეფასება, პერსპექტივები). ბათუმი;
13. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება შუახევის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
14. ჩიხლაძე, ნ., რუსაძე, ნ. (2015). ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის "თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები – 2015" შრომების კრებული, ქუთაისი. URL: [http://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Economy/ChikhladzeNikoloz.pdf](http://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Economy/ChikhladzeNikoloz.pdf)
15. ჭითანავა, ნ. (1999). გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება). II ნაწილი. თბილისი;
16. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
17. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება ხულოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
18. Abuselidze, G. (2019). Analysis of the formation and use of budgetary policies ensuring the socio-economic development of territorial units. *Economic archive*. 2, 3-15;
19. Abuselidze, G. (2019). Анализ На Формирането И Прилагането На Бюджетни Политики, Осигуряващи Социално-

Икономическото Развитие На Административно териториалните Единици. *Народностопански архив.* 2, 3-16;

20. Abuselidze, G. (2021). *The intergovernmental relations and their regulation in the context of decentralization of fiscal policy. E3S Web of Conferences.* 280, 02010;

21. Glonti, V., Zhiyenbayev, M., & Manvelidze, R. (2018). The method of estimating the regional budgetary process. *MATEC Web of Conferences.* 212, 08029.

## PROBLEMS OF FORMATION OF TAX REVENUES OF THE BUDGET OF TERRITORIAL UNITS AND WAYS OF IT OVERCOMING

**Giorgi Abuselidze**
Doctor of Economics, Associated Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
abuselize@gmail.com

**Aleko Meladze**
Doctorate of Business Administration, Batumi Shota Rustaveli State University,
alekomeladze88@gmail.com

**KEY WORDS:** *Autonomous Republic Budget; Municipal Budget; Fiscal Decentralization; Tax Revenues;*
**J.E.L. classification:** H61, H72, H77 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.07

**For citation:** Abuselidze G., Meladze A., (2022) Problems of formation of tax revenues of the budget of territorial units and ways of it overcoming (in Georgian). Vol. 17, 1(23), p. 15–29. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.07

**Summary**

Economic strength of territorial units is one of the most important factors for the economic development of the government. And for the economic stability of the territorial units it is crucial to have high level of financial decentralization and the ability to provide their budget revenues with their own tax sources, which is guaranteed by effective fiscal politics from the government.

Some reforms have been going on in Georgia for decades in order to have financial decentralization and to improve the quality of budget independence, but in order to improve modern situation in this field it is necessary to develop a system of specific actions. Therefore, the problem of tax revenue optimization of territorial units is gaining more urgency and we believe that identifying the factors hindering the improvement of the tax revenues of the budget of the territorial units and taking certain actions and measures to solve them will significantly contribute to the socio-economic development of the territorial units.

While working on these issues, the study of the problem was done mainly using characteristic and quantitative research methods. In terms of characteristic research we managed to get information in-depth about the main topic and then we managed to process and analyze this information. In terms of quantitative research, we were mainly guided by statistical information of the revenues of the budgets of the territorial units. Quantitative data were processed in accordance with the objectives, on the basis of which specific trends of the problem were identified. Based on the analysis of the information collected through the mentioned methods, the relevant conclusion-recommendations were formed.

The issue of ownership of natural resources is

important for the economic development of territorial units. Natural resources should be used in such a way to maximize the growth rate of economic development of territorial units. Part of the value added that is created as a result of industrial-economic relations using natural resources should be transferred by using the budget-tax mechanism to the budget of the municipality and/or, as it is in our case, the budget of the Autonomous Republic. Clearly, the same principle must be maintained in terms of the use of other industrial resources. Effective use of fiscal policy instruments can create a structure of tax revenues for the budgets of territorial units, the volume of which will depend on the efficient use of resources in the territorial unit.

Public policy in the field of regional finance should reflect the economic activity of the region, which can provide increased productivity in the region, increased value added measures in the region, job growth and, ultimately, the well-being of the region's population. In modern conditions, budget relations in Georgia are based on the principle of independence (autonomy), however, the dependence of different levels of budgets on central budgets is very high.

The share of tax revenues in the budget revenue structure of the Autonomous Republic of Adjara is more than 95% of the total revenues. This proportion is acceptable at first glance, but it is formed to the budget of the Autonomous Republic by income taxes of individual entities and it is effective, for the most part, from a fiscal point of view. It has less regulatory-stimulating character. In the long term perspective, the regulatory-stimulating role in tax-budgetary policy is crucial to achieve the tax revenue growth. Therefore, in our opinion, the use of profit and income tax as a source of tax revenue for the budget of the Autonomous Republic will ensure a more efficient result of both fiscal and stimulus-regulatory functions. Actions and measures that are aimed to increase the tax base of profit tax are possible through the use of economic mechanisms and tools, as we are talking about increasing the number of economic entities and expanding their activities. This mechanism, at the same time, will directly affect the growth of the taxable tax base.

The situation in Georgia is also unfavorable in terms of the formation of tax revenues of municipal budgets because all taxes, except property taxes, belong to the central budget. The taxable base of property tax is very small, which is further reduced by the system of benefits provided by the Tax Code of Georgia.

Distributed VAT is the main tax source for filling the budgets of municipalities. The existing mechanism of its distribution is ineffective. By using this mechanism, each municipality receives an almost fixed amount of money each year for the formation of the revenue portion of their budgets. It does not matter if the municipality is economically active or passive; it still receives almost the same amount of distributed VAT as it received in previous periods. This mechanism has lack of the role of stimulating economic development. Therefore, we believe it is necessary to develop mechanisms of geographical area for determining the value-added value created in a particular municipality. The amount of VAT paid by a VAT payer registered in the territory of this municipality should become the main criteria of the VAT distribution mechanism. In addition, in order for municipalities to be able to actually finance their functions, it is necessary to increase the percentage of VAT that is distributed.

## References


1. Abuselidze, G. (2004). The role of regional budgets in the socio-economic development of territories. *Journal of Social Economy*. 4, 157-166;
2. Abuselidze, G. (2006). To optimize Fiscal Policy. *Journal of Social Economy*. 4, 101-106;
3. Abuselidze G. (2009). About inevitability of budgetary code receiving for fiscal politics. *Economics and Business*. 1, 42-46;
4. Chikhladze, N., & Rusadze, N. (2015). Main aspects of economic activity of local self-government. Akaki Tsereteli State University, Kutaisi; URL: http://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Economy/ChikhladzeNikoloz.pdf
5. Chitanava, N. (1999). *Socio-economic problems of the transition period (government regulation of the economy)*. part II, Tbilisi;
6. Glonti, V. (2007). Region (analysis, evaluation, perspectives). Batumi;
7. Legislative Herald of Georgia (2021). Tax code of Georgia;
8. Legislative Herald of Georgia (2021). Budget Code of Georgia;
9. Legislative Herald of Georgia (2021). Code of Local Self-Government of Georgia;
10. Legislative Herald of Georgia (2021). Law of the Autonomous Republic of Adjara on the Republican Budget of the Autonomous Republic of Adjara for 2021;
11. National service of statistics, (2022). www.geostat.ge;
12. Resolution of Batumi Municipality on approving the local budget of Batumi Municipality for 2021;
13. Resolution of Kobuleti Municipality on approving the local budget of Batumi Municipality for 2021;
14. Resolution of Khelvachauri Municipality on approving the local budget of Batumi Municipality for 2021;
15. Resolution of Keda Municipality on approving the local budget of Batumi Municipality for 2021;
16. Resolution of Shuakhevi Municipality on approving the local budget of Batumi Municipality for 2021;
17. Resolution of Khulo Municipality on approving the local budget of Batumi Municipality for 2021;
18. Abuselidze, G. (2019). Analysis of the formation and use of budgetary policies ensuring the socio-economic development of territorial units. *Economic archive*. 2, 3-15;
19. Abuselidze, G. (2019). Анализ На Формирането И Прилагането На Бюджетни Политики, Осигуряващи Социално-Икономическото Развитие На Административнотериториалните Единици. *Народностопански архив*. 2, 3-16;
20. Abuselidze, G. (2021). The intergovernmental relations and their regulation in the context of decentralization of fiscal policy. *E3S Web of Conferences*. 280, 02010;
21. Glonti, V., Zhiyenbayev, M., & Manvelidze, R. (2018). The method of estimating the regional budgetary process. *MATEC Web of Conferences*. 212, 08029.

# საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი ეკონომიკის სტიმულირებაში

**ლაშა ბერიძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, წმიდა ტბელ აბუსერისძის
სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, lberidze@cu.edu.ge

**საკვანძო სიტყვები:** *საერთაშორისო სავალუტო ფონდი; მსოფლიო ბანკი; საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები; სახელმწიფო ვალი*

**J.E.L. classification:** F340, F330, F440 DOI: https://doi.org/10.52244/ p.2022.23.08

**ციტირებისთვის:** ბერიძე ლ., (2022) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი ეკონომიკის სტიმულირებაში. ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 30–44. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.08

**ანოტაცია.** *საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისროლისახელწმიფოებისათვის აღიარებულია, რამეთუ მათი დახმარებით ბევრმა ქვეყანამ უპრეცენდენტო შედეგებს მიაღწია. მეცნიერებსა და პრაქტიკოს მკლევარებს შორის არ არსებობს ერთიანი პოზიცია საერთაშორისო ორგანიზაციების დადებით შედეგებთან მიმართებით. სამწუხაროდმოიძებნებაშემთხვევები,როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევა კონკრეტული სახელწიფოებისათვის აღმოჩნდა კრიზისის გაღრმავების საფუძველი. ამასთან, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ხშირად გამოსცემენ სახელმძღვანელო დოკუმენტებს, რომელიც თანამედროვე გამოწვევების ფონზე მნიშვნელვან როლს ასრულებენ სახელმწიფოების მონეტარული პოლიტიკის გატარებაში, სიღარიბის დაძლევაში, უმუშევრობის შემცირებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. ასეთი ორგანიზაციები ძირითადად უზრუნველყოფენ გლობალიზაციის პროცესს.*

*საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი განსაკუთრებულია საქართველოსთვისაც. მათი მხარდაჭერით ფინანსდება ინფრასტრუქტურული პროექტები და სხვადასხვა ეკონომიკური თუ ფინანსური პროგრამები. ცალკე აღსანიშნავია, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შესახებ, რომელსაც საქართველოსთვის შემუშავებული აქვს მაკროეკონომიკური პროგნოზირების სპეციალური პროგრამა და აქტიურ როლს ასრულებს მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაში საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მუდმივი რეკომენდაციების გაცემის გზით. ცხადია, ყოველივე დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებაზე.*

## შესავალი

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვანია. დღესა ც გლობალური სამყარო დამოკიდებულია საფინანსო ორგანიზაციების ფინანსებზე. ისინი დიდ როლს ასრულებენ როგორც ფინანსების აკუმულირებაში, მის ხელმისაწვდომობასა და გადანაწილებაში, ასევე ზოგიერთი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია ეხმარება ქვეყნებს ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში, რაც

ნებისმიერი ქვეყნისთვის გარდაუვალი და აუცილებელი დახმარების კომპონენტად იქცა, განსაკუთრებით კოვიდ-19 პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ეკონომიკური რეფორმების მსოფლიოს ყველაზე ძლიერ აგენტებს (Halliday and Carruthers, 2007:1135-1202).

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი განსაკუთრებულია ასევე საქართველოსთვის, შეიძლება ითქვას ზოგადად განვითარებადი ქვეყნებისათვის. რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება განვითარებული ქვეყნებიც, მაგრამ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ტექნიკური დახმარება ხშირად მეტი ოდენობით სჭირდება ღარიბი, გარდამავალი ან განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს.

წინამდებარე სტატიაში არ განვიხილავთ ორგანიზაციების წარმოშობას, მაგრამ ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის ფარგლებში შექმნილი საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი დღესაც გვევლინებიან სხვადასხვა საერთშორისო თუ რეგიონულ საფინანსო ორგანიზაციებთან ერთად ძირითად მოთამაშეებად გლობალიზაციისა და ეკონომიკური დაახლოების პროცესში.

## ძირითადი ნაწილი

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი განსაკუთრებით გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1944 წელი და ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია ითვლება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დასაბამად. ასეთი ორგანიზაციების შექმნა განპირობებული იყო იმ დროისათვის არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი თანამედროვე გამოწვევების ფონზე მუდმივ რეჟიმშიუზრუნველყოფსახალისტანდარტების შემოღებას და ადაპტირებას კრიზისებისა და გამოწვევების ფონზე, იმპლემენტაციაში

ნახაზი 1

საერთაშორისო სავალუტო ფონდი - მნიშვნელოვანი ცნობები (IMF, lending facts)




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი: https://www.imf.org/en/About

დახმარებას და მონეტარული პოლიტიკის გატარებას თითოეული ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. მეცნიერების და ექსპერტების მოსაზრება ხშირად არ ემთხვევა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, თუნდაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას გარკვეულ შემთხვევებში, რადგან ხდება ადგილობრივი ფაქტორების უგულებელყოფა.

რაც შეეხება მსოფლიო ბანკის ჯგუფს, ის ძირითადად აკრედიტებს სახელმწიფოებს სხვადასხვა სახეობის სესხით და ხშირად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებაში - ინფრასტრუქტურის, ენერგო და საინვესტიციო პროექტების დაფინანსების გზით (იხ.ნახ. 1).

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებაში მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარებით. სსფ შეიმუშავებს სახელმძღვანელო დოკუმენტებს და ერთიან სტანდარტებს ადგილობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, მაგრამ ძირითადი ინსტრუმენტები ხშირად მაინც ერთია (აღნიშნული სსფ-ის ნაკლოვანებასაც წარმოადგენს). ამასთან, ტექნიკური და ფინანსური დახმარების მრავალი შემთხვევა მოიძებნება სსფ-ს ისტორიაში, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ სახელმძღვანელოდ, თუ როგორ შეძლო ზოგიერთმა ქვეყანამ სსფ-სთან თანამშრომლობით მნიშვნელოვანი სარგებელი მიეღო, მათ შორის ეკონომიკისა და ფინანსების მრავალ სფეროსა თუ სექტორში.

მაგალითად, 1980-იანი წლები ვიეტნამისათვის იყო ერთ-ერთი კატასტროფული. ვიეტნამი ამ დროისათვის მიიჩნეოდა მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნად, რომელიც ათწლიანი ომის ეკონომიკური შედეგებიდან თავს ვერ აღწევდა. ეკონომიკა ვერ აწარმოებდა ძირითად სამომხმარებლო პროდუქციას. და ყოველწლიური ინფლაციის მაჩვენებელი 400%-იან ნიშნულს უტოლდებოდა. ყველაფერი შეიცვლა 1986 წელს, როდესაც ვიეტნამმა სსფ-თან ერთად დაიწყო ეკონომიკური რეფორმის ამბიციური პროგრამა, ცნობილი როგორც „Doi Moi", იგივე რენოვაცია. რამდენიმე წლის შემდეგ ვიეტნამი გახდა აღმოსავლეთ აზიის მოწინავე ქვეყანა ძლიერი ეკონომიკით, სადაც დღეის მდგომარეობით იწარმოება სარეცხი მანქანები, ტელევიზორები და სხვა ინოვაციური თუ ტექნოლოგიური საქონელი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 1993 წლიდან 2014 წლამდე ვიეტნამში უმუშევრობა შემცირდა 60%-დან 14%-მდე. მშპ-ს ზრდა ჩინეთის შემდეგ იყო მეორე და შეადგენდა 5.6%-ს.

აღნიშნული ეკონომიკური რეფორმის ფარგლებში მუშახელის კვალიფაკაციის დონე განსაკუთრებით გაიზარდა და თანაც, შედარებით იაფია, რასაც ამყარებს უცხოური ინვესტორების უფლებების დაცვის მაღალი გარანტიები.

ასეთივე მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ კოლუმბიაზე, სადაც სსფ-ს დახმარებით მოხდა გადასახადების ადმინისტრირების რეფორმის გატარება და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით სესხების სუბსიდირება (IMF, Columbia...).

სსფ ასევე დაეხმარა ირლანდიას 2008 წლის კრიზისის დროს, როდესაც უძრავ ქონებებზე ფასები შემცირდა. 2008 წლის კრიზისი ისტორიულად გათანაბრდა დიდ დეპრესიასთან, რომელმაც ფაქტობრივად მოიცვა მთელი მსოფლიო, ამასთან, აღნიშნულ პერიოდში შემოღებულ იქნა ფინანსური დახმარების ახალი მექანიზმები, ასევე მანამდე არსებული გადაუდებელი აუცილებლობის სესხებიც აამოქმედა სსფ-მა და მოუწოდა

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს, რომ მოეხდინათ სახელმწიფო ვალების გადავადება (ანალოგიურ მიდგომასთან გვქონდა ასევე საქმე 2019 წლის კოვიდ-19 პანდემიის დროსაც).

2010 წლისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ევროკავშირთან ერთად უზრუნველყო ირლანდია 67.5 მილიარდი ევროს ოდენობის სესხით ფინანსური კრიზისის დაძლევაში დასახმარებლად, რომელიც ძირითადად გამოწვეული იყო მსოფლიო მასშტაბით უძრავ ქონებებზე ფასების ვარდნით (იპოთეკური ბაზრის ჩავარდნა) (IMF, Ireland...).

მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიზნებს დღესაც წარმოადგენს განვითარების ყველა დარგში მუშაობა. ამისათვის, ის შეიმუშავებს ფინანსური და ტექნიკური დახმარების მრავალ სახეობას. ამასთან, მსოფლიო ბანკის ჯგუფი ეხმარება ქვეყნებს ინოვაციური ცოდნის გაზიარებასა და გამოყენება-დანერგვაში, რომელთა წინაშეც სახელმწიფოები შეიძლება აღმოჩნდნენ გარკვეული პროექტების განხორციელების დროს (World Bank, What We Do...).

მსოფლიო ბანკის ჯგუფი აღნიშნული მიზნების მიღწევას დღეის მდგომარეობით ახორციელებს მასში შემავალი შემდეგი ორგანიზაციების მიხედვით:

1. მსოფლიო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (International Bank for reconstruction and development);

2. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (The International Development Association);

3. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (The International Finanes Corporation);

4. მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო (The Multilateral Investment Guarantee Agency);

5. საინვესტიციო დავების საერთაშორისო მოგვარების ცენტრი (The International Centre for settlement of investment Dispute); (World Bank, Who We Are...).

კოვიდ-19 პანდემიის ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი და ფინანსური დახმარების მექანიზმები.

წარმოვადგინოთ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ზოგადი მონაცემები, რომლებმაც კოვიდ-19 პანდემიის ფონზე მნიშვნელოვნად გაზარდეს დაფინანსების მექანიზმები და დაფინანსების მოცულობა.

1. აზიის განვითარების ბანკი (ADB, აშშ და იაპონია უმსხვილესი დონორები) – 2020 წლის მარტში, ADB-მ დაამტკიცა 6.5$ მლრდ-ის პაკეტი, რომლიც დაუყოვნებლივ მიმართული იყო განვითარებადი ქვეყნების დახმარებისათვის. 2020 წლის აპრილში, ADB გაასამმაგა საკუთარი ვალდებულება 20$ მლრდ-მდე, მათ შორის 2.5$ მლრდ მიმართული უნდა ყოფილიყო შეღავათიან კრედიტებსა და გრანტებზე. 13$ მლრდ დამატებით იქნა გამოყოფილი კონტრციკლური დაფინანსების მხარდაჭერაზე.

2. აფრიკის განვითარების ბანკი (AfDB, აშშ არის ნიგერიას შემდეგ უმსხვილესი დონორი) - ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება 10$ მლრდ ფინანსური დახმარების შესახებ, რომლიდანაც 5.5$ მლრდ მიმართული იქნება ბაზრის ფინანსურ დახმარებაზე მთავრობების მეშვეობით, 3.1$ მლრდ მთავრობისათვის შეღავათიანი ფინანსური დახმარებისთვის და 1.35$ მლრდ კერძო სექტორის ფინანსური დახმარებისათვის.

3. ევროპის რეკონქტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD, აშშ არის უმსხვილესი დონორი) – მიიღო ახალი სოლიდარობის პაკეტი 1 მლრდ ევროს ოდენობით, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ორგანიზაციის კლიენტებისათვის

დროებით ფინანსურ გამოწვევებთან გამკლავებაში, ასევე 500 ათასი ევრო იყო დამტკიცების პროცესში.

4. ინტერამერიკული განვითარების ბანკი (IDB, აშშ არის უმსხვილესი დონორი) - ორგანიზაციამ ხელმისაწვდომი გახადა მისი წევრი ქვეყნებისათვის 12$ მლრდ პანდემიით გამოწვეულ ჯანმრთელობისა და ეკონომიკური სიძნეელების გამკლავებასთან. აღნიშნული ასევე მოიცავდა ორგანიზაციის მიერ სოციალური პროექტების რეპროგრამირებას და დამატებით სასესხო პორტფელის ზრდას.

5. აგროკულტურის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD, აშშ არის უმსხვილესი დონორი) – 2020 წლის აპრილში ჩამოაყალიბა ახალი მრავალდონორიანი ფონდი, რომლის მიზანი იყო პანდემიით გამოწვეული ეფექტების შემცირება სასურსათო საქონელზე, ბაზრის ხელმისაწვდომობასა და დროებით უმუშევრობაზე. IFAD გამოყო თავისი სახსრებიდან 40$ მლნ, რომელიც გაიზარდა 200$ მლნ.

6. აზიის ინფრასტრუქტურის განვითარების ბანკი (AIIB, აშშ არის უმსხვილესი დონორი) -AIIB-მა მიიღო გადაწყვეტილება ახალი დაფინანსების მექანიზმის მიღების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა კრიზისთან გამკლავებას საჯარო და კერძო სექტორის დაფინანსების ხარჯზე, მომავალი 18 თვის განმავლობაში და მისი მოცულობა 5$ მლრდ-ს შეადგენდა, მოგვიანებით AIIB-მა გააორმაგა დაფინანსება, რომელიც მიმართულია სოციალური ჯანმრთელობის უზრუნველმყოფი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, პანდემიასთან ბრძოლის მომზადებაზე, ლიკვიდურობის უზრუნველყოფაზე, დაუყოვნებლივ ფისკალურ და საბიუჯეტო მხარდაჭერაზე.

7. ევროპული საინვესტიციო ბანკი (EIB, აშშ არის უმსხვილესი დონორი) – EIB-მა პანდემიასთან საბრძოლველად გამოყო 5,2 მლრდ ევრო, რომლის მიზანი ჯანმრთელობის დაცვაში ინვესტიციების გაძლიერება და კერძო სექტორის მხარდაჭერა იყო მსოფლიოს მასშტაბით. ასევე EIB-ის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა 25 მლრდ ევროიანი ევროპული კოვიდ-19-ის გარანტიების სააგენტო, რომელსაც შეუძლია გაზარდოს მხარდაჭერის მექანიზმი 200 მლრდ ევრომდე. ორგანიზაცია ძირითადად ორიენტირებულია მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაზე.

მნიშვნელოვანია სსფ-ის და მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ განხორციელებული დაფინანსების მოცულობა და მასშტაბი კოვიდ-19 პანდემიის ფონზე. სსფ ფინანსური დახმარების მოცულობა გასული წლების მიხედვით, ერთი წლის განმავლობაში მაქსიმუმ შეადგენდა 165 მლრდ დოლარს, ხოლო 2020 წლისათვის იგი გაიზარდა 906 მლრდ დოლარამდე, ამასთან დაფინანსების პროგრამებიც გაიზარდა 90-მდე, როდესაც ერთი წლის განმავლობაში 40-საც კი არ შეადგენდა გასული წლების მიხედვით.

ასევე, მნიშვნელოვანი იყო ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ სსფ-სათვის დაფინანსების მოთხოვნის ფარგლები: მაგალითად, ვენესუელამ და ირანმა ინდივიდუალურად მოითხოვეს 5-5 მილიარდი აშშ დოლარი კოვიდ-19 საპასუხო ზომების მხარდაჭერისათვის. ირანისთვის აღნიშნული ბოლო 60 წლის განმავლობაში იყო პირველი, ასევე, რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში ვენესუელა ბლოკირებული იყო სსფ-დან დაფინანსების მიღებაზე და მოცემულ შემთხვევაშიც უარი ეთქვა დაფინანსებაზე.

მსოფლიო ბანკი, რომელიც აფინანსებს ეკონომიკური განვითარების პროექტებს საშუალო და დაბალშემოსავლიანი

დიაგრამა 1

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაფინანსების მოცულობა (Rebecca M. Nelson, Martin A. Weiss, 2020:3)




დიაგრამა 2

საერთაშორისო სავალუტო პროგრამების ოდენობა (Rebecca M. Nelson, Martin A. Weiss, 2020:3)




ქვეყნებისათვის, კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში მობილიზებას უკეთებს მის რესურსებს ასევე განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაც. 2020 წლის აპრილისათვის მსოფლიო ბანკმა დაამტკიცა კოვიდ-19-ის 94 პროგრამა, ჯამში 9$ მლრდ, 78 ქვეყნისათვის. მომდევნო 15 თვისათვის მსოფლიო ბანკმა დაგეგმა დაფინანსების გაზრდა 160$ მილიარდამდე (იხილეთ დიაგრამა 3).

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი განსაკუთრებულია საქართველოსთვისაც, როგორც ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში, ასევე ფინანსური რესურსების მიღებაშიც. როგორც წესი, ფინანსური დახმარების მექანიზმი გულისხმობს შეღავათიან და დაბალპროცენტიან სესხებს. ხშირად, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები სახელმწიფოებზე და მათ შორის საქართველოზეც გასცემენ გრანტებს - კაპიტალური ტრანსფერების სახით.

საქართველოს სახელმწიფო ვალის ფორმირება ხდება საშინაო და საგარეო ვალის ხარჯზე. ამასთან, უფრო მეტი მოცულობის ვალი მოდის საგარეო სექტორზე, კერძოდ, 2021 წლის მე-4 კვარტლის მიხედვით, სახელწიფო ვალის მოცულობა შეადგენს 31,216 მლნ ლარს, საიდანაც 29,812 მლნ ლარი საგარეო ვალზე მოდის, ხოლო დანარჩენი საშინაოზე. უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვალის ფორმირება ხდება მრავალმხრივი კრედიტორების, ორმხრივი კრედიტორების (სახელმწიფოების მიერ დაფინანსება), ფასიანი ქაღალდებისა

დიაგრამა 3

მსოფლიო ბანკი და კოვიდ-19 დაფინანსების პროგრამები, ისტორიული პერსპექტივა

(Rebecca M. Nelson, Martin A. Weiss, 2020:6)




და გარანტირებული კრედიტორებისაგან. სახელმწიფო ვალის სტატისტიკურ ბიულეტენზე დაყრდნობით წარმოვადგინოთ ცხრილი საგარეო ვალის სუბიექტების მიხედვით, ამასთან უნდა აღინიშნოს, ისიც რომ მრავალმხრივ კრედიტორებში მოიაზრება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, მათ შორის ADB, EBRD, IMF და სხვა.

ცხრილი 1

ვალის ნაშთი კრედიტორების მიხედვით, მლნ (სახელწმიფო ვალის...2021)

| კრედიტორები/ წლები | 2019 | | 2020 | | 2021 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | *USD* | *GEL* | *USD* | *GEL* | *USD* | *GEL* |
| საქ. სახელწმიფო საგარეო ვალი | *5,741* | *16,464* | *7,535* | *24,690* | *8,205* | *25,417* |
| **მრავალმხრივი კრედიტორები** | 4,176 | 11,976 | 5,383 | 17,639 | 6,046 | 18,728 |
| ორმხრივი კრედიტორები | 1,063 | 3,049 | 1,650 | 5,406 | 1,658 | 5,136 |
| ფასიანი ქაღალდები | 500 | 1,434 | 500 | 1,638 | 500 | 1,549 |
| გარანტირებული კრედიტები | 2 | 5 | 2 | 6 | 1 | 4 |

წყარო: მოდიფიცირებულია ავტორის მიერ სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენის მიხედვით

ასევე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა მიმართულებებს მოიცავს საგარეო ვალის დანიშნულება, რამეთუ საგარეო ვალმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეკონომიკის სტიმულირებაში. ხშირად დიდი მოცულობის ფინანსების არსებობა მოითხოვება მეგაინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაში (მაგ., საქართველოში მაგისტრალური გზების მშენებლობა, მუნიციპალური და საქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარება). ამასთან, საგარეო ვალი შეიძლება პირდაპირ არ მონაწილეობდეს გარკვეული პროექტების დაფინანსებაში, რამეთუ ვალის აღებაზე ძირითადად პასუხისმგებელია მთავრობა (ფინანსთა სამინისტრო), რომელიც სესხად მიღებული სახსრების აკუმულირებას ეკონომიკაში მოახერხებს თუნდაც სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით.

ცხრილი 2

ნაშთი სესხების დანიშნულების მიხედვით, მლნ (სახელმწიფო ვალის...2021)

| სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი | 2019 | | 2020 | | 2021 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | USD | GEL | USD | GEL | USD | GEL |
| | 5,741 | 16,464 | 7,535 | 24,690 | 8,205 | 25,417 |
| ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხები | 1,558.2 | 4,468.3 | 2,738.1 | 8,971.7 | 3,161.3 | 9,792.4 |
| სესხები საინვესტიციო პროექტების დასაფანინასებლად | 3,317.2 | 9,512.7 3 | 3,831.6 | 12,554.6 | 4,009.3 | 12,419.1 |
| რესტრუქტურირებული კრედიტები | 116.8 | 334.9 | 92.4 | 302.9 | 66.6 | 206.4 |
| სავალუტო ფონდიდან ეროვნული ბანკის მიერ აღებული სესხები | 248.9 | 713.8 | 373.0 | 1,222.3 | 468.2 | 1,450.2 |

წყარო: მოდიფიცირებულია ავტორის მიერ სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენის მიხედვით

ასევე წარმოვადგენთ ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რომლითაც

ძირითადად ფინანსდება კაპიტალური პროექტები სახელმწიფოს მიერ დონორების თანადაფინანსებით. ცნობილია, რომ საქართველოს ბიუჯეტი დეფიციტურია და შესაბამისად, ასეთ დროს, ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვალის მოცულობა, რომელიც გამოდის დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროდ.

ცხრილი 3

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის

შემოსულობები, გადასახდელები

და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის გეგმა | 2022 წლის გეგმა | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საბიუჯეტო სახსრები | დონორების დაფინანსება |
| **შემოსულობები** | **18,042,300.0** | **18,099,120.0** | **19,362,618.0** | **17,459,848.0** | **1,902,770.0** |
| შემოსავლები | 10,490,370.1 | 12,549,040.0 | 14,560,418.0 | 14,509,848.0 | 50,570.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 98,153.9 | 350,000.0 | 300,000.0 | 300,000.0 | 0.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 163,357.5 | 210,000.0 | 150,000.0 | 150,000.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ზრდა | 7,290,418.5 | 4,990,080.0 | 4,352,200.0 | 2,500,000.0 | 1,852,200.0 |
| **გადასახდელები** | **16,174,636.1** | **19,796,128.4** | **19,171,069.0** | **17,268,299.0** | **1,902,770.0** |
| ხარჯები | 12,533,887.8 | 14,232,059.5 | 14,415,261.9 | 14,162,901.9 | 252,360.0 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,319,013.5 | 2,525,678.9 | 3,059,849.1 | 1,868,439.1 | 1,191,410.0 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 377,686.4 | 316,830.0 | 459,000.0 | 0.0 | 459,000.0 |
| ვალდებულებების კლება | 944,048.3 | 2,721,560.0 | 1,236,958.0 | 1,236,958.0 | 0.0 |
| **ნაშთის ცვლილება** | **1,867,663.9** | **-1,697,008.4** | **191,549.0** | **191,549.0** | **0.0** |

წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი, 2022:I თავი

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს ბიუჯეტის მოცულობა 2022 წლისათვის შეადგენს 17,459,848.0 მლნ ლარს, საიდანაც 1,902,770 მლნ ლარი მოდის დონორის დაფინანსებაზე, რაც მთლიანი ბიუჯეტის 10%-ის ფარგლებშია. აღნიშნულიც ამტკიცებს თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს საქართველოსთვის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან ფულადი სახსრების მიღება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საქალაქთაშორისო და საქალაქო ინფრასტრუქტურის დაფინანსება ძირითადად ხდება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ: მაგისტრალური გზების მშენებლობა, სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემების, ტროტუარების მოპირკეთება და მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება

(მაგალითად ქალაქ ბათუმისათვის მნიშვნელოვანია KFW-ეს მიერ დაფინანსებული პროექტები).

აზიის განვითარების ბანკის მიერ ხდება ძირითადად ცენტრალური მაგისტრალური გზების მშენებლობის დაფინანსება და სხვ. რა თქმა უნდა, ასეთი ჩამონათვალი გაცილებით ფართოა და ცალკე კვლევის საკითხია, მაგრამ გვესმის, რომ ასეთი პროექტების დაფინანსება სახელმწიფოს მხოლოდ საკუთარი სახსრებით გაუჭირდებოდა და ისედაც დროში გაწელილი პროექტები კიდევ უფრო მეტად გაიწელებოდა.

მიუხედავად, იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის სტიმულირებაში, ხშირად, კრიტიკა მოდის სსფ-ის მიერ მონეტარული პოლიტიკის ერთპიროვნულ და სწორხაზოვან გატარების. მაგალითისთვის, შეგვიძლია მოვიყვანოთ აზიის 90-იანი წლების კრიზისი და სამხრეთ კორეა. სსფ ავალდებულებდა სამხრეთ კორეის ხელისუფლებას მის მიერ შემუშავებული პოლიტიკის გატარებას, ექსპერტების მითითების შესაბამისად (ხიდაშელი, 2017:152). იგი ძირითადად ორიენტირებული უნდა ყოფილიყო ინფლაციასთან ბრძოლასთან, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა კრიზისი და სამხრეთ კორეა მიიყვანა დეფოლტამდე რომლის შედეგადაც დაზარალდა მთლიანი საფინანსო ბაზარი და განსაკუთრებული ზიანი განიცადეს კერძო მეურნეობებმა - მცირე და საშუალო მეწარმეების სახით. აღნიშნული კრიზისის დროს სამხრეთ კორეაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სუიციდის შემთხვევებიც (სამხრეთ კორეის 1997 წლის ფინანსური კრიზისის შესახებ 2018 წელს გამოვიდა ფილმი *Default* (2018 film) დოკუმენტურ ცნობებზე დაყრდნობით, რომელიც ნათლად წარმოგვიჩენს სსფ-ს ნეგატიურ მხარეს ამ მიმართულებით).

კრიტიკა მოდის ასევე მსოფლიო ბანკის ჯგუფთან მიმართებითაც, რამეთუ მოიძებნება ისეთი დაფინანსებული პროექტები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ეკოლოგიური და სოციალური პრობლემები წარმოშვა ბრაზილიაში, ინდოეთში და სხვა. ამასთან, მბ-სა და სსფ-ს ხშირად ადანაშაულებენ სახელმწიფოს სუვერენული ვალის ზრდასა და შემდგომ ქვეყნების მათზე დამოკიდებულებაში. ამიტომ, სახელმწიფო სუვერენული ვალის ჩამოწერესთან ისტორიულად რამდენიმეჯერ გვქონდა საქმე.

მნიშვნელოვანია, რომ მაასტრიხტის 1992 წლის შეთანხმებით ასევე განისაზღვრა სასურველი დონე სახელმწიფო სუვერენული ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 60%-ის ფარგლებში. ცხადია, საკმაოდ ბევრი განვითარებული ქვეყანაც (გერმანია იაპონია, აშშ) კი დღეის მდგომარეობითაც ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას. მნიშვნელოვანია ასეთ დროს სახელწმიფო სუვერენული ვალის მართვის სტრატეგია, რომელიც აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს ვალის მართვაში. ამასთან, საერთო ჯამში ქვეყანა არ უნდა მივიდეს დეფოლტამდე.

სახელწმიფო სუვერენული ვალის მოცულობა განსაკუთრებით გაიზარდა კოვიდ-19 პანდემიის ფონზე, რადგან სახელმწიფოებს მოუწიათ დამატებითი სესხების აღება და სასესხო პორტფელის გაზრდა. გამონაკლისი არც საქართველო იყო.

საგარეო ვალის მომსახურებას ხშირად აკორექტირებს ეროვნული ვალუტის გაუფასურება. შედეგად, ერთიდაიგივე თანხის (ვალის) შემთხვევაში ვალის მოცულობა ეროვნულ ვალუტაში იწყებს კორექტირებას, რაც დამატებითი ხარჯია სახლმწიფოსათვის და მისი მოსახლეობისათვის (იხ.ცხრ.4).

ცხრილი 4

საქართველოს სახელმწიფო ვალის მაჩვენებლები (სახელწმიფო ვალის...2021)

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საშუალო შეწონილი ვადიანაობა დაფარვამდე (წელი) | 8.10 | 7.28 | 7.85 | 7.40 | 7.26 | 7.25 | 7.16 | 7.57 | 7.75 |
| საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი (წლიური) | 2.88% | 3.10% | 3.15% | 3.33% | 3.22% | 3.32% | 3.21% | 2.76% | 2.42 |
| სახელწმიფო საგარეო ვალი მშპ-თან | 25.5% | 25.1% | 30.5% | 33.4% | 32.9% | 32.6% | 33.4% | 50.1% | 42.2% |
| სახელწმიფო ვალი მშპ-სთან | 30.2% | 31.2% | 36.8% | 40.3% | 39.9% | 39.9% | 41.9% | 62.6% | 51.8% |
| მთავრობის საგარეო ვალის მომსახურება (პროცენტი) ნაერთი ბიუჯეტიდან | 1.8% | 1.7% | 1.9% | 2.0% | 2.2% | 2.3% | 2.5% | 2.7% | 1.9% |

წყარო: მოდიფიცირებულია სახელმწიფო ვალის სტატისტიკურ ბიულეტენზე დაყრდნობით ავტორის მიერ

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფოს სუვერენული ვალი მხოლოდ 2020 წლისათვის იყო მშპ-ს 60%-ზე მაღალი, რაც ეკონომიკის სტიმულირებისათვის კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული დამატებითი სესხების მიღებით იყო განპირობებული. აღნიშნული არ უნდა ჩაითვალოს საგანგაშოდ, რამეთუ 2021 წლის წინასწარი მონაცემებით ვალის მოცულობა მშპ-სთან 52%-მდეა შემცირებული.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის სტიმულირებაში, პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსებების მექანიზმების გამოყენებით ასევე, შესაბამისი, ტექნიკური დახმარების გაწევით, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეფორმების იმპლემენტაციაში, რაც საქართველოსთვისაც დღემდე გამოწვევად რჩება.

**დასკვნა**

კრიტიკისა და არაერთგვაროვანი პრაქტიკის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს სსფ-ის დადებით ეფექტებსა და ფუნქციებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სსფ და მსოფლიოს ბანკის ჯგუფი რომლებიც დაახლოებით 80 წლის განმავლობაში აქტიურ როლს ასრულებენ, როგორც კონკრეტული ქვეყნების მონეტარული პოლიტიკის გატარებაში, ასევე სახელმწიფოების დაბალპროცენტიანი სესხების უზრუნველყოფაში. ასეთი ორგანიზაციები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ასევე ეკონომიკური და ფინანსური რეფორმების გატარებაში. მნიშვნელოვანი იყო ასეთი ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კოვიდ-19 პანდემიის და ზოგადად ფინანსური კრიზების დროს, რომელიც არსებობდა მსოფლიოში, ასეთ დროს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს დამატებითი დაფინანსების მექანიზმები და მოახდინეს სესხების გადავადება.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლი განსაკუთრებულია საქართველოსთვისაც. სსფ და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები

მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს ეკონომიკის სტიმულირებაში. სესხების დიდი ნაწილი მიმართულია ინფრასტრუქტურული და ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხებისათვის. შესაბამისად, დიდი მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება საქართველოში სწორედ სესხების ხარჯზე ხდება და რათქმაუნდა ასეთი დანახარჯების ზრდა ზეგავლენას ახდეს მშპ-ს მოცულობაზე და მოსახლეობის დასაქმების დონეზეც. ამასთან, დაფინანსებული პროექტების შედეგები სამომავლოდ უფრო ეფექტიანი იქნება სახელწმიფოსა და მოსახლეობისათვის.

სსფ თანამედროვე ეტაპზე შედარებით ღია მმართველობით პოლიტიკას ატარებს და სახელმწიფოების მახასიათებლების გათვალისწინება ხდება მონეტარული პოლიტიკის გატარებისას, რამეთუ გასული წლების კრიზისების ფონზე ფონდის მოქმედება არ იყო ღია ასეთი მმართველობისათვის.

უნდა ითქვას საქართველოს პრაქტიკაზეც. საქართველოს ვალის მართვის მხრივ არ აქვს ცუდი პრაქტიკა. ვალის მოცულობა 2021 წლის მდგომარეობით 52%-ს ფარგლებშია მშპ-სთან. ამასთან, საქართველოსთვის გამოწვევად რჩება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დაფინანსებული პროექტების ეფექტიანად განხორციელება დადგენილ ვადებში, რამეთუ დროში გაწელილი პროექტების ეფექტიანობაზე საუბარი რთულია. ამასთან, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ასეთი ორგანიზაციებიდან უფრო მეტი სესხის მიღება მეტი ინფრასტრუქტურული და აუცილებელი ეკონომიკური პროექტებისა თუ რეფორმების დაფინანსებისათვის.

**ლიტერატურა**


1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ". საქართველოს კანონი 2022 წლის, თავი I, URL:https://www.mof.ge/5477 (ხელმისაწვდომია 08.05.2022)
2. ხიდაშელი, მ., (2017) საერთაშორისო ფინანსების ზოგადი თეორია. ქუთაისი, აწსუ, გვ. 152.
3. სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენი, 2021 წლის მე-4 კვარტალი, URL:https://www.mof.ge/images/File/2022/biuletenebi/30.03.2022/N17_GE.pdf (ხელმისაწვდომია 08.05.2022)
4. Halliday, T. C. and B. G. Carruthers, (2007) 'The Recursivity of Law: Global Norm Making and National Lawmaking in the Globalization of Corporate Insolvency Regimes'. American Journal of Sociology 112(4): 1135–1202.
5. Rebecca M. Nelson, Martin A. Weiss, (2020) COVID-19, Role of the International Financial Institutions, May 4. URL:https://www.everycrsreport.com/files/20200504_R46342_b2edaa0469f0ca126705472bbb05e0c00297fcee.pdf (ხელმისაწვდომია 08.05.2022)
6. IMF, Colombia: Peace is Good for Business, URL:https://www.imf.org/en/Countries/COL/working-together-colombia-and-the-imf (ხელმისაწვდომია 08.05.2022)
7. IMF, Ireland:From Tiger to Phoenix, URL:https://www.imf.org/en/~/link.aspx?_id=DE6407B06AA04ECABB671100BD16E453&_z=z (ხელმისაწვდომია 08.05.2022)
8. IMF, Timeline, URL:https://www.imf.org/en/About/Timeline (ხელმისაწვდომია 08.05.2022)
9. IMF, lending Facts, URL:https://www.imf.org/en/About (ხელმისაწვდომია 08.05.2022)
10. IMF, Vietnam, Raising Millions Out of Poverty, URL:https://www.imf.org/en/Countries/VNM/vietnam-raising-millions-out-of-poverty (ხელმისაწვდომია 08.05.2022)

11. World Bank, „What We Do“, URL:https://www.worldbank.org/en/what-we-do (ხელმისაწვდომია 08.05.2022)

12. World Bank, „Who We Are“. URL: https://www.worldbank.org/en/who-we-are (ხელმისაწვდომია 08.05.2022)

13. US to block Iran's Request to IMF for 5$ billion Loan to fight Coronovirus, URL:https://www.wsj.com/articles/u-s-to-block-irans-request-to-imf-for-5-billion-loan-to-fight-coronavirus-11586301732 (ხელმისაწვდომია 08.05.2022)

## THE ROLE OF INTERNATIONAL FINANCIAL ORGANIZATIONS IN STIMULATING THE ECONOMY

**Lasha Beridze**

Doctor of Business Administration, Associate Professor of Tbel Abuseridze Teaching University,

lberidze@cu.edu.ge

**KEY WORDS:** *International Monetary Fund (IMF); World Bank (WB); International Financial Institutions; Public Debt*

**J.E.L. classification:** F340, F330, F440

DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.08

**For citation:** Beridze L., (2022) The role of international financial organizations in stimulating the economy (in Georgian). Vol. 17, 1(23), p. 30–44. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.08

### Summary

The role of international financial institutions is recognized in the modern world and even today the global world depends on the finances of financial organizations, because they play a major role in the accumulation, availability and distribution of finance, and some international financial organizations help publicly And has become an essential aid component at the modern stage, especially during the Kovid-19 pandemic and the Russia-Ukraine conflict. International financial organizations are often cited as the world's most powerful agents of economic reform (Halliday and Carruthers, 2007:1135-1202).

The role of international financial organizations is also special for Georgia, it can be said for developing countries in general, of course developed countries are not excluded, but access to finance and technical assistance is often needed by poor, transition or developing economies.

განვიხილოთ ბოლო პერიოდის (2011-2021 წწ) სააქციზო პოლიტიკის ფისკალური ეფექტი. ბიუჯეტში მობილიზებული ყველა სახის აქციზის აბსოლუტური მოცულობა მნიშვნელოვნად (3-ჯერ) გაიზარდა. რაც შეეხება აქციზის ხვედრით წილს მთლიან საგადასახადო შემოსავლებში, 2017 წლისთვის (მოგების გადასახადის ახალი მოდელის დანერგვის და საბიუჯეტო შემოსავლებში მისი წილის შემცირების შემდეგ) ის გაიზარდა, ხოლო შემდეგ წლებში აქციზის ხვედრითი წილი სტაბილურია - მერყეობს 13-15%-ის ფარგლებში (იხ. ცხრილი 3). ერთი შეხედვით, შესაძლოა, ეს დინამიკა საკმაოდ ნორმალურად გამოიყურება, მაგრამ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: ცხრილში მოცემულია აქციზების ჯამი ყველა სასაქონლო ჯგუფის მიხედვით; ამ პერიოდის განმავლობაში ყველა სხვა ძირითად აქციზურ საქონელზე (ნავთობპროდუქტები და ალკოჰოლიანი სასმელები) განაკვეთები არანაკლებ გაორმაგდა და ნატურალურ განზომილებაში ამ პროდუქტების წარმოების/იმპორტის სტატისტიკა დადებითია. მხოლოდ თამბაქოს ჯგუფის აქციზური საქონლის წარმოება/იმპორტთან მიმართებაში ფიქსირდება ნატურალურ სიდიდეთა კლება, რის გამოც თამბაქოზე სააქციზო განაკვეთების მრავალჯერადი ზრდის ფისკალური ეფექტი მეტწილად განეიტრალდა.

ასეთ დასკვნას ადასტურებს თამბაქოზე გაცემული აქციზური მარკების რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით (იხ. ცხრილი 4). ნათლად ჩანს, რომ დაახლოებით 2015 წლიდან, როდესაც უკვე საგრძნობი გახდა აქციზური განაკვეთების ზრდა, დაიწყო როგორც იმპორტიორებისგან, ისე ადგილობრივი მწარმოებლებისაგან აქციზურ მარკებზე მოთხოვნის სულ უფრო შემცირება. უარყოფითი პიკი მოვიდა 2019 წელზე, როდესაც გაცემული აქციზური მარკების რაოდენობა 2014 წელთან შედარებით თითქმის განახევრდა (54%). უკვე ამავე (2019) წლის ბოლოსთვის, დაბეგვრისაგან თავის არიდების შესაძლებლობების შემცირების მიზნით, განხორციელდა გარკვეული ღონისძიებები. კერძოდ: გათანაბრდა განაკვეთები უფილტრო და ფილტრიან სიგარეტზე, აქციზურ

ცხრილი 3

გადასახადების დინამიკა საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მონაცემებით

| | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ გადასახადები, მლნ ლარი | 6134.8 | 6671 | 6659.3 | 7241.6 | 8010.9 | 8786.1 | 9778.9 | 10506 | 11418 | 10964 | 13380 |
| აქციზი, მლნ ლარი | 615.1 | 659.4 | 722.3 | 810.2 | 870.7 | 1069.6 | 1450.9 | 1465.7 | 1506.7 | 1619.4 | 1868.8 |
| აქციზი წინა წელთან შედარებით, % | 110% | 107% | 110% | 112% | 107% | 123% | 136% | 101% | 103% | 107% | 115% |
| აქციზის წილი საგადასახადო შემოს-ებში, % | 10% | 10% | 11% | 11% | 11% | 12% | 15% | 14% | 13% | 15% | 14% |

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, ფინანსთა სამინისტროს გამოქვეყნებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის საფუძველზე ნაერთ ბიუჯეტთან დაკავშირებით (ფინანსთა სამინისტრო, 2022).

მარკირებას დაექვემდებარება ელექტრონული სიგარეტების სითხეები, გაიზარდა გასახვევი თამბაქოს დაბეგვრა, ხოლო დაფასოების გარეშე თამბაქოს მიწოდება საერთოდ აიკრძალა. დაიწყო ადმინისტრაციულ-შემზღუდავი ღონისძიებების სულ უფრო გააქტიურება. როგორც ჩანს, ამიტომ, 2020-2021 წლებში აქციზურ მარკებზე მოთხოვნა ერთგვარად დასტაბილურდა - 2014 წლის დონის 70-73%-ის ფარგლებში.

ცხრილი 4

ინფორმაცია თამბაქოზე გაცემული აქციზური მარკების შესახებ

| თვე | სულ უფილტრო | | | სულ ფილტრიანი | | | სულ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რაოდ, მლნ ცლ | %-წინა წელთან | % - ად 2014 წელთან | რაოდ, მლნ ცლ | %-წინა წელთან | % - ად 2014 წელთან | რაოდ, მლნ ცლ | %-წინა წელთან | % - ად 2014 წელთან |
| 2014 | 36.3 | - | - | 442.9 | - | - | 479.2 | - | - |
| 2015 | 25.7 | 71% | 33% | 461.6 | 104% | 145% | 487.3 | 102% | 123% |
| 2016 | 39.2 | 153% | 50% | 426.5 | 92% | 134% | 465.7 | 96% | 117% |
| 2017 | 78.9 | 201% | 100% | 318.3 | 75% | 100% | 397.2 | 85% | 100% |
| 2018 | 115.8 | 147% | 147% | 268.3 | 84% | 84% | 384.1 | 97% | 97% |
| 2019 | 4.6 | 4% | 6% | 211.5 | 79% | 66% | 216.1 | 56% | 54% |
| 2020 | 15.0 | 325% | 19% | 264.0 | 125% | 83% | 279.0 | 129% | 70% |
| 2021 | 12.7 | 85% | 16% | 278.1 | 105% | 87% | 290.9 | 104% | 73% |

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, შემოსავლების სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით

თამბაქოს იმპორტიორებისგან/მწარმოებლებისაგან აქციზურ მარკებზე მოთხოვნის შემცირება იმ პირობებში, როცა მწეველთა რაოდენობა და სავარაუდოდ მოხმარების ინტენსიურობა არ შემცირებულა, მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული სოლიდური დისბალანსის დაფარვა ხდება სხვა წყაროებიდან. რადგან ადგილობრივი სიგარეტის აღურიცხავი წარმოების მატება თვალსაჩინო არ არის, ე.ი. საქმე გვაქვს უაქციზო სიგარეტის კონტრაბანდის მასშტაბურ ზრდასთან. ეს ფაქტი დასტურდება არამარტო ემპირიული დაკვირვებებით, ასევე სტატისტიკური მონაცემებითაც (იხ. ცხრილი 5). წლების განმავლობაში სახეზეა, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, ისე სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევების მკვეთრი ზრდა. ბუნებრივია ისიც, რომ აღნიშნული ოფიციალური სტატისტიკა შესაბამისი რეალური შემთხვევების მხოლოდ ნაწილს აფიქსირებს.

ცხრილი 5

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, ისე სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევების დინამიკა

| პერიოდი | საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლი (მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა) | | ადმინისტრაციული ჯარიმები155²-1; 155²-2 (აქციზური მარკის გარეშე შენახვა რეალიზაცია; შენახვა, რეალიზაცია განმეორებით) |
|---|---|---|---|
| | გამოძიებათა რაოდენობა სისხლის სამართლის საქმეზე | პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა | |
| 2016 | 37 | 45 | 82 |
| 2017 | 102 | 93 | 248 |
| 2018 | 110 | 92 | 755 |
| 2019 | 256 | 231 | 1329 |
| 2020 | 347 | 277 | 1224 |
| 2021 | 369 | 399 | დასაზუსტებელია |

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, შემოსავლების სამსახურის წლიური ანგარიშების (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, 2022), და საგამოძიებო სამსახურის ანგარიშების მიხედვით (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, 2022).

**დასკვნა**

თამბაქოს ნაწარმი (სიგარეტი) წარმოადგენს საქონელს, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებით არაელასტიური მოთხოვნით და ფასების ცვლილება მასზე მოთხოვნას ნაკლებად ამცირებს. თუკი მაინც, სხვადასხვა, მ.შ. სააქციზო განაკვეთების მეშვეობით ხდება სიგარეტის მკვეთრი გაძვირება გონივრულ ფარგლებს ზემოთ ისე, რომ ასეთი სახით მიუწვდომელი ხდება მომხმარებელთა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რაოდენობისათვის, მყისვე ჩნდება ძლიერი მოტივაცია და საკმაოდ მალევე იმართება საქონელის მოწოდების არალეგალური

არხები. სიტუაციის განვითარების ამგვარ სქემას მრავალჯერ ჰქონდა ადგილი მთელს მსოფლიოში, მ.შ. ეკონომიკურად გაცილებით უფრო განვითარებულ ქვეყნებში, სადაც თამბაქოზე ხარჯების წილი მოქალაქეთა ბიუჯეტებში გაცილებით ნაკლებია.

ამიტომ, საქართველოში სააქციზო პოლიტიკის დაგეგმვისას და ასეთი სახით რეალიზებისას, შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მართებდათ, უფრო სწორად და კომპლექსურად შეეფასებინათ თამბაქოზე აქციზის მატებისაგან გამომდინარე რისკები, მ.შ. კონტრაბანდულ ვაჭრობასთან დაკავშირებით. უნდა გაეთვალისწინებინათ სააქციზო პოლიტიკის რეგიონელი ასპექტები, მ.შ. ის, რომ აქციზის ტვირთი გაცილებით ნაკლებია სომხეთში, რუსეთში და თვითაღიარებულ აფხაზეთშიც კი, რომელთანაც ნაკლებად კონტროლირებადი ნაცრისფერი ტერიტორიული ზონები გვაკავშირებს.

გასათვალისწინებელია თამბაქოს ნაწარმის (სიგარეტის) თავისებურება, კერძოდ: მაღალი თანაფარდობა სასაქონლო ერთეულის ღირებულებასა და მის მასას/მოცულობას შორის, რის გამოც ის განსაკუთრებით მიმზიდველია, როგორც კონტრაბანდის საგანი. ერთი ზურგჩანთის არალეგალური გადმოტანაც კი უზრუნველყოფს მოგების მაღალ მარჟას.

ასევე მნიშვნელოვანია, გასათვალისწინებელია უაქციზო სიგარეტით ვაჭრობაში მონაწილე მხარეთა მოტივირებულობის მაღალი ხარისხი. თამბაქო მწეველებისათვის წარმოადგენს აუცილებელი მოხმარების საქონელს, ხოლო აქციზით დაბეგვრის შედეგად დადგენილი ფასები უახლოვდება მათი საბიუჯეტო შესაძლებლობების საზღვრებს. მეორე მხრივ, მოგების მაღალი მარჟა უაქციზო საქონელით ვაჭრობაზე, ააქტიურებს ადამიანთა საკმაოდ ფართო წრეს, რომელთათვის მისაღებია აღნიშნული ბიზნესთან დაკავშირებული რისკების ხარისხის არსებული დონე. მაღალი ეკონომიკური დაინტერესებულობის პირობებში ნაკლებად ქმედითია სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების ადმინისტრაციული შეზღუდვები. უფრო მეტიც, კონტრაბანდის რისკები სამომავლოდ ააქტიურებს კორუფციის რისკებსაც. ამასთან, ასეთი სიტუაციის ხანგრძლივი ვადით შენარჩუნება ცუდ გავლენას ახდენს გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო მორალზე, აფერხებს გადასახადის გადახდის კულტურის დანერგვას, და როგორც მოკლე ისე გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს ნეგატიურ ფისკალურ შედეგებს.

**ლიტერატურა:**


1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. URL: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0 (ხელმისაწვდომია 14.05.2022);
2. რაიბული ა., (2018) დაბეგვრა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) ანგარიში პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში. URL: https://www.asocireba.ge/files/Aleksandre-Raibuli-taxes-2018.pdf (ხელმისაწვდომია 14.05.2022);
3. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო., (2002) გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი;
4. ინფორმაცია შემოსავლების სამსახურისა და შერჩეული პირის მიერ გაცემული აქციზური მარკების (როგორც

მატერიალური, ასევე არამატერიალური) რაოდენობისა და ტარის ყველა მოცულობის მიხედვით, 2022. URL: https://old.rs.ge/5905 (ხელმისაწვდომია 14.05.2022);
5. საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, 2022. URL: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=3 (ხელმისაწვდომია 14.05.2022);
6. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (კოდიფიცირებული), 2022. URL: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=183 (ხელმისაწვდომია 14.05.2022);
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ანგარიშები, 2022. URL: http://is.ge/ka-ge/Public_Information/Reports (ხელმისაწვდომია 14.05.2022);
8. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წლიური ანგარიშები, 2022. URL: https://rs.ge/AboutUs?cat=5&tab=1 (ხელმისაწვდომია 14.05.2022);
9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა, ნაერთი ბიუჯეტი, 2022. URL: https://www.mof.ge/finansebis_statistika_naerti_biujeti (ხელმისაწვდომია 14.05.2022);
10. Bräuninger M., Stiller S., (2010) Ökonomische Konsequenzen des Konsums von nicht in Deutschland versteuerten Zigaretten, Hamburgisches WeltWirtschaftsInstitut (HWWI). URL: https://www.hwwi.org/fileadmin/hwwi/Publikationen/Policy/HWWI_Policy_Paper_1-28.pdf (ხელმისაწვდომია 14.05.2022);

# PROBLEMATIC ISSUES OF THE EXCISE POLICY OF GEORGIA

**Guram Uphlisashvili**
PhD, associate professor of Kutaisi University
guram.uphlisashvili@unik.edu.ge

**KEY WORDS:** Ftaxes; excise; excise policy; excise goods; tobacco products; excise rate
**J.E.L. classification:** H21, H25
DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.15

**For citation:** Uphlisashvili G., (2022) Problematic issues of the excise policy of Georgia (in Georgian). Vol. 17, 1(23), p. 56–66. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.15

**Summary**

The article considers problematic issues of excise policy related to the taxation of tobacco products. Changes in the excise duty rates on tobacco in Georgia over the last ten years are also discussed.

Tobacco products (cigarettes) are commodities that are characterized by particularly inelastic demand and price changes reduce the demand for it to a lesser extent. If different taxes, iincluding the excise duty rates on cigarettes have risen sharply above reasonable levels, making them inaccessible to a statistically significant number of consumers, a strong motivations appears instantly, and illegal supply channels are quite quickly setting up. Such a scheme of development of the situation has taken place many times around the world, even in much more economically developed countries, where the share of tobacco spending in citizens' budgets is much lower.

Comparing the codified versions of different periods of the Tax Code and other normative acts, it it has been established that from 2011 to 2021, excise

rates on filtered cigarettes increased by an average 5.6 times, and on unfiltered cigarettes - 19 times. The share of taxes (excise and VAT) already exceeds 75% of the average retail selling prices for cigarettes.

The reason for the multiple increase in the tax burden on tobacco products is usually the international obligations of the country, both in terms of tobacco taxation to the World Health Organization and in the framework of the Association Agreement with the European Union. Fiscal purposes were also important in implementing the excise policy. The state needed to find additional sources of revenue for financing the increased public expenditure, and under Georgian law, excise duty is the only common State tax that can be increased without a referendum.

A sharp rise in excise rates has significantly increased the tax burden on tobacco consumption. This has led to a series of unforeseen consequences. According to official statistics, both local production and imports of tobacco products have significantly decreased. As a result, the demand for excise stamps has sharply decreased. Therefore, the fiscal effect of the multiple increase in excise duty rates on tobacco has been largely offset.

However, the reduction in the intensity of tobacco use is not confirmed by any reliable research or reasonable estimates. This indicates that we are dealing with a significant increase in excise duty-free cigarette smuggling and illicit trafficking. This fact is confirmed by statistics - there is a sharp increase in both administrative and criminal offenses in this field.

This situation and the discussion of the relevant threats is the subject of this article. We think that excise policy, especially with regard to tobacco products, is one of the most important issues in recent years, which needs to be addressed.

**References**


1. Association Agreement between Georgia, on the one part, and the European Union, the European Atomic Energy Community, and their member States, on the other part URL: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0 (available 14.05.2022);
2. Raibuli A. Taxation. Report of the Georgian Center for the Strategic Research and Development (CSRDG) within the project "Civil Society Development Initiative" URL: https://www.asocireba.ge/files/Aleksandre-Raibuli-taxes-2018.pdf (available 14.05.2022);
3. Meskhia I. (2002) Taxes and taxation. Tbilisi.
4. Information on the number of excise stamps (both tangible and intangible) issued by the Revenue Service and the selected person and according to all the container sizes 2022. URL: https://old.rs.ge/5905 (available 14.05.2022);
5. Organic Law of Georgia on Economic Freedom, 2022. URL: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=3 (available 14.05.2022);
6. Tax Code of Georgia (codified), 2022. URL: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=183 (available 14.05.2022);
7. Reports of the Investigation Service of the Ministry of Finance of Georgia, 2022. URL: http://is.ge/ka-ge/Public_Information/Reports (available 14.05.2022);
8. Annual reports of the Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia, 2022. URL: https://rs.ge/AboutUs?cat=5&tab=1 (available 14.05.2022);
9. Ministry of Finance of Georgia, State Finance Statistics, Consolidated Budget, 2022. URL: https://www.mof.ge/finansebis_statistika_naerti_biujeti (available 14.05.2022);
10. Bräuninger M., Stiller S., (2010) Ökonomische Konsequenzen des Konsums von nicht in Deutschland versteuerten Zigaretten, Hamburgisches WeltWirtschaftsInstitut (HWWI). URL: https://www.hwwi.org/fileadmin/hwwi/Publikationen/Policy/HWWI_Policy_Paper_1-28.pdf (available 14.05.2022)

# რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლებზე

**დავით ბიძინაშვილი**

ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, davitbidz@gmail.com

**საკვანძო სიტყვები:** ინფლაციის ტემპი; ფასების ინდექსი; ინფლაციური რისკები; იმპორტი; ექსპორტი; ინვესტიცია;

**J.E.L. classification:** E0, E6 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.14

**ციტირებისთვის:** ბიძინაშვილი დ., (2022) რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლებზე. ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 67–73. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.14

**ანოტაცია**. *რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე სურსათით მომარაგების გლობალური საფრთხე შეიქმნა. რიგი განვითარებადი ქვეყნები უკვე მიუთითებენ ისეთი პირველადი მოხმარების პროდუქტების დეფიციტზე, როგორიცაა ხორბალი, სიმინდი, წიწიბურა, მზესუმზირა. სურსათით მომარაგების რისკები მნიშვნელოვან კავშირშია და კიდევ უფრო ამძაფრებს გლობალურ ინფლაციას, რომელიც პანდემიის ფონზე 2021 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო და განვითარებულ ეკონომიკებშიც კი უკვე ორნიშნა მაჩვენებლებს უახლოვდება. 2022 წლის აპრილში სამომხმარებლო ფასების ინდექსების წლიური ზრდის მაჩვენებლებმა 8% შეადგინა როგორც აშშ-ში, ისე ევროზონაში, დიდ ბრიტანეთში და სხვა განვითარებულ ეკონომიკებში. იმის გამო, რომ საწარმოო ფასების ინდექსების ზრდა 10-20% ფარგლებში მერყეობს, უახლოეს პერიოდში ინფლაციის ტემპების შეჩერება მოსალოდნელი არ არის.*

*აღნიშნული ფენომენი ცნობილია მიწოდების ინფლაციის სახელწოდებით და დამატებითი გამოწვევის წინაშე აყენებს არა მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის მესვეურებს, არამედ უპირველესად მწარმოებლებსაც და მომხმარებლებს. რუსეთ-უკრაინის ომის გამო განვითარებულმა მოვლენებმა და რუსეთის სანქციებმა, საქართველოს კორიდორზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაზარდა, რაც არის როგორც შესაძლებლობა, ისე - გამოწვევა.*

## შესავალი

საომარი მოქმედებების გამო რუსეთის მიმართ დაწესებულმა სანქციებმა და მიწოდების შეზღუდვებმა, მსოფლიო ბაზრებზე საქონლის გარკვეული კატეგორიების ფასები მნიშვნელოვნად გაზარდა. შესაბამისად, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ეკონომიკებში, ინფლაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. მსოფლიო მასშტაბით გაზრდილი ფასები საქართველოს ბაზარზეც გავრცელდა და ინფლაცია, წლის დასაწყისთან შედარებით შემცირების მიუხედავად, მაღალ დონეზე (12.8 პროცენტი) დარჩა. რომ არა ზემოხსენებული ახალი შოკი, ინფლაციის სწრაფი შემცირების ტრაექტორია იყო მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია, რომ მიმდინარე

საომარი მოქმედებების ფონზე, საგარეო სექტორის პერსპექტივა კვლავ გაურკვეველია.

საქართველოს ეროვნული ბანკი მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს უწყვეტ რეჟიმში უნდა დააკვირდეს და ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი ოპერატიულად გამოიყენოს.

## ძირითადი ნაწილი

რუსეთის მხრიდან გამოვლენილი აგრესია უკრაინის მიმართ და რეგიონში საომარი მოქმედებების დაწყება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელი გლობალურად ინფლაციური პროცესების დარეგულირების პერიოდად მოიაზრებოდა, ბოლო პერიოდის გლობალურ გამოწვევად კვლავ გაზრდილი ინფლაცია და ინფლაციური რისკები რჩება. რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა ახალ რისკებს დაუდო სათავე. კერძოდ, საომარი მოქმედებების გამო რუსეთის მიმართ დაწესებულმა სანქციებმა და მიწოდების შეზღუდვებმა, მსოფლიო ბაზრებზე საქონლის გარკვეული კატეგორიების ფასები მნიშვნელოვნად გაზარდა. შესაბამისად, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ეკონომიკებში, ინფლაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა.

რუსეთ-უკრაინის შეარაღებული კონფლიქტი პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. მსოფლიო მასშტაბით გაზრდილი ფასები საქართველოს ბაზარსაც გადმოეცა და ინფლაცია, მიუხედავად წლის დასაწყისთან შედარებით შემცირებისა, მაღალ დონეზე (12.8 პროცენტი) დარჩა (ეროვნული ბანკი,...2022). რომ არა ზემოხსენებული ახალი შოკი, ინფლაციის სწრაფი შემცირების ტრაექტორია იყო მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია, რომ, მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, საგარეო სექტორის პერსპექტივა კვლავ გაურკვევლობის შემცველია.

ბოლო პერიოდში ლარის გამყარებამ იმპორტირებული საქონლის ინფლაციის შენელებას შეუწყო ხელი. მართალია ნომინალური ხელფასების ზრდის ტემპი ბოლო პერიოდში გაიზარდა, ჯამურ პროდუქტიულობას აღდგენის დინამიკა აქვს, რაც ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე შრომის ბაზრიდან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი წნეხი არ არის.

მიმდინარე პროგნოზით, მოსალოდნელია, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, ინფლაცია წლის განმავლობაში მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება, თუმცა, წინა წლის ერთჯერადი ფაქტორების მილევის შედეგად და გამკაცრებული პოლიტიკის ფონზე, მას შემცირების მიმართულება ექნება.

მიუხედავად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკისა, საკრედიტო აქტივობა წლის განმავლობაში სავარაუდოდ მაღალ დონეზე შენარჩუნდება, მათ შორის, ერთი მხრივ, სამომხმარებლო, ხოლო მეორე მხრივ - უცხოური ვალუტის სესხების ხარჯზე.

საჭიროების შემთხვევაში, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ზრდის ტემპის შესამცირებლად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დამატებითი ზომები უნდა მიიღოს, მათ შორის უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე სარეზერვო მოთხოვნის არსებული ზედა ზღვრის (ამჟამად - 25%) ზრდის ჩათვლით (ეროვნული ბანკი,...2022). ამავე დროს, მოსალოდნელია, რომ ბოლო პერიოდში მიღებული მაკროპრუდენციული ზომები ხელს შეუწყობს სამომხმარებლო სესხების ზრდის არსებული მაღალი ტემპების ეტაპობრივ კლებას.

ინფლაციური რისკების მატების ფონზე, გასული წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ეტაპობრივი ზრდის შედეგად, მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებულ ფაზაშია. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავარაუდოდ მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებული დარჩება მანამ, სანამ ინფლაციურ მოლოდინებზე ზრდის მიმართულებით არსებული რისკები საკმარისად არ შერბილდება.

2022 წლის პირველ კვარტალში საქონლის ექსპორტი წლიურად დაახლოებით 43 პროცენტით გაიზარდა. საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლები ანალოგიურ პერიოდში, წლიურად დაახლოებით 7.4-ჯერ არის გაზრდილი, თუმცა 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირება კვლავ მნიშვნელოვანია (32 პროცენტი). გააქტიურებული შიდა მოთხოვნის ფონზე გაზრდილია იმპორტიც - 2022 წლის პირველ კვარტალში წლიურად 36 პროცენტით. საქართველოს ეროვნული ბანკი მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს უწყვეტ რეჟიმში უნდა დააკვირდეს და ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტი დროულად უნდა გამოიყენოს.

ბოლო პერიოდში საგულისხმოა საქართველოს მიერ მიღწეული ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 14,4% შეადგინა. ჩვენი ქვეყანა ღირსეულად გაუმკლავდა გამოწვევებს, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება შეინარჩუნა. საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზების თანახმად, ნავარაუდევია უკრაინის ეკონომიკის 44%-ით, ხოლო რუსეთის ეკონომიკის 13%-ით შემცირება. ჩვენს მეზობელ ქვეყნებში კი ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი ერთნიშნა ციფრს შეადგენს (ჩიხელიძე, 2022)

საგულისხმოა, რომ 2022 წლის მარტში ექსპორტი გაიზარდა 26.3 პროცენტით და 411.4 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი 38.7 პროცენტით გაიზარდა და 329.6 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. ამასთან, პირველ კვარტალში ექსპორტის ზრდამ სარეკორდო, 43.3 პროცენტი შეადგინა, სადაც ადგილობრივი ექსპორტის წილი 73 პროცენტიდან 81 პროცენტამდეა გაზრდილი, რაც დასაქმებას ზრდასთან და სავაჭრო დეფიციტის შემცირებასთან ერთად, გაცვლითი სავალუტო კურსის სტაბილურობასაც უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანი გაჯანსაღების ტენდენციები დაფიქსირდა ტურიზმის სექტორშიც, კერძოდ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების აღდგენის დონე მარტში (პანდემიამდე 2019 წლის მარტში დაფიქსირებული საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების) 71.3 პროცენტი იყო და 174 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა (ცუცქირიძე, 2022)

საომარი მოქმედებების ფონზე მონაცემები ცალსახად ადასტურებენ, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკის მდგრადობას გაზრდილი ნეგატიური ეგზოგენური პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებისადმი, მეორე მხრივ კი ეროვნული მეურნეობის მზარდ დივერსიფიცირებას და ქართული ბიზნესის უფრო აქტიურ ჩართულობას გლობალურ ეკონომიკაში (არჩვაძე, 2022)

რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებების მიუხედავად, ჩვენი საექსპორტო პროდუქცია შედარებით კონკურენტუნარიანია, რამაც საშუალება მოგვცა, ექსპორტის

დივერსიფიკაცია და ეკონომიკის გადაწყობაც მოგვეხდინა. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის და უკრაინის ბაზრები ჩაიკეტებოდა და სერიოზული პრობლემები შეგვექმნებოდა, ფაქტობრივად, არ გამართლდა.

იმ ბატალიების შემდეგ, რაც მეზობელ ქვეყნებში განვითარდა, 16-20 მლნ ტონა ტვირთის მოზიდვის შესაძლებლობა არსებობს და თუ საქართველომ 60%-ის ათვისება მაინც შეძლო, ქვეყანაში 10-12 მლნ ტონა ტვირთვის ტრანზიტი მოხდება. ამის მაგალითია ყაზახეთი, რომელმაც ალტერნატიული მარშრუტები შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი მაქსიმალური გამტარუნარიანობით დაიტვირთოს.

აუცილებელია ქვეყანამ დააჩქაროს ევროკავშირთან ინტეგრაცია და გადადგას ქმედითი ნაბიჯები საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის, სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ. მნიშვნელოვანია დაწესდეს მკაცრი მონიტორინგი კაპიტალის თავისუფალ მოძრაობაზე აგრესორ ქვეყანასთან მიმართებით და შესაბამისი შეზღუდვები არსებული საფრთხეების საპასუხოდ.

აუცილებელია საქართველომ შეიმუშაოს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირების სტრატეგია. იმის მიუხედავად, რომ ბოლო ათწლეულში რუსეთიდან შემოტანილ ელექტროენერგიას და ბუნებრივ აირს საქართველოს შიდა მოხმარებაში მაღალი წილი არ უჭირავს, მნიშვნელოვანია, რომ რუსეთზე ნაკლებ დამოკიდებულები ვიყოთ. ბოლო წლებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ რუსეთი ენერგომატარებლების და ელექტროენერგიის ექსპორტს პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტად იყენებს, რაც საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას ამცირებს, ხოლო მდგრადი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით კი სერიოზულ რისკებს იწვევს.

## დასკვნა

საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის მეტი პოპულარიზების მიზნით, აუცილებელია საჯარო, ასევე კერძო სექტორის უფრო მეტად კოორდინირებული მუშაობა. რეგიონში შექმნილი ვითარება იძლევა ტვირთბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდის პროგნოზირების საშუალებას. ამიტომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან, საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, სს ,,საქართველოს რკინიგზასთან“ - თან ერთად საჭიროა იზრუნოს საქართველოს დერეფნის მეტ პოპულარიზაციაზე და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რათა მოხდეს ტვირთის დროული და უსაფრთხო გადატანა;

ინფლაცია მთელ მსოფლიოში იზრდება, ეს რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდეც კი ასე იყო. მიწოდება - მოთხოვნის შეუსაბამობა, საქონლის (საწვავის და სურსათის) ფასების ზრდა 2021 წლის დასაწყისიდან ინფლაციის ზრდას ასტიმულირებს. ამიტომ საქართველოს ეროვნულ ბანკს ახლა მეტი სიფხიზლე მართებს, რადგან ხანგრძლივად არსებულ მაღალ ინფლაციას საკმაოდ დიდი ხარჯი შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ, მონეტარულ ხელისუფლებას უფრო ძლიერი რეაგირების გაკეთება შეიძლება მოუხდეს;

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის ფონზე, საჭიროა კონკრეტული სტრატეგიის შემუშავება უცხოელი პარტნიორებისა და დონორების ჩართულობით უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, აგრეთვე პირდაპირი რესურსით - ,,აწარმოე

საქართველოში“ პროექტის ფარგლებში სულ უფრო მეტი ახალი პროექტების განხორციელება;

საქართველოს ეროვნული ბანკი მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს უწყვეტ რეჟიმში უნდა დააკვირდეს და ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი ოპერატიულად გამოიყენოს;

რუსეთ-უკრაინის ომის მიუხედავად, საქართველოს საფინანსო სექტორმა უნდა შეინარჩუნოს მდგრადობა და ამ გამოწვევას ადეკვატურად უპასუხოს.

**ლიტერატურა**

1. ეროვნული ბანკი რეფინანსირების განაკვეთს უცვლელად ტოვებს (2022) URL: https://pia.ge/news/ekonomika/erovnuli-banki-rephinansirebis-ganakvets-utsvlelad-tovebs-78436 (გადამოწმებულია 11.05.2022)

2. ჩიხელიძე დ., (2022) პირველ კვარტალში საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 14,4% შეადგინა, URl: https://pia.ge/news/ekonomika/pirvel-kvartalshi-sakartvelos-ekonomikurma-zrdam-144-sheadgina-rats-pirvel-rigshi-irakli-gharibashvilis-damsakhurebaa-davit-chikhelidze (გადამოწმებულია 11.05.2022)

3. ცუცქირიძე გ., (2022) ჩვენ გვაქვს არა თუ რეგიონში, არამედ ევროპაში და აზიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი. URL: https://pia.ge/news/ekonomika/chven-gvakvs-ara-tu-regionshi-aramed-evropashi-da-aziashi-ert-erti-kvelaze-maghali-zrdis-tempi-giorgi-tsutskiridze (გადამოწმებულია 11.05.2022)

4. არჩვაძე ი., (2022) საქართველოს ეკონომიკა აგრძელებს დამაჯერებელ ზრდას. URL: https://pia.ge/news/ekonomika/sakartvelos-ekonomika-agrdzelebs-damajerebel-zrdas-ianvar-martshi-zrdam-tsina-tslis-shesabamis-periodtan-shedarebit-144-protsenti-sheadgina-ioseb--archvadze (გადამოწმებულია 11.05.2022)

## THE IMPACT OF THE RUSSIA-UKRAINE WAR ON GEORGIA'S ECONOMIC ACTIVITY

**Davit Bidzinashvili**
Ph.D., Professor of Gori State Teaching University, davitbidz@gmail.com

**KEY WORDS:** inflation rate; Price index; Inflationary risks; Import; Export; Investment
**J.E.L. classification:** E0, E6
DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.14

**For citation:** Bidzinashvili D., (2022) The Impact of the Russia-Ukraine War on Georgia's Economic Activity (in Georgian). Vol. 17, 1(23), p. 67–73. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.14

**Summary**

A global threat to food supplies has emerged in the wake of the Russia-Ukraine war. A number of developing countries are already pointing to shortages of basic consumer goods such as wheat, corn, buckwheat, sunflower. Food supply risks are significantly linked to and exacerbate global inflation, which began in the second half of 2021 amid a pandemic and is already approaching double-digit levels even in developed economies. Annual growth in consumer price indices last month was 8% in the US, the Eurozone, the UK and other developed economies, and as output price indices range in the 10-20% range, inflation is not expected to slow in the near future.

This phenomenon is known as supply-side inflation and poses an additional challenge not only to economic policy makers, but also primarily to producers and consumers. The developments due to the Russia-Ukraine war and the sanctioning of Russia have significantly increased the demand for the Georgian corridor, which is both an opportunity and a challenge.

Amid rising inflation risks, monetary policy is in a tightened phase as a result of the gradual increase in the monetary policy rate over the past year. The National Bank of Georgia is expected to tighten monetary policy until the risks to rising inflation expectations are sufficiently mitigated.

The double-digit economic growth achieved by Georgia recently is significant. In the first quarter of this year, Georgia's economic growth amounted to 14.4%. Our country has dealt with the challenges with dignity, has maintained the stability and development of the economy in the light of current events in the world. It is noteworthy that according to the International Monetary Fund, the Ukrainian economy is expected to shrink by 44% and the Russian economy by 13%. In our neighboring countries, the economic growth rate is a single digit.

The data against the background of those hostilities unequivocally confirm, on the one hand, the resilience of the Georgian economy to the increased negative exogenous political and economic factors, on the other hand, the growing diversification of the national economy and the more active involvement of Georgian business in the global economy.

Russia's aggression against Ukraine and the start of hostilities in the region have a significant impact on the Georgian economy. Increased inflation and inflationary risks remain a recent global challenge. While 2022 was considered a period of global inflation, Russia's war against Ukraine posed new risks, in particular sanctions against Russia over hostilities and restrictions on supplies, which significantly increased the prices of certain categories of goods on world markets. Consequently, in both developed and emerging economies, inflation has risen significantly.

After the battles that have developed in neighboring countries, there is a possibility of attracting 16-20 million tons of cargo, and if Georgia is able to absorb at least 60%, the country will transit 10-12 million tons of cargo. An example of this is Kazakhstan, which has developed alternative routes according to which it is possible to load the Baku-Tbilisi-Ceyhan pipeline with maximum capacity.

In order to further popularize Georgia's transport corridor, it is necessary to have a more coordinated work of the public as well as the private sector. The situation in the region allows us to predict a significant increase in cargo turnover. Therefore, the Ministry of Economy and Sustainable Development together with the Maritime Transport Agency, the Department of Roads, JSC "Georgian Railway" need to take care of further popularization of the Georgian corridor and development of infrastructure to ensure timely and safe transportation of cargo;

Inflation is rising around the world, even before the Russia-Ukraine war. Supply - mismatch of demand, rising prices of goods (fuel and food) stimulate growth in inflation since the beginning of 2021. That is why the Central Bank of Georgia should be more vigilant now, because long-standing high inflation can have quite high costs and therefore the monetary authority may have to react more strongly;

It is necessary for the country to accelerate its integration with the European Union and take effective steps to improve the investment

environment in response to socio-economic challenges.

It is important to establish strict monitoring of the free movement of capital in relation to the aggressor country and appropriate restrictions in response to existing threats.

The National Bank of Georgia should continuously monitor the current economic processes and financial markets and use all the tools at its disposal to ensure price stability;

Despite the Russia-Ukraine war, Georgia's financial sector must remain resilient and respond adequately to this challenge.

**References**


1. The National Bank leaves the refinancing rate unchanged (2022) URL: https://pia.ge/news/ekonomika/erovnuli-banki-rephinansirebis-ganakvets-utsvlelad-tovebs-78436 (Available 11.05.2022);

2. Chikhelidze D., (2022) Georgia's economic growth amounted to 14.4% in the first quarter. URL: https://pia.ge/news/ekonomika/pirvel-kvartalshi-sakartvelos-ekonomikurma-zrdam-144-sheadgina-rats-pirvel-rigshi-irakli-gharibashvilis-damsakhurebaa-davit-chikhelidze (Available 11.05.2022)

3. Tsurskiridze G., (2022) We have one of the highest growth rates not only in the region but also in Europe and Asia. URL: https://pia.ge/news/ekonomika/chven-gvakvs-ara-tu-regionshi-aramed-evropashi-da-aziashi-ert-erti-kvelaze-maghali-zrdis-tempi-giorgi-tsutskiridze (Available 11.05.2022)

4. Archvadze J., (2022) The Georgian economy continues to grow convincingly. URL: https://pia.ge/news/ekonomika/sakartvelos-ekonomika-agrdzelebs-damajerebel-zrdas-ianvar-martshi-zrdam-tsina-tslis-shesabamis-periodtan-shedarebit-144-protsenti-sheadgina-ioseb--archvadze (Available 11.05.2022)

# მმართველობითი აღრიცხვის ევოლუცია

**ბესიკ ბაუჩაძე**

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, besik.bauchadze@bsu.edu.ge

**საკვანძო სიტყვები:** ბუღალტრული აღრიცხვა; მმართველობითი აღრიცხვა; მენეჯმენტი; სტრატეგია; ეფექტიანობა;

**J.E.L. classification:** N8, M41 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.04

**ციტირებისთვის:** ბაუჩაძე ბ., (2022) მმართველობითი აღრიცხვის ევოლუცია. ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 74–83. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.04

**ანოტაცია.** *სტატიის მიზანია გამოიკვლიოს და განსაზღვროს მმართველობითი აღრიცხვის. განვითარების ძირითადი ასპექტები სტატიაში განხილულია მმართველობითი აღრიცხვის განვითარების ევოლუცია, ბუღალტრულ და მმართველობით აღრიცხვას შორის განმასხვავებელი თავისებურებანი. ნაშრომში ცალკეული ქვეყნების მაგალითზე შეფასებულია მმართველობითი აღრიცხვის არსის გაგება. ბიბლიოგრაფიული კვლევისა და ემპირიული მასალების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტების მოსაზრებების, დამუშავებული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის კვლევებით გამოიკვეთა, რომ მმართველობთ აღრიცხვას აქვს თავისი მიზანი, საგანი, ობიექტები, ამოცანები და პრინციპები, რაც განასხვავებს მას ბუღალტრული აღრიცხვისაგან. ბოლო წლებში ტერმინი „მმართველობითი აღრიცხვა“ ძალიან პოპულარული გახდა, თუმცა ჯერ კიდევ ორაზროვანი დამოკიდებულებაა მისი არსის გაგებაში. მმართველობითი აღრიცხვის საბოლოო მიზანია დაეხმაროს მენეჯერს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. მმართველობითი აღრიცხვა მენეჯმენტის ინფორმაციის მხარდაჭერის სისტემაა. არსებობის ათწლეულების განმავლობაში, მმართველობითი აღრიცხვის თანდაყოლილი ტექნიკა და მეთოდები შემუშავდა და განაგრძობს განვითარებას, შესაბამისად, მას აქვს საკუთარი მეთოდოლოგია. ის შეიძლება შეფასდეს როგორც ორი ძირითადი საგნობრივი სფეროს ერთობლიობა: როგორც მეცნიერება და როგორც საქმიანობის პრაქტიკული სფერო.*

## შესავალი

ტექნოლოგიის განვითარებით და წარმოების ორგანიზებით, პროდუქციის დივერსიფიკაციასთან, ორგანიზაციული მართვის სტრუქტურების გაუმჯობესებასთან ერთად, გაზრდილი კონკურენცია, წარმოების ერთეულზე ხარჯების მუდმივი შემცირების აუცილებლობა, ორგანიზაციის მენეჯმენტი მოითხოვს ახალი ტიპის ინფორმაციას, რომელიც მართვის აღრიცხვის ქვესისტემის საშუალებით წარმოიქმნება ორგანიზაციაში.

ბოლო წლებში ტერმინი „მმართველობითი აღრიცხვა“ ძალიან პოპულარული გახდა. მმართველობითი აღრიცხვა, პირველ რიგში, განსხვავდება ბუღალტრული აღრიცხვისგან, იმით, რომ მისი მონაცემები განკუთვნილია არა გარე მომხმარებლებისთვის (სახელმწიფოები,

ბანკები, ბიზნეს პარტნიორები), არამედ, შიდა გამოყენებისთვის.

მმართველობითი აღრიცხვის საბოლოო მიზანია დაეხმაროს მენეჯერს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. ამიტომ, თუ უბრალო ბუღალტერმა მკაცრად უნდა დაიცვას ანგარიშგების ფორმები და ინსტრუქციები, მაშინ მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტი (ბუღალტერი-ანალიტიკოსი) თავისუფალია აირჩიოს ანალიზის ფორმები, მეთოდები და ტექნიკა, მისთვის მთავარია სწორად აღიქვას საწარმოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების არსი და დროული რჩევები მისცეს ლიდერს. მმართველობითი აღრიცხვა სხვა არაფერია, თუ არა მენეჯმენტის ინფორმაციის მხარდაჭერის სისტემა.

ეკონომისტებს შორის არ არსებობს ერთიანი კონცეფცია მმართველობითი აღრიცხვის არსის, როლის და ადგილის შესახებ საწარმოს მართვის სისტემაში, რაც ართულებს მმართველობითი აღრიცხვის დანერგვის პროცესს საწარმოს ეკონომიკურ პრაქტიკაში.

ზოგადად აღიარებულია, რომ მმართველობითი აღრიცხვა არის აუცილებელი ინსტრუმენტი ორგანიზაციის მართვისთვის, რითაც შესაძლებელია მენეჯერული გადაწყვეტილებების ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესება, მოსალოდნელი შედეგის მაქსიმალური გაზრდა და ეკონომიკური საქმიანობის რისკების ეფექტური კონტროლი. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია მისი შიდა პრაქტიკაში დანერგვის პრობლემა. საჭიროა ჩატარდეს მმართველობითი აღრიცხვის ეკონომიკური ხასიათის, არსის და შინაარსის, მისი ფუნდამენტური თეორიული საფუძვლების სიღრმისეული კვლევები. მმართველობითი აღრიცხვის არსზე დღეს კვლავ არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები. ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ განსხვავებული მოსაზრებები და მოვახდინოთ ჩვენი შეხედულებების და დასკვნების ჩამოყალიბება.

## ლიტერატურის მიმოხილვა

მმართველობითი აღრიცხვის არსისა და მისი განვითარების ევოლუციის ფარგლებში ყველა შესაბამისი ლიტერატურის იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული იქნა სამეცნიერო ინდექსის მქონე ჟურნალები, სახელმძღვანელოები. ლიტერატურის ძიება მოიცავდა შემდეგ ნაბიჯებს: ჟურნალების მიმოხილვა; კონფერენციების მიმოხილვა; მიმოხილვა.

ლიტერატურის მიმოხილვის მიზანია გამოავლინოს თეორიები და კონცეფციები მმართველობითი აღრიცხვისა და ბუღალტრულიაღრიცხვისსისტემებისკვლევის სფეროში. გამოყენებული იქნა შესაბამისი ლიტერატურის მოპოვების რამდენიმე მეთოდი კერძოდ ლიტერატურის მიმოხილვა არის კონცეფციაზე ორიენტირებული, ან პარადიგმაზე ორიენტირებული და არა ავტორზე ორიენტირებული: არაერთი ავტორი თავის ნაშრომებში განიხილავს მმართველობით აღრიცხვის განვითარების, მისი დანერგვისა და ანგარიშგების პრობლემებს, მმართველობით აღრიცხვას როგორც მენეჯერული გადაწყვეტილებების განუყოფელ ნაწილს. მათ შორის აღსანიშნავია შრომები შემდეგ მეცნიერთა ავტორობით: Zhang, H., Zhang, Q.L. and Ma, J.W; Mistry, V.; Sharma, U.; Low, M.; Lodhia S.K.;A. Upchurch, ი.ჭილაძე, ე.ხარაბაძე; პ. ბეზრუკიხი, ჯ.ბოერსემა, მ. ვახრუშინა, ო.ვოლკოვა, ი. ჯირი, კ. დრური, ვ.ივაშკევიჩი, ო. კავერინა და სხვები.

**კვლევის მეთოდები**

სტრუქტურირებული ლიტერატურის მიმოხილვის გამოყენებით, კვლევის მეთოდად, წინამდებარე სტატია განიხილავს შემდეგ სამ საკვლევ კითხვას: როგორ ვითარდება კვლევა მმართველობითი აღრიცხვის შესახებ? რა განსხვავებებს აყალიბებს თანამედროვე მეცნიერება მმართველობითი აღრიცხვასა და ბუღალტრულ აღრიცხვას შორის? რა მომავალი აქვს მმართველობით აღრიცხვას როგორც პრაქტიკაში, ისე მეცნიერული თვალსაზრისით? ჩვენ დავადგინეთ კვლევების ტიპი და ჩავატარეთ ლიტერატურის ანალიზი. ჩვენ ვეძებდით კვლევებს ქართულ და უცხოურ ინდექსირებულ მონაცემთა ბაზაში არსებულ ბუღალტრულ ჟურნალებში, სადისერტაციო ნაშრომებში. ძიების პროცესი დაფუძნებული იყო საკვანძო სიტყვების ძიებაზე. ასევე გამოვიყენეთ ზოგადი კვლევის მეთოდები: შემეცნების დიალექტიკური მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, კლასიფიკაცია, დაკვირვება და განზოგადება, ლოგიკური ეკონომიკური შეფასების ისტორიული, ყოვლისმომცველი და სისტემატური მიდგომები.

**ძირითადი ნაწილი**

ტერმინი „მმართველობითი აღრიცხვა" მსოფლიოში გამოიყენება მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხოლო საქართველოში დაახლოებით 1980-ანი წლებიდან. მეცნიერები დღემდე კამათობენ ამ ფენომენის არსზე. არის დამოუკიდებელი მეცნიერება? არის თუ არა მეცნიერების ნაწილი, რომელსაც დამოუკიდებელი საგანი არ აქვს? ეს არის ფსევდომეცნიერება, ე.ი. ასეთი ფენომენი საერთოდ არ არსებობს და ა.შ. დავა დიდწილად გამოწვეულია ბუღალტრული აღრიცხვის მეცნიერებისა და პრაქტიკის რეალობით კონკრეტულ ქვეყნებში.

შეცდომა იქნებოდა მმართველობითი აღრიცხვა შიგა ეკონომიკისთვის სიახლედ აღვიქვათ. 1920-იანი და 1930-იანი წლების დასაწყისში ბუღალტრული აღრიცხვის სერვისების ფუნქციები ბევრად უფრო ფართო იყო, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების შემდგომ წლებში. იმდროინდელი ბუღალტერი ეწეოდა როგორც ბუღალტრულ, ისე დაგეგმარებასა და ანალიტიკურ მუშაობას. ქვეყანაში სოციალისტური ეკონომიკური სისტემის განვითარებით და ცენტრალური დაგეგმარების გაძლიერებასთან ერთად მოხდა ეტაპობრივი გამოყოფა დაგეგმვისა და ფინანსური განყოფილებების ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურისგან, მათზე ბუღალტრული უფლებამოსილების ნაწილის გადაცემით. შედეგად ბუღალტრის საქმიანობა ფაქტობრივად დაყვანილ იქნა საწარმოს ეკონომიკური ცხოვრების ფაქტების აღრიცხვამდე. ისტორიულად თეორიასა და პრაქტიკაში მმართველობითი აღრიცხვის განვითარებას თან სდევს კამათი. ერთ-ერთი განსახილველი საკითხია მმართველობითი აღრიცხვის კონცეფციის საკითხი:

- ეს არის საწარმოში ეკონომიკური მუშაობის სფერო, რომელიც მოიცავს ანგარიშებზე ოპერაციების ასახვის მეთოდებს, ანალიზს, დაგეგმვას, პერსონალის მოტივაციას და ა.შ.;
- ეს საქმიანობა შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ მენეჯმენტისთვის საჭირო ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის შეგროვებისა და შეჯამების ფუნქციებით, ე.ი. ეკონომიკური ანალიზისგან, დაგეგმვისგან, მენეჯმენტისგან, სოციოლოგიისგან, ფსიქოლოგიისგან და ა.შ. დამოუკიდებლად.

საგანმანათლებლო, მეთოდოლოგიური და სამეცნიერო ლიტერატურის სხვადასხვა

წყაროების შესწავლისას, შეგვიძლია ვიპოვოთ მმართველობითი აღრიცხვის მრავალი განმარტება, რაც მიუთითებს მმართველობითი აღრიცხვის არსზე ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომის არარსებობაზე. ეს განპირობებულია თითოეულ ეკონომიკურ სუბიექტში მმართველობითი აღრიცხვის სისტემის შესაქმნელად ორგანიზაციული საფუძვლების უნიკალურობით, რაც დიდწილად განისაზღვრება მისი საქმიანობის მახასიათებლებით და მენეჯმენტის ინფორმაციაზე დაწესებული მოთხოვნებით.

არსებობს სამი თვალსაზრისი მმართველობითი აღრიცხვის არსზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მმართველობითი აღრიცხვის, როგორც წარმოების აღრიცხვის ახალი ინტერპრეტაციის შესახებ თვალსაზრისი მხარდაჭერილია ქვეყნებში, რომლებიც იყენებენ "ამერიკული" აღრიცხვის სისტემას (მენეჯერული აღრიცხვა). ეს დამახასიათებელია იაპონიისთვის, დიდი ბრიტანეთისთვის. მიმართულება, რომლითაც მმართველობითი აღრიცხვა განიხილება ბუღალტრული აღრიცხვის ნაწილად, მხარდაჭერილია რუსეთში (ბუღალტრული აღრიცხვის მენეჯმენტის აღრიცხვა), ზოგიერთ კონტინენტურ ქვეყანაში (გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია).

მმართველობითი აღრიცხვა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მენეჯმენტის სისტემის ნაწილი, რომელიც სცილდება ფაქტობრივ აღრიცხვას - კონტროლს. საკამათოა აგრეთვე პერიოდი, საიდანაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ მმართველობითი აღრიცხვა წარმოიშვა როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. ზოგიერთი მეცნიერი (მაგ., A.F. Aksenenko) მმართველობითი აღრიცხვის წარმოქმნის პერიოდს ომისშემდგომ წლებს უკავშირებს, რასაც ამყარებს მენეჯმენტის სისტემაში ბუღალტერიის როლის გაზრდით. სხვები ასახელებენ ადრინდელ თარიღებს - მე-20 საუკუნის დასაწყისს, რაც აკავშირებს მენეჯმენტის აღრიცხვის გაჩენას მენეჯმენტის მეცნიერების წარმოშობასთან ერთად. როგორც ჩანს, ორივე მიდგომას აქვს ობიექტური საფუძველი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა სტანდარტული ღირებულებს, პირდაპირი დანახარჯების სისტემების სახით, რომლის დანერგვა საწარმოების საქმიანობაში 50-იან წლებში დაიწყო და მოიტანა პირველი შედეგებიც (საქმიანობების აღრიცხვა პასუხისმგებლობით ცენტრები და ა.შ.). აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს კონკრეტულ ქვეყნებში არსებული იმდროინდელი ეკონომიკური რეალობები.

მენეჯმენტის აღრიცხვის გაჩენა შეერთებულ შტატებში განპირობებულია ბიზნესის ორგანიზაციის სააქციო (კორპორატიული) ფორმის სწრაფი განვითარებით. სწორედ მესაკუთრეთა (ინვესტორების) თვისებრივმა შემადგენლობამ, რომელიც მოიცავს მცირე ინვესტორების დიდ რაოდენობას, განსაზღვრა ის მოთხოვნები, რომლებიც დაწესდა აღრიცხვის სისტემაში. მფლობელების მთავარი მოთხოვნა იყო ინფორმაციის დროული მიწოდება. ეს გამოწვეული იყო გარე გარემოს ძლიერი გავლენით.

გაძლიერებულმა კონკურენციამ განაპირობა ის, რომ მფლობელების უმეტესობის მთავარი მიზანი იყო არა მოგების მაქსიმიზაცია, არამედ კაპიტალის დანახარჯების მაქსიმიზაცია, რომელიც მიღწეული იყო საფონდო ბირჟის სპეკულაციებით აქციების გადაყიდვისას. ინფორმაციის სწრაფი მიწოდების მოთხოვნა ზღუდავდა ინფორმაციის ატრიბუტების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შემადგენლობას, ე.ი. ბუღალტრული

აღრიცხვის ობიექტების მთელი მოცულობის ნაცვლად გათვალისწინებული იყო მხოლოდ ხარჯები და შემოსავლები, რამაც არ შეიძლება გავლენა იქონიოს ინფორმაციის სანდოობაზე. ამიტომ, ჯერჯერობით შეერთებულ შტატებში მენეჯმენტის აღრიცხვა არის ხარჯების აღრიცხვისა და ხარჯთაღრიცხვის განვითარების ფორმა. (Нидлз, Андерсон, Колдуэлл 2002:34) კონტინენტურ ევროპაში, სადაც კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებებმა განაპირობა ბიზნესის ორგანიზაციის არა სააქციო, არამედ წილობრივი ფორმის გაბატონება, გაჩნდა კაპიტალის მართვაში მონაწილეობის სხვა გზა. მფლობელები, რომელთა რაოდენობაც ბიზნესში შეზღუდული იყო, ხშირად მონაწილეობდნენ ბიზნესის მენეჯმენტში, რის გამოც მთავარ მიზნად თვლიდნენ მოგების მაქსიმიზაციას და, შესაბამისად, სხვა მოთხოვნებს აყენებდნენ ინფორმაციის შედგენისა და ხარისხის შესახებ. ასეთ სისტემას ერქვა „კონტროლირება“.

საბჭოთა რესპუბლიკებში მენეჯმენტის სოციალისტური ფორმის გაჩენასთან დაკავშირებით, როდესაც ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობდა კერძო საკუთრება, უმთავრესად მიიჩნეოდა ინფორმაციის მიწოდების დროულობა, ხოლო სახსრების ხარჯვას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ, მმართველობითი აღრიცხვის საჭიროება უბრალოდ არ წარმოიშვა.

საინტერესოა ცალკეულ მეცნიერ ეკონომისტთა შეხედულებები მმართველობითი აღრიცხვის არსთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება ორ მიმართულებად დაჯგუფდეს:

**პირველი** - მმართველობითი აღრიცხვის კორელაცია ბუღალტრულ აღრიცხვასთან;

**მეორე** -მმართველობითი აღრიცხვის მიკუთვნება ცოდნის კონკრეტულ დარგთან.

პირველი მიმართულების ფარგლებში კლასიფიცირებულია ავტორთა მოსაზრებები, მმართველობითი აღრიცხვის მიერ დაკავებული ადგილის, აღრიცხვასა და მართვის პროცესის ანალიტიკური უზრუნველყოფის სისტემაში. ფუნდამენტური პოზიციის მიხედვით დადგინდა ეკონომისტების სამი ჯგუფი.

პირველი ჯგუფი. მეცნიერები, რომლებიც აიდენტიფიცირებენ მმართველობით აღრიცხვას წარმოების აღრიცხვასთან და ხარჯების აღრიცხვასთან.

მეორე ჯგუფი. მეცნიერები, რომლებიც თვლიან, რომ მმართველობითი აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის ქვესისტემაა.

მესამე ჯგუფი. მეცნიერები, რომლებიც თვლიან, რომ მმართველობითი აღრიცხვა აერთიანებს ბუღალტრულ აღრიცხვას, ანალიზს, დაგეგმვას, კონტროლს და ა.შ. (Мизиковский, 2009: 110).

პირველ ჯგუფში მოხსენიებული მეცნიერების მიერ აღწერილი მენეჯმენტის ხარჯების აღრიცხვა მმართველობითი აღრიცხვის მხოლოდ ნაწილია. ეს გაგება შეესაბამება ადრეულ იდეებს მენეჯმენტის აღრიცხვის შესახებ. ჩვენი აზრით, ყველა ეს თვალსაზრისი არ გვაძლევს საშუალებას სრულად გამოვავლინოთ მმართველობითი აღრიცხვის არსი, რადგან თანამედროვე მმართველობითი აღრიცხვა მიზნად ისახავს მონაცემების მიწოდებას მენეჯმენტის ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად და არა მხოლოდ ორგანიზაციის ხარჯების შესახებ მონაცემების განზოგადებაზე.

მეორე ჯგუფი მოიცავდა მიდგომებს, რომლებიც დაკავშირებულია მმართველობითი აღრიცხვის, როგორც სააღრიცხვო ქვესისტემის მახასიათებლებთან, რომელიც არსებობს ფინანსური აღრიცხვის ქვესისტემის თანაბარ

პირობებში და ავსებს მას. ცნობილ მეცნიერთა მოსაზრებებით (B. Needles, X. Anderson და D. Caldwell), მმართველობითი აღრიცხვა მოიცავს ყველა სახის ბუღალტრულ ინფორმაციას, რომელიც იზომება, მუშავდება და გადაეცემა მენეჯმენტს შიდა გამოყენებისთვის (Нидлз, 1993:496). მმართველობითი აღრიცხვა აფართოებს ფინანსურ აღრიცხვას და ძირითადად გამოიყენება კომპანიის შიდა ოპერაციებში. მისი მიზანია ინფორმაციის მიწოდება მენეჯერებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონკრეტული წარმოების მიზნების მიღწევაზე.

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ მმართველობითი აღრიცხვა არის ბუღალტრული აღრიცხვის ქვესისტემა, რომელიც ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობის, მთლიანობაში და მისი სტრუქტურული დანაყოფების შესახებ ეკონომიკური ინფორმაციის შეგროვების, აღრიცხვის, განზოგადების შედეგად, ეხმარება ადმინისტრაციულ აპარატს დაგეგმვაში, რეალურად მართვაში. და ორგანიზაციის საქმიანობის მონიტორინგში (Лысенко, 2009:478). ეს ავტორები თანხმდებიან, რომ მმართველობითი აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის ნაწილია და არის გარკვეული მოქმედებების ერთობლიობა ან პროცესი, რომლის შედეგადაც საწარმოს მენეჯმენტი იღებს ინფორმაციას მისი მართვის მიზნით. ეს განმარტებები განსხვავდება ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციებისა და მოქმედებების სიმრავლით, მისი მიზნის მითითებით, ტერმინოლოგიის განსხვავებულობით და აქცენტების განლაგებით. ამ ჯგუფში გაერთიანებული მეცნიერები თვლიან, რომ მენეჯმენტი და ფინანსური აღრიცხვა ასრულებენ ერთსა და იმავე ფუნქციას - ინფორმაციის შეგროვებას და მომზადებას, მაგრამ განსხვავებული მიზნებისთვის.

მესამე ჯგუფში შედიან ეკონომისტები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ბუღალტრული აღრიცხვის, ანალიზის, დაგეგმვისა და რეგულირების ელემენტების ინტეგრირებაზე მართვის აღრიცხვის სისტემაში. ეს ავტორები ყველაზე ფართოდ განმარტავენ მმართველობითი აღრიცხვის ცნებას, რომელიც სცილდება ტრადიციულ ბუღალტრულ აღრიცხვას და მოიცავს არა მხოლოდ მას, არამედ სხვა დაკავშირებულ ეკონომიკურ დისციპლინებსაც. მათი აზრით, მენეჯმენტის აღრიცხვა არის ინტეგრირებული სისტემა ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვისთვის, სტანდარტიზაციის, დაგეგმვის, კონტროლისა და ანალიზისთვის, ოპერატიული მართვის გადაწყვეტილებების ინფორმაციის სისტემატიზაციისთვის და საწარმოს მომავალი განვითარების პრობლემების კოორდინაციისთვის (Карпова, 2003:350).

ეკონომისტთა ნაწილი განიხილავს მმართველობით აღრიცხვას, როგორც აღრიცხვის, დაგეგმვის, კონტროლის, ეკონომიკური საქმიანობის ხარჯებისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის ანალიზის სისტემას, რომელიც აუცილებელია მენეჯმენტის პერსონალისთვის ორგანიზაციის საქმიანობის მართვისთვის. მმართველობითი აღრიცხვა არის კავშირი ბუღალტრული აღრიცხვის პროცესსა და საწარმოს მენეჯმენტს შორის (Лисович, 2011:168). მმართველობითი აღრიცხვა არის პროცესი, რომელიც ხდება კომპანიის შიგნით, იყენებს აღრიცხვის, დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ფუნქციებს, ორგანიზაციულ მუშაობას, სტიმულირებას და საინფორმაციო ბმულებს ქმედებების კოორდინაციისთვის (Кукукина, 2004:400).

განხილული მიდგომის მიხედვით, მმართველობითი აღრიცხვა მოიცავს ბიზნესის მენეჯმენტისთვის ინფორმაციის ფორმირებისა და გამოყენების მთელ სისტემას, მათ შორის სტრატეგიულ მენეჯმენტს, ორგანიზაციის, მისი განყოფილებებისა და ფუნქციონალური სფეროების საქმიანობის შეფასებას და ანალიზს, ეკონომიკის დაგეგმვასა და კონტროლს.

ჩვენი აზრით, მესამე თვალსაზრისი ყველაზე სრულყოფილი და გამართლებულია, რადგან მმართველობითი აღრიცხვა ამ ინტერპრეტაციაში ემყარება მეთოდებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საწარმოს ფუნქციონალურ პროცესებთან. ორგანიზაციის მართვისთვის, ფაქტობრივი მონაცემების გათვალისწინების გარდა, აუცილებელია სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვა, სტანდარტიზაცია და მენეჯმენტის ქვედა დონის მიერ დადგენილი ინდიკატორების მიღწევის ანალიზი, რის საფუძველზეც ხორციელდება კონტროლი. ამ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს შიდა მართვის ეფექტური სისტემა. მმართველობითი აღრიცხვის კიდევ ერთი უპირატესობა რომ, იგი კომპანიას „უხსნის ხელებს" და ბუღალტრული აღრიცხვისა და საგადასახადო აღრიცხვისგან განსხვავებით, მოქმედებს პრინციპით „HOW TO ME" და არა როგორც დირექტიული მიდგომებით მარეგულირებელი.

## დასკვნა

ვიზიარებთ რა მესამე ჯგუფში გაერთიანებული მეცნიერთა მოსაზრებას, მიგვაჩნია რომ:

1. მმართველობით აღრიცხვას აქვს მიზანი, საგანი, ობიექტები, ამოცანები და პრინციპები, რომლებიც განსხვავდება ფინანსური აღრიცხვისგან. მისი არსებობის განმავლობაში, მმართველობითი აღრიცხვის ტექნიკა და მეთოდები შემუშავდა და განაგრძობს განვითარებას. შესაბამისად, მას აქვს საკუთარი მეთოდოლოგია.

2. მმართველობითი აღრიცხვის არსი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვის, რეგულირების, დაგეგმვის, კონტროლისა და ანალიზის ინტეგრირებული სისტემა, რომელიც ახდენს ინფორმაციის სისტემატიზაციას საოპერაციო მენეჯმენტის გადაწყვეტილებებისთვის და პრობლემების კოორდინაციას საწარმოს განვითარებისთვის;

3. საჭიროა განიხილებოდეს ორგანიზაციის მართვის სისტემა, როგორც მთავარი პირობა, ხოლო მმართველობითი აღრიცხვა, როგორც ინტეგრალური სისტემა, რომელიც მხარს უჭერს მენეჯერების გადაწყვეტილებებს მათი მიზნების მისაღწევად საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფის თვალსაზრისით;

4. მმართველობითი აღრიცხვა მიზნად ისახავს მომავალს, თუმცა ის მუშაობს გასული პერიოდების შესახებ ინფორმაციით. მმართველობითი აღრიცხვის მონაცემები საშუალებას იძლევა მოხდეს არა მხოლოდ ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური შედეგის გაანალიზება, არამედ ხარჯების მართვა, ასორტიმენტის, საინვესტიციო, სახელშეკრულებო და საფასო პოლიტიკის ფორმირება და შესაბამისად, უშუალოდ ორგანიზაციის მუშაობის მართვა;

5. ზემოთ მოყვანილი ანალიზით შესაძლებელია გამოვყოთ მმართველობითი აღრიცხვა, როგორც ეკონომიკური მეცნიერებების ცალკეული დარგი.

## ლიტერატურა

1. მმართველობითი აღრიცხვა (2007) ACCA სახელმძღვანელო, წიგნი F2. საერთაშორისო პრაქტიკა. თარგმანი ინგლ., თბილისი.
2. ჭილაძე ი., (2018). მმართველობითი აღრიცხვა. თბილისი;
3. ატკინსონი ე. ა.კაპლანი რ.ს., მათსუმურა ე.მ., იანგი ს.გ. (2009) მმართველობითი აღრიცხვა, თარგმანი ინგლისურიდნ, თბილისი.,
4. Garrison R.H. (2009) Managerial Accounting, (URL:https://industri.fatek.unpatti.ac.id/wp-content/uploads/2019/03/021-Managerial-Accounting-Ray-H.-Garrison-Eric-W.-Noreen-Peter-C.-Brewer-Edisi-142012.pdf) (ხელმისაწვდომია 29.04.2022)
5. Нидлз Б., Андерсон Х.,Колдуэлл Д.(2002) Принципы бухгалтерского учета. - М.: Финансы и статистика.. - 350 с.
6. Мизиковский И.Е.(2009). Бухгалтерский управленческий учет: -110 с.
7. Нидлз Б., (1993) Принципы бухгалтерского учета. -496 с.
8. Лысенко Д., ( 2009)Бухгалтерский управленческий учет ИНФРА-М,. - 478 с.
9. Карпова Т., (2003) Управленческий учет ЮНИТИ. - 350 с.
10. Лисович Г., (2011.) Бухгалтерский (управленческий) учет в сельском хозяйстве. ИНФРА-М,. -168 с.
11. Кукукина И.Г(2004) Управленческий учет. - 400 с.

# EVOLUTION OF ESSENCE OF MANAGEMENT ACCOUNTING

**Besik Bauchadze**
Ph.D., Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University
besik.bauchadze@bsu.edu.ge

**KEY WORDS:** management accounting; managment; strategy; information system; efficiency;
**J.E.L. classification:** N8, M41
DOI:https://doi.org/10.52244/ep.2022.23.04

**For citation:** Bauchadze B., (2022) Evolution of essence of management accounting (in Georgian). Vol. 17, 1(23), P. 74–83. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.04

## Summary

Although the term management accounting has been used around the world since the second half of the 20th century, and in Georgia, the scientists have been arguing about the essence of this phenomenon since about the 80s. Is it an independent science? Is it part of science that does not have an independent subject? This is pseudoscience, e.g., such a phenomenon does not exist at all and so on. The dispute is largely due to the reality of accounting science and practice in the specific countries. It would be a mistake to think of the management accounting as a novelty for the domestic economy. In the 1920s and early 1930s, the functions of accounting services were much broader than in the later years of Soviet rule. The accountant of that time was engaged both as in accounting and as in planning and analytical work. Along with development of the

socialist economic system in the country and the strengthening of central planning, there was the gradual separation from the Accounting Service of the Planning and Financial Departments, with the transfer of part of the accounting authority to them. As a result, the activities of the accountant were actually reduced to the accounting of the facts of the economic life of the enterprise. As a result, the activities of the accountant were actually reduced to the accounting of the facts of the economic life of the enterprise. Historically, the development of management accounting in theory and practice has been accompanied by controversy. One of the issues to be discussed is the concept of management accounting:

- ❖ Or it is a field of economic work in the enterprise, which includes methods of reporting operations, analysis, planning, staff motivation, etc.;
- ❖ Or this activity may be limited to the functions of collecting and summarizing financial and non-financial information required by management; e.g., independent from economic analysis, planning, management, sociology, psychology, and etc.

Examining the various sources of educational, methodological and scientific literature, you can find many definitions of management accounting, which indicates the lack of a unified methodological approach to the essence of management accounting. This is due to the uniqueness of the organizational basis for establishment of the management accounting system in each economic entity, which is largely determined by the characteristics of its activities and the requirements imposed on management by management information. With the development of technology and organization of production, with diversification of the products, improvement of organizational management structures, increased competition, the need for constant reduction of costs per unit of production, the organization's management requires the new types of information generated through the management accounting subsystem. There have been used the several methods of obtaining the relevant literature, in particular the literature review is concept-oriented, or paradigm-oriented and not author-oriented: using a review of structured literature as a research method, this article addresses the following three research questions: How is the research on management accounting developing? What are the differences between modern accounting and accounting? What is the future of governance accounting, both in practice and in science? We identified the type of research and conducted the comprehensive literature search. The aim of the article is to explore and determine the evolution of the essence of management accounting, the key aspects of development. In the article is discussed the evolution of the development of management accounting, the distinguishing features between the accounting and management accounting, and understanding of the essence of management accounting is evaluated. Based on the bibliographic research and analysis of empirical materials, based on the opinions of experts, elaborated theoretical and materials, it was revealed that managerial accounting has its purpose, subject, objects, tasks and principles, which distinguishes it from accounting. In recent years, the term "management accounting" has become very popular, although there is still an ambiguous attitude in understanding its essence. The management accounting differs from the accounting primarily in that its data is intended not for external users (states, banks, business partners) but for internal "use". The ultimate goal of management accounting is to help the manager make the right decisions. Therefore, if a simple (financial) accountant must strictly follow

the reporting forms and instructions, then the management accounting specialist is free to choose the forms, methods and techniques of analysis, the main thing for him is to properly understand the essence of economic processes in the enterprise and give timely advice to the leader. Management accounting is nothing more than the management information support system. During the decades of its existence, the innate techniques and methods of management accounting have been developed and continue to develop, therefore, it has its own methodology. It can be described as the combination of two main subject areas: as a science; as a practical field of activity.

**References**


1. Management Accounting, (2007) ACCA Handbook, Book F2. International practice. English translation, Tbilisi;
2. Chiladze I. (2018) Management Accounting. Tbilisi;
3. Atkinson E. A. Kaplan R. S., Matsumura E. M., Young S. C. (2009) Management Accounting, English translation, Tbilisi;
4. Ray H. Garrison (2009) Managerial Accounting (URL:https://industri.fatek.unpatti.ac.id/wp-content/uploads/2019/03/021-Managerial-Accounting-Ray-H.-Garrison-Eric-W.-Noreen-Peter-C.-Brewer-Edisi-142012.pdf) (Available 29,04,2022)
5. Needles B., Anderson Kh., Caldwell D. (2002) Accounting Principles. Moscow, Finance and Statistics. - 350 p.
6. Mizikovsky I. E. (2009). Accounting Management Accounting. - 110 p.
7. Needles B. (1993) Accounting Principles. - 496 p.
8. Lisenko D., (2009) Accounting Management Accounting. INFRA-M, Moscow. - 478 p.
9. Karpova T., (2003) Management Accounting. TM .: UNITI. Moscow, - 350 p.
10. Lisovich G., (2011.) Accounting (Management) accounting in agriculture. INFRA-M,. Moscow, - 168 p.
11. Kukukina I., (2004) Management Accounting. Moscow - 400 p.

# OMNICHANNEL MARKETING AS A NEW OPPORTUNITY TO BUILD AN EFFECTIVE CONSUMER INTERACTION STRATEGY

**Olena Bakulich**
Ph.D., Professor of National Transport University, Ukraine, bakulich.elena@gmail.com,
**Anton Bokyi**
Doctoral Student of National Transport University, Ukraine, bokiy24@gmail.com,

**KEYWORDS**: marketing; omnichannel marketing; multichannel marketing; marketing strategy; marketing advertising.
**J.E.L. classification:** M300, M310, M370 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.05

**For citation:** Bakulich O., Bokyi A., (2022) Omnichannel marketing as a new opportunity to build an effective consumer interaction strategy. Vol. 17, 1(23), P. 84–90. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.05

**Abstract.** *The article is devoted to research and definition of the principles of omnichannel marketing technology and its rationale as an effective way to interact with the consumer and increase the efficiency of the enterprise. Whereas, in the conditions of growth of digital economy and production of information technologies, new approaches to marketing activity are formed. With the development of digital marketing, there is a need for new strategic approaches and technologies that can retain existing customers and attract new ones, build long-term relationships, and increase their LTV, especially when the consumer journey is not direct.*

*The main goal of omnichannel marketing approach is to create a simple and comfortable customer experience that allows the consumer, regardless of location and information device, to contact the company (brand). The implementation of omnichannel approach in marketing will have a positive effect on sales, customer confidence, and therefore the desire to return to make repeat purchases. The company can more effectively determine the range of products or services, price management and customer LTV. This will attract new customers, expand market share, help analyze customer behavior and personalize the sales funnel. Ultimately, all these things give an opportunity to improve the efficiency of sales and business in general.*

*The results can be used in determining the marketing strategy of the enterprise, which will improve interaction with consumers and increase the financial efficiency of the enterprise.*

**Introduction.** In conditions of rise of digital economy and production of information technology, marketing activities in the enterprise should be based on strategies that link the goals of the enterprise and the interests of consumers. With the development of digital marketing, there is a need for new strategic approaches and technologies that can retain existing customers and attract new ones, build long-term relationships and increase their life cycle, especially when the consumer's path is not direct. The development of modern information technologies allows to create a common digital environment for work and interaction with consumers at all stages of the life cycle, which has become the basis for the

formation of omnichannel marketing. The aim of the work is to determine the principles of omnichannel marketing technology and justify its use as an effective way to interact with the consumer and increase the efficiency of the enterprise

**Main Part.** Under the rapid development of information technologies and digitization of a significant number of processes, consumer behavior is changing. The number of consumers buying offline and online simultaneously is growing every day. According to IBM, the e-commerce market grew by 30% in 2021, while regular sales increased by 1%. At the same time, according to the CBR (Customer and Business Research), 78% of consumers use the Internet (CBR research). It is more and more difficult for buyers to choose the necessary product, and it is more and more difficult for manufacturers and enterprises to stand out in a competitive environment and increase sales efficiency indicators. Most companies are forced to transform and implement new approaches, modern and effective marketing tools, digital technologies. Omnichannel marketing is one of the modern business technologies, which focuses on consistent, personalized customer experience at different points of contact. Earlier, before the advent of omnichannel marketing, multichannel marketing was the most prevalent in the scientific researches on how to interact with the consumer. Multichannel marketing is the ability to interact with potential customers on different information platforms. Thus, it is the marketing of different channels, which simplifies the choice of the most convenient method of purchase for customers (Kotler, 2018). But this approach has certain shortcomings, among which Kotler identified the following ones (Kotler, 2016):

- high probability of competition between marketing channels;
- lack of clear division of rights, responsibilities, roles between channel participants;
- lack of consideration of consumer's preferences about the channel for forming a portfolio of interaction channels.

These shortcomings can be eliminated while using omnichannel marketing to build interaction with consumers. Omnichannel marketing is a type of marketing that involves the continuous use of several communication channels to interact with the consumer (Omni channel marketing). That is, it is a digital marketing strategy that uses many different channels to reach customers with a sequential message through multiple touchpoints that create a single digital environment for work. Experience with omnichannel suggests that a multichannel customer sees similar marketing communications on multiple platforms that he visits frequently, and each message brings him closer to the purchase. The consumer, choosing the way to interact with the company himself, receives personalized, complete information about the product, access to the range and terms of delivery in any marketing channel, as well as the opportunity to start shopping in one channel and finish in another as they are integrated.

There is a clear difference between multichannel and omnichannel marketing. Multichannel marketing describes the strategy of using several different channels for marketing, while omnichannel marketing involves combining these channels into a single process (www.masterclass.com). Comparative analysis of multichannel and omnichannel marketing is shown in table 1.

Table 1. Classification of multichannel and omnichannel strategies

| Classification features | Multichannel strategy | Omnichannel strategy |
|---|---|---|
| Aim | To increase the number of unrelated points of contact with different consumers | To simplify customer experience as much as possible, which means integrating all channels into a single digital environment for receiving and retaining data |
| Main focus | Marketing interaction channel | The consumer and his customer journey |
| Number of channels | Multiple channels, yet online and offline are not integrated with each other | A single control center with a set of channels integrated with each other (offline and online) |
| The availability of a unified control center | No need | Necessary |
| The principle of interaction with the consumer | General | Personalized |
| Modernization of business processes | No need | Necessary |

Source: formed by the author on the basis of researches.

Based on the comparative analysis, it is possible to form a conceptual model of the interaction of omnichannel marketing with the consumer (Fig. 1)

Figure 1. Interaction of omnichannel marketing with the consumer




Source: formed by the author on the basis of researches.

The effectiveness of omnichannel marketing largely depends on the integrated channels of interaction between consumer and enterprise. To clearly understand the points of contact, analyze them and form omnichannel tools, CJP (Customer Journey Map) has to be formed – the client's path from needing the good / service to the time of purchase / receiving services, i.e. description of his path and interaction with enterprise resources (esputnik.com). Having a clear understanding of consumer behavior, it is possible to interact effectively with him. Algorithm for constructing CJP is presented in Figure 2.

Figure 2. Algorithm of CJP (Customer Journey Map) construction




Source: formed by the author on the basis of researches.

It is necessary to begin construction of CJP with determination of consumers' interaction points with the enterprise (brand) which can occur while contacting with it. The next step is to determine extreme points (beginning and the end of the interaction process). If the company has several segments of client base among its customers, then CJP is supposed to be formed according to each segment of certain customers. The next step is to identify and prioritize key points of interaction. Each channel or point of interaction should be assessed in detail, based on the studied information about the target audience, the scenario of interaction, the criteria of interaction success. Next, to list all the possible barriers that consumers may encounter at a particular point of interaction. The next step is the need to optimize critical areas and identify ways to reduce and eliminate barriers. The best solution can be found only by testing and tracking the result. If the new version works better than the previous one, you can move on to further optimization. The next step is to identify those responsible for optimization and create the necessary resources for this. Those responsible for further optimization processes begin to implement

the optimization and improvement plan. For the effectiveness of work, the efficiency of processes should be analyzed in detail. Among the indicators that need to be determined after the completion of the process is the conversion, ROI (allows you to estimate the real benefits of optimization). Additionally, there are Retention Rate and Repeat Purchasing Rate, which will also show in more detail the efficiency of optimizing interaction points in CJP. There are software solutions for creating CJP that will help structure large amounts of data. Among such software products are Miro, UX Pressia. Touchpoint Dashboard, Smaply and others.

Thus, the implementation of the omnichannel approach requires the synchronization of marketing and information technology. Omnichannel marketing depends heavily on consumer data to track customer experience across different channels. The feature of omnichannel marketing is that from each point of interaction with the company (brand) you can get information about the customer, track his path and have a general picture of moving through the stages of making a purchase decision (Forrester Research Inc.). The implementation of such strategy requires a large number of all types of resources associated with the need to process a huge amount of consumer data coming from all channels of the enterprise: website, mobile applications, physical stores, social networks, contact center. Combining data from different sources and providing it to users in a unified form provides a significant advantage to any business. This is impossible without an integrating platform (eSputnik, Terrasoft, Mindbox, Synerise, Sendpulse, Sendsay and others). This process is carried out by integrating and using interaction interfaces (APIs) between different platforms that automate different processes.

Thus, in order to start creating an omnichannel marketing strategy you need:

1. To examine the target audience of potential consumers and how they can be reached. With a clear idea of how customers interact with the enterprise (brand), integrated communications that work together to encourage customers to convert can be formed.
2. To segment your consumers. The segmentation process involves structuring and grouping customers based on different demographics, such as gender, geography, age, income. By dividing consumers into units according to their key differences, the customer experience can be set up.
3. To choose communication channels. That is, to choose which channels to use, first determining where consumers want to receive information (online resources, social networks, e-mail, etc.). The main thing is to ensure coherence of marketing for all channels.
4. To track the Customer Journey Map. Identify different points of interaction through which consumers will pass from the first contact to the final purchase. You need to find out where customers come from and how they interact with marketing, then you can tailor advertising to their specific interactions and focus marketing on the right channels.

Omnichannel marketing allows you to increase the base of active consumers and reduce their outflow, create a positive customer experience, ensure the growth of Brand Awareness, thereby increasing the financial efficiency of the enterprise. Among the indicators of economic efficiency, the following ones should be indicated:

– high conversion rate at each stage of interaction;

– high return of investment (ROI) at each stage of the interaction, as the points of interaction are more personalized;

– loud and adaptive strategy that allows you to optimize processes quickly;

– high LTV (Lifetime Value – the life cycle of the client – the total profit received from one client for all time);

– high level of customer satisfaction and decrease of CAC (Cost of Customer Acquisition);

– management and coordination of the use of integrated marketing channels through a single center;

– business development and scaling.

**Conclusions.** Having identified the basic principles of omnichannel marketing technology, we came to understand the need for the transition of enterprises from the traditional, multichannel approach to omnichannel one. The main goal of omnichannel marketing approach is to create a simple and comfortable customer experience that allows the consumer, regardless of location and information device, to contact the company (brand). The implementation of omnichannel approach in marketing will have a positive effect on sales, customer confidence, and therefore the desire to return to make repeat purchases. The company has the opportunity to design a range of products and services more efficiently, manage prices and the customer's life cycle. It allows to get new customers, expand part of the market, help analyze customers and personalize sales funnel. Ultimately, all these things give an opportunity to improve the efficiency of sales and business in general. Consequently, in order to create an effective omnichannel experience, it is necessary to have a precise marketing strategy, which is based on the consumer data, detailed segmentation and a coherent plan for personalized interaction with the customer.

## References


1. How the habits of Ukrainian Internet buyers are changing. The results of the CBR research. URL: retailers.ua/news/menedjment/11463-kak-menyayutsya-privyichki-ukrainskii-internet-pokupateley-rezultatyi-issledovaniya-cbr
2. Kotler F. (2018) Marketing 4.0: Moving from Traditional to Digital / Ph. Kotler, H. Katrajaya, I. Setiawan; transl. from Eng. by K. Kunytska and O. Zamaieva.
3. Kotler F. (2016) Marketing management / Ph. Kotler, K. L. Keller – 800 p.
4. What is Omni channel marketing? Retrieved from URL: www.adindex.ua/omnikanalnyj-marketing-chto-jeto-takoe/
5. Omni channel Marketing: Definition and Key Components. Retrieved from URL: www.masterclass.com/articles/omnichannel-marketing-explained#what-is-omnichannel-marketing
6. How to build and use a Customer Journey Map. URL: esputnik.com/blog/customer-journey-map-na-primerah
7. Forrester Research Inc. A Guide To CPG Sales And Channel Management In A Digital World. – Cambridge (United States). – 2014. – 11p. – P. 3.

# მრავალარხიანი მარკეტინგი, როგორც მომხმარებელთან ურთიერთქმედების ეფექტური სტრატეგიის შექმნის ახალი შესაძლებლობა

ელენა ბაკულიჩი
Ph.D., ტრანსპორტის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინა,
bakulich.elena@gmail.com

**ანტონ ბოკი**
ტრანსპორტის ეროვნული უნივერსიტეტის მენეჯმენტის კათედრის ასპირანტი, უკრაინა,
bokiy24@gmail.com

**საკვანძო სიტყვები:** მარკეტინგი; მრავალარხიანი მარკეტინგი; მრავალარხიანი მარკეტინგი; მარკეტინგული სტრატეგია; მარკეტინგული რეკლამა.
**J.E.L. classification:** M300, M310, M370
DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.05

**ციტირებისთვის:** Bakulich O., Bokyi A., (2022) Omnichannel marketing as a new opportunity to build an effective consumer interaction strategy. Vol. 17, 1(23), p. 84–90. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.05

**რეზიუმე**

*სტატია ეძღვნება მრავალარხიანი მარკეტინგის ტექნოლოგიის პრინციპების კვლევას და მის განსაზღვრას, როგორც მომხმარებელთან ურთიერთობის და საწარმოს ეფექტიანობის გაზრდის საშუალებას.*

*ციფრული მარკეტინგის განვითარებასთან ერთად, საჭიროა ახალი სტრატეგიული მიდგომები და ტექნოლოგიები, რომლებსაც შეუძლიათ შეინარჩუნონ არსებული მომხმარებლები და მოიზიდონ ახალი, დაამყარონ გრძელვადიანი ურთიერთობები.*

*მრავალარხიანი მარკეტინგის მიდგომის მთავარი მიზანია შექმნას მარტივი და კომფორტული გამოცდილება, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მდებარეობის და საინფორმაციო მოწყობილობის განურჩევლად დაუკავშირდეს კომპანიას (ბრენდს). მარკეტინგში მრავალარხიანი მიდგომის დანერგვა დადებითად აისახება გაყიდვებზე, მომხმარებელთა ნდობაზე და შესაბამისად, განმეორებითი შესყიდვების განხორციელების სურვილზე. კომპანიას შეუძლია უფრო ეფექტურად განსაზღვროს პროდუქციის ან მომსახურების ასორტიმენტი და ფასების მართვა.*

*ასეთი საქმიანობა მოიზიდავს ახალ მომხმარებლებს, გააფართოვებს ბაზრის წილს, დაეხმარება მომხმარებელთა ქცევის ანალიზს, საბოლოო ჯამში, კი იძლევა გაყიდვების და ზოგადად ბიზნესის ეფექტიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობას.*

# ანტიკრიზისული მენეჯმენტის გამოყენება ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფაში

**გოდერძი შანიძე**
ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, goderdzi.shanidze@unik.edu.ge

**საკვანძო სიტყვები:** ანტიკრიზისული მენეჯმენტი; რისკების მართვა; სურსათით თვითუზრუნველყოფა; აგრობიზნესი; იმპორტი; ექსპორტი;

**J.E.L. classification:** O2, Q10, Q18, DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.10

**ციტირებისთვის:** შანიძე გ., (2022) ანტიკრიზისული მენეჯმენტის გამოყენება ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფაში. ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 91-97. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.10

**ანოტაცია.** *გლობალური პრობლემების პირობებში ყველა ქვეყანა ცდილობს მოსახლეობა უზრუნველყოს აუცილებელი საკვები პროდუქტებით. საქართველოს საექსპორტო და საიმპორტო ბაზრები უკანასკნელ პერიოდში დიდად იყო დაკავშირებული რუსეთთან. მას შემდეგ, რაც რუსეთი ჩართულია მიმდინარე ომში (იგულისხმება რუსეთ-უკრაინის ომი), ჩვენი ქვეყნის სურსათით მომარაგებას და საექსპორტო პროდუქციის გატანასაც პრობლემები შეექმნა.*

*სწორედ ამიტომ, აუცილებელია ჩვენმა ქვეყანამ გადახედოს საექსპორტო და საიმპორტო ბაზრების დივერსიფიცირების საკითხს და ამ პრობლემის მოგვარებისას გამოიყენოს ანტიკრიზისული მენეჯმენტისა და რისკების მართვის შესაბამისი საკითხები. უპირველესად ეს ეხება ქვეყანაში არსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პოტენციალი სრულად ათვისებას, ბაზრების დივერსიფიცირება და უცხოური ინვესტიციების შემოდინებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა.*

*რაც უფრო მეტი პროდუქცია იქმნება, მეტი ინვესტიცია შემოდის და პირიქით, რაც უფრო მეტი პროდუქტი გადის ქვეყნის გარეთ, მით უფრო ნაკლები იქნება კრიზისის უარყოფითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, ბიზნესზე და საზოგადოებაზე.*

## შესავალი

მიმდინარე გეოპოლიტიკური და ეკონომიკური საფრთხეებიდან გამომდინარე (იგულისხმება რუსეთ-უკრაინის ომი), საკმაოდ აქტუალურია იმ თემის ანალიზი, რომელიც შეეხება საქართველოს მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის საკითხს. უმნიშვნელოვანესია, არსებული აგროსასურსათო პროდუქტის წარმოების პოტენციალის სრული ათვისება, მისი ეფექტიანად გამოყენება და ქვეყნის მომარაგების არხების სწორი გათვლა. საყურადღებოა, რომ მანამდე არსებული საიმპორტო და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება საჭირო და განსახორციელებელია. ასევე, ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის საკითხების

მოგვარებისას აუცილებლად გამოსაყენებელია ანტიკრიზისული მენეჯმენტის საკითხები.

**ძირითადი ნაწილი**

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ განსაზღვრული და ცნობილია ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ძირითადი საკვები პროდუქტები, რომელთა მიღებაც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისათვის. ესენია: ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი. ამ მაღალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტების მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ მოსახლეობის მოთხოვნილებები დაკმაყოფილდეს არსებული გამოწვევებისას.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) განმარტებით, სასურსათო უსაფრთხოება შესაძლებელია შეფასდეს თვითუზრუნველყოფის ინდექსებით, რომლითაც შეიძლება გავზომოთ, თუ რა დონით შეუძლია ქვეყანას უზრუნველყოს ადგილობრივი წარმოებით, მოცემულ პროდუქტებზე საკუთარი მოთხოვნები.

საქართველოს სამომხმარებლო კალათაში სურსათის წილი ყველაზე მაღალია 30,23% (პროდუქტების კატეგორიების წონები, სურსათით უზრუნველყოფის ხილული საფრთხეები, 2022:2), სწორედ ამიტომ, საინტერესოა რამდენად შეუძლია ქვეყანას, მოსახლეობის უზრუნველყოფა, ძირითადი კვებითი ღირებულების მქონე საკვები პროდუქტებით (თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად: ადგილობრივი წარმოების თანაფარდობა ადგილობრივი წარმოების და იმპორტის ჯამთან. ექსპორტის გამოკლებით, 100-ზე ნამრავლით).

2020-2021 წლების მონაცემებით, ჩვენი ქვეყნის ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 15%-ს არ აღემატებოდა. საქართველოში ხორბლის უმთავრესი იმპორტიორი რუსეთია. რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ნეგატიურმა გავლენებმა, შექმნილმა დეფიციტმა, რუსეთის მიმართ გატარებულმა სანქციებმა შეიძლება რუსეთიდან შემოტანილ ტვირთებს პრობლემები შეუქმნას, ყოველივე ამის გათვალისწინებით დღის წესრიგში დგება ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძებნის აუცილებლობა, საიდანაც მოხდება შესაძლო დანაკლისის შევსება.

კონფლიქტის მეორე მხარეს - უკრაინას კი ევროკომისია პირიქით ეხმარება, რათა უპრობლემოდ მოხდეს უკრაინიდან მილიონობით ტონა მარცვლეულის ექსპორტი, რომელიც რუსეთს აქვს ბლოკირებული. უკრაინიდან, ევროკავშირის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, სამი თვეზე ნაკლებ დროში, 20 მლნ ტონა მარცვლეული უნდა გავიდეს. 2020-2021 წლებში უკრაინა მსოფლიოში მარცვლეულის სიდიდით მეოთხე ექსპორტიორი იყო. მოცემულ პერიოდში ქვეყანამ თითქმის 45 მლნ ტონა მარცვეული გაიტანა ექსპორტზე ჩინეთში, აფრიკასა და ევროპაში (ვარადაშვილი, 2022:1). ამიტომ, ბაზრების დივერსიფიცირების დროს, უნდა მივიღოთ რაციონალური გადაწყვეტილება, რათა ქვეყნის სურსათით მომარაგების საკითხს პრობლემა არ შეექმნას.

2021 წლის მონაცემებით ხორბლის 94% და სიმინდის 79% რუსეთიდან შემოდიოდა (იხ. ნახ. 1)

ცხრილი 1

ხორბლისა და სიმინდის იმპორტი 2021 წელს (პირველი სამი ქვეყანა)




| | ხორბალი | სიმინდი | | |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 94% | | | |
| ამერიკა | 5% | | | |
| სომხეთი | 1% | | | |
| რუსეთი. | | 79% | | |
| თურქეთი | | 11% | | |
| ავსტრია | | 2% | | |

წყარო: act-global.com; საქსტატი. სურსათით უზრუნველყოფის ხილული საფრთხეები გვ-4-5;

ასეთივე მდგომარეობაა ბოსტნეულზეც, რომლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 63%-ია. თითქოს ჩანს, რომ ბოსტნეულით შეგვიძლია ქვეყანაში არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება, მაგრამ 1/3-ის შევსება იმპორტირებული პროდუქტებით გვიწევს.

საქართველოში ძირითადად უკრაინიდან რძის პროდუქტები (რძის ფხვლი) შემოდის. 2021 წლის მონაცემებით უკრაინიდან და ბელორუსიიდან ჯამში აღნიშნული პროდუქციის 37% შემოვიდა. უკრაინა კვერცხისა და ფრინველის ხორცის შემთხვევაში რიგით მესამე იმპორტიორი ქვეყანაა, ხოლო ხორცის შემთხვევაში რიგით მეორე ქვეყანა.

როდესაც ქვეყანა იმყოფება საომარ მოქმედებაში, ბუნებრივია, რომ პროდუქციის მოწოდების ჯაჭვი არ იქნება საიმედო. ასევე, შესაძლებელია მოხდეს მასზე ფასების მატება, სწორედ ამიტომ გვჭირდება პროდუქციის მოწოდების ალტერნატიული გზების და ალტერნატიული მომწოდებლების ძიება.

საომარი მოქმედებების გავლენა ასევე თვალსაჩინო იქნება ჩვენი ქვეყნიდან პროდუქციის ექსპორტზეც. ადგილობრივი წარმოების ექსპორტის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ყურძნის პროდუქტები და მათ შორის ღვინო. აღნიშნული პროდუქტების ექსპორტი დაახლოებით 60%-მდე ხორციელდება რუსეთში, 10%-მდე უკრაინაში და 8%-მდე ჩინეთში (იხ. ნახ. 2). (სურსათით უზრუნველყოფის ხილული საფრთხეები, 2022:6) მაღალია ასევე ბოსტნეულის ექსპორტი რუსეთში (64%).

ცხრილი 2

ღვინის ექსპორტი 2021 წელს




| | 2021 წელი | | |
|---|---|---|---|
| ჩინეთი | 8% | | |
| უკრაინა | 10% | | |
| რუსეთი | 60% | | |

წყარო: act-global.com სურსათით უზრუნველყოფის ხილული საფრთხეები გვ-6; საქსტატი

არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, საყურადღებოა საექსპორტო ბაზრების მეტი დივერსიფიკაცია და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან უფრო მეტად აქტიურ ვაჭრობაზე გადასვლა.

როდესაც ქვეყანაში ასეთი დონის კრიზისი შეიქმნება, აუცილებელია ხელისუფლების ჩარევა, ანტიკრიზისული ღონისძიებების შემუშავება და პრობლემების დროულად მოგვარება.

რაში უნდა მდგომარეობდეს ხელისუფლების როლი? უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებას ევალება დაიცვას საზოგადოებრივი ინტერესები, ქვეყნის სტაბილურობა, ხელი შეუწყოს მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფას და ა.შ.

სახელმწიფომ 3 მთავარი მიმართულებით უნდა იმოქმედოს:

1. ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, გააუმჯობესოს გარემო, ხელი შეუწყოს მათ კოოპერაციას და ა.შ. ყოველივე ეს აუცილებელია კრიზისის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად;

2. ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში, რომელიც არბილებს კრიზისის ფონს;

3. ექსპორტის მაქსიმალური ხელშეწყობა, ხელისუფლება უნდა იყოს ბიზნესის დამაკავშირებელი გარე სამყაროსთან, რომელმაც უნდა შექმნას ყველანაირი პირობა ექსპორტის ზრდისათვის. (ქეშელაშვილი, 2019: 43)

ბიზნესსაც არანაკლები როლი აქვს კრიზისის პორობებში. მისი მთავარი ვალდებულებაა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა. ბიზნესის უმთავრესი ამოცანებია: 1. გახდნენ უფრო ეფექტიანები, დახვეწონ საქმიანობის სტრატეგია, მართვის სისტემა და გადაწყვეტილებებთან შესაბამისობაში მოიყვანონ. ბიზნესისათვის უმნიშვნელოვანესია მისი თითოეული რგოლის გამართული მუშაობა და იმის აღქმა

თუ რა სარგებელს ქმნის საზოგადოებისათვის.
2. წარმოებული პროდუქტის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, მისთვის პრიორიტეტული მომხმარებლის მოთხოვნილებებისგათვალისწინება.კრიზისის დროს ყველა კომპანიამ უნდა იზრუნოს ხარისხის გაუმჯობესებაზე, სხვა შემთხვევაში ბიზნესი ვერ შეძლებს ექსპორტის გაზრდას.
3. გააფართოვოს უცხოური კონტაქტები, ამისათვის უნდა გამოიყენოს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივი შესაძლებლობები (ქეშელაშვილი, 2019:49).

კრიზისის დროს ყველაზე მეტად რისკის ქვეშ დგას საზოგადოება, რომლის თითოეული წევრი ვალდებულია ლოიალური და აქტიური იყოს ქართული პროდუქციის მიმართ, უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება მეტი ქართული პროდუქცია იყიდოს და ამას უნდა აკეთებდეს არა სამომხმარებლო მოტივაციით, არამედ იმის ღრმა შეგნებით, რომ მისი ასეთი ნაბიჯი არის ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაში შეტანილი პირადი წვლილი. მომხმარებლების ასეთი დამოკიდებულება ეროვნულ კომპანიებს მისცემს უფრო ეფექტიანი მოქმედების საშუალებას

## დასკვნა

1. უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ქვეყანაში არსებული რესურსების მიმართვა ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის კოეფიციენტის გასაუმჯობესებლად.
2. ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისას პრიორიტეტების მინიჭება ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის კოეფიციენტის გამაუმჯობესებელ პროექტებზე.
3. როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის ბაზრების დივერსიფიცირების გზების ძიება და დროული გამოვლენა.
4. სახელმწიფოსა და კომპანიების მართვის პროცესში, ანტიკრიზისული მენეჯმენტისა და რისკების მართვის საკითხების გათვალისწინება, გადაწყვეტილებების მიღებისას.

## ლიტერატურა

1. სურსათით უზრუნველყოფის ხილული საფრთხეები (2022) URL:https://act-global.com/ka/georgia/insight/sursatit-uzrunvelqofis-khiluli-safrtkheebi (28.03.2022)
2. ვარადაშვილი მ., საქართველოს ბიზნეს მედეა (2022) URL:https://bm.ge/ka/article/eu-apirebs-ukrainas-marcvleulis-eqsportshi-daexmaros/108714/ (12.05.2022)
3. ქეშელაშვილიგ.,(2019)ანტიკრიზისული მენეჯმენტი, თბილისი URL:https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/antikriz.menejm.pdf გვ.43-49.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური URL: https://www.geostat.ge/
5. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სამომხმარებლო კალათა პროდუქტების კატეგორიების წონები. (2022) საქართველოს URL:https://act-global.com/ka/georgia/insight/sursatit-uzrunvelqofis-khiluli-safrtkheebi (28.03.2022)
6. HS- საერთაშორისო ჰარმონიზაციული სისტემა, რომელიც გამოიყენება საბაჟო ოპერაციებისას პროდუქტის კატეგორიზაციისათვის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. URL:https://act-global.com/ka/georgia/insight/sursatit-uzrunvelqofis-khiluli-safrtkheebi (28.03.2022)

# USE OF ANTI-CRISIS MANAGEMENT IN THE COUNTRY'S FOOD SUPPLY

**Goderdzi Shanidze**
Doctor of Business and Management, Associate Professor of Kutaisi University and Akaki Tsereteli State University, goderdzi.shanidze@unik.edu.ge

**KEY WORDS:** anti-crisis management; Risk management; Food self-supply; Agribusiness; Import; Export.
**J.E.L. classification:** Q10, Q18, Q38
DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.10

**For citation:** Shanidze G., (2022) Use of Anti-crisis Management in the Country's Food Supply (in Georgian). Vol. 17, 1(23), p. 91-97. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.10

## Summary

Due to the current geopolitical and economic threats (meaning the Russia-Ukraine war), the analysis of the issue of food supply to the population of Georgia is quite actual. The most important thing is to fully utilize the production potential of the existing agri-food products, use them efficiently and calculate the country's supply channels correctly. It is noteworthy that the diversification of pre-existing import and export markets is necessary and feasible, and also, anti-crisis management issues are definitely applicable when addressing the country's food supply issues.

Defined and known to our country by the Statistics Service of Georgia, the main food products of strategic importance, which are necessary for the human body, are: wheat, corn, potatoes, vegetables, meat, milk and dairy products, eggs. Analysis of data on these high nutritional value products reveals that the state has a lot to do to meet the needs of the population in the face of existing challenges.

According to the Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), food security can be measured by self-supply index, which can measure the extent to which a country can meet its local requirements for a given product.

The share of food in the consumer basket of Georgia is the highest 30.23%, that is why it is interesting how much the country can provide the population with food products with basic nutritional value.

According to the data of 2020-2021, for example, the wheat self-supply ratio of our country did not exceed 15%. Russia is the main importer of wheat in Georgia.

Negative impacts as a result of the Russia-Ukraine war, the created deficit, the sanctions imposed on Russia can create problems for the cargo imported from Russia, taking into account all mentioned facts, the need to find new trading partners is on the agenda, from which the possible shortfall will be filled.

According to 2021 data, 94% of wheat and 79% of corn were imported from Russia. The same is true for vegetables, whose self-supply rate is 63%. It seems that we can meet the needs of the country with vegetables, but we have to fill 1/3 with imported products.

Georgia mainly imports dairy products (milk powder), according to 2021 data, 37% of the total products were imported from Ukraine and Belarus. Ukraine is the third largest importer of eggs and poultry and the second largest importer of meat.

When a country is at war, it is natural that the supply chain of products will not be reliable, it is also possible that prices will increase, that is why we need to look for alternative ways of supplying products and alternative suppliers.

The impact of hostilities will also be visible on

the export of products from our country. Grape products, including wine, have a high rate of local exports. About 60% of these products are exported to Russia, up to 10% to Ukraine and up to 8% to China, while vegetables are also exported to Russia (64%).

When such a level of crisis is created in the country, it is necessary for the government to intervene, develop anti-crisis measures and solve the problems in a timely manner.

The state should act in 3 main directions: 1. To promote the development of small and medium-sized businesses, to improve the environment, to promote their cooperation, etc., all of which are necessary to reduce the negative consequences of the crisis; 2. Attracting investment to the country, which softens the background of the crisis and allows the country to breathe; 3. Maximum export promotion, the government should be the link between the business and the outside world, which should create all the conditions for the growth of exports.

Business has no less role in crisis situations, its main obligation is to bring the country out of crisis. The main tasks of the business are: 1. To become more efficient, to refine the business strategy, the management system and to bring it in line with the decisions. The most important thing for a business is the proper work of each of its links and the perception of what benefits it creates for the society. 2. Improving the quality of the produced product and service, taking into account the needs of the priority customer. In times of crisis, all companies must take care to improve quality, otherwise businesses will not be able to increase exports. 3. To expand foreign contacts, there should be used both private and public opportunities.

Taking into consideration all mentioned above, we can conclude that: 1. First of all, it is necessary to use the resources available in the country to improve the country's food supply ratio. 2. Prioritize projects to improve the country's food supply ratio when implementing state business support programs. 3. Search and timely detection of ways to diversify both import and export markets. 4. In the process of managing the state and companies, take into account the issues of anti-crisis management and risk management when making decisions.

## References

1. Visible threats of food supply (2022) URL: https://act-global.com/ka/georgia/insight/sursatit-uzrunvelqofis-khiluli-safrtkheebi (28.03.2022)

2. Varadashvili, M. (2022) Business Medea of Georgia URL:https://bm.ge/ka/article/eu-apirebs-ukrainas-marcvleulis-eqsportshi-daexmaros/108714/ (12.05.2022)

3. Keshelashvili, G. (2019) Anti-Crisis Management, Tbilisi URL:https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/antikriz.menejm.pdf pp.43-49.

4. National Statistics Office of Georgia. URL:https://www.geostat.ge/

5. Weights of consumer basket product categories, (2022) National Statistics Office of Georgia. URL:https://act-global.com/ka/georgia/insight/sursatit-uzrunvelqofis-khiluli-safrtkheebi (28.03.2022)

6. HS- International harmonization system used for product categorization in customs operations. National Statistics Office of Georgia URL:https://act-global.com/ka/georgia/insight/sursatit-uzrunvelqofis-khiluli-safrtkheebi (28.03.2022)

# განათლების მენეჯმენტის გამოწვევები პანდემიით შექმნილ რეალობაში (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე)

**ნანა ლუხუტაშვილი**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი,
nana.lukhutashvili@atsu.edu.ge

**თეა ვალიშვილი**
ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
tea.valishvili@atsu.edu.ge

**ლია გენელიძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი
lia,genelidze@atsu.edu.ge

**საკვანძო სიტყვები:** დისტანციური სწავლება; პანდემია; პოსტპანდემია; უმაღლესი განათლება; ჰიბრიდული სწავლება.
**J.E.L. classification:** I20, I23 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.12

**ანოტაცია.** *COVID-19-ის გამოწვევას განსხვავებულად შეხვდნენ როგორც ქვეყნები, აგრეთვე ცალკეული დარგები. ბუნებრივია ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათ შორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი იძულებული გახდა დაჩქარებულად გადასულიყო სწავლების ახალ რელსებზე. სტატიაში განხილულია პანდემიით შექმნილ რეალობაში წამოჭრილი პრობლემები და მათზე რეაგირების ღონისძიებები; დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის ოპერატიულობის, პროცესის მენეჯმენტის, შესაბამისი ტექნიკური და ინფორმაციული მხარდაჭერის, ელექტრონული სწავლებით სტუდენტთა კმაყოფილების შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.*

**ციტირებისთვის:** ლუხუტაშვილი ნ., ვალიშვილი თ., გენელიძე ლ., (2022) განათლების მენეჯმენტის გამოწვევები პანდემიით შექმნილ რეალობაში (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე). ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 98-108. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.12

## შესავალი

ყველასათვის ნათელია, რომ პანდემიამ მნიშვნელოვნად დააკორექტირა გლობალური პროცესები და სამყარო აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც პანდემიამდე იყო. COVID-19-ის გამოწვევას განსხვავებულად დახვდნენ როგორც ქვეყნები, აგრეთვე ცალკეული დარგები. პანდემია გარკვეულ წილად დაგროვილი პრობლემებისა და ნაკლოვანებების კატალიზატორის როლში მოგვევლინა. ბუნებრივია, რომ ცვლილებები შეეხო განათლების სფეროსაც, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური და

სოციალური ცვლილების მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე დარგია. მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ქვეყანაში არსებულ განათლების დონესთან მჭიდრო კავშირი არაერთი სოციალური კვლევით დადასტურებულა. (Edgerton J.D. … 2012: 265)

**პანდემიის გავლენა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების (უსდ) მენეჯმენტსა და სასწავლო პროცესის წარმართვაზე**

პანდემიის დაწყებისთანავე, არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (NAFSA, International Association of Universities, UNESCO, Institute of International Education (IIE), European Association of International Education (EAIE) და სხვა) ჩაატარა მასშტაბური კვლევები საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტსა და სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის მიზნით. მათ მიერ გამოკითხულიიქნაროგორცსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები და ლექტორ-მასწავლებლები, ასევე სტუდენტები, მშობლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. კვლევების მიზანი იყო ცვლილებების მასშტაბების შეფასება და უსდ-ებისათვის დახმარების გაწევა მენეჯმენტის, ინტერნაციონალიზაციის, სასწავლო პროცესის წარმართვისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით სამომავლო სტრატეგიების შემუშავებაში. (Bolgova et al.,2021:13). ამასთან, პანდემიის პერიოდში კვლევების ანგარიშები დაჩქარებული წესით ქვეყნდებოდა, რაც მიზნად ისახავდა უნივერსიტეტებისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიწოდებას.

მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობაში დისტანციური სწავლება განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებოდა, ონლაინ სწავლებაზე გადასვლა და დისტანციური სწავლების აქტუალობა გლობალური პანდემიის დაწყებამ განაპირობა. პირველ ცხრილში წარმოდგენილია სტუდენტთა რაოდენობა მსოფლიოს რეგიონების მიხედვით, რომელთა სასწავლო პროცესი შეიცვალა პანდემიის გამო.

ცხრილი 1

სტუდენტთა რაოდენობა მსოფლიოს რეგიონების მიხედვით, რომელთა სასწავლო პროცესი შეიცვალა პანდემიის გამო

| რეგიონები | დისტანციურ სწავლებაზე, გადასულ სტუდენტთა რაოდენობა, კაცი | სულ სტუდენტთა რაოდენობა, კაცი | დისტანციურ სწავლებაზე გადასულ სტუდენტთა წილი, % |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთ აზია და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი | 72 391 422 | 73 538 139 | 98 |
| ევროპა და ცენტრალური აზია | 36 984 926 | 38 030 033 | 97 |
| ლათინური ამერიკა | 27 007 997 | 27 111 868 | 100 |
| ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა | 14 282 666 | 13 282 666 | 100 |
| ჩრდილოეთი ამერიკა | 20 640 820 | 20 640 820 | 100 |

| | | | |
|---|---|---|---|
| სამხრეთი აზია | 40 468 728 | 40 468 728 | 100 |
| სუბსაჰარული აფრიკა | 8 399 127 | 8 533 188 | 98 |
| მთლიანად | 220 139 750 | 222 605 496 | 99 |

წყარო: მსოფლიო ბანკი. http://pubdocs.worldbank.org/en/621991586463915490/WB-Tertiary-Ed-and-Covid-19-Crisis-for-public-use-April-9.pdf

მსოფლიოში შექმნილი ვითარების გამო, ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებიც იძულებული გახდნენ გადასულიყვნენ სწავლების ახალ რელსებზე. საქართველოში კოვიდ19-ის მიერ შექმნილი მდგომარეობის გამო, სწავლების ახალი ფორმისთვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნის მიზნით, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში განხორციელდა ცვლილებები და დაემატა ტერმინები "დისტანციური" და „ელექტრონული" სწავლება. განმარტებების მიხედვით ორივე ფორმატით სწავლებისას აუცილებელია: სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალს შორის სივრცეში დაშორება; ასევე სასწავლო პროცესის ICT-ს საფუძველზე განხორციელება. (ბაქრაძე, 2020: 28)

ახალმა გამოწვევამ საგანმანათლებლო დაწესებულებების, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტების წინაშე ბევრი პრობლემა წამოჭრა, მათ შორის:

1. მნიშვნელოვანი ცვლილებები გაეტარებინათ უნივერსიტეტების მენეჯმენტში ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით;
2. ტრადიციული სასწავლო პროცესი ჩაენაცვლებინათ ონლაინ სწავლების მეთოდით;
3. ონლაინ სწავლებაზე გადასვლის მიუხედავად, დაეცვათ ხარისხის შესაბამისი სტანდარტები და შეემუშავებინათ განსხვავებული მიდგომები - ონლაინ რეჟიმში სწავლების პროცესის წარმართვის მიუხედავად, მიღწეული უნდა ყოფილიყო საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული შედეგები.
4. წარმოიშვა სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადების, მხარდაჭერისა და ტექნიკური უზრუნველყოფის აუცილებლობა - ციფრულ ტექნოლოგიაში პროფესიული განვითარება და მუდმივი მხარდაჭერა; სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საინფორმაციო ვიდეორგოლებისა და მასალების მომზადება;
5. პრობლემა შეიქმნა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობისა და შეზღუდულ ინტერნეტთან დაკავშირებით;
6. შეიქმნა შესაბამისი საგანმანათლებლო პლატფორმების აუცილებლობა, რისთვისაც უნივერსიტეტებს მოუწიათ შეეძინათ შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა (Microsoft Teams, Zoom, Google Meet და სხვა).
7. წინა პლანზე წამოიწია ციფრულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებულმა ინფრასტრუქტურამ, ხოლო მატერიალურმა ინფრასტრუქტურამ გადაინაცვლა მეორეზე. საჭირო გახდა სასწავლო კურსების შესაბამისი ლიტერატურისა და მასალების გაციფრულება; ელექტრონული სახელმძღვანელოების, სხვა დამხმარე ელექტრონული მასალებისა და ვირტუალური ლაბორატორიების, ლექციის აუდიო - ვიდეო ჩანაწერების, სწავლების მართვის სისტემების შექმნა ან არსებულის გაუმჯობესება.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრა უნივერსიტეტებისაგან მართვის პროცესში ოპერატიულობას მოითხოვდა.

საქართველოსუმაღლესმასაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, მათ შორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სწრაფად მოახდინა რეაგირება ფორსმაჟორულ სიტუაციაში და შეცვალა შრომის პირობები, განახორციელა ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ინფექციის გავრცელების შემცირებასა და სწავლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. განხორციელდა სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა.

**დისტანციური სწავლების გამოცდილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში**

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის ოპერატიულობის, პროცესის მენეჯმენტის, შესაბამისი ტექნიკური და ინფორმაციული მხარდაჭერის, ელექტრონულ სწავლებით სტუდენტთა კმაყოფილების შესწავლის მიზნით, ჩატარდა აკაკი წერეთლის

დიაგრამა 1.




დიაგრამა 2.



დიაგრამა 3.

რა პრობლემებს წააწყდით დისტანციურ სწავლებაში ჩართვის შემდეგ?




დიაგრამა 4.

რა დადებითი მახასიათებლები აქვს დისტანციურ (ელექტრონულ) სწავლებას? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე ვარიანტი)




| საშუალება მაქვს დავესწრო მეცადინეობებს სამსახურიდან მოცდენის გარეშე | ნარჩუნდება ეფექტური ურთიერთობა სტუდენტებსა და ლექტორებს შორის | სტუდენტები უფრო აქტიურად ესწრებიან ლექციებს | სრულადაა უზრუნველყოფილი უსაფრთხოება | თავიდან ავიცილებთ სასწავლო პროცესის შეწყვეტას/შეჩერებას | შესაძლებელია ჩანაწერის განმეორებით მოსმენა |
|---|---|---|---|---|---|
| 508 | 302 | 368 | 286 | 970 | 972 |

დიაგრამა 5

თქვენი აზრით რამდენად ეფექტურად გაუმკლავდა უნივერსიტეტი ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლას?




ჯამში გამოკითხული სტუდენტების აზრით უნივერსიტეტი ელ.სწავლებაზე გადასვლას 4.15 ქულაზე გაუმკლავდა (5 ქულიდან)

დიაგრამა 6

თქვენთვის რამდენად მისაღებია მომავალში დისტანციური (ელექტრონული) სწავლების ელემენტების გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესში?



დიაგრამა 7

**რამდენად საინტერესო და სასარგებლო გამოცდილება იყო თქვენთვის ელექტრონული სწავლების გამოყენება სასწავლო პროცესში?**




**ონლაინ სწავლების პროცესის კმაყოფილებით მიღებული გამოცდილების საშუალო შეფასება 4.16 არის (5 ქულიდან)**

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გამოკითხვა. სულ მონაწილეობა მიიღო 1505 სტუდენტმა სხვადასხვა ფაკულტეტიდან. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა წინასწარ სტრუქტურირებული ონლაინ-კითხვარი.

როგორც კვლევამ აჩვენა, სტუდენტთა უმრავლესობა პირველივე დღეებიდან ჩაერთო ონლაინ-სწავლების პროცესში. გამოკითხული სტუდენტების 95% კი ონლაინ სწავლებაში არაუგვიანეს ერთი თვისა ჩაერთო.

საგულისხმოა, რომ სტუდენტთა უმრავლესობას პანდემიამდე არ ჰქონია ონლაინ-სწავლების გამოცდილება და არ იცნობდნენ შესაბამის საგანმანათლებლო პორტალებს.

სტუდენტთა უმრავლესობისათვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ინტერნეტთან არასტაბულირი წვდომა და შესაბამისი ტექნიკის არარსებობა. ასევე დასახელდა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა, ახალი, უჩვეულო კომუნიკაციის ფორმა და კომპიუტერული უნარების ნაკლებობა.

მიუხედავად ყველაფრისა, სტუდენტთა უმრავლესობა ონლაინ-სწავლებაში დადებით მახასიათებლებსაც ხედავდა.

სტუდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი ეფექტურად გაუმკლავდა არსებულ გამოწვევებს. ჯამში გამოკითხული სტუდენტების აზრით უნივერსიტეტი ელ. სწავლებაზე გადასვლას 4.15 ქულაზე გაუმკლავდა (5 ქულიდან)

ერთ-ერთ საინტერესო ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი მათთვის მისაღებად მიიჩნევს ელექტრონული სწავლების ელემენტების პოსტპანდემიურ პერიოდში გამოყენებას (დიაგრამა 6) და თვლის, რომ ეს მათთვის სასარგებლო

გამოცდილება იყო, რამაც დამატებითი ახალი უნარ-ჩვევების შეძენას შეუწყო ხელი

**დასკვნა**

კვლევის შედეგად დისტანციური სწავლების პერიოდში გამოვლინდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

დისტანციური სწავლების დადებით მხარეებად შეგვიძლია მივიჩნიოთ:

- ხარჯების დაზოგვა ბინის ქირასა და ტრანსპორტზე;
- მეტი თავისუფალი დრო და ახალი საქმით დაკავების შესაძლებლობა;
- მეტი აქცენტის გაკეთება დამოუკიდებელ სწავლაზე;
- ახალი გამოცდილებისა და უნარების შეძენა/დაუფლება;
- ნებისმიერი ლოკაციიდან ლექციაზე ჩართვის შესაძლებლობა - დისტანციური სწავლება განსაკუთრებით ზრდის ხელმისაწვდომობას სოფლებსა და შორეულ რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისათვის.

ონლაინ სწავლების უარყოფით მხარეებს წარმოადგენს:

- რთულია სალექციო პროცესში სტუდენტთა ჩართულობაზე დაკვირვება განსაკუთრებით მაშინ, თუ ვიდეოკამერები არ არის ჩართული;
- საკმაო დროს მოითხოვს ლექციების დაგეგმვისა და საჭირო რესურსების გაციფრულების პროცესი;
- ლექცია იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ლექტორია მომზადებული და მოტივირებული;
- ტექნიკური პრობლემების წარმოშობის ალბათობა იზრდება;
- გაიზარდაგაჯეტებზედაკომპიუტერულ მოწყობილობებზე მიჯაჭვულობა, დაირღვა სწავლისა და პირადი ცხოვრების ბალანსი;
- ლექტორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისაგან მოითხოვს როგორც კომპიუტერულ, აგრეთვე უცხო ენის კომპეტენციებს. დღეისათვის ონლაინ-პლატფორმების მხოლოდ 0.02%-ია ქართულად, ხოლო ყველაზე მეტი, 60 %-ინგლისურად. (ჭანტურია, 2021: 29)

ფაქტი ერთია, რომ დისტანციურ სწავლებაზე „იძულებით" დაჩქარებულმა გადასვლამ, არსებითად ახალი რეალობის წინაშე დააყენა საგანმანათლებლო დაწესებულებები და მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვან გაანალიზებას მოითხოვს. ნათელია, რომ უახლოეს მომავალში გველოდება პროცესების უმრავლესობის „გაციფრულება" - დაწყებული ადმინისტრირებიდან და მართვიდან, დამთავრებული სწავლებით. დისტანციური და ჰიბრიდული სწავლების ელემენტების შენარჩუნება სასწავლო პროცესში საშუალებას მისცემს სტუდენტებს სამსახურიდან მოცდენის გარეშეც აქტიურად იყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში, პროფესორ-მასწავლებლებს - გაცილებით ეფექტიანად მართონ დრო, ხოლო უნივერსიტეტებს - დაზოგონ მატერიალური და ადამიანური რესურსი. ამასთან, დისტანციურ რეჟიმში გამარტივდა ინტერნაციონალიზაციის პროცესი. ფიზიკური მობილობის გარეშე შესაძლებელია უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში დისტანციური სასწავლო კურსებისა თუ პროგრამების ათვისება, გამოცდილების გაზიარება ნაკლები ფინანსური დანახარჯებით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა, რის საშუალებასაც იძლევა ახალი რეალობა, გახლავთ განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა, რაც თანამედროვე მსოფლიოს გაცხადებული პრიორიტეტია.

**ლიტერატურა:**


1. ბაქრაძე, ლ. (2020). ახალი საგანმანათლებლო რეალობა - ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები. თბილისი, Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი, გვ. 28
2. ჭანტურია, გ. (2021). დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომები- პრაქტიკული რეკომენდაციები. დისტანციური სწავლების მართვა პრაქტიკული სახელმძღვანელო სკოლის ადმინისტრატორებისთვის. თბილისი, საარი, გვ.29
3. Edgerton Jason D., Roberts Lance W., Below Susanne von (2012). Education and Quality of Life. In book: Handbook of Social Indicators and Quality of Life Research, Springer,pp. 265-296 DOI: 10.1007/978-94-007-2421-1_12 (J.D. Edgerton et al. 2012: 265)
4. World Bank Group Education (2020) The COVID-19 Crisis Response: Supporting tertiary education for continuity, adaptation, and innovation. Open Knowledge Repository. URL:https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/34571 (გადამოწმებულია: 7.05.2022)
5. Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი (2020) ახალი საგანმანათლებლო რეალობა - ტერმინები, გამოწვევები,რეკომენდაციები. გვ. 28
6. Bolgova V, Garanin M., et al. (2021) Post-Pandemic Education: Falling or Preparing for a Jump? Higher Education in Russia. Vol. 30. № 7.




## CHALLENGES OF EDUCATIONAL MANAGEMENT IN PANDEMIC REALITY (ON THE EXAMPLE OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY)


**Nana Lukhutashvili**

Doctor of Business Administration, Assistant Professor, Akaki Tsereteli State University, nana.lukhutashvili@atsu.edu.ge

**Tea Valishvili**

Doctor of Economics, Associate Professor, Akaki Tsereteli State University,

tea.valishvili@atsu.edu.ge

**Lia Genelidze**

Visitor Teacher, Akaki Tsereteli State University, Georgia

lia.genelidze@atsu.edu.ge



**KEY WORDS:** remote learning; pandemic; post pandemic; higher education; hybrid teaching.

**J.E.L. classification:** I20, I23 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.12

**For citation:** Lukhutashvili N., Valishvili T., Genelidze L., (2022) Challenges of Educational Management in Pandemic Reality (on the Example of Akaki Tsereteli State University) (in Georgian). Vol. 17, 1(23), p. 98-108. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.12


### Summary


The pandemic has significantly adjusted global processes. The world will never be the same as it was before the pandemic. The COVID-19 challenge was met differently by countries as well as individual industries. The pandemic has emerged as a catalyst for some of the accumulated problems and shortcomings. Naturally, the changes

also affected the educational field, which is one of the most sensitive sectors to economic and social change.

Since the outbreak of the pandemic, many international organizations have conducted large-scale surveys to address issues related to educational management and learning. They interviewed heads of educational institutions, lecturers, students, parents, and other stakeholders. The purpose of the research was to assess the scale of change and to assist higher education institution in developing future strategies in the areas of management, internationalization, management of the learning process, and other key areas.

Due to the situation around the world, the educational institutions of our country have been forced to move to the new levels of education. To create a legal basis for a new form of education in Georgia, the Law on Higher Education was amended, and the terms "remote" and "e-learning" were added. According to the explanations, teaching in both formats is necessary: the distance between the student and the academic staff; As well as implementation of the learning process based on ICT.

The new challenge posed many problems for educational institutions, especially for universities, including: to make significant changes to create a safe environment for health; To replace the traditional learning process with the online teaching method; To maintaining the appropriate quality standards and develop different approaches to achieve the outcomes set out in the educational programs; There was a need for training and technical support for students, academic and visiting staff for professional development in digital technology; To solve problems with appropriate technical equipment and limited internet; Universities had purchased appropriate software (Microsoft teams, zoom, etc.) for successful teaching process; It became necessary to digitize the relevant literature and materials of the learning courses, to create or improve text-books, audio or video recording.

Solving these problems required promptness from the universities in the management process. Higher education institutions in Georgia, including Akaki Tsereteli State University, responded quickly, implemented measures aimed at reducing the spread of infection and creating the safe environment for learning, which meant a transition to a remote learning. To study students' satisfaction with e-learning process we made a survey for the students of Akaki Tsereteli State University. 1505 students were participated in the survey, from different faculties. Online questionnaire was used as a research tool.

As the research showed, most of the students were involved in the online learning process from the very first days. 95% of the participants were involved in remote learning no later than one month. It is noteworthy that most of the students before the pandemic had no experience of online learning and were not familiar with the relevant educational portals.

A particular problem for most students was the unstable access to the Internet and the lack of appropriate equipment, also psychological unpreparedness, unusual forms of communication, and lack of computer skills were named. Despite all this, most of the students also saw positive features in remote learning: to attend lectures without missing a job, active and effective attendance at lectures, avoid interrupting the learning process, to re-watch the recording of the lecture etc.

Most of the students believe that the university has effectively dealt with the existing challenges. In total, transition to e-learning process, university got 4.15 points (out of 5 points). One of the

interesting trends can be that most of the students find it useful to use e-learning elements in the post-pandemic period too and believe that it was very useful experience, which facilitated the acquisition of additional new skills.

The research revealed both positive and negative aspects during the remote learning period. The advantages of remote learning can be considered: savings on apartment rent and transportation; more free time for new interests; focus more on independent learning; acquisition/mastering of new experiences and skills; ability to attend a lecture from any location. The disadvantages of remote learning can be considered: the difficulty of observing students' involvement in the lecture process; the duration of the lecture planning process and the digitization of the required resources; the lecture is as interesting as the lecturer is prepared and motivated; probability of occurrence of technical problems; riding on gadgets and computer devices, disturbing the balance of learning and personal life; possession of foreign language and computer skills.

The fact is that the "accelerated" transition to the remote learning has brought educational institutions to a fundamentally new reality, and the gained experience requires significant analysis. As it seems, soon we will have to "digitize" most of the processes - from administration and management to teaching. Maintaining elements of remote and hybrid learning in the learning process will enable students to be actively involved in the learning process without missing a job, teachers can manage time more efficiently, and universities to save material and human resources. At the same time, the process of internationalization has been simplified. Without physical mobility, it is possible to take distance learning courses or programs at leading foreign universities, sharing experiences with less financial costs. Another important achievement is the increasing access to education, which is a stated priority in the modern world.

## References


1. Bakradze, L. (2020) New educational reality - terms, challenges, recommendations. Tbilisi, Erasmus+ Georgia national office, p.28
2. Tchanturia, G.(2021). Methodological approaches to the remote learning - practical recommendations. Management of the remote learning practical guide for school administrators. Tbilisi, Saari. p.29
3. Edgerton Jason D., Roberts Lance W., Below Susanne von (2012). Education and Quality of Life. In book: Handbook of Social Indicators and Quality of Life Research, Springer,pp. 265-296 DOI: 10.1007/978-94-007-2421-1_12 (J.D. Edgerton et al. 2012: 265)
4. World Bank Group Education (2020) The COVID-19 Crisis Response: Supporting tertiary education for continuity, adaptation, and innovation. Open Knowledge Repository. URL:https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/34571 (Available 07.05.2022)
5. Bolgova V, Garanin M., et al. (2021) Post-Pandemic Education: Falling or Preparing for a Jump? Higher Education in Russia. Vol. 30. № 7.

# სასურსათო უშიშროება – ეროვნული უშიშროების საფუძველი

**პაატა კოღუაშვილი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
paata_koguashvili@hotmail.com

**იოსებ არჩვაძე**
ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი
daswreba@yahoo.com

**ნიკოლოზ ჩიხლაძე**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

**საკვანძო სიტყვები:** სასურსათო უშიშროება; აგროსასურსათო პოლიტიკა; აგროსექტორის მხარდაჭერა; აგროსაკრედიტო სისტემა; სუბსიდირება.

**J.E.L. classification:** Q10, Q18, Q38 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.02

**ციტირებისთვის:** კოღუაშვილი პ., არჩვაძე ი., ჩიხლაძე ნ., (2022) სასურსათო უშიშროება - ეროვნული უშიშროების საფუძველი. ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 109-125. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.02

**ანოტაცია.** *სოფლის მეურნეობაში საბაზრო კანონების სტიქიური მოქმედება დიდი რისკ-ფაქტორია ქვეყნის ეროვნული უშიშროებისათვის. სტატიაში განხილულია სასურსათო რესურსული უზრუნველყოფა, როგორც სახელმწიფოს უშიშროების (უსაფრთხოების) და მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობა. არგუმენტირებულია აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის აუცილებლობა და შემოთავაზებულია მისი კონკრეტული ფორმები. გამოკვეთილია სოფლის მეურნეობის პრიორიტეტები: სოფლის როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, შენარჩუნება და სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება, მიწის გადანაწილება სასაქონლო წარმოების გაზრდისათვის და აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი სუბსიდირების გაძლიერება. დასკვნები და რეკომენდაციები გამყარებულია საერთაშორისო ანალოგიებითა და პრეცენდენტებით.*

## შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის უშიშროების (უსაფრთხოების) უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანესი როლი მის რესურსულ უზრუნველყოფას ენიჭება. ამ მხრივ სახელმწიფოს მდგრადობისა და განვითარებისათვის თანაბარი საფრთხის შემცველია როგორც რესურსების დეფიციტი, მათი ქვეყნის უზრუნველყოფაში იმპორტზე მეტისმეტი დამოკიდებულება, ისე ამა თუ იმ რესურსის სიჭარბე, რომელსაც ეკონომიკა

ადრე თუ გვიან სტაგნაციამდე მიყავს, იწვევს „ჰოლანდიურ ავადმყოფობას“ და სახელმწიფოს საფრთხეებისადმი სულ უფრო დაუცველსა და მოწყვლადს ხდის. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უშიშროების (უსაფრთხოების) უზრუნველყოფა. ფაქტობრივად, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა სცილდება წმინდა ეკონომიკურ ამოცანას და სახელმწიფოს მდგრადობის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, სასურსათო უსაფრთხოება ობიექტურად ექცევა აგროსასურსათო პოლიტიკის და, უფრო ფართო მასშტაბით, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ეპიცენტრში.

აგროსასურსათო პოლიტიკის წარმატებით რეალიზაცია და სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა ემყარება საზოგადოებაში არსებული რესურსების (მიწა, წარმოების ტექნიკური საშუალებები, მმრთველობის წესი დაკულტურადაა.შ.)რაციონალურგამოყენებას, რაც აგრეთვე გულისხმობს აღნიშნული ფაქტორების მაქსიმალური შედეგის მოტანის უზრუნველმყოფი ფორმით ერთმანეთთან დაკავშირებას, შეერთებას. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. - იგი უკავშირდება უშუალოდ აგროსასურსთო სექტორში ჩართულ პირთა საკმაოდ მაღალი მოტივაციის უზრუნველყოფას, მაღალეფექტიანი წარმოების საშუალებების, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად მოწინავე წარმოების საშუალებების გამოყენებას, რაც მხოლოდ შიდა რესურსების მოზიებითა და გამოყენებით შეუძლებელია. - ეს პროცესი წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროებს ეგზოგენური ფაქტორების გამოყენებასა და ჩართულობას - შესაბამისი დატვირთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და გამოყენებას. მაგრამ ამ მიმართულებით სასურველი შედეგის დადგომა, საბოლოო წარმატება ობიექტურად საჭიროებს სახელმწიფოს აქტიურ ჩართულობას და მხარდაჭერას.

აგროსასურსათო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი სასურსათო უშიშროებაა (უსაფრთხოებაა). ამ მხრივ არსებული ვითარება ქვეყნის არსებობისა და წარმატებული ფუქნციონირების უმნიშვნელოვანესი ბაზისია. სასურსათო უშიშროება მოიცავს ქვეყნის მოსახლეობის კვების პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის ანალიზს, როგორც ფიზიკური ასევე ეკონომიკური განხრით, ხოლო მისი საფუძველი კვების ფიზიოლოგიური ნორმებია. სასურსათო უსაფრთხოება ეროვნული ეკონომიკური მდგრადობის განმაპირობებელიცაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, იწვევს ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ კი, ეკონომიკურ ზრდას. ეკონომიკური უსაფრთხოების გარეშე შეუძლებელია წარმატებით იქნას გადაწყვეტილი ნებისმიერი შიდა ეკონომიკური და სოციალური ამოცანა.

თანამედროვე მსოფლიოში სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოებისადმი დიდი ყურადღება რამდენიმე გარემოებითაა განპირობებული:

1. სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა. მოსახლეობაში საშუალო ფენის მკვეთრი ზრდა იწვევს საკვებზე მოთხოვნასა და, შესაბამისად, მასზე ფასების განუხრელი ზრდის ტენდენციას. ამიტომ სასურსათო უსაფრთხოება ყველა სახელმწიფოს სტრატეგიაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს;

2. მოსახლეობის ტრადიციული სამეურნეო

საქმიანობა სოფლად ქვეყნის რეკრეაციული სიმდიდრისა და სოციალური ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს;

3. აგრარული მეურნეობის მნიშვნელობას აძლიერებს სურსათზე ფასების ზრდის პერსპექტივა;

4. სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია.

აგრარული პოლიტიკა მოწოდებულია შექმნას ქვეყნის აგროსასურსათო პოტენციალის თეორიული და ნორმატიული საფუძვლები. ეკონომიკური კონტექსტით გამოყენებული სიტყვა „პოტენციალი" ახასიათებს წარმოების ფაქტობრივ მდგომარეობას და მოიცავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა სავარგულების პროდუქტიულობა, შრომის მწარმოებლურობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა, წარმოების რენტაბელობა, შრომის ანაზღაურება, სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა. სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა ხელფასისა და ქვეყანაში საშუალო ხელფასის დონეთა თანაფარდობა. აღნიშნული თანაფარდობა საქართველოში ბოლო წლებში ხასიათდება არა თუ უცვლელობით, არამედ ცალკეული წლების მიხედვით შემცირებითაც კი: 2015 წ. – 65.3%, 2016 წ. – 60.7%, 2018 წ. – 65.6%, 2019 წ. – 62.4%, 2020 წ. – 68.8% (კოღუაშვილი და არჩვაძე, 2020:45)

აგროსასურსათო პოლიტიკის საგარეო-სავაჭრო ასპექტი ასახავს მსოფლიო და შიდა სასურსათო ბაზრების ურთიერთკავშირს და ხასიათდება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით: იმპორტზე დამოკიდებულება თითოეული პროდუქტის მიხედვით; კვების პროდუქტების შემოტანისა და გატანის ბალანსი; სურსათის შიდა და მსოფლიო ფასების დონეთა თანაფარდობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციითა და სურსათით მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის გამო სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისათვის ან სურსათის იმპორტის შეზღუდვასთან დაკავშირებით საბოლოო მომხმარებლებისათვის მოსალოდნელი ზარალის შეფასება; სასურსათო საქონლით უზრუნველყოფა რეგიონების, ქვეყნების მიხედვით და მთელ მსოფლიოში; ფასები აგრარული პროდუქციისა და სურსათის სხვადასხვა სახეებზე.

სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტოლფასია. როგორც დასავლეთის გამოცდილება გვიჩვენებს, საკუთარი წარმოების სასურსათო უზრუნველყოფა უნდა გახდეს საქართველოს მთავრობის მთავარი ამოცანა, რასაც შეუძლია მულტიპლიკაციური ეფექტის მოცემა და გაძლიერებული მიგრაციის პროცესში მყოფი სოფლის გადარჩენა.

საქართველოს ბიოგეოკლიმატური პოტენციალი 10 მლნ ადამიანის გამოკვებაა. ამ პოტენციალის გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასია. სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ქვეყანას შეუძლია 2027 წლისათვის მიაღწიოს გაწონასწორებულ სავაჭრო ბალანსს და სასურსათო თვითუზრუნველყოფის 85%-ან დონეს.

ცხრილი

იმპორტის წილი საქართველოს სასურსათო რესურსების

ფორმირებაში 2020 წელს (ათასი ტონა)

| | იმპორტი | სულ რესურსები | იმპორტის წილი რესურსებში, % |
|---|---|---|---|
| ხორბალი | 561 | 735 | 76.3 |
| სიმინდი | 121 | 529 | 22.9 |
| კარტოფილი | 24 | 266 | 9.0 |
| ბოსტნეული | 113 | 384 | 29.4 |
| ხორცი | 86.5 | 158.1 | 54.7 |
| რძე და რძის პროდუქტები | 159 | 745 | 21.3 |
| კვერცხი | 28 | 739 | 3.8 |

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2020. სტატისტიკური წელიწდეული. თბ., 2021, გვ. 93-104.

საქართველომ 2020 წელს ცხრილში მოტანილი რესურსების იმპორტზე თითქმის 250 მლნ. აშშ დოლარი დახარჯა, ხოლო მთლიანად, აგრარული და სასურსათო პროდუქტის იმპორტზე - 1.2 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი, რაც აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის ექსპორტს თითქმის 1.3-ჯერ (28.7%-ით) აღემატება.

აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერისა და მაკროეკონომიკური რეგულირების აუცილებლობა ნაკარნახევია მთელი რიგი ფაქტორებით. საქმე იმაშია, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა სოფლის მეურნეობის (სასურსათო) პროდუქციაზე შედარებით დაბალელასტიკურია: აღნიშნულ პროდუქციაზე ფასების მომატებისას მოსახლეობა მაინც სტაბილურად შეიძენს და მოიხმარს კვების აუცილებელ პროდუქტებს, მათზე ფიზიოლოგიური მოთხოვნის გამო. ამასთან,მოსახლეობასკიდევაცრომგაეზარდოს შემოსავლები ან სურსათზე ფასები დაეცეს, მოთხოვნა ადეკვატურად არ გაიზრდება, რადგან აქ, გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, მოქმედებს ბუნებრივ-ფიზიოლოგიური ფაქტორიც, რომელიც არსებითად ზღუდავს მოთხოვნას და შესაბამისად, მოხმარებას. ეს კარგად დასტურდება ხორბლის მოხმარების მიხედვით. კერძოდ, 2020 წელს 2012 წელთან შედარებით ქვეყნის მოსახლეობის ფაქტობრივი უცვლელობის (კლება 0.2%-ით) და მთლიანი შემოსავლების 43.8%-ით ზრდის პირობებში ქვეყანაში ხორბლის სასურსათო მოხმარება არა თუ გაიზარდა, არამედ შემცირდა 4.2%-ით (671 ათასი ტონიდან 643 ათას ტონამდე).

1985 წელს პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ინიციატივით კონგრესმა მიიღო კანონი „აშშ-ის სასურსათო უშიშროების შესახებ“, რომელმაც ფაქტობრივად პირველად განსაზღვრა აშშ-ის მიდგომა სასურსათო უშიშროების პრობლემის მიმართ დროის განჭვრეტად პერიოდში. კანონმა აგრარული მეურნეობის

სახელმწიფო სუბსიდირებისა და კრედიტის ასაღებად სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაგირავების ახალი დებულებები და მექანიზმები შემოიღო. პრაქტიკულად, ამან აშშ-ის მთავრობას საშუალება მისცა არა მარტო გაეძლიერებინა თავისი ზემოქმედება ბაზრის, სათესი ფართობების, წარმოების მოცულობის კონიუნქტურულ ცვლილებებსა და ფერმერების შემოსავლებზე, არამედ გამხდარიყო ქვეყანაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთავარი მყიდველი და გამანაწილებელი. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა წარმოებული ხორბლის 48% და რძის ნაწარმის 75%. (კოღუაშვილი, 2020:230).

ამ კანონის თანახმად, ფერმების და მთლიანად სოფლის მეურნეობის საფინანსო მდგრადობის შესანარჩუნებლად სახელმწიფო ხარჯები განიხილებოდა როგორც გრძელვადიანი ინვესტიციები სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში. სუბსიდირების დონე განისაზღვრებოდა ფასების მიმდინარე დონით. ერთი ფერმისთვის განკუთვნილი თანხა შემოიფარგლებოდა 50 ათასი დოლარით. სუბსიდიების დონე საფუძვლიანად მცირდებოდა, თუ ერთი კულტურისთვის განკუთვნილი ფართობის 15%-ზე მეტი სხვა კულტურის წარმოებას მოხმარდებოდა. (კოღუაშვილი, 2020:231). შემდგომი განვითარება ჰპოვა საქონლის დაგირავებამ სახელმწიფო კრედიტის მისაღებად.

სოფლის მეურნეობის (სასურსათო) პროდუქციის კვლავწარმოებისათვის საჭირო სამრეწველო პროდუქციაზე (საწვავი, კომბინირებული საკვები, მინერალური სასუქები და ა.შ.) და მომსახურებაზე მოთხოვნის მაღალ ელასტიკურობას ობიექტურად მივყავართ სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების პარიტეტის გარდაუვალ დარღვევასთან. ასეთ ვითარებაში საჭიროა ეგზოგენური ფაქტორი სახელმწიფოს სახით, რომელმაც თავისი ჩარევით უნდა გამორიცხოს ფასების მერყეობა და დისპარიტეტი, ანუ არ დაუშვას არც მომხმარებლის და არც მწარმოებლის ინტერესების შელახვა (კოღუაშვილი და ზიბზიბაძე, 2010:198).

აგროსასურსათო სექტორი პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს ეკონომიკური მხარდაჭერის ობიექტია. აშშ-ში სასურსათო უშიშროების აყვანა სახელმწიფოს პრიორიტეტული (სტრატეგიული) მიზნის რანგში, ჩვენთვის საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ მან თავისი ასახვა ჰპოვა იმ საკანონმდებლო ნორმების მიღებასა და სრულყოფაში, რომლებიც ემსახურება შემდეგი მიზნების მიღწევას:

– სასოფლო-სამეურნეო რესურსების – მიწის, წყლის, ტყის, ატმოსფეროს (ჰაერის) რაციონალურ გამოყენებას, რის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა იურიდიული ბაზა, რომელმაც აამოქმედა ამ რესურსების დაცვის სავალდებულო ნორმატივები; დააკანონა სათესი ფართობის სახელმწიფო რეგულირებისა და ცალკეულ კულტურებს შორის მათი გადანაწილების მექანიზმი, ძირითადი საკვები პროდუქტების ოპტიმალური ფასებისა და მათი წარმოების რეგულირების შესაძლებლობა;

– ფერმერთა შემოსავლების სტაბილიზება და მათი დაცვა საბაზრო სტიქიისგან; სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციის ფართომასშტაბიანი სუბსიდირება;

– სახელმწიფოს გადაქცევა ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის არა მარტო მთავარ დამკვეთად (კონტრაქტორად), არამედ მთავარ მყიდველად და გამანაწილებლად (დისტრიბუტორად). შექმნილი იურიდიული

მექანიზმი აძლევს მთავრობას საკმარის უფლებამოსილებას შეისყიდოს და გაანაწილოს სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურების მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი (იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზება).

გასული საუკუნის 90-იან წლებში აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერა გადასახადის გადამხდელებს მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ 350 მლრდ დოლარი უჯდებოდათ. ყველაზე მეტი ოდენობით მხარდაჭერა ჰქონდათ (და დღესაც აქვთ) ევროკავშირისქვეყნებს, იაპონიას, არაბულ სამყაროს. არსებული მონაცემებით, სოფლის საქონელმწარმოებლებისადმი სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის ყველაზე დაბალი დონეა ახალ ზელანდიაში (3%), ავსტრალიაში (10%), აშშ-ში (21%) და კანადაში (27%), მით უფრო, რომ ეს ქვეყნები ხასიათდება მკვეთრად გამოხატული საექსპორტო ორიენტაციით. სოფლის საქონელმწარმოებლები ყველაზე მეტ ფინანსურ მხარდაჭერას ღებულობენ შვედეთში (82%), ნორვეგიაში (75%) და იაპონიაში (74%), ე.ი. ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლისათვის არახელსაყრელ ბუნებრივ კლიმატურ პირობებში და ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ საკუთარი წარმოების ხარჯზე (ვანიშვილი, 2003:65)

აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერისა და მაკროეკონომიკური რეგულირებისათვის გამოიყენება წარმოების მოცულობათა კვოტირების სისტემა (განსაკუთრებით, ევროკავშირის ქვეყნებში), მიწის სავარგულების დროებითი გამოყვანა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან (განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში), სოფლის მეურნეობის ნედლეულისა და სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, საქონელმწარმოებელთა პირდაპირი სუბსიდირება ფასების მეშვეობით, საგარეო ვაჭრობის რეგულირება (იმპორტზე ან ექსპორტზე ტარიფის აწევით/ან დაწევით), სოფლის მეურნეობის მომსახურე დარგების სუბსიდირება, სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელება, სასოფლო დასახლებებში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.

აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, მიზნობრივი ნიშნის მიხედვით, შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

- საკომპენსაციო დანახარჯები, ანუ წარმოების ფაქტორების შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ხარჯების სრული ან ნაწილობრივი კომპენსირება;
- პრიორიტეტულ მიმართულებებზე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დამუშავება, დაფინანსება და განხორციელება;
- საექსპორტო და საიმპორტო ტარიფების რეგულირებით შიგა სასურსათო ბაზარზე ფასების სტაბილურობის შენარჩუნება;
- სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის, ასევე წარმოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების კომპენსაცია;
- საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საქონელმწარმოებლები ძირითადად უნდა საქმიანობდნენ თვითდაფინანსების პრინციპით, მაკროეკონომიკური რეგულირება და მხარდაჭერა კი უნდა გამოიყენებოდეს წარმოების დამატებითი ეკონომიკური პირობების უზრუნველსაყოფად;

- საქონელმწარმოებელთა მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერისათვის გამოყენებული დოტაციები, სუბსიდიები და სხვა მარეგულირებელი ბერკეტები უნდა ასტიმულირებდეს მეურნეობრიობის უფრო მაღალ ეფექტიანობას;

მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა გამოიყენებოდეს დიფერენცირებულად, თითოეული საწარმოს კონკრეტული საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით და უნდა ატარებდეს მკაცრად გამოკვეთილ მიზნობრივ-პროგრამულ ხასიათს (კოღუაშვილი და ზიბზიბაძე, 2010:201).

აგროსასურსათო პოლიტიკის განხორციელებაზე სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ძირითად მიმართულებას ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში წარმოადგენს საბაზრო ფასების მხარდაჭერა (75-80%). სოფლის საქონელმწარმოებლებისათვის პირდაპირი გადასახდელები შეადგენს სოფლის მეურნეობის დაფინანსების მთლიანი მოცულობის 18-20%-ს, ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმები კი - 15-20%-ს.

იმის გამო, რომ მოტანილი მაჩვენებლები ასახავს ფინანსური მხარდაჭერის მხოლოდ ერთ მიმართულებას - პირდაპირ სუბსიდიებს და არ ითვალისწინებენ არაპირდაპირი მხარდაჭერის ფორმებს, ჯერჯერობით ძნელია მათი ჩვენი ქვეყნის მონაცემებთან შედარება. თუმცა, ისინი ნათლად მოწმობენ აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის აუცილებლობას.

სახელმწიფოს მიერ აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერის რაოდენობრივი აღრიცხვისა და ეფექტიანობის შეფასებისათვის საჭიროა არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობათა დადგენა, არამედ ყველა სხვა ღონისძიების ეკონომიკური შეფასება, რაც ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის დაცვას უკავშირდება. ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის ამა თუ იმ ღონისძიების შერჩევისას, უპირველეს ყოვლისა, აანალიზებენ ქვეყნის შიდა და გარე ბაზრებზე არსებულ ფასებს.

ადგილობრივი ფასების სიდიდის ობიექტურობის დასადგენად მას, როგორც წესი, მსოფლიო ფასებს უდარებენ და იმის მიხედვით, თუ როგორია შეფარდება მათ შორის, აკეთებენ დასკვნას. კერძოდ, თუ ადგილობრივ ბაზარზე არსებული ფასისა და მსოფლიო ფასის შეფარდება ერთზე მეტია - მაშინ ადგილობრივი მწარმოებელი იღებს უფრო მაღალ შემოსავალს თავისი პროდუქციიდან, ანუ წარმოების სუბსიდირებას არ აქვს ადგილი. ამ შემთხვევაში მომხმარებელი იძულებულია გადაიხადოს მაღალი ფასი, ანუ ადგილი აქვს მის დაბეგვრას გადასახადით. საპირისპირო მდგომარეობის დროს (ანუ როცა ადგილობრივ და მსოფლიო ფასს შორის შეფარდება ერთზე ნაკლებია), თავად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელია დაბეგრილი, მომხმარებელი კი - სუბსიდირებული. რაც შეეხება მესამე შემთხვევას (ანუ, როცა ადგილობრივ და მსოფლიო ფასს შორის შეფარდება ერთის ტოლია), იგი უჩვენებს, რომ სახელმწიფო ახორციელებს ნეიტრალურ პოლიტიკას. რაც მეტადაა შეფარდების მაჩვენებელი გადახრილი ერთიდან, მით მაღალია სახელმწიფოს მონაწილეობა ცალკეული პროდუქტის თუ დარგის მხარდაჭერასა და რეგულირებაში. წარმოების ნომინალური სახელმწიფოებრივი ფინანსური მხარდაჭერის კოეფიციენტი (CNS) წარმოადგენს რაოდენობრივი შეფასების

სპეციალურ ფორმას, რის საფუძველზეც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა მსოფლიო სასურსათო ბაზრისაგან ამა თუ იმ ქვეყნის იზოლაციის ხარისხის შესახებ; რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით მეტია იზოლაციის ხარისხი.

მთლიანად ეთგო-ს (OECD) წევრი ქვეყნების მიხედვით, 1990 წლიდან მოყოლებული, CNS შეესაბამება 1,7 მნიშვნელობას, რაც რამდენადმე აჭარბებს 1986-1988 წლების დონეს. ეს იმას ნიშნავს, რომ შიგა ფასების დონე საშუალოდ ეთგო-ს მიხედვით 1,7-ჯერ აჭარბებს მსოფლიო დონეს. პროდუქციის სახეებიდან ყველაზე მეტი ფინანსური მხარდაჭერა და მსოფლიო ბაზრისაგან დაცვის ხარისხი გააჩნია ბრინჯს (6,9) და რძეს (2,5); ყველაზე ნაკლები - მატყლს (1,5), ფრინველის ხორცსა და კვერცხს (1,3) (ბახტაძე და კოღუაშვილი, 2009:80)

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები მსოფლიო ბაზრის ფასების რყევებისაგან ყველაზე მეტად დაცულნი არიან ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა შვედეთი (4,8), ნორვეგია (4,5), ფინეთი (3,5) და იაპონია (3,3), ექსპორტზე ორიენტირებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მიისწრაფის ერთისაკენ (ახალ ზელანდიაში - 1,0, ავსტრალიაში - 1,1, აშშ-ში - 1,2, კანადაში - 1,3). უნდა აღინიშნოს, რომ ეთგო-ს წევრ ქვეყნებში (ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნების ჩათვლით) სურსათის შიდა ფასები აჭარბებს მსოფლიო დონეს. ამიტომ აქ შიდა ფასებით მსოფლიო დონის მიღწევა სერიოზულ სირთულეს არ წარმოადგენს მათი შემდგომი ზრდისათვის.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა შესაძლებელი იქნება ძირითადად იმ ქვეყნებში, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის აქვთ ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობები. მათ რიცხვს მიეკუთვნება: აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და არგენტინა. მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების უმრავლესობის სოფლის მეურნეობა ძირითადად დაზარალდება ფინანსური მხარდაჭერის შემცირებასთან დაკავშირებით.

მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებას ისიც შეუწყობს ხელს, რომ ტრადიციულად სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფა მაღალი იყო არაკეთილსასურველი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების მქონე ქვეყნებში და ზემოაღნიშნული პროცენტული შემცირება მათთვის უფრო მნიშვნელოვანი თანხებით აისახება. მაგალითად, 1990-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკის აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ყველა ფორმა ეთგო-ს წევრ ქვეყნებში ერთ სრულად დასაქმებულ ფერმერზე (არანაკლებ 2,2 ათასი საათი სეზონში) წელიწადში საშუალოდ შეფასებული იყო 11-14 ათასი დოლარით. ამასთან, ცალკეული ქვეყნების მიხედვით ეს მონაცემი ვარირებდა 2-3 ათასი დოლარიდან შვეიცარიაში, 33 ათას დოლარამდე ნორვეგიაში. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 8-10 ათას დოლარს შეადგენდა, ხოლო აშშ-ში - 20-27 ათას დოლარს. ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გადაანგარიშებით, სახელმწიფოს ფინანსური დახმარება ეთგო-ს წევრ ქვეყნებში აღნიშნულ პერიოდში საშუალოდ შეადგენდა 140-160 დოლარს (ვანიშვილი, 2003:67). პრობლემის აღნიშნული თვალსაზრისით ანალიზის დროს მიზანშეწონილია ცალკეულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით გამოანგარიშებული ფინანსური დახმარების მაჩვენებელთა ურთიერთშედარება. მაგალითად, ავსტრალიაში, სადაც ერთ ჰექტარ სასოფლო-

სამეურნეო სავარგულზე დახმარების ოდენობა 3 დოლარს შეადგენს, სოფლის მეურნეობას ბევრი არაფერი დააკლდება, თუკი ეს თანხა, ურუგვაიში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 36%-ით შემცირდება. სამაგიეროდ, სახელმწიფო ფინანსური დახმარების ანალოგიური პროცენტული განაკვეთით შეკვეცა საკმაოდ სოლიდურ თანხას დააკლებს ზოგიერთი ქვეყნის სოფლის მეურნეობას. მაგალითად, ნორვეგიაში ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაწეული სახელმწიფო ფინანსური დახმარება შეიკვეცება 1080 დოლარით, ხოლო იაპონიაში კი - 3240 დოლარით.

FAO-ში სასაქონლო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირის - ჯეიმს გრინფილდის პროგნოზით, ურუგვაის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შემთხვევაში, სასურსათო პროდუქციის ექსპორტის სფეროში, მსოფლიოში წამყვან პოზიციებს დაიკავებს ავსტრალია, არგენტინა, ახალი ზელანდია, აშშ და კანადა. ამ მხრივ ეს ქვეყნები მნიშვნელოვნად შეავიწროებენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს. აღმოსავლეთ ევროპის, აფრიკისა და აზიის ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა კი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნეტო-ექსპორტიორად გადაიქცევა (ზახტაძე და კოღუაშვილი, 2009:14)

ამასთან, სასურსათო ბაზარზე, პროტექციონიზმის შესუსტების შესაბამისად, ეთგო-ს (OECD) წევრი ქვეყნები გაზრდიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტს, რომელიც 1992 წლის 7%-იანი დონიდან 20%-ს მიაღწევს 2020 წელს (კოღუაშვილი და სხვ., 2018:46)

მსოფლიო მასშტაბით სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შეზღუდვა უარყოფითად იმოქმედებს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოებაზე, რამდენადაც ასეთი პროცესების განვითარება, ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად შეამცირებს მსოფლიოს სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალს, დასცემს წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოცულობებს; და მეორე, საგრძნობლად (საშუალოდ 8%-ით) გაზრდის ფასებს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე და შეამცირებს მასზე ხელმისაწვდომობას.

მსოფლიო სასურსათო ბაზრის ლიბერალიზება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტუალურს გახდის ცალკეული ქვეყნების (უწინარეს ყოვლისა, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნების) საერთო ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობას, რამდენადაც სასურსათო საფრთხის ძირითადი მიზეზები ძევს არა საკუთრივ აგროსასურსათო სექტორში, არამედ მის ფარგლებს გარეთ - მაკროეკონომიკური პროცესებისა და მაკროეკონომიკური რეგულირების სფეროში. მაშასადამე, განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარებასთან.

წარმოების ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლებით კავშირი მიწის განაწილებასა და სურსათის მოხმარებას შორის სულ უფრო ნაკლებად შესამჩნევი ხდება. ეკონომიკის ინდუსტრიულ-აგრარულისტრუქტურისმქონე უფრო განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველი შემდგომი ზრდისათვის საჭირო ხდება სულ უფრო მეტი არასასოფლო-სამეურნეო კაპიტალის ჩართვა წარმოებაში, რაც, რა თქმა უნდა, არ გამომდინარეობს მიწის უფრო სამართლიანი გადანაწილებიდან. ამასთან დაკავშირებით,

სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ხდება წარმოების ეფექტიანი საშუალებები, განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო ინფრასტრუქტურა, უახლესი ტექნოლოგიების უნარიანად გამომყენებელი კადრები და ა.შ. სხვანაირად თუ ვიტყვით, საჭირო ხდება უფრო მაღალი მიჯნების მიღწევა მთელი ეკონომიკის მასშტაბით.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა სრულიად სხვადასხვაგვარად დგას და წყდება განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკების პირობებში. 1940-იან წლებში FAO-ს მიერ ფორმულირებული სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია კარგად ესადაგებოდა, უწინარეს ყოვლისა, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის პირობებს. დღეისათვის კი მის გამოყენებას თითქმის უცვლელი ფორმით ცდილობენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის მიმართაც, რაც, ვფიქრობთ, გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში ტრანზიტულ (გარდამავალ) პირობებში მყოფ პრაქტიკულად ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში მოხდა საბაზისო კვების პროდუქტების მოხმარებისა და კვების დღე-ღამური რაციონის კალორიულობის მკვეთრი დაცემა. ასე მაგალითად, ხორცისა და ხორცის პროდუქტების საშუალო სულადობრივი მოხმარება საქართველოში შემცირდა 1990 წლის 62 კგ-დან 2020 წლის 38 კგ-მდე (38.7%-ით). ამან ბიძგი მისცა დისკუსიებს აღნიშნული ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოების საზღვრებისა და წარმოქმნილი პრობლემის გადაწყვეტის გზების თაობაზე. იმის შესახებ, თუ რატომ მოხდა ასეთი დაცემა, ცნობილია, რომ ყოველ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში აგროსასურსათო სექტორის, ისევე როგორც მთლიანად ეკონომიკის ეფექტიანობა, აშკარად ჩამორჩებოდა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ანალოგებს. მაგრამ, ძალიან ხშირად, სულადობრივი მოხმარების მაჩვენებლები აქ არა თუ ჩამორჩებოდა, არამედ ცალკეული პოზიციების მიხედვით კიდევაც აღემატებოდა დასავლეთევროპულ და ჩრდილოამერიკულ ანალოგებს. ეს ხდებოდა იმ ცნობილი მიზეზით, რომ სურსათის ფასების რეალურ (წონასწორობით) დონესთან შედარებით ბევრად უფრო დაბალ დონეზე დაფიქსირებისა და კვების პროდუქტების მოხმარების, განსაკუთრებით ე.წ. სოციალურად მნიშვნელოვანი (უფრო ზუსტად „პოლიტიკური") პროდუქტების (ხორცისა და რძის) მოხმარების სუბსიდირების გზით შენარჩუნებული იყო მოსახლეობის ხელოვნურად აწეული მოთხოვნა. მაშინ, როდესაც ხორცისა და რძის პროდუქტების მოხმარება ფაქტობრივად არცერთ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში არ შეესაბამებოდა (მნიშვნელოვნად უსწრებდა!) ეროვნული ეკონომიკის განვითარების რეალურ დონეს. საგულისხმოა, რომ აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკონომიკური გამოკვლევების სამსახურის გაანგარიშებების თანახმად, მტკიცე კავშირი ფიქსირდება ხორცის პროდუქტების სულადობრივ მოხმარებასა და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის დონეს შორის. გამონაკლისს შეადგენენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, რომლებშიც ხორცის პროდუქტების მოხმარების უკანასკნელ პერიოდამდე არსებული მაღალი დონე არ შეესაბამებოდა მათ საერთო ეკონომიკურ განვითარებას (ვანიშვილი, 2003:72)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ცნობილ რეფორმატორულ

ღონისძიებათა გატარების შედეგად, სასურსათო პროდუქტებზე სუბსიდიების გაუქმებამ (ან შემცირებამ), სურსათის რეალურ (წონასწორობით) ფასებზე გადასვლამ გამოიწვია სულადობრივი მოხმარების დონის დაცემა (როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში - თითქმის 2/5-ით), ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობებთან მისი შესაბამისობაში მოყვანა. ამიტომ, თუ სასურსათო უსაფრთხოების საკითხს მივაკუთვნებთ გარდამავალი (ტრანზიტული) პერიოდის ქვეყნებს, მაშინ უთუოდ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ აქ ეს პრობლემა წარმოიშვა არა ეკონომიკის ლიბერალიზაციის გამო, არამედ გაცილებით ადრე. ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაცემის შესაბამისად დაიწყო ეკონომიკის აგროსასურსათო სექტორის დაქვეითებაც. ამდენად, აგროსასურსათო სექტორის დაცემა, რამაც აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში თითქმის 70%-ს მიაღწია - მეორადი, წარმოებული მოვლენაა მოსახლეობის მოთხოვნის დაცემასთან მიმართებით.

ზოგადად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე პოსტსოციალისტურ ქვეყნებსა და განვითარებადქვეყნებშისურსათისმოხმარების უფრო დაბალი დონის ბუნება (მოსახლეობის დაქვეითებული მსყიდველობითუნარიანობა) მეტნაკლებად ერთნაირია (პრობლემის სიმწვავის აბსოლუტურად სხვადასხვა დონის პირობებში), თუმცა, ამ პრობლემის ფორმირების გზები პრინციპულად განსხვავებულია და, მაშასადამე, მიდგომებიც მისი გადაწყვეტისადმი არ შეიძლება იყოს დასესხებული უკვე გამომუშავებული არსენალიდან.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, განვითარებად ქვეყნებში უღარიბესი გლეხობისათვის მიწის გამოყოფა რიგ შემთხვევებში იწვევს წარმოებისა და მოხმარების ზრდას. რეფორმის ასეთი ვარიანტი გარკვეულად შესაძლებელი გახდა ჩინეთსა და ალბანეთში. ორივე ქვეყანაში გლეხებისათვის მისაწვდომი გახდა თავისი შრომის ძირითადი საშუალება - მიწა (პირველ შემთხვევაში პრივატიზაციის გარეშე, ხოლო მეორეში - პრივატიზების გზით) და ეს „გადმოიღვარა" ამ ქვეყნებში სურსათის წარმოებისა და მოხმარების მკვეთრ ზრდაში.

ეს სავსებით კანონზომიერი შედეგია, რამდენადაც ორივე ქვეყნის ეკონომიკას ჰქონდა უპირატესად აგრარული მიმართულება, გლეხები სჭარბობდნენ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში და მიწა იკავებდა ძირითად ადგილს სასოფლო-სამეურნეო ფონდების სტრუქტურაში. ამასთან, მიწის მიღებით გლეხებმა გაადიდეს წარმოება, უწინარესად, საკუთარი მოხმარებისათვის. გარდა ამისა, სასურსათო ბაზრის მაღალგანვითარებულ ინფრასტრუქტურას მიუჩვეველი ქალაქის მოსახლეობის დაბალი ხვედრითი წილის წყალობით, სასურსათო მოხმარება ქალაქადაც რამდენადმე ამაღლდა.

სრულიად სხვაგვარი იყო ვითარება რეფორმების მომენტისათვის ინდუსტრიულ-აგრარული მიმართულების ეკონომიკის მქონე ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში. აქ სოფლის მოსახლეობის ხელმისაწვდომობამ მიწისადმი და აგრარული ეკონომიკის ლიბერალიზაციამ, მართალია, შესაძლებელი გახადა სოფლის მცხოვრებთა სასურსათო მოხმარების დონის ამაღლება, მაგრამ, ამის პარალელურად, შემცირდა ქალაქის მცხოვრებთა მიერ საბაზისო კვების პროდუქტების საშუალო მოხმარება.

ასეთ სიტუაციაში სასურსათო მოხმარების ზრდის საკითხის გადაწყვეტა

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და მათ შორის, საქართველოში არ შეიძლება დამოკიდებული იყოს არც მიწის შემდგომი გადანაწილებისა და არც აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი სუბსიდირების გაძლიერებისაგან. საკითხის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების განუხრელი ზრდის პირობებში. მაშასადამე, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და განვითარება არის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ზრდის ერთადერთი გზა, რამდენადაც ეკონომიკის ზრდა განაპირობებს მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და შესაბამისად, გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს აგროსასურსათო სექტორის განვითარებას.

ამრიგად, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო სასურსათო ბაზრის ლიბერალიზების ვითარებაში, უმთავრესია ქვეყნის საერთო მაკროეკონომიკური განვითარება და, როგორც ლოგიკური შედეგი - მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და, შესაბამისად, სურსათზე ხელმისაწვდომობის ზრდა. მაგალითად, დღეის მდგომარეობით, საქართველოში არსებული სამომხმარებლო ფასების პირობებში, „რეფორმამდელ" (1990 წლის) დონემდე მოსახლეობის ერთ სულზე ხორცისა და ხორცპროდუქტების მოხმარების დასაბრუნებლად საჭიროა დაახლოებით 1.0-1.1 მლრდ ლარი, რაც საქართველოს მოსახლეობის წლიური ხარჯების დაახლოებით 7-8 პროცენტის ეკვივალენტურია. სწორედ ხელმისაწვდომობის ზრდა მოსახლეობის შემოსავლების ამაღლებით უნდა გახდეს ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც მთავარ ფუნქციას იტვირთებს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველომ, როგორც მსო-ს წევრმა სახელმწიფომ, საჭიროა, სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მსგავსად, სრულად გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული ვითარება და რეკომენდაციები, ეროვნული აგრარული პოლიტიკის გადასინჯვისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისას. ამასთან, მან მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს საკვები პროდუქტების წარმოების ზრდისა და სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის ამაღლების ყველა საკუთარი შესაძლებლობა და რეზერვი.

საქართველომ, სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად, უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სოფლისმეურნეობაში,რაცორიმიმართულების შეიძლება იყოს: პირველი, სოფლის როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, შენარჩუნება (ამ ამოცანაში შედის კულტურული და ველური ლანდშაფტების დაცვაც); მეორე, სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება. საქართველოს სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა დიდადაა დამოკიდებული მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან. მიწის ეფექტიანი მართვა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ქვეყნის აგროსასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

მსოფლიოში არსებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის (მ.შ. სასურსათო) ხასიათი, საქართველოს წინაშე დღეს არსებული გამოწვევების დაძლევის ამოცანები რეალურად მოითხოვს როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა, სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის

ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას), ასევე, თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. გასაგებია, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია, კონკურენტული უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით, ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება მეტად საჭირო და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას. ასევე, აუცილებელია სახელმწიფო (ნახევრად ადმინისტრაციული, ნახევრად კომერციული) მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა, რადგან ისინი აწესრიგებენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის ყველა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. საქართველომ უნდა შექმნას მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახური – ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში.

მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მხრივ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საკუთარი წარმოების სურსათის მოცულობის ზრდა, რაც უნდა მოხდეს აგრომწარმოებელთა საინვესტიციო აქტივების ზრდით, სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებითა და პროტექციონიზმის განხორციელებით. იმისათვის, რომ ქართულმა სოფელმა აწარმოოს საკმარისი პროდუქცია, აუცილებელია სოფლად აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის ანუ სპეციალიზებული აგროსაკრედიტო და სასურსათო უშიშროების ინფორმაციისა და ადრეული გაფრთხილების სისტემების შექმნა. ასევე, უნდა დაფუძნდეს წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი (კოოპერაციული) გაერთიანება, საგარანტიო ფონდი, რის მეშვეობითაც მოხდება აგრარული შრომის სტიმულირება და აგროსამრეწველო ინტეგრაცია.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ უკეთ შეძლოს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების სურსათით უზრუნველყოფა, საჭიროა აგროსასურსათო სექტორში მიზანმიმართული, ეფექტიანი პოლიტიკისგატარებაწარმოებისორგანიზებისა და მართვის მხრივ, მაღალტექნოლოგიური და კაპიტალტევადი წარმოება და შესაბამისად, დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის არსებითი ამაღლება, სუბსიდირების სისტემის გამოყენება და პრეფერენციული კრედიტები. მდგომარეობის გამოსწორების ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ ეკონომიკის მხარდამჭერ სახელმწიფო პროგრამებში, რომელთა ამჟამად მოქმედი ფორმები ნაკლებეფექტიანია, (იგი პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია აგრომეურნეთა და კოოპერატივთა დიდი უმრავლესობისათვის, საგარანტიო ქონებისა და ფინანსების უქონლობის გამო). აუცილებელია ჩამოყალიბდეს სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემა, დასავლეთში უკვე მრავალი ათეული წლის მანძილზე წარმატებით მოქმედი სისტემების

(Crédit Agricole - საფრანგეთში, Raiffeisenbank - გერმანიასა და ავსტრიაში, Federal Farm Credit System – აშშ-ში და ა.შ.) მსგავსად. წარმატების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ქვეყნების გამოცდილებას, აგრეთვე სურსათის და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაცის (FAO) რეკომენდაციების გათვალისწინებას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასურსათო უშიშროების (უსაფრთხოების) უზრუნველყოფაში სულ უფრო მზარდ როლს შეასრულებს ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის თანმიმდევრული სვლა რეგიონულ და გლობალურ ბაზრებზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისკენ.

**დასკვნა**

დამოუკიდებელი სახელმწიფოს მდგრადობის მრავალ პრობლემათაგან ერთერთი ცენტრალური მისი სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაა, ანუ რამდენად შესწევს უნარი მას წარმოების და იმპორტის სათანადო ორგანიზებით უზრუნველყოს თავისი მოქალაქეები სურსათით, საბაზისო კვების პროდუქტებით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნებისმიერი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით დამოუკიდებლობა შედარებით ახლადმოპოვებული/აღდგენილი ქვეყნებისათვის, ეგზისტენციური პრობლემაა.

მიუხედავად პრობლემის სრულად გაცნობიერებისა, მისი საბოლოოდ და სრულად გადაჭრა აწყდება ტრივიალურ პრობლემას - შეზღუდულ რესურსებს, რის გამოც სუბსიდირების ისეთი მასშტაბები, რის შესაძლებლობა გააჩნიათ განვითარებულ ქვეყნებს (პროდუქციის წარმოების ერთეულზე, ერთ დასაქმებულზე თუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ერთეულზე), განვითარებად და გარდამავალი ტიპის ქვეყნებს (რომლებსაც საქართველოც მიეკუთვნება), უბრალოდ, არ შეუძლიათ. ასეთ ქვეყნებში ყალიბდება სტერეოტიპული სურათი: სურსათზე მოთხოვნილება რჩება დაბალელასტიკური, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილის დაბალი მყიდველობითი უნარიანობა, სუსტი ეკონომიკა და სუბსიდირების შეზღუდული მასშტაბი სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხელოვნურად დაბალ დონეზე ინარჩუნებს. პოსტ-სოციალისტურ, გარდამავალი ტიპის ქვეყნებში მდგომარეობის დრამატიზმს ამძიერებს სოციალური (ფაქტობრივად კი - პოლიტიკური) სუბსიდირების სისტემის მოშლა, რითაც არსებითად შეიცვალა პროპორციები სამომხმარებლო პროდუქტებზე. საქართველოში მოსახლეობის მოხმარებული კალორიების საერთო რაოდენობის თითქმის 2/3 მცენარეული წარმომავლობის სასურსათო პროდუქტებზე მოდის, რაც რეკომენდირებულ პროპორციებზე 1.5-ჯერ უფრო მაღალია. ძირითადი მიზეზი ისაა, რომ მოსახლეობის მოხმარებული ყოველი 1000 კილოკალორიის ღირებულება მცენარეული წარმომავლობის პროდუქტებიდან დაახლოებით 3-4-ჯერ უფრო იაფი ჯდება ცხოველური წრმომავლობის იმავე რაოდენობის კალორიების ღირებულებასთან შედარებით. შედეგად, ფორმალურად იაფდება სასურსათო კალათა, იქმნება ფორმალური საფუძველი საარსებო მინიმუმის შესამცირებლად, თუმცა იმავდროულად, ირღვევა პროპორციები საზოგადოების წევრების მიერ ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების მოხმარებაში.

ძალაში რჩება ზოგადი კანონზომიერება: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მაღალი კორელაცია სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონესთან, მაკროეკონომიკურ მდგომარეობასთან. ამ მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში აგრარულ სექტორში შექმნილი პროდუქციისა

და დამატებული ღირებულების დინამიკა უკვე არათუ აღარ ჩამოუვარდება ეროვნული პროდუქტის დინამიკას, არამედ უკვე რამდენადმე გადაუსწრო კიდევაც მას (2020 წელს, 2012 წელთან შედარებით, წარმოების მასშტაბი აგრარულ სექტორში გაიზარდა 24.6%-ით, მაშინ როდესაც ეროვნული მეურნეობის დანარჩენ დარგებში - 23.3%-ით), ეკონომიკის აღნიშნულ სექტორში არსებული მდგომარეობა, განსაკუთრებით სასურსათო უსაფრთხოების მხრივ, მაინც აშკარად არადამაკმაყოფილებელია. საჭირო ხდება მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მისი მსხვილმასშტაბიანი იმპორტი, რომლის საშუალოწლიურმა მოცულობამ 2011-2020 წლებში 1.2 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა.

სასურსათო უშიშროების შემაფერხებელ ობიექტურ გარემოებებთან (პირველ რიგში, ეკონომიკის სისუსტე) ერთად, აღნიშნულ პროცესზე ნეგატიურად მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მმართველი ძალის არასაკმარისი პოლიტიკური ნება და გადაწყვეტილებების მიმღებთა არასაკმარისი კომპეტენტურობა, უშუალოდ წარმოების პროცესში დასაქმებული პირების სამეწარმეო უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და, აქედან გამომდინარე, მათი შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე.

საქართველომ, სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად, უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში. პრიორიტეტები ამ სფეროში შეიძლება იყოს ორი მიმართულების: პირველი, სოფლის როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, შენარჩუნება (ამ ამოცანაში შედის კულტურული და ველური ლანდშაფტების დაცვაც). მეორე, სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება.

სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა სახელმწიფოს უპირველესი პრიორიტეტული მიზანია. ერთადერთი სუბიექტი, ვისაც ამ ამოცანის გადაჭრა ძალუძს, თვით სახელმწიფოა. ამაში კი წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტის, მართვის ტექნოლოგიის ეფექტიანობაზე, რომელიც ორგანულად მოიცავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულყოფას, მის მაღალტექნოლოგიურ დარგად გადაქცევას და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ტექნიკური დონის მასშტაბურ ამაღლებას.

ჩვენ ჯერ კიდევ შემოგვაქვს საჭირო სურსათის 70%-ზე მეტი. თუ გვსურს 2027 წლისთვის მივაღწიოთ გაწონასწორებულ სავაჭრო ბალანსს, მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რათა, შემცირდეს სურსათის იმპორტისთვის ვალუტის ზედმეტი ხარჯვა.

**ლიტერატურა**


1. კოღუაშვილი პ., (2004) საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი.
2. ვანიშვილი მ., (2003) საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბ., „ცოდნა“.
3. კოღუაშვილი პ., ზიზზიბაძე გ., (2010) სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, თსუ.
4. კოღუაშვილი პ., გიორგაძე პ., რამიშვილი ბ. (2018) საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა სასურსათო პრობლემის მოგვარებაში. ჟურნალი. "მაკრო მიკრო ეკონომიკა". №9-10. 43-46 გვ.

5. ბახტაძე დ., კოღუაშვილი პ., (2009) ქართველთა კვების კულტურა თბ., „ინოვაცია“.
6. კოღუაშვილი პ., არჩვაძე ი, (2020) საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3.
7. კოღუაშვილი პ. (2020) სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი.
8. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2020. სტატისტიკური წელიწდეული.

## FOOD SECURITY AS THE BASIS OF NATIONAL SECURITY

**Paata Koguashvili**
Doctor of Economic Science, Professor of Georgian Technical University, Georgia
paata_koguashvili@hotmail.com

**Joseph Archvadze**
Doctor of Economics, Professor of Kutaisi University
daswreba@yahoo.com

**Nikoloz Chikhladze**
Doctor of Economic Science, Doctor of Theology, Professor of Kutaisi University, Professor of Akaki Tsereteli State University, Georgia
nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

**KEY WORDS:** Food security; Agri-food policy; Agricultural sector support; Agro-credit system; Subsidizing.

**J.E.L. classification:** Q10, Q18, Q38
DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.02

**For citation:** Koguashvili P., Archvadze J., Chikhladze N., (2022) Food security as the basis of national security (in Georgian). Vol. 17, 1(23), p. 109-125. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.02

### Summary

One of the central problems of an independent state is the provision of its food security, that is, its ability to provide citizens with basic food products, through proper production practices and import operations. It may safely be said that for every country, more so in the relatively newly independent States, it is an even existential challenge.

Despite a full understanding of the problem, its definitive and comprehensive solution is complicated by a trivial problem - limited resources, which is why the extent to which subsidy is provided by the developed countries (per unit of output, per employee or agricultural land), is far beyond the capacity of the developing countries and countries with economies in transition (that would also include Georgia). In such countries, a stereotype picture emerges: food demand remains inelastic, but low purchasing power among a large segment of the population, the weak economy and the limited capacities of providing subsidies artificially lower demand for food. In post-socialist countries with the economies in transition the situation is aggravated by the violation of the social (in fact, political) subsidy system, which has substantially changed the proportions between the volumes of consumed food products. In Georgia, almost 2/3 of the total calories consumed by the population come from food products of plant origin, which is 1.5 times higher than the recommended proportions. The main reason is that the cost of every 1000 kcal from products of plant origin consumed by the population is about 3-4 times cheaper than the cost of the same number of calories from products of animal origin. As a result, the cost of the food basket is formally reduced, a formal basis is created for reducing the subsistence minimum, but at the same time, the proportions are broken between the volumes of the consumption of proteins, fats, carbohydrates by members of society.

The common pattern is to remain in force: the high correlation of food security with the level of economic development of the State, or with the macroeconomic situation. In this regard, despite the fact that the dynamics of output and value added created in the agricultural sector in recent years is no longer inferior to the dynamics of national product, but already is slightly higher (in 2020, compared to 2012, the scale of output in the agricultural sector increased by 24.6%, while in other sectors of the national economy (23.3%), the situation in this sector of the economy, especially in terms of food security, is still clearly unsatisfactory. In order to meet citizens food needs, it becomes necessary to import vast quantities of food products, whose average annual volume exceeded $1.2 billion in 2011-2020.

Along with the objective circumstances impeding food security (primarily weakness of the economy), the process is also negatively affected by factors such as the insufficient political will of the ruling powers and the lack of competences of decision makers, and consequently, low levels of their productivity.

Georgia, just like other civilized nations, needs to give priority attention to the agricultural sector. Priorities in this area can be in two directions: first, the preservation of the village as a territorial and social unit (this task also includes the protection of cultural and wild landscapes); second, the establishment of an agricultural sectoral structure to ensure food security.

Food security is a State priority. The only entity that can solve this problem is the State itself. Achieving success on this issue in many ways depends on the effectiveness of public administration of the State as an economic entity, that is integrated with the improvement of agricultural production, its transformation into a high-tech sector and large-scale socio-economic, cultural and technical development of the rural population.

We still import more than 70% of the food we need. If we want to improve the trade balance by 2027, we must significantly increase agricultural production in order to reduce foreign exchange spent on food imports.

**References**


1. Koguashvili P., (2004) Georgia Food Security: Reality and Forecasts. Tbilisi.
2. Vanishvili M., (2003) Domestic and Foreign Economic Aspects of Food Security in Georgia: Theory, Methodology, Practice. Tb., "Tsodna".
3. Koguashvili P., Zibzibadze G., (2010) Agricultural Economics. Tbilisi, TSU.
4. Koguashvili P., Giorgadze P., Ramishvili B. (2018) Efforts of International Organizations to Solve the Food Problem. Journal. "Macro Micro Economy". №9-10. 43-46 p.
5. Bakhtadze D., Koguashvili P., (2009) Georgian Food Culture Tbilisi, "Innovation".
6. Koguashvili P., Archvadze I., (2020) Georgian Agriculture in the Face of Modern Challenges. "Economy and Business", N3.
7. Koguashvili P. (2020) Agricultural Economics. Tbilisi.
8. Agriculture of Georgia, 2020. Statistical Yearbook.

# ომი და მისი გავლენა მდგრად განვითარებაზე


## დარეჯან ჩხიროძე
ტექნიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ქუთაისის უნივერსიტეტი, darejan.chkhirodze@unik.edu.ge

## მანანა ბანძელაძე
ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, manana57@yahoo.com



**საკვანძო სიტყვები:** ომი; მშვიდობა; მდგრადი განვითარება; გარემო; სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობა
**J.E.L. classification:** O10, Q2, Q28 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.11

**ციტირებისთვის:** ჩხიროძე დ., ბანძელაძე მ., (2022) ომი და მისი გავლენა მდგრად განვითარებაზე. ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 126-131. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.11



**ანოტაცია.** *მშვიდობა საზოგადოების მდგრადი განვითარების უმთავრესი პირობაა. სტატიაში განხილულია ომი და მდგრადი განვითარება, გაანალიზებულია ომების გავლენა მდგრად განვითარებაზე ანუ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ მდგრადობაზე, ომების დამანგრეველი გავლენა გარემოზე და ადამიანის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაზე. შეფასებულია ომის ნეგატიური შედეგები, მშვიდობის როლი, და მისი ხელისემშლელი ფაქტორები, დასახულია მდგრადი განვითარების მიზნების უზრუნველყოფის გზები და საშუალებები.*


**შესავალი**

ომი სამხედრო ძალადობის საშუალებით პრობლემათა გადაწყვეტის უკიდურესი ფორმაა. ომის მიზეზი სხვადასხვაგვარია - სოციალურ–პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემები, რომლებსაც აღწევენ სამხედრო შეიარარებული ძალადობის გზით. შედეგი კი საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს–სოციალური პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური მხარის როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი ცვლილებაა. თანამედროვე ომები უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას არამარტო სამხედრო შეიარაღებული ძალადობის საშუალებით, არამედ ბრძოლის ხერხების სხვა მიმართულებით (მეცნიერულ-ტექნიკური, ეკონომიკურ–ეკოლოგიური დიპლომატიური, იდეოლოგიური) გამოყენებას.

ომი ეგზისტენციალური მოვლენაა. ის სიცოცხლის მოსპობის რისკის შემცველია, ანადგურებს რა ცოცხალ სამყაროს, ადმიანებს და გარემოს, საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს განვითარება, ზოგადად მდგრად განვითარებას.

**ძირითადი ნაწილი**

თანამედროვე პირობებში ომი ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოზე. ტექნოლოგიები შეიცვალა და ტექნოლოგიების პოტენციური ეფექტი ძალიან განსხვავებულია.თანამედროვე ქიმიურ, ბიოლოგიურ და ბირთვულ ომებს აქვთ პოტენციალის განადგურების უპრეცედენტო გარემოსდაცვითი ნგრევები, რაც დიდი საფრთხეა. რუსეთ-უკრაინის ომმა საშიშროების წინაშე დააყენა მდგრადი განვითარება.

მდგრადი განვითარება – საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემაა რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებით და გარემოთი.

მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს.

მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით. მდგრადი განვითარების შესახებ კოპენჰაგენის მსოფლიო სამიტმა ხაზი გაუსვა სოციალური სეგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობას (გაერო, 2015)

მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან ერთ-ერთის მიხედვით ხაზგასმულია: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

მშვიდობა, კერძოდ ეკოლოგიური მშვიდობა, მდგრადი განვითარების მთავარი პირობაა. ეკომშვიდობის ხელისშემშლელ ფაქტორთა წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებებია: (ზანძელაძე, ჩხიროძე, 2012:147-153)

- ეკომშვიდობის ხელისშემშლელ ფაქტორთა წინააღმდეგ მიმართულ სისტემათა გლობალიზაცია, როგორიცაა ეკოდივერსიები, დაბინძურებათა მიგრაცია, რომელიც შეიძლება იყოს შემთხვევითი და არა შემთხვევითი ხასიათის;
- ეკომშვიდობის გლობალიზაცია საერთაშორისო ორგანიზაციათა დონეზე. გულისხმობს გაეროს, ევროკავშირის, იუნესკოს, ნატოს, მაგატეს (ატომის მშვიდობიანი გამოყენება) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონვენციების, პაქტების და ხელშეკრულებათა თანმიმდევრულ მიღებას, დამტკიცებას და კონტროლს;
- ექსკლუზიური სიტუაციების და მოვლენების ნეიტრალიზების ღონისძიებათა წინასწარ განმჭვრეტი ხასიათი გულისხმობს, ამ მიზნით უმრავლეს ქვეყნებში საკანონმდებლო და ტექნიკური ხასიათის ზომების მიღებას;
- ტექნიკური, საინჟინრო და საპროექტო-საკონსტრუქტორო გადაწყვეტილებათა ორგანიზაცია, რომელიც გამომდინარეობს გარემოზე და ადამიანზე უარყოფითი

შედეგების მინიმიზაციიდან. პროგნოზირება და შეფასება გარემოზე იმ უარყოფითი შედეგებისა, რომელიც შესაძლებელია მოჰყვეს მოქმედ, რეკონსტრუირებულ და პროექტირებულ საწარმოებს;

- დროული გამოვლინება გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედი საწარმო პროცესების გაუთვალისწინებელი შედეგების მინიმიზაციისათვის.

აღნიშნული ნეგატიური ქმედებების შესამცირებლად აუცილებელია წინასწარ გათვლილ და დამუშავებულ სისტემათა შემუშავება მოსალოდნელი ავარიის აცილებისათვის, მომხდარ გაუთვალისწინებელ შემთხვევათა საჯაროობის იზრუნველყოფა, სამამულო ტექნიკურ საშუალებათა გამოცდილების არარსებობის შემთხვევაში უცხოურ ტექნოლოგიათა მიშველება და გამოყენება.

ეკომშვიდობა უშუალოდ უკავშირდება სოციალურ ეკოლოგიას. ომი იწვევს ხალხის მასობრივ მიგრაციას, უმუშევრობას, სიღარიბეს სოცილურ-ეკონომიკურ სიდუხჭირეს, გარემოს მდგრადობის რღვევას. ომისაგან დევნილი ადამიანები სიცოცხლის გადასარჩენად იყენებენ არატრადიციულ საკვებს შინაური ცხოველების სახით, ნადგურდება ბუნებრივი გარემო ფლორა და ფაუნა, გადაშენება ემუქრება მრავალ სახეობებს, რომლის მაგალითები ომის ისტორიაში მრავლადაა, რითაც მდგრადობის მრუდი ქვედა ნიშნულს უახლოვდება.

ჯარისკაცები და მოსახლეობა იძულებულია ომის დაწყების წინ სარეზერვოდ შეიძინოს, წყლის, სურსათ–სანოვაგის დიდი მარაგი, ამიტომ ისინი იძულებული არიან შეიცვალონ ქცევა, ადაპტირდნენ ახალ გარემოებასთან, ორიენტირდნენ არა გრძელვადიამ მდგრადობაზე, არამედ მოკლევადიან გადაწყვეტილებებზე, რაც იწვევს დეპრესიას, უიმედობას.

ომი ცხოვრების აზრის თვალსაზრისით არ არის საჭირო იმ ერისთვის რომელმაც იგი გამოიწვია, მაგრამ იგი შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს იმ ერისათვის, რომლის წინაღმდეგაცაა მიმიართული. ცხადია იერიშის მიმტანი ეროვნება, ამ შემთხვევაში ცხოვრების ობიექტური დანიშნულების საწინაღმდეგო მიმართულებას იღებს, მაშინ როდესაც მოგერიებითი პოლიტიკის მიმდევარი ერი თავის ვინაობის „თავისი განვითარებისა და დანიშნულების შესაძლებლობების დაცვით არის გატაცებული და ცხადია ცხოვრების აზრის განხორციელების გზას ადგას" (კალანდარიშვილი, 1998).

ადამიანის უკიდეგანო მეცნიერული ცოდნის და სულის არაეკოლოგიურობის შედეგია მის მიერვე ფსიქოტრონული იარაღის სახესხვაობათა შექმნა, რომელიც თვით ადამიანის ფსიქიკის სამართავადაა გამიზნული. არსებობს აგრეთვე ვერსია, რომ ეთნოკონფლიქტებში ფსიქიურად კონცენტრირებული მასა უნდა ახდენდეს ბუნებრივი პროცესების პროვოცირებას და იწვევდეს ბუნებრივ კატაკლიზმებს. ბუნებრივი კატასტროფები ზრდის დეპრესირებული ეკომიგრანტების რაოდენობას.

სპეციალისტების აზრით, ყველაზე საშიში შედეგი, რაც შეიძლება რუსულ აგრესიას მოჰყვეს, რადიოაქტიური ნივთიერებების გამოფრქვევა და მათი ჰაერში მოხვედრაა. უკრაინაში 15 რეაქტორია, საიდანაც ნაწილი გაჩერებულია და ნაწილი მოქმედებს, თუმცა გაჩერებული რეაქტორების ყოველდღიური მოვლაა საჭირო, რათა რაიმე არ დაირღვეს და რადიოაქტიური ნივთიერებები ჰაერში არ მოხვდეს. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მომხდარი საბრძოლო შეტაკებების შედეგად

დაირღვა ელექტროენერგიით მომარაგება, რამაც გამოიწვია ის, რომ მომარაგება გადავიდა ავარიულ სისტემაზე. ამ ეტაპზე რისკი მოიხსნა, თუმცა სამწუხაროდ, შემთხვევითი თუ მიზანმიმართული თავდასხმების შედეგად ეს საფრთხეები მაინც რჩება (ვაჩნაძე, 2022).

რადიოაქტიური ნივთიერებების ჰაერში გაფრქვევის საფრთხეს ხელს უწყობს ჩერნობილის მიმდებარედ არსებული ე.წ. „ყავისფერი ტყეები". ეს დაბინძურებული ზონებია, რომელიც დიდი რაოდენობით რადიონუკლეიდებს შეიცავს. ასეთია ომების უარყოფითი გავლენა გარემოს მდგრადობაზე.

სამყარო სრულყოფილი ციკლის მარადიული განმეორებაა. ამიტომ ჭეშმარიტების ფორმები შეიძლება შეიცვალოს, ხოლო არსი კი იგივე რჩება. დილემა ყოველთვის იქნება ადამიანის ბუნებასთან ურთიერთჰარმონია თუ ურთიერთდაპირისპირება?

დარწმუნებული ვართ კაცობრიობა გამოიჩენს კეთილგონიერებას და აირჩევს სრულყოფილებისაკენ მიმავალ გზას, კეთილ ქმედებას, ანუ სვლას გარემოს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

## დასკვნა

ომი სახელმწიფოებს, ხალხებს, ერებს, კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის სოციალურ–პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, რელიგიური, იდეოლოგიური, ასევე ეროვნული, ტერიტორიული და სხვა წინააღმდეგობების გადაწყვეტის ყველაზე ნეგატიური ფორმაა, რასაც კაცობრიობა იცნობს თავისი არსებობის მანძილზე. იგი იწვევს სოციალური პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სულიერი (როგორც რაოდენობრივ ასევე თვისებრივ) ცვლილებას.

ომი შეუთავსებელი გახდა საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებასთან საზოგადოების მდგრადი განვითარების მიზნებთან, რადგან თვით ომი და ომისათვის მზადების პროცესი დამანგრეველ გავლენას ახდენს გარემოს მდგრადობაზე. ომი იწვევს ხალხის მასობრივ მიგრაციას უმუშევრობას, სიღარიბეს სოცილურ ეკონომიკურ სიდუხჭირეს, გარემოს მდგრადობის რღვევას. გრძელვადიან პერსპექტივაში ომი ეკონომიკაში წარმოშობს ნეგატიურ ტენდენციებს, რომლებიც არ სწორდება, ან მათ თავდაპირველ სახემდე დაბრუნებას ათწლეულებთან ერთად უამრავი რესურსი ესაჭიროება.

## ლიტერატურა

1. ბანძელაძე მ., ჩხიროძე დ. (2012) ეთიკა და ეკოლოგიის ზნეობრივი საფუძვლები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. გვ. 147-153.

2. კალანდარიშვილი ვ., (1998) ომისა და მშვიდობის პრობლემა სოციალურ ფილოსოფიაში. „ფილოსოფიური ძიებანი", კრებული მეორე, გვ. 207. თბილისი.

3. გაერო. მდგრადი განვითარების დღის წესრიგი „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის". 2015. URL: https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83-%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98 (გადამოწმებულია 8.05.2022)

4. ვაჩნაძე მ., (2022) ევროპა ეკოლოგიური საფრთხის ზღვარზე - ომის ავლენა გარემოზე. URL: HTTPS://BUSINESS-PARTNER.GE/MSOFLIO/EVROPA-EKOLOGIURI-SAFRTKHIS-ZGHVARZE-OMIS-GAVLENA-GAREMOZE (გადამოწმებულია 8.05.2022)

## WAR AND ITS IMPACT ON SUSTAINABLE DEVELOPMENT

**Darejan Chkhirodze**
Ph.D., Associate Professor of Kutaisi University
darejan.chkhirodze@unik.edu.ge

**Manana Bandzeladze**
Ph.D., Associate Professor of Akaki Tsereteli State University, manana57@yahoo.com

**KEY WORDS:** war; peace; sustainable development; environment; socio-economic sustainability
**J.E.L. classification:** O10, Q2, Q28 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.11

**For citation**: Chkhirodze D., Bandzeladze M. War and its Impact on Sustainable Development (in Georgian). Vol. 17, 1(23), გვ. 126-131. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.11

**Summary**

War is a socio-political and ecological event, which is an extreme form of resolving socio-political, economic, ecological, religious, ideological, as well as national, territorial and other conflicts between states, people, nations, classes and social groups through military violence.

The causes of war are as diverse as socio-political, socio-economic, and environmental problems that are perpetuated through violence, such as military-mediated violence. The result is a change in any sphere of public life - social, political, economic, ecological, spiritual, both quantitatively and qualitatively. Countries are moving to a fully military state. Modern warfare ensures the achievement of a set of goals not only through military armed violence but also through other means of war, such as scientific-technical, economic-ecological, diplomatic, ideological and then the nature and directions of the new world order.

According to the modern view, war is a historical product of the emergence and development of the opposing forces in society. Throughout the history of mankind, war has been a constant companion of human life. There have been fair and unfair wars. Fair wars have often been a stimulus to social change, a new shift in social relations, and a shift in the direction of a historical progress in general. But in the age of modern nuclear war, when nuclear weapons of mass destruction were developed in the arsenal of means of warfare, war has become incompatible with the objective law of community development, with the goals of sustainable development of society, because the war itself and the process of preparation for war have a devastating impact on the sustainability of the environment.

Because war causes mass migration of people, unemployment, poverty, socio-economic poverty, environmental degradation. People displaced by the war use unconventional food to save their lives in the form of pets, that destroys the natural environment - flora and fauna. Greenhouse gases emitted as a result of explosions are causing climate change, endangering many species, examples of which abound in war history, bringing the sustainability

curve closer to the bottom. The soldiers and the population have to buy large reserves of water and food before the war, they are forced to change their mindset to adapt to new circumstances, focusing not on long-term sustainability but on short-term decisions, all of that causing depression, hopelessness. At this time, a great importance is given to the aspiration of mankind for peace or the salvation of the world; the more perfect the society, the more determined the goal is to move towards sustainability or preservation of the environment and life, which acts as a positive catalyst in their lives. Even an evil person by nature becomes a good rational being as a result of the influence of goodness, although the goodness manifested in actions against war, striving for peace, without this goodness cannot be transformed into harmony, but the main thing is striving for goodness both in the environment and in saving lives.

Will there always be a dilemma in the development of humanity, mutual harmony, sustainability or confrontation? I am confident that humanity will show common sense and choose the path to perfection, good action that is sustainable development.

**References**


1. Bandzeladze, M., Chkhirodze, D. (2012) Ethics and the Ethical Foundations of Ecology. Akaki Tsereteli State University publishing house. Kutaisi. P. 147-153.

2. Kalandarishvili V. (1998) The Problem of War and Peace in Social Philosophy., Philosophical Researches Collection II. p. 207. Tbilisi.

3. UN. Sustainable Development Agenda "Transforming Our World: 2030 Agenda for Sustainable Development". 2015. URL: https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83-%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98 (Checked 8.05.2022)

4. Vachnadze M., (2022) Europe on the Brink of Ecological Threat - the Impact of War on the Environment URL:HTTPS://BUSINESS-PARTNER.GE/MSOFLIO/EVROPA-EKOLOGIURI-SAFRTKHIS-ZGHVARZE-OMIS-GAVLENA-GAREMOZE (Checked 8.05.2022)

# მიწა ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი კომპონენტია

**პაატა კოღუაშვილი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
paata_koguashvili@hotmail.com

**ბადრი რამიშვილი**
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
badri.ramishvili@tsu.ge

**საკვანძო სიტყვები:** მიწა; რეგულირება; მიწის კანონმდებლობა; სათემო მიწათმფლობელობა.

**J.E.L. classification:** Q15, Q18 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.03

**ციტირებისთვის:** კოღუაშვილი პ., რამიშვილი ბ., (2022) მიწა ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი კომპონენტია ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 132-142. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.03

**ანოტაცია.** *ისტორიულად საქართველო მსოფლიოს პროვინცია არ იყო. იგი იყო თვითმდგომი, სხვა ყველასაგან გამოყოფილი და განსხვავებული სახელმწიფო, რომელიც თვითონ ზრუნავდა თავის დაცვასა და მოვლაზე და, შესაბამისად, თვითონ საზღვრავდა თავის ე.წ. ღირებულებათა სისტემასა და სკალას, თავისი ზნეობის, თავისი სოციალური ურთიერთობებისა და პირადი ურთიერთობების წესებს. საქართველო იყო „მცირე, მაგრამ ჩამოყალიბებული ერთ-ერთი ცივილიზაცია" (აკად. ნიკო მარი) სხვა დიდ და მცირე ცივილიზაციათა შორის.*

*ქართველი ერის მენტალიტეტი, ისტორიულად, დემოკრატიულია. ისტორიულად საქართველო სრულყოფილად ფეოდალური ქვეყანაა, რომელიც თავისი დამოუკიდებელი არსებობის ბოლო რამდენიმე საუკუნის მანძილზე (რუსეთის მიერ ანექსიამდე. 1801 წ.) ქანაობდა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე თავის მეზობელ მუსლიმურ იმპერიებთან ბრძოლაში (ფეოდალიზმი, როგორც ცნობილია, შუა საუკუნეთა დემოკრატიაა. საქართველოს დიდი მეზობლები – თურქეთი, ირანი და რუსეთი, მანამდე – ბიზანტიაც კი, პირიქით, დესპოტიები იყვნენ). საქართველოს ერთმა მეოთხედმა – მთამ – ისტორიის ათასწლეულები ე.წ. სათემო დემოკრატიის პირობებში გაიარა. საქართველო თავისი ღრმა ქრისტიანული კულტურის, თავისი ფეოდალური ისტორიის წყალობით ტიპოლოგიურად დასავლური ქვეყანაა, თავისი მთელი ისტორიის მანძილზე სწორედ დასავლეთთან კავშირისკენ მოსწრაფე.*

*საქართველო პირველ მიწათმოქმედთა ქვეყანაა. ქართველები უძველესი დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო კულტურისა და ტრადიციების მქონე ერი ვართ. ჩვენი წარსული და მომავალი გაპირობებული და გაშინაარსებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური თუ ემოციური საწყისებით. ყოველივე ამან*

*განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები პრაქტიკულ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის ტრადიციიდან გამომდინარეობს.*

*მიწა ქართველთა ცნობიერებაში „შეურყვნელი", „შეუბღალავი", „სუფთა" და „წმიდაა". „წმიდა ნაკვეთი" გაღვთიურებულია წარმართულ საქართველოში.*

*მიწის დამუშავება ადამიანთა უძველესი კულტურისერთარსებითიელემენტია.ამასთან, იგი არის არა მხოლოდ ბუნების საგნების დამუშავება და მოპოვება, არამედ ადამიანის მიზანმიმართული ზემოქმედებაც საკუთარ სულიერ უნარზე. „სულის გეორგიკა"(ფრენსის ბეკონი) – სულის მიწათმოქმედება – სულის გარდაქმნა, მიწის დამუშავების მსგავსად.*

*რას ნიშნავს მიწა, მიწათმოქმედება და მათთან კულტურული მიმართება ქართველი კაცისთვის?როგორუკავშირდებასაქართველოს სასიცოცხლო ინტერესი იმ სფეროს, რომლის სახელსაც (გეორგია) ატარებს ჩვენი ქვეყანა? რა ეკონომიკური და სულიერი მნიშვნელობა აქვს მიწასა და მიწათმოქმედებას ჩვენთვის? როგორ უკავშირდება ერთმანეთს ქვეყნის ცხოვრების ეკონომიკური და ზნეობრივი ასპექტები?*

*მიწის განცდა ქართველი კაცისათვის მისი საერთო მსოფლაღქმის უშუალო გამოვლენაა. მიწისა და მიწათმოქმედების გააზრებისა და მოწყობის ქართული მოდელის საწყისები სწორედ ქართველის ზოგად-კულტურულ ვინაობასა და რაობაში უნდა ვეძიოთ.*

**შესავალი**

ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა. ვითარებას ართულებს ნიადაგის ეროზიის პროცესი, რაც უკანასკნელ პერიოდში, ანთროპოგენური ექსპანსიის და კლიმატური ცვლილებების ფონზე, კრიტიკულ ფაზაში შევიდა.

ქართველი ერისათვის მიწა-წყლის წართმევის მცდელობას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც იმის ცოდნას დანარჩენი მსოფლიოს მიერ, რომ საქართველო „ღვთის მიერ კურთხეული ადგილია", ანუ თავისი ფართობისადმი პროპორციის მხრივ, ბუნებისგან ბევრად უფრო უხვად დასაჩუქრებული ადგილია, ვიდრე დედამიწის დანარჩენი ტერიტორია საშუალოდ. ეს მცდელობა ხორციელდება არა მხოლოდ გეოსტრატეგიული ქმედებების დონეზე (დაპყრობა, აყრა და ა.შ.), არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დონეზეც, სახელდობრ, თვით საქართველოს სინამდვილეში იმგვარი „მშვიდობიანი" დივერსიული ცვლილებების განხორციელების (ან სათანადო მცდელობის) დონეზეც, რომლებმაც შედეგად უნდა მოიტანოს ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური ბმის შესუსტება საქართველოს მიწასა და მის კანონიერ პატრონს, ქართველ ერს შორის.

ქართული სახელმწიფოს წინაშე დღეს არსებულ მრავალ გამოწვევას შორის უმთავრესი მიწის საკითხის გადაწყვეტაა. მიწის საკითხი ყველაზე არსებითად არის დაკავშირებული ქვეყნის ბედთან, რადგან ტერიტორიული იდენტობა ეროვნული ცნობიერების ნიადაგია, ხოლო მისი შენარჩუნება მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის მოუწესრიგებლად წარმოუდგენელია. მიწა ერის სასიცოცხლო და შემოქმედებითი სივრცეა.

**საქართველოს სიძლიერე მიწასთან მარადიული კავშირის ტრადიციაშია**

საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისათვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის საერთო მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისათვის.

საქართველოს ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, კანის ფერისა, დაბადების ადგილისა და ა.შ., უფლებამოსილია, რომ საქართველოს ბუნებრივ შესაძლებლობებს, პირველ ყოვლისა – მიწას განიხილავდეს, როგორც თავისი შთამომავლობის გარანტირებულ საკვებ ბაზას და როგორც თავისი ყოველმხრივი თვითრეალიზაციის სივრცეს თანამედროვე ცივილიზაციური დონისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

სახელმწიფო ვალდებულია ყველა კანონმდებლობითი და პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიება იხმაროს, რათა საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობას შეუნახოს აღნიშნული შესაძლებლობები შეუმცირებებლი სახით.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ:

– საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს;

– უზრუნველყოს იმიგრაციის მკაცრი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლებისა და ემიგრაციის ტემპების გათვლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუდინგული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე. (კოღუაშვილი და რამიშვილი 2018:20)

თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების – კერძოდ, სასურსათო და საკვები რესურსების შემცირების – პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს პირველ რიგში ეხება მიწას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, სულ უფრო მცირდება, და ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე. დამახასიათებელია ამ მხრივ FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. ამავე დროს არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) (VerfGEG21, 73). რესურსი. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან, გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით

გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.

„სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი. რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა“ (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ Landesgegesetzblatt Nr. 88/1994).

**გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ** თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (VerfGE 21, 37 [82]) განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში“.

**გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა** სასამართლომ თავის სხვა გადაწყვეტილებაში (BVerfGE 21, 73), მოსარჩლის მოსაზრება რომ „სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ბრუნვა ისეთივე თავისუფალია, როგორც ეს სხვა კაპიტალის შემთხვევაშია“, არ გაითვალისწინა იმის გამო, რომ „ის გარემოება, რომ მიწა შეუცვლელია და ამასთან ერთად არ ექვემდებარება გამრავლებას, კრძალავს, რომ იგი სრულად მინდობილი და დათმობილი იქნეს თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან და არც მისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება“.

**შვეიცარიის ფედრალური კანონი** უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს. ეს არის: „უცხოეთში მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შეძენის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარული მიწის „გაუცხოება“.

საქართველოში არსებული სიტუაცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა. საქართველოს მოსახლეობის გამოკვება დღეს არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე, რომელიც, მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს შეიძლება შეწყდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიშროების პრევენციისათვის მოითხოვს იურიდიული ბერკეტების ქონას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით არ აქვს.

საკუთარ პასუხისმგებლობას მოქალაქის წინაშე საქართველოს სახელმწიფო ვერ განახორციელებს და, შესაბამისად, მას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობათა შესრულებას სრულფასოვნად ვერ მოსთხოვს, თუ მისი თავის რჩენის მთავარი ბაზა – სასოფლო-სამეურნეო მიწა – მნიშვნელოვნად შევიწროებული იქნება მასზე საკუთრების მხრივ. (კოღუაშვილი და რამიშვილი, 2011)

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში (ბრუნვაში)

მოქცევის არა ერთი, არამედ ორი გზა არსებობს:

– მიწის კერძო საკუთრება,

– მიწის გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარა (იჯარით სარგებლობის უფლების გაყიდვა).

ჩვენ პირობებში მყოფი ქვეყნისთვის უცხოელების მიმართ ძირითადად ეს უკანასკნელი უნდა იყოს გამოყენებული. ამისთვის კი საჭიროა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების აღდგენა და მასში ნათელი და გამჭვირვალე ცვლილებების შეტანა. ასევე საჭიროა კანონმდებლობაში აღდგეს გაუქმებული მუხლი – სოფლის მეურნის სტატუსის შესახებ (ამ სტატუსის მქონე საქართველოს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს შორის მიწის ყიდვა-გაყიდვა თავისუფალია. სხვა შემთხვევებში იგი ექვემდებარება რეგულაციებს).

ამასთან, საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ:

– მიწა ერისთვის მისი სახელმწიფო ტერიტორია, სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას;

- საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა;

– თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მიწის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით: თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან, უყოყმანოდ იწირება თეორია. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ;

– მიწისაგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს, სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლას;

– სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხკაცი თავის პირად მამაპაპურსაც, თავის „მამულსაც“ იცავდა. სხვა სიტყვით: თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის – თავისი სახელმწიფოს – დაცვის სახით იცავდა. (კოღუაშვილი, 2021)

### მიწა ქართველთა ეროვნული საუნჯე და მარადიული სამკვიდროა

ქართული ტრადიციული სამართალი უწინარესად მიწის საკითხს აგვარებდა. მიწაზე კერძო და საზოგადოებრივი, ე.ი. სათემო საკუთრება მიწათმფლობელობის ქართული წესის ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა. საქართველო ევროპული ცივილიზაციის ნაწილად, პირველ ყოვლისა, სწორედ ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ისტორიულად არსებული მიწათმფლობელობის ქართული წესი ტიპოლოგიურად სწორედაც რომ ევროპულია. (კოღუაშვილი და ზარდიაშვილი, 2018:12)

სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ ქართული სამართლის უგულებელყოფა და მიწათმფლობელობის ქართული წესის მოსპობა განაპირობა. რუსეთის იმპერიის პირობებში საფრთხე მთლიანად ქართველთა ეროვნულ იდენტობას დაემუქრა.

მიწის, როგორც არა მხოლოდ ნივთის, არა ოდენ საკუთრების ობიექტის, არამედ როგორც ქართველთა ტერიტორიული იდენტობის განმსაზღვრელი მთავარი ღირებულების –

საერთომამულისდაცვა,ენისადასარწმუნოების დაცვასთან ერთად, ილია ჭავჭავაძის მიერ დარაზმული ეროვნული მოძრაობის მთავარი გეზი და ძირითადი სამოქმედო პროგრამა იყო. (კოღუაშვილი, 2013)

საბჭოთა იმპერიამ ერსაც და ქართულ თემსაც ნიადაგი გამოაცალა, როდესაც კერძო საკუთრებასთან ერთად საერთოდაც მოსპო სათემო საკუთრებაც, ხოლო ქართული მიწა საბჭოეთის საერთო-სახალხო საკუთრებად გამოაცხადა!

საქართველომ სახელმწიფოებრიობა მე-20 საუკუნის მიწურულს კვლავ დაიბრუნა, რითიც შეიქმნა ის მთავარი პირობა, რომ თანამედროვე, რაციონალურად მოწყობილი ქართული სახელმწიფო, „ფრიად ქვეყანასაც" და სათემო იდენტობასაც უკვე დემოკრატიული წეს-წყობილებით დაიცავდა, ხოლო მიწათმფლობელობის ქართული წესი ახალ ვითარებაში შეისხამდა ხორცს. ეს ფუნდამენტური პრობლემა, საქართველომ დღემდე ვერ მოაგვარა. მართალია, 90-ანი წლების დასაწყისში აგრარული რეფორმის გასატარებლად პირველი ნაბიჯები გადაიდგა, როცა სასოფლო მიწა მის ნამდვილ პატრონებს, ქართველ გლეხებს საკუთრებაში დაუბრუნდათ, მაგრამ ამ რეფორმას განვითარება არ მოჰყოლია: მიწის ფონდის უდიდეს ნაწილს, რომელიც საბჭოთა ოკუპაციისას აბსტრაქტულ საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენდა, ჯეროვანი პატრონი დღემდე არ ჰყავს, გამოუყენებელი და უსარგებლოა, უარესიც: აღურიცხავი, დაურეგისტრირებელი და მაშასადამე, იურიდიულადაც უპატრონოა!

უკანასკნელი მიწის ბალანსის მიხედვით, რომელიც 2004 წლის შემდგომ საერთოდ აღარც იწარმოება (?!), სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწა შეადგენდა 3025,8 ათას ჰექტარს, მათ შორის, სახნავი – 802,1 ათას ჰექტარს, მრავალწლიანი ნარგავები – 263,5 ათას ჰექტარს, სათიბი – 143,5 ათას ჰექტარს და საძოვარი – 1796,6 ათას ჰექტარს.

საჯარო რეესტრის მონაცემებით რეგისტრირებულია მხოლოდ 1470,5 ათასი ჰა სასოფლო მიწა, ამ დარეგისტრირებული მიწიდან სახელმწიფო საკუთრებაშია 380,4 ათასი ჰა. როგორც ვხედავთ, ყველაზე ძვირფასი საუნჯის, რომელიც განუახლებად ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს და თანასწორად ეკუთვნის ქართველთა წარსულ, აწმყო და მომავალ თაობებს, უდიდესი ნაწილი, ე.ი. არსებული მონაცემებით 1555,3 ათასი ჰა მიწა, ანუ სასოფლო–სამეურნეო მიწის მთლიანი ფონდის 50%-ზე მეტი აღურიცხავი, დაურეგისტრირებელი და იურიდიულად უპატრონოა! (კოღუაშვილი და ზარდიაშვილი, 2017)

მოუწესრიგებელი და აღურიცხავია მიწათსარგებლობა! გულსაკლავია, რომ გეორგიანული კულტურის უძველეს ქვეყანაში დღეს მიწის მიმართ ისეთი უდიერი დამოკიდებულებაა, რომელსაც ალბათ ანალოგიც კი არ მოეპოვება თანამედროვე მსოფლიოში! დღეს არავინ უწყის, რეალურად რა მდგომარეობაშია საქართველოს მიწის ფონდი, სად, ვის ხელში და რამდენი გვაქვს მიწა, რისი პატრონები ვართ – რამდენი გვაქვს სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი, ბაღი, ვენახი, ბოსტანი, ტყე, წყლის ფონდის მიწა, სამრეწველო დანიშნულების, განაშენიანების, რეკრეაციის და სხვა მიწები. აღარაფერს ვამბობთ მიწათ-მოწყობაზე, რომელიც ფაქტობრივად მოშლილია; ანდა თუნდაც ქალაქგეგმარებას და ზოგადად, ტერიტორიების სივრცით დაგეგმარებაზე, რაც სავალალო მდგომარეობაშია!

სავალალო მგომარეობაშია მიწის სამართალიც! დღეს მოქმედ უაღრესად

ფრაგმენტულ და წინააღმდეგობრივ კანონმდებლობაში საერთოდაც არ არსებობს საზოგადო, მწყობრი და ერთიანი სამართლებრივი პრინციპები, რაც მიწასთან, როგორც ქვეყნის განუახლებად და უმთავრეს რესურსთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფართო სპექტრს მოაწესრიგებდა.

მართალია, კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ სახელმწიფოს მიიჩნევს სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრედ, მაგრამ ეს კანონი ზოგადადაც არა სახელმწიფო ქონებით სარგებლობას, მისი გამოყენების, მართვისა და დაცვის ჯეროვან რეჟიმებს, არამედ ოდენ სახელმწიფო ქონების განკარგვას, მის პრივატიზებას ანდაც სარგებლობის უფლებით გადაცემას აწესრიგებს! კანონში აშკარად არის გამოხატული, იქმნება მყარი შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფოს მიწის პატრონობა ოდენ მის გასაყიდად თუ გაახსენდება! სწორედ ამიტომაც, დღემდე სრულიად უსისტემო ხასიათი აქვს სახელმწიფოს მიერ მიწის გასხვისების პროცესს და არა ეკონომიკური ეფექტიანობის, სოციალური მიზანშეწონილობის ანდა რაიმე სხვა არსებითი საზოგადოებრივი სიკეთის მომტანი. სახელმწიფოს დაკარგული აქვს მისი ძირითადი ფუნქცია – კონტროლი მიწათსარგებლობაზე. სასოფლო თემმა, აუცილებლად უნდა დაიბრუნოს უპირობო და წარუვალი უფლება საკუთარ სამკვიდროზე; ეს უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ საერთო, სათემო სარგებლობის მიწა – საძოვარი, სათიბი, წყლის ფონდის მიწა, ტყის ფონდის მიწა (და არამარტო!) იურიდიულად უნდა დაუბრუნდეს თემს მუდმივ და უსასყიდლო მფლობელობასა და სარგებლობაში; ეს მიწა არა სახელმწიფო, არამედ მუნიციპალური საკუთრებისა უნდა იყოს და თემის, რომელიც მისი ერთადერთი ლეგიტიმური მფლობელი და მოსარგებლეა, დაუკითხავად შეუძლებელი უნდა გახდეს ამ მიწის, ე.ი. სოფლის სამკვიდროს, სამართლიანი და ეფექტიანი მართვა – მისი განკარგვა, რაციონალური გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების თუ მიწის, როგორც ძირითადი საწარმოო საშუალების გამოყენებით სოფლის ტერიტორიაზე სხვა ეკონომიკური საქმიანობის სწორედ ორგანიზება, საბოლოო ანგარიშით – სასოფლო სამკვიდროს დაცვა და სოფლის გადარჩენის შემდეგ მის განვითარებაზე ზრუნვა. (კოღუაშვილი, 2021)

ქართულ თემს უმთავრესი უფლებები დღემდე არ დაბრუნებია – იგი მესაკუთრე სამართალ–სუბიექტს აღარ წარმოადგენს! ხოლო სათემო ქონებას მოკლებული სოფელი უკვე ქართული სოფელი კი არა, არამედ ბედისწერას მინებებული დასახლებაა, სადაც საბჭოთა დროიდან დღემდე საზოგადო მიწაწართმეული მოსახლეობა სახლობს და არა მკვიდრი თემი! სანამ თემი არ გახდება სათემო ქონების მესაკუთრე სამართალ-სუბიექტი, ძნელად სავარაუდოა, რომ მიწაზე საზოგადო საკუთრებამ კონკრეტული იურიდიული და ეკონომიკური შინაარსი დაიბრუნოს! (კოღუაშვილი და ჩიხლაძე, 2021)

სასოფლო თემის ეკონომიკური გამოცოცხლების, დეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანის, ხოლო შემდგომ მისი ეკონომიკური განვითარებისა და აქტივობის გასაძლიერებლად საუკეთესო (შესაძლოა, ამჟამად ერთადერთიც!) გზაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყოველმხრივი წახალისება, მხარდაჭერა და სწრაფი განვითარება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ლოკალური ტერიტორიული გავრცელების ოპტიმალური ფორმის განსაზღვრაში, პრიორიტეტული მნიშვნელობა სათემო კოოპერატივებს ენიჭება. მათი ჩამოყალიბება უნდა

მოხდეს ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიული გავრცელების ფარგლებში, პრინციპით: „ერთი თემი – ერთი კოოპერატივი", წარმოების სპეციალიზაციისა და საწარმოო ძალთა კონცენტრაციის ფაქტორების გათვალისწინებით. სათემო ტრადიციები, მათ შორის საწარმოო ურთიერთობები, ოდითგანვე გავრცელებული იყო საქართველოში, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში. ტერიტორიული გავრცელების ნიშნით შექმნილი სათემო კოოპერატივები ქმნიან კოოპერაციის პროცესში მოსახლეობის მასობრივი ჩართულობის პირობებს, სადაც შესაძლებელი გახდება მასშტაბის ეკონომიკური ეფექტის გამოყენება და ადგილებზე მოსახლეობის შესაძლებლობების და მატერიალური რესურსების კაპიტალიზაცია, რასაც ინკლუზიური სამეწარმეო განვითარების დაგეგმვასა და განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ამჟამინდელ მოუწესრიგებლობას არ შეიძლება შეეგუოს და ვერც შეეგუება ქართული სახელმწიფო!

სასწრაფოდ უნდა დაიგეგმოს და დროის დაუკარგავად განხორციელდეს ფუნდამენტური აგრარული რეფორმა! ამ რეფორმამ ერთხელ და სამუდამოდ, პრინციპულად უნდა გადაწყვიტოს მიწის საკითხი. ამისათვის კი აუცილებლად მიგვაჩნია:

1. მიწის რეფორმის ძირითადი მიზნების განსაზღვრა;

2. ფუნდამენტური აგრარული რეფორმისათვის საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის შექმნა; აუცილებელია რაც შეიძლება მოკლე დროში მიწის კოდექსის მომზადება და მიღება;

3. მიწის პრივატიზების მოწესრიგება – ნორმატიული საფუძვლების მომზადება, რომლითაც რეალურ შინაარსს შეიძენს ჯერ კიდევ 1921 წ. ქართული კონსტიტუციის 116-ე მუხლის ის პრინციპი, რომ „მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე". ამ პრინციპიდან გამომდინარე, კანონმდებლობით მკაფიოდ განისაზღვრება წესები და პირობები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მიწის შემძენი. კერძოდ, დადგინდება სათემო მფლობელობაში მოქცეული მიწის პრივატიზების ისეთი წესიც, როდესაც პრივატიზება დაიშვება მხოლოდ თემის თანხმობით და იმ პირობით, რომ კონკრეტული საზოგადოებრივი სარგებელი პრივატიზებიდან სწორედ თემმა უნდა მიიღოს. გარდა ამისა, მიწის პრივატიზებისას შემძენისათვის სავალდებულო უნდა გახდეს მიწათ-მოწყობისა და ტერიტორიის განვითარების გეგმების (რომლებიც უნდა შეესაბამებოდნენ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ ნორმატიულ დოკუმენტებს) წარდგენა;

4. მიწაზე სათემო მფლობელობის აღდგენა – ნორმატიული, ინსტიტუციური და ტექნიკური საფუძვლების მომზადება, სოფლად ადგილობრივი თემის ჩამოყალიბება, რომელსაც მუდმივ მფლობელობასა და უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცემა სოფლის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სახელმწიფო საკუთრების მიწა;

5. მიწის შესახებ ახალი კანონმდებლობის მიღებისა და იმპლიმენტაციის, ფუნდამენტური აგრარული რეფორმის გასატარებლად მიწის რეფორმის სახელმწიფო კომისიის შექმნა; კომისიამ უნდა უზრუნველყოს რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთო–ეროვნული კონსენსუსის მიღწევა, რეფორმის სწორად დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია;

6. არა მხოლოდ მიწათმფლობელობის არამედ, მიწათსარგებლობის აღრიცხვიანობის სასწრაფოდ მოწესრიგება.

მიწის საკითხის გადაწყვეტა, მამულის ჯეროვანი პატრონობა, მაშასადამე, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის ქართული წესით მოწესრიგება, ჩვენი უწინარესი ვალდებულებაა ერთმანეთის, ჩვენი წინაპრებისა და შთამომავლობის წინაშე!

## ლიტერატურა


1. კოღუაშვილი პ., ზარდიაშვილი დ.,. (2018) მიწის საკითხი მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის ქართული წესით უნდა გადაწყდეს! ახალი აგრარული საქართველო. №5(85), გვ. 10-13.
2. კოღუაშვილი პ., რამიშვილი ბ., (2018) მიწის სტრატეგიის ფუნდამენტური საკითხები: მიწის სტრატეგია - სახელმწიფო სტრატეგიის საფუძველი. ეკონომისტი. №2, გვ. 16-22
3. კოღუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ., (2021) სათემო კოოპერაცია - მთიანეთის აღორძინების ეფექტიანი მექანიზმი. ეკონომიკური პროფილი. №2(22). DOI: https://doi.org/10.52244/ep.2021.22.07
4. კოღუაშვილი პ., (2021) საქართველოში სოფლის განვითარებისა და მიწის სისტემური პოლიტიკის შესახებ. ბიზნეს-ინჟინერინგი. №3-4.
5. კოღუაშვილი პ., ზარდიაშვილი დ., (2017) ეროვნული თანხმობა საქართველოს მიწის გადარჩენის აუცილებელი პირობაა. ეკონომიკა და ბიზნესი. ტ.10, №2.
6. კოღუაშვილი პ., რამიშვილი ბ., (2011) მიწა და სახლმწიფო. ეკონომიკა და ბიზნესი №16.
7. კოღუაშვილი პ., (2013) ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით. თბ., „მერიდიანი“.
8. კოღუაშვილი პ., (2021) მიწის საკითხი არსებითად არის დაკავშირებული ქვეყნის ბედთან. ახალი აგრალური საქართველო. №2.


## LAND IS AN ESSENTIAL COMPONENT OF A NATION'S EXISTENCE AND CREATIVITY


**Paata Koguashvili**
Doctor of Economic Science, Professor of Georgian Technical University, Georgia
paata_koguashvili@hotmail.com

**Badri Ramishvili**
Doctor of Economics, Associate professor of Tbilisi State University, Georgia
badri.ramishvili@tsu.ge



**KEY WORDS:** *Land; Regulation; Land legislation; Community land ownership.*
**J.E.L. classification:** Q15, Q18
DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.03

**For citation:** Koguashvili P., Ramishvili B., (2022). Land is an essential component of a nation's existence and creativity (in Georgian). Economic Profile, Vol. 17, 1(23), p. 132-142. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.03


### Summary


The mentality of the Georgian nation is historically democratic. Historically, Georgia was a perfectly feudal country. One quarter of Georgian territory - the mountains – lived millennia of a history under conditions of the so-called “community democracy” (non-dominant territorial community,

community land ownership). Georgia, thanks to its strong Christian culture, its feudal history (and in the mountains, the so-called "community democracy"), is a typologically western country, which throughout its history has been striving for a connection with the West.

The current situation in Georgia is particularly acute. The nutrition of the population of Georgia today is essentially dependent on imports, which, due to the difficult geostrategic and geopolitical situation, can be stopped at any moment. The use of agricultural land owned by a foreign citizen to prevent this danger requires the use of legal tools, which the Georgian state does not currently have. In Georgia, the form of long-term transferrable lease should be used mostly for foreigners.

Land use is unregulated and unaccounted for! It is heartbreaking that in the ancient country of Georgian culture, today there is such a negligent attitude towards the land, which probably has no analogues in the modern world!

The process of land transfer by the state is unsystematic and does not bring economic efficiency, social expediency or any other essential public benefit. The State has lost its main function - control over the land use. The rural community must surely regain its unconditional and inalienable right to its own estate; This means, first of all, that the common community land - pastureы, meadows, water landscapes, forestry fund lands (and more!) must be legally returned to the community for permanent and gratuitous ownership and use; this land should not be state-owned, but municipal property, and the community, which is its only legitimate owner and user, and it should be made impossible the ownership of this land, that is, fair and efficient management of rural heritage - its management, rational use, organization of other economic activities in the rural area using agricultural production or land as the main means of production without their consent.

To solve the land issue, we deem it necessary:

1. To define the main goals of land reform;
2. To create a legislative and normative framework for fundamental agrarian reform; it is necessary to prepare and adopt a land code as soon as possible;
3. To regulate land privatization - preparation of normative bases, by which the real content will be acquired by the principle of Article 116 of the Georgian Constitution of 1921. that "cultivation and use of land is the duty of the landowner to the public". Based on this principle, the law clearly defines the terms and conditions that must be met by the purchaser of the land. In particular, the rule of privatization of community-owned land will be established, when privatization is allowed only with the consent of the community and on the condition that the community should receive specific public benefits from the privatization. In addition, when privatizing land, it must be mandatory for the acquirer to submit land development and development plans (which must comply with the normative documents adopted by the municipality);
4. To restore the community ownership of land - preparation of normative, institutional and technical bases, establishment of a local community in rural areas, which will be transferred to permanent ownership and gratuitous use of state-owned land within the administrative boundaries of the village;
5. To establish a State Land Reform Commission to adopt and implement new land legislation, to carry out fundamental agrarian reform; the Commission should ensure that a national consensus is reached on reform-related issues, that the reform is properly planned and coordinated;

6. To improve as soon as possible not only the land ownership but also the land use accounting.

Solution to land issues, proper ownership of land, therefore, regulating land ownership and land use in the Georgian way, is our foremost responsibility towards each other, as well as towards our ancestors and descendants!

## References

1. Koguashvili P., Zardiashvili D., (2018) The issue of land must be resolved according to the Georgian rules of land ownership and land use! New Agrarian Georgia. №5 (85), p. 10-13.

2. Koguashvili P., Ramishvili B., (2018) Fundamental issues of land strategy: land strategy - the basis of state strategy. Economist. №2, p. 16-22

3. Koguashvili P., Chikhladze N., (2021) Community cooperation - an effective mechanism for the revitalization of the mountains. Economic Profile. №2 (22). DOI: https://doi.org/10.52244/ep.2021.22.07

4. Koguashvili P., (2021) On Rural Development and Systemic Land Policy in Georgia. Business Engineering. №3-4.

5. Koguashvili P., Zardiashvili D., (2017) National consent is a necessary condition for the survival of Georgian land. Economics and Business. Vol.10, №2.

6. Koguashvili P., Ramishvili B., (2011) Land and State. Economics and Business №16.

7. Koguashvili P., (2013) Ilia Chavchavadze through the eyes of a farmer. Tb., "Meridiani".

8. Koguashvili P., (2021) The issue of land is essentially related to the fate of the country. New Agrarian Georgia. №2.

# მიწის ადმინისტრირების ინფორმაციული უზრუნველყოფა

**ანა ჭიპაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ana.chipashvili@yahoo.com

**საკვანძო სიტყვები:** მიწის ადმინისტრირება; სივრცითი მონაცემები; მიწის კადასტრი.

**J.E.L. classification:** Q5, Q15 DOI:https://doi.org/10.52244/ep.2022.23.01

**ციტირებისთვის:** ჭიპაშვილი ა., (2022) მიწის ადმინისტრირების ინფორმაციული უზრუნველყოფა. ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 143-151. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.01

**ანოტაცია.** *მიწა ერის სასიცოცხლო ბაზაა. მიწა არა მარტო ბუნებრივი ეკონომიკური რესურსია, არამედ ჩვენი იდენტობის დამდგენი განსაკუთრებული კულტურული და სოციალური საფუძველია.*

*სახელმწიფოს შექმნის უპირველესი ატრიბუტია გარკვეული ტერიტორიის ფლობა, ხოლო სახელმწიფოს სიძლიერის განმსაზღვრელია ამ ტერიტორიის სიმდიდრის დეტალური შესწავლა, მისი წარმატებული მართვა და ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შემუშავება. ეს ყველაფერი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე და როგორ იმართება ეს ტერიტორია. აქედან გამომდინარე, მიწის მართვისა და აღრიცხვის საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არათუ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის და საერთოდ კაცობრიობისთვის.*

*ქართული სახელმწიფოს ისტორიული სწრაფვა მდგომარეობს იმაში, რომ გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი, რაც თავის თავში მოიცავს ევროპულ სტანდარტებთან სხვადასხვა სფეროსა თუ დარგის ინტეგრაციასა და თავსებადობას. ასევეა მიწის ადმინისტრირების სფეროც.*

## შესავალი

მიწის ადმინისტრირება ნიშნავს, პოლიტიკას, პროცესებს და ინსტიტუტებს, რომლებითაც იმართება მიწა, ქონება და ბუნებრივი რესურსები. „მიწის კარგი ადმინისტრირება მოითხოვს საკანონმდებლო ბაზას და ოპერაციულ პროცესებს იურისდიქციისა თუ ქვეყნის შიგნით პოლიტიკის მდგრადი სახით განსახორციელებლად. მიწის ადმინისტრირების სისტემები ქვეყანას აძლევს ინფრასტრუქტურას მიწის პოლიტიკისა და მიწის ადმინისტრირების სტრატეგიების განსახორციელებლად მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად" (Enemark and at al., Bell, Lemmen, McLaren: 2014). მდგრადი განვითარება ვერ მიიღწევა მიწის ადმინისტრირების გარეშე.

მიწის ადმინისტრირება მოითხოვს კარგად განვითარებული სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერას გეორეფერენსირებული ინფორმაციის გაცვლისთვის. საზოგადოება და ეკონომიკა მოითხოვს დიდი მოცულობის სანდო მონაცემების შექმნას, შეგროვებას, შენახვას, გაზიარებას და ანალიზს სივრცითი და

არასივრცითი მონაცემების მითითებით. სივრცითია ნებისმიერი სახის მონაცემი, რომელსაც გააჩნია სივრცითი მახასიათებელი ან სივრცითი გამოსახვა (NSDI, საქ. იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2014).

სივრცით მონაცემებზე გაუმჯობესებული წვდომა ნიშნავს უკეთეს საფუძველს გადაწყვეტილების მისაღებად როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე გრძელვადიანი სოციალური განვითარების კონტექსტში.

**ძირითადი ნაწილი**

ევროპულ თანამეგობრობაში, სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, ევროკომისიის ინიციატივით, ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ 2007 წლის 14 მარტს მიიღო 2007/2/EC დირექტივა INSPIRE, რომელიც ამოქმედდა 2007 წლის 15 მაისიდან. საერთო სივრცითი ენის განვითარების მიზნით, INSPIRE-ის დირექტივა ევროკავშირის ქვეყნებისთვის ლექსიკონისა და გრამატიკის როლს ასრულებს. INSPIRE ადგენს ტექნოლოგიებისა და სტანდარტების მარეგულირებელ წესებს - ტექნიკურ სპეციფიკაციებს. ამ გზით ყველას აქვს ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალება, რაც, თავის მხრივ, აღრმავებს ხალხებსა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობას.

INSPIRE ევროპაში წარმოადგენს ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს, რამდენადაც ის სახელმწიფო ინსტიტუტებს, მოქალაქეებსა თუ ეკონომიკურ მიმართულებებს აძლევს არა მარტო ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისა და ბიზნესპროექტების განვითარების საშუალებას, არამედ ცვლის მონაცემთა გაზიარებისადმი მიდგომებს (NSDI, საქ. იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2014).

ბევრ ქვეყანაში კადასტრში რეგისტრირებული მიწის ინფორმაცია არის ყველაზე ყოვლისმომცველი და უმაღლესი ხარისხის არსებული გეოინფორმატიკის ნაკრები. კადასტრი წარმოადგენს NSDI-ის ძირითად მონაცემთა ბაზას. შესაბამისად, საკადასტრო რუკა წარმოადგენს მონაცემთა ბაზის ფენას, რომელიც აუცილებელია გეოინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფარგლებში მიწის ეფექტური მართვისთვის (Roić, 2012).

მიწის კადასტრი არის საწარმოო დანიშნულების. ის ასრულებს სამეურნეო და ორგანიზაციულ ფუნქციებს. მიწის კადასტრში ასახულ მონაცემებს მნიშვნელოვანი როლი აკისრია მიწის საფინანსო და სამართლებრივი საკითხების გადაჭრაში, მიწის ბაზრის ჩამოყალიბება-რეგულირების, საგადასახადო პოლიტიკისა და სხვა საქმიანობის სრულყოფაში. მიწის კადასტრის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი, უკრაინელი მეცნიერი ტ. მაგაზინჩშიკოვი აღნიშნავს, რომ „კადასტრი არის სახელმწიფო ღონისძება, მიმართული მიწის რესურსებზე სარწმუნო მონაცემების მიღებისა და სისტემატიზაციისთვის" (ჭიპაშვილი, 2004).

საქართველოში 2005 წლიდან დღემდე არ შედგენილა ე.წ. მიწის ბალანსი, ანუ საქართველოს მიწის ფონდის უფლებრივი და სამეურნეო ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ნაერთი ინფორმაცია, რის გამოც სახელმწიფოს, ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდა მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ფუნქცია (კოღუაშვილი, 2022).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შექმნით (2004 წელი) გარკვეულწილად მოწესრიგდა მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცესი, რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს

და მიზნად ისახავს 2025 წლამდე დასრულებას.

2019 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ", რომლის საფუძველზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო. აღნიშნული სააგენტოს ძირითად უფლებამოსილებებად განისაზღვრა: მიწის ბალანსის შედგენა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების მიზნობრივი გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა და სხვა.

საქართველოს მთავრობამ 2021 წლის 8 აპრილს, N166 დადგენილებით დაამტკიცა „მიწის ბალანსის შედგენისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვის წესი". მიწის ბალანსის შედგენისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვის მიზანია, საქართველოს მიწის ფონდის შესახებ არსებული და შექმნილი ისეთი ინფორმაციის მობილიზება და მართვა, რაც შექმნის საფუძველს, ქვეყნის აგრარული და ეკონომიკური სექტორების თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად განხორციელდეს მიწის რესურსების მართვა, მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლი, მიწის ნაყოფიერების ამაღლება და სივრცული დაგეგმარების მოწესრიგებასთან, მიწის ფლობასთან, სარგებლობასა და განკარგვასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში არ მიმდინარეობს მიწის კადასტრის სრულყოფილი წარმოება, არ არის შექმნილი მონაცემთა ერთიანი ბაზა რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მიწის ბუნებრივი, სამეურნეო, სამართლებრივი, ეკოლოგიური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და სრულყოფილად პასუხობდეს კითხვებს: „ვისი? სად? რამდენი? როგორი?"

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მიწის კადასტრის წარმოება მაღალ დონეზეა აყვანილი, შესაბამისად მისი მონაცემების გამოყენებაც მრავალმხრივია. მიწის კადასტრისა და მიწაზე უფლების რეგისტრაციის სარგებელი მრავალია, მათ შორისაა: ა) მიწის გამოყენების და დაცვის დაგეგმვის ოპტიმიზაცია; ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობა; გ) მიწის შეფასებისა და მიწის დაბეგვრის სისტემების გაუმჯობესება; დ) ადმინისტრაციული მმართველობის გაუმჯობესება; ე) მიწის ბაზრის განვითარება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება მიწის კადასტრს ახალ შესაძლებლობებს აძლევს. თანამედროვე ეტაპზე მიწასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელსაც კადასტრი (ფართო გაგებით) ქმნის, გაციფრულებული და გეოკოდირებული უნდა იყოს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესია და ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიწის ადმინისტრირების სისტემის საფუძველის შექმნას.

ტექნიკური აპარატურითა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით იქმნება მიწის რესურსების მართვისა და ადმინისტრირებისთვის მეტად საჭირო მონაცემთა ბაზა. სამუშაოთა კომპლექსი ითვალისწინებს სივრცული მონაცემების

შეგროვებას, შენახვა-ანალიზს, ოპერაციული პროცესების მოდელირებას, შედეგების ვიზუალიზაციას. მიღებული პროდუქტი უზრუნველყოფს ქვეყნის მიწის ფონდის მართვის, მიწის ბაზრის განვითარების, მიწათსარგებლობის დაგეგმარების, ფისკალური პოლიტიკის, გარემოს დაცვის და ა.შ. საკითხთა სწორ გადაწყვეტას.

საქართველო პირველი ქვეყანაა კავკასიის რეგიონში, რომელმაც დაიწყო ევროპულ სტანდარტებთან თავსებადი ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნაზე მუშაობა. განავითარა სივრცითი ტექნოლოგიების სფერო, რაც ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

მიწის კადასტრის წარმოება მოიცავს დიდი მოცულობის ინფორმაციის დინამიკურ და უწყვეტ ურთიერთკავშირს და მოითხოვს ტექნიკური პროცესის გამართულ მუშაობას. ამ შემთხვევაში გეოინფორმაციული ტექნოლოგიების როლი სტრატეგიული მნიშვნელობისაა.

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კადასტრის წარმოების ტექნიკური მახასიათებლებიდან მნიშვნელოვანია გის-ის პროგრამული უზუნველყოფის გამოყენება. ArcGIS წარმოადგენს სტანდარტების შესაბამის პლატფორმას სივრცითი ანალიზის, მონაცემთა მართვის და რუკების შექმნისთვის. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა შეესაბამება ინფორმაციული ტექნოლოგიების სტანდარტებს, ის ადაპტირდება სხვადასხვა საკადასტრო სისტემებთან და პასუხობს მოთხოვნების და ოპერაციების მრავალ კომბინაციას.

მიწის ადმინისტრირების რეფორმა, თავისი ბუნებით, გრძელვადიანია და მოითხოვს მუდმივ კვლევასა და განვითარებას. ბოლო დროს გაიზარდა ყურადღება მიწის ადმინისტრირებისსისტემებისმნიშვნელობაზე და უფრო და უფრო მეტი კვლევა ტარდება, მაგრამმიწასთანდაკავშირებულინფორმაციაზე მაინც მუდმივი ნაკლებობაა. მიწაზე არსებული საინფორმაციო რესურსებისა და სერვისების გამოყენების კვლევამ აჩვენა, რომ არ არსებობს მიწასთან დაკავშირებული სრულყოფილი მონაცემები, ხოლო არსებული მეტწილად არაერთგვაროვანი და კვლევებისთვის შეუსაბამოა (კოღუაშვილი, 2016).

მიწის ადმინისტრირების სისტემის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს ინსტიტუციურ საკითებს, მნიშვნელოვანია შემოთავაზებული სისტემა ფოკუსირებული იყოს მომხმარებელთა საჭიროებებზე, რამდენადაც მიწის საინფორმაციო სისტემის მომხმარებელთა წრე ფართოა - სახელმწიფო - სოფლის მეურნეობა, სამოქალაქო თავდაცვის სწავლება, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ბუნებრივი რესურსები, მიწა და აგეგმვა, ენერგეტიკა, ვაჭრობა, ინდუსტრია და სხვა, კერძო სექტორი - სამშენებლო კომპანიები, ბანკები, ეკონომისტები, ინვესტორები, მიწისა და სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეები, შემფასებლები, არქიტექტორები და სხვა.

აღმოსავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებით შედგენილია დეტალური ჩანაწერები. აღნიშნული ჩანაწერები უზრუნველყოფენ მონაცემებს (ინფორმაციას) ნიადაგზე, მოსავლის ტიპებზე, მოსავლიანობაზე, წყლის რესურსებზე და ა.შ.

საქართველოში მიწის კადასტრი ბოლოს 1985 წელს ჩატარდა იმ მოცემულობის პირობებში, როდესაც ქვეყანაში არსებობდა მიწაზე მხოლოდ სახელმწიფო საკუთრება. საქართველოში ამჟამად არ მიმდინარეობს

მიწის სრულყოფილი კადასტრის წარმოება, ამიტომ, უნდა შემუშავდეს მიწის კადასტრის წარმოების მეთოდოლოგია, რომელიც მიწაზე სხვადასხვა ფორმის საკუთრების არსებობის პირობებში, მოგვცემს მიწის ნაკვეთებზე ამომწურავი ინფორმაციის მიღების საშუალებას.

საქართველოს რთული რელიეფური და მრავალფეროვანი კლიმატური პირობების გარდა, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების სიდიდეზე, მათ სივრცულ განლაგებასა და გამოყენებაზე გარკვეული როლი ითამაშა მიწის რეფორმამ. 1992–1999 წლებში, მიწის რეფორმის ფარგლებში, მოხდა დიდი მიწათსარგებლობების ფრაგმენტაცია მცირე ზომის ნაკვეთებად და შეიცვალა მათი სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენების პირობები.

მიწების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად საჭიროდ ვთვლით, ქვეყანაში შემოვიტანოთ მიწის კადასტრის წარმოების სრულიად ახალი მიდგომა. მიდგომა ითვალისწინებს, ქვეყნის მასშტაბით დარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების აღრიცხვის და მიღებული მასალის ერთიან მონაცემთა ბაზაში შეტანის საფუძველზე, თითოეულ ნაკვეთზე ელექტრონული პასპორტის შექმნას.

საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულ საკადასტრო მონაცემებთან ერთად, პასპორტში უნდა შევიდეს გარკვეული სახის ტექსტობრივი ინფორმაცია: მიწის ნაკვეთის დაშორება დედაქალაქიდან, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან, უახლოესი საავტომობილო/სარკინიგზო მაგისტრალიდან, უახლოესი დასახლებული პუნქტიდან, მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის მდგომარეობა, ინფორმაცია მიწის ნაკვეთის დამუშავების შესაძლებლობების შესახებ (ტექნიკის სახეობა), იმ კულტურების ჩამონათვალი, რომელთა მოყვანაც რეკომენდირებულია კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე და ა.შ. მიღებული ინფორმაცია უნდა განთავსდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების საკადასტრო მონაცემთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში და ნებისმიერი ზემოაღნიშნული მონაცემის ცვლილება, მათ შორის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების, ავტომატურად უნდა აისახოს მასში.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით შესაძლებელი იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვა, აღნიშნული ნაკვეთების რაციონალური გამოყენება, ხარჯების განხსაზღვრა, მიწის ნაკვეთების გამოყენებისა და დაცვის მონიტორინგი და მდგომარეობის შეფასება, აღნიშნული ნაკვეთებიდან მიღებული მატერიალური და ფინანსური აქტივების აღრიცხვა და სარგებელი, სწორი საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება. მიწის ნაკვეთების ამგვარი აღრიცხვა იქნება ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ნაბიჯი მიწის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის, რაც შესაბამისად იქნება ქვეყნის მდგრადი განვითარების საწინდარი.

თითოეულ მიწის ნაკვეთზე საჭირო ინფორმაციის მქონე პასპორტების შედგენა და მესაკუთრეზე გაცემა, საშუალებას მოგვცემს გავაიოლოთ მიწების ტრანზაქციების პროცესი, მრავალმხრივი გავხადოთ მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობები და რაც მთავარია გავამარტივოთ მიწების მართვისა და ადმინისტრირების რთული პროცესი.

საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულმა გარდაქმნებმა მიწის რეფორმის, როგორც მისი ერთ-ერთი ორგანული და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის სრულყოფილად წარმართვის აუცილებლობამ დღის

წესრიგში დააყენა მიწის ბაზრის ფორმირება-განვითარების მექანიზმის გაუმჯობესების საკითხი. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მიწის ბაზრის ფორმირებას წინ უნდა უსწრებდეს ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო სისტემის, სრულყოფილი მიწის კოდექსის, მიწის რეგისტრაციის სისტემის, მიწის კადასტრის შექმნა. რაც სამართლებრივად უზრუნველყოფს მიწის ბაზარს. მიწის (უძრავი ქონების) ბაზრის განვითარებას წინ უნდა უსწრებდეს მიწის რეგისტრაცია და კადასტრი, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული სისტემებია და ერთმანეთს ავსებენ.

**დასკვნა**

მიწის კადასტრის სისტემა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების საფუძველია. მიწის რეგისტრაციის გამართული სისტემის არსებობა ყველა ქვეყნისთვის მიწის ადმინისტრირების ეფექტური პოლიტიკის ხელშეწყობისა და მიწათმესაკუთრეობასა და ინვესტიციებთან დაკავშირებული კერძო და სახელმწიფო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია (ძაგნიძე, 2019). მიწის ადმინისტრირებისა და მიწის სრულყოფილი რეგისტრაციის ეფექტური სისტემები კი საბაზრო ეკონომიკის ნაყოფიერი ფუნქციონირების, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისა და მიწის რესურსების მდგრადი და ეფექტური მართვის საფუძველია, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკის სტაბილურ ზრდა-განვითარებას.

**ლიტერატურა:**


1. კოღუაშვილი პ. (2022), „საქართველოს სიძლიერე მიწასთან მარადიული კავშირის ტრადიციაშია" URL: https://for.ge/view/224313/saqarTvelos-siZliere-miwasTan-maradiuli-kavSiris-tradiciaSia.html (4.02.2022, გადამოწმებულია 19.04.2022)
2. კოღუაშვილი პ. (2016), „მიწის მართვისა და აღრიცხვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა სასიცოცხლო აუცილებლობაა" URL:https://for.ge/view/42771/miwis-marTvisa-da-aRricxvis-saxelmwifo-struqturis-Seqmna-sasicocxlo-aucileblobaa.html (26.02.2016, გადამოწმებულია 19.04.2022)
3. Sustainable Land Administration Infrastructures to support Natural Disaster Prevention and Management. UN, Ninth Regional Cartographic Conference for the Americas New York, 10-14 August 2009, Item 7(a) of the provisional agenda Strategy, policy, economic, and institutional issues, Prepared by Stig Enemark (Denmark), President, International Federation of Surveyors (FIG) URL:https://unstats.un.org/unsd/geoinfo/rcc/docs/rcca9/ip/9th_UNRCCA_econf.99_IP6.pdf (გადამოწმებულია 19.04.2022)
4. საქართველოს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2014. http://nsdi.gov.ge/uploads/other/2015-05/nsdi_geo.pdf
5. საქართველოს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა, URL:http://nsdi.gov.ge/ge/about-nsdi (გადამოწმებულია 19.04.2022)
6. Land Administration Data to Support Development and Research (9891), Miodrag Roić (Croatia), FIG Working Week 2019 Geospatial information for a smarter life and environmental resilience Hanoi, Vietnam, April 22–26, 2019

URL:https://www.fig.net/resources/proceedings/fig_proceedings/fig2019/papers/ts05c/TS05C_roic_9891_abs.pdf (გადამოწმებულია 19.04.2022)

7. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს N388-ე დადგენილებით დამტკიცებული „მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოსშესრულებისა და დოკუმენტირების წესი" URL: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3368681 (გადამოწმებულია 19.04.2022)

8. ჭიპაშვილი ა. (2004) საქართველოს მიწის კადასტრის წარმოების სრულყოფის საკითხები საკუთრების სხვადასხვა ფორმის პირობებში. თბილისი.

9. საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ"

10. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 აპრილის N166 დადგენილებით დამტკიცებული „მიწის ბალანსის შედგენისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვის წესი" URL: https://matsne.gov.ge/document/view/5147113?publication=0 (გადამოწმებულია 19.04.2022)

11. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ". URL:https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560?publication=29 (გადამოწმებულია 19.04.2022)

12. საქართველოს კანონი „გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ" URL:https://matsne.gov.ge/document/view/32512?publication=15 (გადამოწმებულია 19.04.2022)

13. ძაგნიძე ს. (2019), ბუნებრივი გარემოს ელემენტების შეფასება მიწის კადასტრში, თბილისი. URL:https://openscience.ge/bitstream/1/1581/1/MA%20Thesis%20Dzagnidze%20Suliko.pdf (გადამოწმებულია 19.04.2022)

## INFORMATION PROVISION OF LAND ADMINISTRATION

**Ana Chipashvili**

Georgian Technical University, PhD student

ana.chipashvili@yahoo.com

**KEY WORDS:** Land administration; Spatial data; Land Cadastre.

**J.E.L. classification:** Q5, Q15 DOI:https://doi.org/10.52244/ep.2022.23.01

**For citation:** Chipashvili A., (2022) Information provision of land administration (in Georgian). Vol. 17, 1(23), p. 143-151. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.01

**Summary**

Land is the vital base of a nation. Land is not only a natural economic resource, but also a special cultural and social basis for establishing our identity. Land is also the creative space of a nation. Among the many challenges facing to the Georgian state today is resolving the land issue. The issue of land is most fundamentally linked to the fate of the country, as territorial identity is the ground of national consciousness, and its maintenance is impossible without regulating land ownership and land use.

The primary attribute of the creation of a state is the possession of a certain territory, and the determining factor in the strength of the state is a detailed study of the wealth of this territory, its successful management and the development of a strategy for the development of the country. It all depends a lot on who lives in the area and how it is managed. Therefore, the issue of land management and accounting is vital not only for our country, but for all countries of the world and for humanity in general.

The historical aspiration of the Georgian state to become a full member of the European family, which includes the integration and compatibility of various fields or spheres with European standards. There is also the area of land administration.

The ongoing democratic transformations in Georgia and the need to fully manage land reform, as one of its organic and important components, have raised the issue of improving the land market formation-development mechanism. World experience shows that the formation of the land market should be preceded by the creation of a unified state information system, a comprehensive land code, a land registration system, a land cadastre, which legally secures the land market. The development of the land (real estate) market should be preceded by land registration and cadastre, which are interrelated systems and complement each other.

The Cadastre and all other registers containing officially registered data on land and land ownership constitute the land administration infrastructure.

Cadastre is a French word meaning a description of something, a set of data about something. Cadastre This is a set of data compiled by an official body or agency (eg land, water, forestry, city, etc. cadastre).

The land cadastre is used in a dual sense - narrow and territorial in the narrow sense, cadastral data are accurate graphical and textual information about the configuration and location of the border of the land, buildings on it, including a linear construction, as well as easements or other legal restrictions. And in a broad sense, a land cadastre is a set of data that includes information about the natural, economic, legal, environmental, economic state of the land and answers the questions "Who? Where? How much? How?"

The land registry is to some extent maintained by the LEPP - the National Public Registry Agency. The land registry prepared by the agency answers the questions: Where? Whose? How much? This information is also incomplete at the moment, because, despite the reforms carried out, the number of unregistered land plots is still high. It also doesn't answer the question, what kind? In Georgia, there is no complete production of the land cadastre, a single database has not been created, which should contain information on the natural, economic, legal, ecological and economic state of lands and fully answer the questions “Who?” Where? How much? As?"

The land cadastre in Georgia was last conducted in 1985 at a time when there was only state ownership of land in the country. Georgia does not currently have a complete land cadastre production, therefore, a land cadastre production methodology should be developed, which, in the presence of various forms of land ownership, will allow us to obtain comprehensive information on land plots.

The land cadastre system is the basis for the functioning of the economy of any country. Having a sound land registration system is one of the most important factors in promoting an effective land administration policy for all countries and ensuring the protection of private and public interests related to land ownership and investment. Effective systems of land administration and comprehensive land registration are the basis for the productive functioning of the market economy, the development of the agricultural sector and the sustainable and efficient management of land resources, which will significantly contribute to the sustainable growth and development of the economy.

## References

1. Koguashvili P. (2022), The strength of Georgia is in the tradition of eternal connection with the land. URL: https://for.ge/view/224313/saqarTvelos-siZliere-miwasTan-maradiuli-kavSiris-tradiciaSia.html (4.02.2022, checked: 19.04.2022)

2. Koguashvili P. (2016), Creating a state structure of land Management and land recording is a vital necessity. URL:https://for.ge/view/42771/miwis-marTvisa-da-aRricxvis-saxelmwifo-struqturis-Seqmna-sasicocxlo-aucileblobaa.html (26.02.2016, checked: 19.04.2022)

3. Sustainable Land Administration Infrastructures to support Natural Disaster Prevention and Management. UN, Ninth Regional Cartographic Conference for the Americas New York, 10-14 August 2009, Item 7(a) of the provisional agenda Strategy, policy, economic, and institutional issues, Prepared by Stig Enemark (Denmark), President, International Federation of Surveyors (FIG) URL:https://unstats.un.org/unsd/geoinfo/rcc/docs/rcca9/ip/9th_UNRCCA_econf.99_IP6.pdf (checked: 19.04.2022)

4. National Spatial Data Infrastructure of Georgia, Ministry of Justice of Georgia, National Agency of Public Registry, 2014. URL:http://nsdi.gov.ge/uploads/other/2015-05/nsdi_geo.pdf (checked: 19.04.2022)

5. The Project of National Spatial Data Infrastructure. URL:http://nsdi.gov.ge/ge/about-nsdi (checked: 19.04.2022)

6. Land Administration Data to Support Development and Research (9891), Miodrag Roić (Croatia), FIG Working Week 2019 Geospatial information for a smarter life and environmental resilience Hanoi, Vietnam, April 22–26, 2019 URL:https://www.fig.net/resources/proceedings/fig_proceedings/fig2019/papers/ts05c/TS05C_roic_9891_abs.pdf (checked: 19.04.2022)

7. "Rule of cadastral planning / measuring work and documentation of land plot" approved by the ordinance N388 of the Government of Georgia, August 8, 2016 URL:https://matsne.gov.ge/ka/document/view/3368681 (checked: 19.04.2022)

8. Chipashvili P. (2004). Issues of improving the production of the land cadastre of Georgia in different forms of ownership. Tbilisi.

9. LA W OF GEORGIA ON "DETERMINATION OF THE DESIGNATED PURPOSE OF LAND AND ON SUSTAINABLE MANAGEMENT OF AGRICULTURAL LAND" https://matsne.gov.ge/document/view/4596113?publication=0 (checked: 19.04.2022)

**10.** "Rule for drawing up a balance sheet for land and registering agricultural land resources approved by the ordinance N166 of the Government of Georgia, April 8, 2021. URL:https://matsne.gov.ge/document/view/5147113?publication=0 (checked: 19.04.2022)

11. LAW OF GEORGIA „ON THE PUBLIC REGISTRY", December 30, 2008. URL:https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560?publication=29 (checked: 19.04.2022)

12. LAW OF GEORGIA "ON GEODETIC AND CARTOGRAPHIC ACTIVITIES", April 28, 1998. URL:https://matsne.gov.ge/en/document/view/32512?publication=11 (checked: 19.04.2022)

13. Dzagnidze S., (2019) Assessment of natural environmental elements in the land cadastre, Suliko Tbilisi. URL:https://openscience.ge/handle/1/1581 (checked: 19.04.2022)

# საქართველოს ფინანსური ბაზრების განვითარების პოტენციალი და შესაძლო ეფექტი

**ალიმ ხერხაძე**
ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი,
აფილირებული ასისტენტი, alimi.kherkhadze@unik.edu.ge

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს საფონდო ბირჟა; საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი; ფინანსური სტაბილურობა; ეკონომიკური ზრდა; ინვესტიციები.

**J.E.L. classification:** D530, E440, G230, G410 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.09

**ციტირებისთვის:** ხერხაძე ა., (2022) საქართველოს ფინანსური ბაზრების განვითარების პოტენციალი და შესაძლო ეფექტი. ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 152-165. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.09

**ანოტაცია.** *სტატიაში განხილულია საქართველოში ფინანსური ბაზრის ჩამოყალიბების ისტორია, არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. წარმოჩენილია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში საფონდო ბირჟის ჩამოყალიბების, განვითარების, დაღმასვლის, წინსვლისა და ამ უკანასკნელის შემაფერხებელი ფაქტორები. ახსნილია თუ რა მნიშვნელობა აქვს საფონდო ბირჟას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა ძირითადად ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და საბანკო სფეროს ინსტიტუციურ და ორგანიზაციულ სიმყარეზე დგას. დღეისათვის საქართველოს საბანკო სისტემა არა მარტო ქვეყნის, არამედ რეგიონის მასშტაბითაც საკმაოდ განვითარებულია, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და ქვეყანაში ამ ბაზრის ერთადერთ ლიცენზირებულ წარმომადგენელზე - საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ქვეყნის ეკონომიკის ერთგვარი ეკონომიკური ბარომეტრი, პულსის მზომია, სადაც პირველ რიგში აისახება ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები.*

## შესავალი

ფინანსურ ბაზრებზე დიდ გავლენას ახდენს არსებულ ვითარებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური მომენტი და მოლოდინებიც, რაც საბოლოო ჯამში, საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკაზე აისახება, ხოლო ბენეფიციარებს საფონდო ბაზრიდან მიღებული ინფორმაცია უბიძგებთ დროულად გათვალონ შესაბამისი ნაბიჯები. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით მოსახლეობაში იმატებს დაგროვებისადმი მიდრეკილება. მინიმალური თანხით ადამიანი შესაძლებელია ინვესტორი გახდეს და საბანკო დეპოზიტთან შედარებით მეტი სარგებელი მიიღოს. განვითარებული საფონდო ბაზარი წარმოადგენს საბანკო დაკრედიტების ალტერნატიულ წყაროს და ის ფიზიკურ პირებს საშუალებას აძლევს ბიზნესის (მიმწოდებლის) და არა მხოლოდ მომხმარებლის გადასახედიდან დაინტერესებული იყვნენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდითა და სიჯანსაღით.

საფონდო ბაზრების განვითარება ხელს უწყობსსაზოგადოებისფინანსურიწიგნიერების ამაღლებას, რაც საბოლოოდ საზოგადოების პოლიტიკური კულტურის დონეზეც აისახება, ვინაიდან ასეთ დროს ამომრჩეველი არჩევნებზე ხმას აღარ აძლევს პოპულისტურ დაპირებებს (პენსიების, სოციალური პროექტების, ბიუჯეტის დეფიციტის დაუსაბუთებელ და უკონტროლო ზრდის, სამთავრობო ვალების აღების დაპირებები და აშ.), ყალიბდება მესაკუთრეთა ფართო წრე და ძლიერი საშუალო კლასი. განვითარებული საფონდო ბირჟის დახმარებით, სახელმწიფო უკვე ნაკლებადაა დამოკიდებული უცხოურ ინვესტიციებზე, რომელიც ხშირად პოლიტიკურ ბერკეტებად გამოიყენებოდა და შესაძლებლობა ჩნდება ადგილობრივი ფულითაც დაკრედიტდეს ეროვნული ეკონომიკის ზრდის პოტენციალი. იზრდება დასაქმება, ექსპორტი, სავალუტო შემოსავლები, ვითარდება ახალი ტექნოლოგიები, იზრდება კომპანიათა კაპიტალიზაცია, ლიკვიდურობა და მთლიანობაში, ქვეყნის ეკონომიკა.

**ძირითადი ნაწილი**

ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საბანკო სფერო თავიანთი არსით ერთმანეთის კონკურენტები არიან, ვინაიდან ორივე საკუთარი ინსტრუმენტებით ცდილობს იტვირთოს ერთგვარი შუამავლის როლი, მათ შორის, ვისაც, ერთი მხრივ, მოეპოვება დროებითი თავისუფალი ფულადი სახსრები და, მეორე მხრივ, იმ სუბიექტებთან, ვისაც ფულადი სახსრები ესაჭიროებათ (შონია, გუგეშაშვილი, 2009).

ჯერ კიდევ 1998-2000 წლებში აშშ-ის მთავრობისა და ფინანსური ბაზრების საუკეთესო ექსპერტების დახმარებით საქართველოში დაიწყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის საფუძვლების ფორმირება. ამ პერიოდში ყველას კარგად ესმოდა, რომ ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტიტუტი თანაბარ მდგომარეობაში, სამართლიანი კონკურენციის პირობებში, ერთად უნდა განვითარებულიყვნენ და ცდილობდნენ არ დაეშვათ ერთი სფეროს მიერ მეორის შთანთქმა ან დაჩაგვრა. გარკვეული მიზეზების გამო, ახალ პოსტსაბჭოთა საქართველოში უკეთესი სასტარტო პირობები საბანკო სფეროს ჰქონდა, რაც გაითვალისწინეს საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წელს მიღებულ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონში. კანონის მიხედვით, ფასიანი ქაღალდების ინდუსტრია გამიჯნული იყო საბანკო სფეროსგან, რათა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ახლადჩამოყალიბებულ მექანიზმს მისცემოდა დამოუკიდებლად განვითარების რეალური შესაძლებლობა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის და მისი მონაწილეების ზედამხედველობას ახორციელებდა დამოუკიდებელი რეგულატორი - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია - კოლეგიალური მართვის ორგანო, რომელიც გარდა ზედამხედველობისა, მოწოდებული იყო ხელი შეეწყო ამ ინდუსტრიის განვითარებისთვის. ბანკებს არ შეეძლოთ ბაზარზე უშუალოდ მონაწილეობა (მხოლოდ შვილობილი საბროკერო კომპანიების მეშვეობით); საფონდო ბირჟის მესაკუთრეს ეკრძალებოდა ბირჟის 10%-ზე მეტი წილი, ხოლო ბანკებს ერთად არ შეეძლოთ ჰქონოდათ ბირჟის 50%-ზე მეტი.

ამ კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი ინფრასტრუქტურა: საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, დამოუკიდებელი რეგისტრატორები,

საბროკერო კომპანიები, 1999 წლის 12 იანვარს დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟა" (სსბ) წამყვანი საბროკერო კომპანიების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების ინიციატივით. სსბ-ის წესები, პროცედურები და სისტემები შემუშავდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით. 2000 წლის 14 იანვარს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელმა ორგანომ განახორციელა სსბ-ის ლიცენზირება და იმავდროულად მიანიჭა მას საქართველოში პირველი თვითრეგულირებადი ორგანიზაციის სტატუსი, ხოლო 2000 წლის 23 მარტიდან სსბ-ზე დაიწყო რეგულარული საბირჟო ვაჭრობები. სსბ 2000 წლის 15 სექტემბერს გახდა ევრაზიის საფონდო ბირჟების ფედერაციის (FEAS) ნამდვილი წევრი (ლოლაძე, 2015).

საქართველოს საფონდო ბირჟაზე განსაკუთრებული აქტივობა დაიწყო 2004 წლიდან,როდესაცხელისუფლებისცვლილების შემდეგ შეიცვალა პრივატიზებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და დაიწყო ეკონომიკური გამოცოცხლება, მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფცია, გაიხსნა ფინანსური ბაზარი, გაიზარდა ინვესტიციები. თუმცა აღმასვლის ტენდენცია მხოლოდ 2007 წლამდე გაგრძელდა, 2007 წლიდან კი ბირჟის ფუნქციონირება ერთდროულად რამდენიმე ფაქტორმა შეაფერხა.

პირველი უმთავრესი ფაქტორი 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი და აგვისტოს ომი გახდა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზედაშესაბამისადსაფონდობირჟაზე ვაჭრობის მოცულობაზე ნეგატიურად აისახა. მეორე მოვლენა, რომელმაც ხელი შეუშალა საქართველოს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობის ზრდას, იყო კანონმდებლობაში შესული ცვლილება, რომლითაც გაუქმდა ბირჟის თვითრეგულირებადი სისტემა და მისი მაკონტროლებელი ორგანო გახდა საქართველოს ეროვნული ბანკი. კანონმდებლობაში არსებობდა ფუნდამენტური ჩანაწერი, რომელიც იყო ფასიანი ქაღალდების ბირჟის განვითარების მყარი გარანტი: „ფასიანი ქაღალდი, რომელიც დაშვებულია საჯაროდ მხოლოდ სავაჭრო ბირჟაზე". 2007 წელს გაჩნდა ასეთი ჩანაწერი: „საფონდო ბირჟაზე ან მის გარეთ". შედეგად მივიღეთ ის, რომ ბირჟის გარეთ დღესაც იდება გარიგებები, მოგება რჩება ცალკეულ ინსტიტუტებს, მაგრამ არა საფონდო ბირჟას, რაც ხელს უშლის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას.

ეროვნული ბანკის კონტროლის ქვეშ საფონდო ბირჟის მოქცევამ ისიც განაპირობა, რომ 2007 წლიდან საფონდო ბირჟა მმართველობაში აიღო ბანკების ჯგუფმა რომლებიც დღესდღეობით ფლობენ საფონდო ბირჟის აქციების 58%-ს. მათგან ყველაზე დიდი პაკეტი აქვს საქართველოს ბანკს (46%). გარიგებათა უმრავლესობა საფონდო ბირჟაზე არასაბირჟოა, ანუ არაკონკურენტულ გარემოში იდება საბროკერო კომპანიის მეშვეობით, საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებათა 100 ლარს ზემოთ ღირებულების ფარგლებში საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაფიქსირების და საფონდო ბირჟის მიერ მისი გასაჯაროების მოთხოვნის დაცვით, ბირჟის წესების შესაბამისად. ამჟამად, განუვითარებელი საფონდო ბაზრების გამო, დროებით თავისუფალი სახსრები მიდის პირდაპირ ბანკებში და ბანკებიდან ხდება ინვესტირება, რაც საკმაოდ აძვირებს კრედიტს და ზღუდავს როგორც ეკონომიკის, ისე ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. ბანკები ფაქტობრივად პირდაპირი მიყიდვის

გზით იძენენ ფასიან ქაღალდებს, სააქციო საზოგადოებები კი აზრს ვერ ხედავენ გამოუშვან აქციები, რაც დამატებით ხარჯთან არის დაკავშირებული, თუკი ბანკების გარდა მათი მყიდველი ისედაც არავინ აღმოჩნდება და ამის გამო იძულებულნი არიან დაკრედიტებისთვის ისევ ბანკებს მიმართონ და ისარგებლონ ძვირი კრედიტით (ნამჩევაძე, 2015).

ნახაზი 1

საბირჟო და არასაბირჟო გარიგებები საქართველოს საფონდო ბირჟაზე (მლნ ლარი)




წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა (საბირჟო და არასაბირჟო გარიგებები): https://www.gse.ge/trades; https://www.gse.ge/otc-trades

საქართველოს საფონდო ბირჟაზე აქციებს განათავსებენ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა: სს „საქართველოს ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს „გრინ დაზღვევა საქართველო“, სს „მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმი“, სს „თელასი“, სს „სარაჯიშვილი“, სს „ისანი-ქართუ“, სს „ხაშურის მინის ტარა“, სს „ტრანსმშენი“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. ობლიგაციები განთავსებული აქვთ აზიის განვითარების ბანკს, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD), ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიას, სილქნეტს, თიბისი ბანკს და ა.შ., რომელთათვისაც, ბუნებრივია, საქართველოს საფონდო ბირჟა არ წარმოადგენს ფინანსური სახსრების მოზიდვის საშუალებას და მათთვის ეს სოციალური პასუხისმგებლობა უფროა.

არსებულ სიტუაციაში რეალური ფინანსების მოსაზიდად მხოლოდ ყველაზე წარმატებული, მაღალი კაპიტალიზაციის მქონე კომპანიები ახერხებენ თავიანთი აქციების უცხოურ საფონდო ბაზრებზე განთავსებას, ხოლო დანარჩენი კომპანიები ძირითადად დამოკიდებული არიან საბანკო კრედიტზე ან პირდაპირ ინვესტიციაზე. წამყვანმა ქართულმა კომპანიებმა თავიანთი ფასიანი ქაღალდების

განსათავსებლად ლონდონის საფონდო ბირჟა გამოიყენეს. პირველი ასეთი ქართული კომპანია 2006 წელს სს „საქართველოს ბანკი" იყო, 2014 წელს - სს „თიბისი ბანკი", ხოლო 2018 წელს - საქართველოს ბანკის ჯგუფის გაყოფის შედეგად წარმოშობილი სს „საქართველოს კაპიტალი".

ლონდონის საფონდო ბირჟაზე ასევე მიმოქცევაშია სახელმწიფო კომპანიების, საქართველოს რკინიგზისა და ნავთობისა და გაზის კორპორაციის ქართული ბონდები. რაც შეეხება იმ ადამიანების თავისუფალ ფულად სახსრებს, რომლებსაც სურთ სხვადასხვა კომპანიის აქციათა შეძენით გააკეთონ ინვესტირება, ისედაც გაღარიბებული ქვეყნიდან ეს სახსრები საზღვარგარეთ გაედინება და სხვა ქვეყნის დოვლათის შექმნაში იღებს მონაწილეობას. შედარებით მცირე თავისუფალ ფულად სახსრებს კი ან ინფლაცია „ჭამს", ან ეროვნული ვალუტის დევალვაცია, „უკეთეს შემთხვევაში" კი - ქართული საბანკო სისტემის დეპოზიტის მინიმალური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ზოგჯერ ინფლაციის მაჩვენებელსაც კი არ აღემატება.

2022 წლის 1-ლი მარტის მონაცემებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით მოზიდული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების ნაშთი 15,06 მლრდ ლარია, საშუალო შეწონილი 11,06%-ად, ხოლო უცხოური ვალუტით მოზიდული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა - 22,03 მლრდ ლარის ექვივალენტი, საშუალოდ 0,81%-ად (სებ, 2022). ანუ, ჯამურად საქართველოს ბანკებში დალექილია 37,1 მლრდ ლარის თავისუფალი ფულადი სახსრები, რომელთაგან მეოთხედი მაინც რომ ბრუნავდეს საქართველოს საფონდო ბირჟაზე, ადვილი წარმოსადგენია, რა დონეზე იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და ეროვნული ეკონომიკის მასშტაბი.

საბანკო სისტემის დეპოზიტებზე დალექილ თანხებთან ერთად უნდა აღვნიშნოთ საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სისტემა. 2022 წლის 6 მაისის მონაცემებით, საპენსიო ფონდში აკუმულირებულია დაახლოებით 2,31 მლრდ ლარი, რომელთაგან 60% განთავსებულია სადეპოზიტო სერტიფიკატებზე, 1,3% - ვადიან დეპოზიტებზე, 5,8% - უცხოურ კორპორაციულ აქციებში (133,98 მლნ ლ), 8,56% - სარგებლიან ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში, ხოლო 24,69% - სარგებლიან ანგარიშებზე (საპენსიო სააგენტო, 2022). ამდენად, საქართველოს მოქალაქეების მიერ საპენსიო ფონდში შენახული სახსრები ან ისევ საბანკო სისტემაში მიდის და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს მონაწილეობას ეკონომიკურ აქტივობაში, ან დაახლოებით 134 მილიონი ლარით უცხოური ეკონომიკის ზრდას ვაფინანსებთ მათი ფასიანი ქაღალდების ყიდვით. საქართველოს საფონდო ბაზრის განვითარება ხელს შეუწყობდა საპენსიო ფონდის მზარდი სახსრების, საბანკო დეპოზიტთან შედარებით უფრო სარფიანად დაბანდებას და ეროვნული ეკონომიკის უფრო სწრაფ ზრდას, საბანკო კრედიტთან შედარებით უფრო ნაკლები საკომისიო და საპროცენტო წნეხით (კაპიტალის ბაზრის სამუშაო ჯგუფი, 2015).

2022 წლის 30 აპრილის მონაცემებით, საქართველოს საფონდო ბირჟაზე საფონდო ბაზრის კაპიტალიზაციამ დაახლოებით 2,29 მლრდ ლარი შეადგინა, რაც საქართველოს 2021 წლის მთლიანი შიგა პროდუქტის (60,2 მლრდ ლარი) მხოლოდ 3,8%-ია, მაშინ როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი განვითარებული საფონდო ბაზრების მქონე ქვეყნებშია მშპ-ს 100%-ზე მეტია (საფონსო ბირჟა, 2022). წლების მიხედვით, საქართველოს საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცის თანაფარდობა იმავე წლის

მშპ-სთან კლების ტენდენციით გამოირჩევა და 2020 წელს 4,8% იყო (პანდემიის გამო ამ წელს მშპ შემცირდა, კომპანიათა კაპიტალიზაცია კი მეტ წილად უცვლელი დარჩა), 2019 წელს - 3,97%; 2018 წელს - 4,39%; 2017 წელს კი - 8,16%. 2022 წლის 2 მაისის მდგომარეობით, სსბ-ის სავაჭრო სისტემაში დაშვებულია 23 კომპანიის ფასიანი ქაღალდი, რომელთა საერთო საბაზრო კაპიტალიზაციამ შეადგინა 0.748 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო საშუალო დღიურმა ბრუნვამ 2022 წლის აპრილში - 21 ლარი.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და საქართველოს საფონდო ბირჟის განუვითარებლობის რამდენიმე ძირითადი მიზეზი არსებობს, რომლებიც ერთმანეთთან უშუალო კავშირში არიან და ამ მიზეზებზე დეტალურ ჩაღრმავებას ისევ ბანკების საქმიანობასთან მივყავართ. მაგალითად, სს „საქართველოს ბანკმა“, რომელიც საქართველოს საფონდო ბირჟის აქციების მნიშვნელოვანი პაკეტის მფლობელია, 2022 წელს მომხმარებლებს „საინვესტიციო პლატფორმა“ შესთავაზა, რომელიც უცხოური კომპანიების (Apple, Amazon, Microsoft, Tesla, Google და სხვა) ფასიან ქაღალდებში ინვესტირების შესაძლებლობას მინიმუმ 1$-დან იძლევა. გამოდის, რომ საქართველოს ბანკი საქართველოს საფონდო ბირჟას მინიმუმ არ ავითარებს, თუმცა უცხოურ საფონდო ბირჟაზე აქციების ყიდვას ხელს უწყობს.

ჩვენს ქვეყანაში მაღალი დოლარიზაციისა და ლარის მიმართ მოსახლეობის შედარებით დაბალი ნდობის გამო, მოსახლეობას ურჩევნია დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები უძრავ ქონებაში, ან მიზერული პროცენტის სანაცვლოდ საბანკო დეპოზიტზე განათავსოს უცხოურ ვალუტაში და რისკისგან იყოს დაზღვეული, ვიდრე არასტაბილური ეკონომიკის პირობებში სწრაფად გაუფასურებადი ლარით იყიდოს იმ სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ისევ და ისევ ლარის კურსისა და არასტაბილური ეკონომიკური სიტუაციის გამო, არავინ იცის, რა ბედი ეწევა. ასევე, მნიშვნელოვანი პრობლემაა არასაკმარისი კორპორატიული კულტურა, მენტალიტეტი, ცოდნა და სააქციო საზოგადოებების მეწილეობასთან დაკავშირებულ სარგებელზე არასაკმარისი ინფორმაცია საზოგადოებაში. საფონდო ბაზარი საქართველოში განუვითარებელია ემიტეტების (სააქციო საზოგადოებების) სიმცირის გამოც.

მაგალითად, თუკი ა.შ.შ.-ში ფასიან ქაღალდს უბრალო დიასახლისიც ყიდულობს და ამით თავისი დანაზოგის გაზრდას ცდილობს, საქართველოში ყველა დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები ბანკების დეპოზიტებზე ილექება, რაც მკვდარ აქტივებს წარმოადგენს ან უცხოური აქციების ყიდვას ხმარდება. ეს არის ლარის ქვეყნიდან გადინების დამატებითი წყაროა და ასახვას ისევ ლარის კურსზე პოვებს.

ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად გვაქვს ფსიქოლოგიური ფაქტორებიც, რაც მოსახლეობას ფასიან ქაღალდებში ინვესტირების თავის შეკავებისკენ უბიძგებს: 1. საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობა – უნდობლობა კერძო სექტორის მიმართ და გაუთვითცნობიერებულობა კორპორაციულ ფინანსებში; 2. ცუდი ისტორიული გამოცდილება კომერციული სექტორის ფასიანი ქაღალდების მიმართ (90-იანი წლების გამოცდილება, რომელიც ჩამოყალიბდა საწარმოთა მასობრივი გაკოტრებისა და არაერთი „ფინანსური პირამიდის“ მოქმედების გამო); 3. კერძო სექტორის გამჭვირვალობის დაბალი დონე ხელს უშლით კერძო სექტორში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში; 4. უმნიშვნელო წილის მფლობელი

აქციონერების უფლებების დასაცავად არასათანადო ინსტიტუციური ბაზა. 5. არ არსებობს კომპანიების სტაბილურად განვითარების მოლოდინი, რადგან სათანადოდ არ არის დაცული საკუთრების უფლებები და მაღალია პოლიტიკურ ძალთა ბალანსის ცვლილებების გავლენა ბიზნესზე.

ნახაზი 2

მიხედვით ვაჭრობის მონაცემები საქართველოს საფონდო ბირჟაზე (2000-2021 წწ.)




წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა. სავაჭრო სესიები

მნიშვნელოვანი დამატებითი ფაქტორია ისიც, რომ ქართველ მეწარმეებს ჯერ კიდევ ეშინიათ საკუთარი ქონების წილობრივი გასხვისება. ე.წ. „საკუთარ საქმეში სხვისი შეყვანა“. ეს შეიძლება მენტალური პრობლემა იყოს ან უფრო პოლიტიკური და ღრმა ეკონომიკური საფუძვლები ჰქონდეს. კომპანიებს საქართველოში ხშირად აქციების გაყიდვით ფინანსების მოზიდვას ურჩევნიათ ბანკიდან აიღონ სესხი. ამის მიზეზია კომპანიის არასაკმარისი ცოდნა საფონდო ბირჟის საქმიანობის მიმართ, ბირჟის მიერ მოთხოვნილი სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების ქონა და გამჭვირვალობა.

მშპ-ის ზრდის ტენდენციის მიუხედავად, საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობაში ეს ფაქტი საპირისპიროდ აისახება, რაც ზემოთ დასახელებულმა მიზეზებმა გამოიწვია. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თუკი 2000-2007 წლებში საქართველოს საფონდო ბირჟაზე ნავაჭრი ერთი აქციის საშუალო ღირებულება 1-დან 3,59 ლარამდე მერყეობდა (ჯამური ღირებულება გაყოფილი ჯამურ მოცულობაზე), 2008-2021 წლებში ერთი აქციის საშუალო ღირებულების მაჩვენებელი 0,01-დან 0,8 ლარამდე ღირდა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში სააქციო საზოგადოებათა აქციების ფასი „ეკონომიკურად შეურაცხყოფილია“ და ასეთი გაუფასურებული აქციების ყიდვისგან, ლარის კატასტროფული დაბალი კურსისა და

არასტაბილური ეკონომიკური პირობების გამო ნებისმიერი მოქალაქე შეიკავებს თავს, ხოლო კომპანიები შეეცდებიან თავინთი აქციები არ დაუშვან საქართველოს საფონდო ბირჟაზე და ხელს შეუწყობენ მათი ბირჟის გარეთ გაყიდვას (მიმინოშვილი, 2020).

ნახაზი 3

ერთი აქციის საშუალო ღირებულება 2000-2021 წლებში (ლარი)




2022 წლის 24-30 მარტს, პლატფორმა google forms-ის მეშვეობით მოსახლეობის მიერ საკუთარი დანაზოგების მართვასთან დაკავშირებით კვლევა ჩავატარეთ, რომელშიც 629 პირმა მიიღო მონაწილეობა. კვლევა სულ 8 შეკითხვისგან შედგებოდა, რომელსაც ჰქონდა რამდენიმე მოსანიშნი პასუხი და აგრეთვე შესაძლებელი იყო ცარიელ ველში აზრის დაფიქსირებაც: 1. ფლობთ თუ არა დანაზოგს? 2. იმ შემთხვევაში თუ (გაქვთ) გექნებოდათ თავისუფალი ფულადი სახსრები (დანაზოგი), როგორ შეინახავდით (ინახავთ) მას? 3. რომელ ვალუტაში გაქვთ (გექნებოდათ) დანაზოგი? 4. დანაზოგის გასაკეთებლად, თქვენი აზრით, რამდენჯერ უნდა აღემატებოდეს თქვენი ოჯახის (შინამეურნეობის) შემოსავალი ეკონომიკაში არსებულ საშუალო ხელფასს? (საქსტატის მიხედვით, 2021 წლის მე-4 კვარტალში საშუალო ხელფასი დარიცხული 1463.8 ლარია) 5. დანაზოგის შენახვისას რატომ შეაჩერეთ (შეაჩერებდით) არჩევან(ს)ი საბანკო ანაბარზე (მიკროსაფინანსოზე)? 6. გსმენიათ თუ არა საქართველოს ან სხვა საფონდო ბირჟის შესახებ და გიცდიათ თუ არა ინვესტირება? 7. გაგიგიათ თუ არა საქართველოს ბანკის საინვესტიციო პლატფორმის შესახებ, რომელიც უცხოური კომპანიების (Apple, Amazon, Microsoft, Tesla, Google და სხვა) ფასიან ქაღალდებში ინვესტირების შესაძლებლობას მინიმუმ 1$-დან იძლევა? 8. განათავსებდით თუ არა თქვენს თავისუფალ ფულად სახსრებს (დანაზოგს) ქართული (უცხოური) კომპანიების ფასიან ქაღალდებში, თუ გეცოდინებოდათ, რომ სანაცვლოდ საბანკო ანაბართან შედარებით უფრო დიდ სარგებელს მიიღებდით?

პირველ კითხვაზე გამოკითხულთა 51,2%-მა უპასუხა, რომ დანაზოგს არ ფლობდა, 48,8%-მა კი განაცხადა, რომ დანაზოგი აქვს. თუ განვითარებადი ეკონომიკის მქონე საქართველოს მდგომარეობას გავითვალისწინებთ, მიგვაჩნია, რომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარის მიერ დანაზოგის ფლობის ფაქტი საკმაოდ კარგი შედეგია და ვფიქრობთ, რომ დაზოგვის

კულტურა ჩვენს ქვეყანაში თანდათანობით მკვიდრდება.

მეორე კითხვაში, რომელიც თავისუფალი ფულადი სახსრების შენახვის ფორმას გულისხმობდა, გამოკითხულთა 74,6%-მა განაცხადა, რომ საკუთარ დანაზოგს ბანკში ინახავს ან შეინახავდა, რაც ჩანს კიდეც საქართველოს ბანკებში განთავსებული დეპოზიტების მოცულობიდან. 18,3%-მა განაცხადა, რომ არ ენდობა ფინანსურ ინსტიტუტებს და ურჩევნია ფული სახლში დააგროვოს, რაც ჩვენი აზრით 90-იანი წლების ფინანსური ტრავმის შედეგია. 7,6%-მა განაცხადა, რომ უცხოურ ან ადგილობრივ ფასიან ქაღალდს ფლობს. ჩვენი აზრით, აღნიშნული მაჩვენებელი იმის მანიშნებელია, რომ მოსახლეობაში საფონდო ბაზრის არსებობის მოთხოვნილება არის და თუ საქართველოში საფონდო ბირჟა კონკურენტულ გარემოში იფუნქციონირებდა, მოსახლეობა უფრო მეტად გაერკვეოდა ფასიანი ქაღალდების მექანიზმებში და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ბანკის ნაცვლად საფონდო ბაზარზე დააბანდებდა თავისუფალ ფულად სახსრებს. აღნიშნული კითხვის პასუხებს შორის აგრეთვე იყო უძრავი ქონება, ოქრო და კრიპტოვალუტა, რომელთა ჯამური წონა დაახლოებით 3.8% იყო.

მე-3 შეკითხვა დანაზოგის ვალუტას ეხებოდა, სადაც ყველაზე მეტმა - 52,3%-მა განაცხადა, რომ დოლარში აქვს დანაზოგი, 47,1%-მა დანაზოგის ვალუტად ლარი დაასახელა, 23,2%-მა ევრო, 3,5%-მა კი კრიპტოვალუტა. დოლარიზაციის მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში კვლავაც მაღალია და ეროვნულ ვალუტაზე მეტად მოსახლეობა აშშ დოლარს ენდობა, ვინაიდან უძრავი და ძვირიანი მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა ეროვნული ბანკის შეზღუდვის მიუხედავად ძირითადად ისევ დოლარში ხდება. მიუხედავად, იმისა რომ ანაბარზე განთავსებულ ლარს უფრო მეტი სარგებელი ერიცხება, ინფლაციის ფაქტორისა და სხვა მიზეზების გამო მოსახლეობა უცხოურ ვალუტას ანიჭებს უპირატესობას. შედარებით ახალია კრიპტოვალუტა, რომელიც საქართველოში საკმაო პოპულარობით სარგებლობს თუმცა მას ადამიანები ამ ეტაპზე ღირებულების რყევის დიდი ამპლიტუდის გამო ნაკლებად ენდობიან და უფრო მეტად რისკიან ინვესტიციად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა საქართველოში პოპულარული გახდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისა და ნების არსებობის შემთხვევაში.

მე-4 შეკითხვის პასუხები უფრო ფრაგმენტირებული აღმოჩნდა - გამოკითხულთა 16,9% მიიჩნევს, რომ დანაზოგის გასაკეთებლად ეკონომიკაში არსებული საშუალო ხელფასი და სურვილი საკმარისია. 20,8% ფიქრობს, რომ დანაზოგის გასაკეთებლად ადამიანს საშუალო ხელფასზე 10-50%-ით მეტი უნდა ქონდეს. 26,2%-ის აზრით, დანაზოგის გასაკეთებლად ან ფასიანი ქაღალდის შესაძენად ოჯახის შემოსავალი ეკონომიკაში არსებულ საშუალო ხელფასთან შედარებით 3-ჯერ (200%-ით) და მეტჯერ მეტი უნდა იყოს, 34,2%-ის აზრით კი 50-100%-ით. ჩვენი აზრით, ეს შეკითხვა დანაზოგის გაკეთებისადმი დამოკიდებულებასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკური დონის რთულ მდგომარეობასაც ასახავს, თუმცა ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც ფიქრობს, რომ სურვილის შემთხვევაში, საშუალო ან ოდნავ მეტი ხელფასით დანაზოგის გაკეთებას შეძლებდა.

მე-5 შეკითხვაში ვიკითხეთ, რატომ ანიჭებდნენ ან მიანიჭებდნენ დანაზოგის შენახვისას უპირატესობას ბანკს. გამოკითხულთა 47,4%-ს დანაზოგის შენახვის ეს ფორმა უსაფრთხოდ და საიმედოდ მიაჩნია, 19,7% ფიქრობს, რომ საბანკო ანაბარს მაღალი პროცენტი აქვს, 38,5%-ის აზრით კი უკეთესი ალტერნატივა არ არსებობს. მცირე დანაზოგის გასაკეთებლად ბანკის გარდა რეალური გონიერი ალტერნატივა ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, მართლაც არ არსებობს და ან ჩვენი სახლში დადებული ფული ინფლაციას უნდა გავაუფასურებინოთ, ან ბანკში დავდოთ და რეალური ღირებულება არ მოემატოს. ჩვენს მიერ გამოკითხულთა 38,5%-ისთვის ჩვენი ღრმა რწმენით, მისაღები იქნებოდა საქართველოს საფონდო ბირჟაზე დაბანდების შესაძლებლობა.

მე-6 შეკითხვაში გამოკითხულთა 37,5%-მა აღნიშნა, რომ სმენია როგორც საქართველოს, ისე უცხოური საფონდო ბირჟის არსებობის შესახებ, 33,1%-ისთვის ნაცნობი მხოლოდ უცხოური საფონდო ბირჟები აღმოჩნდა, 22,7%-ს საერთოდ არ სმენია საფონდო ბირჟის შესახებ, 4,6%-ს კი მხოლოდ საქართველოს საფონდო ბირჟის შესახებ სმენია. ჩვენი აზრით, საქართველოს საფონდო ბირჟის შესახებ ინფორმაციას მოსახლეობა ნაკლებად ფლობს, და კიდეც რომ იყოს ეს ინფორმაცია, ბირჟა ფაქტობრივად უმოქმედოა, რაც გამოსწორებას მოითხოვს.

მე-7 შეკითხვაში 60,7%-მა აღნიშნა, რომ არ სმენია საქართველოს ბანკის საინვესტიციო პლატფორმის და მსხვილი უცხოური კომპანიების აქციების ყიდვის შესაძლებლობის შესახებ; 38%-მა აღნიშნა, რომ იცის ეს პლატფორმა, თუმცა არ ფლობს ფასიან ქაღალდს, 1,3 პროცენტი (8 პირი) კი ფლობს ამ პლატფორმით შეძენილ ფასიან ქაღალდს. საქართველოს ბანკის საინვესტიციო პლატფორმა ახალი ჩაშვებულია და ჩვენი აზრით, ინფორმაციის ნაკლებობა ამის ბრალია, თუმცა ის ფაქტი რომ გამოკითხული 8 პირი უკვე ფლობს (პლატფორმის გაშვებიდან 3 თვეში) ამ პლატფორმით შეძენილ ფასიან ქაღალდს, ამ სფეროში ინტერესის არსებობის დამადასტურებელია.

ბოლო, მე-8 კითხვაში გამოკითხულთა მხოლოდ 14,1%-მა მიანიჭა უპირობოდ ბანკს უპირატესობა საფონდო ბირჟასთან შედარებით უსაფრთხოებისა და დამაკმაყოფილებელი სარგებლის პროცენტის მიზეზით. გამოკითხულთა 31%-მა ისურვა დანაზოგის ფასიან ქაღალდებში განთავსება, თუ საერთაშორისო კანონმდებლობის მსგავსით იქნებოდა დაცული. 21,1%-მა საბანკო ანაბრის მსგავსად სიმარტივე ისურვა ფასიან ქაღალდებში დაბანდებისას, 31,6% კი აღნიშნავს, რომ ამ საკითხით დაინტერესებული არ არის და მომავალშიც არ გეგმავს გარკვევას. გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით საქართველოში განვითარებულ საფონდო ბაზარზე გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული მოთხოვნა არსებობს და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის ამის სასიცოცხლო საჭიროებაც დგას.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება წარმოუდგენელია საფონდო ბირჟის გარეშე. მოქმედი ლიცენზირებული საფონდო ბირჟა კი საქართველოში საქართველოს საფონდო ბირჟაა, რომელიც კიდევ უფრო შესუსტდა საქართველოს საფონდო ბირჟის აქციონერთა ნაწილის გადაწყვეტილებით, დაეარსებინათ ახალი, თბილისის საფონდო ბირჟა და ეს ფაქტი ავტომატურად გულისხმობდა საქართველოს საფონდო ბირჟის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი გადასულიყო ახალი, კიდევ უფრო

ნაკლებად ავტორიტეტული და ისტორიის არმქონებირჟისმფლობელობაში.საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თბილისის საფონდო ბირჟას მიანიჭა ლიცენზია, თუმცა იგი ჯერ არ ამოქმედებულა. მივიღეთ სურათი, რომლითაც საქართველოს სუსტ საფონდო ბირჟას გაუჩნდა კონკურენტი, თბილისის საფონდო ბირჟის სახით, რომლის წარმატებაც აგრეთვე სათუოა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ფაქტი ერთია: საქართველოს აუცილებლად სჭირდება განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი და შესაბამისად წარმატებული საფონდო ბირჟა. საჭიროა ქვეყნის ხელისუფლებამ საკანონმდებლო დონეზე გაატაროს ძირეული ცვლილებები. ფასიანი ქაღალდების ბაზრის წასახალისებლად დივიდენდების ნაცვლად უნდა დაიბეგროს დაგროვება. კანონმდებლობით უნდა შეიზღუდოს საბანკო სექტორის მონაწილეობა საფონდო ბირჟის მართვაში, საფონდო ბირჟა უნდა გახდეს ისევ თვითრეგულირებადი და აიკრძალოს ბირჟის გარეთ გარიგების დადება. საჭიროა აქტიური სარეკლამო კამპანია, მოსახლეობის ცნობიერებამდე აქციების ყიდვის სიკეთის დაყვანის მიზნით და სახელმწიფოსგან ხელი უნდა შეეწყოს საქართველოს საფონდო ბირჟის საქმიანობას, პირველ ეტაპზე შესაძლებელია შეუმცირდეს ან განთავისუფლდეს მოგების გადასახადისაგან (ჭარაია, 2019).

## დასკვნა

განვითარებად ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში სახელმწიფოს დიდი როლი ეკისრება. ფასიანი ქაღალდების ბაზარი გლობალური ეკონომიკის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება.

ჩვენი აზრით, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება დასაქმების პრობლემას ნაწილობრივ თვითდასაქმებით შეამცირებს, ეკონომიკა ამუშავდება ეკონომიკური სუბიექტების პირდაპირი დაფინანსებით (და არა სქემით მოსახლეობა=>ბანკი=>საწარმოები)დაფულადი სახსრების მიმოქცევის სიჩქარის ზრდით. ჩვენ სიღარიბეს სიმდიდრის დაგროვებით უნდა ვებრძოლოთ, ვინაიდან სიღარიბესთან ამჟამინდელი ბრძოლა ხშირად საქართველოში სოციალურ დახმარებებთან და პაკეტებთან იგივდება, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება სიმდიდრის დაგროვებას. აუცილებლად გვჭირდება კარგი ფინანსური განათლება და საყოველთაო საინფორმაციო კამპანია კომუნიკაციის ყველა არხით. ფსიქოლოგიური მომენტის გათვალისწინებით, მოსახლეობა დაინტერესდება ეროვნული საწარმოების „კეთილდღეობით“ და ვფიქრობთ, ბევრი ადამიანი უპირატესობას უცხოურის ნაცვლად ეროვნული წარმოების პროდუქციას მიანიჭებს, ვინაიდან აქციები მოსახლეობაში იქნება განაწილებული. შესაძლებელია შპს-ებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭოს სააქციო საზოგადოებას,მაგალითად,მოგება დაიბეგროს 1%-ით ნაკლებად. ეს ხელს შეუწყობს შპს–ების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნას და საფონდო ბირჟის გააქტიურებას. აქტიურ საფონდო ბირჟაზე კი ადგილის დამკვიდრებას სააქციო საზოგადოებები, როგორც წესი, თავად ცდილობენ - პრესტიჟიდან და მათი აქციების ფასების ზრდით დაინტერესებიდან გამომდინარე.

საფონდო ბირჟის საქმიანობა ქართველ ეკონომიკურ აგენტთა ტრადიციულ საქმიანობას ნამდვილად არ წარმოადგენს, მაგრამ ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, განიცდიან საკუთარი სახსრების მკვეთრ დეფიციტს, საინვესტიციო

კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალება კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამუშავებაა. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა ორგანიზებული საფონდო ბაზრის და მისი ინფრასტრუქტურის (საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი) მდგრადი ფუნქციონირებაა.

## ლიტერატურა


კაპიტალის ბაზრის სამუშაო ჯგუფი - საქართველოს კაპიტალის ბაზარი დიაგნოსტიკური შესწავლა და რეკომენდაციები, 2015. URL: http://www.economy.ge/uploads/meniu_publikaciebi/ouer/CMWG_Diagnostic_Report_12_May_2015._GEO.pdf (ხელმისაწვდომია 10.05.2022)

ლოლაძე გ., (2015) ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში - პრობლემები, გამოწვევები და პერსპექტივები. https://idfi.ge/ge/securities-market-georgia (ხელმისაწვდომია 10.05.2022)

მიმინოშვილი ლ., (2020) კაპიტალის ბაზარი საქართველოში - სად ვართ და რატომ? URL:https://bm.ge/ka/article/kapitalis-bazari-saqartveloshi---sad-vart-da-ratom/71985 (ხელმისაწვდომია 10.05.2022)

ნამჩვაძე ბ., (2015) რა უშლის ხელს საფონდო ბირჟის განვითარებას? URL:https://forbes.ge/ra-ushlis-khels-saphondo-bir/ (ხელმისაწვდომია 10.05.2022)

საქართველოს ეროვნული ბანკი. დეპოზიტები და ნაშთები. URL: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=729 (ხელმისაწვდომია 10.05.2022)

საპენსიო სააგენტო. საპენსიო ფონდის მოცულობის ცვლილება. URL: https://www.pensions.ge/ (ხელმისაწვდომია 10.05.2022)

საქართველოს საფონდო ბირჟა URL: https://gse.ge/capitalizations (ხელმისაწვდომია 10.05.2022)

შონია ნ., გუგეშაშვილი თ., (2009) საბირჟო საქმე: წამოებული ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარი, სავალუტო ბირჟა, საერთაშორისო სავალუტო ბირჟა, საბირჟო რისკების დაზღვევა, საბირჟო ფსიქოლოგია, თბილისი.

ჭარაია ვ., (2019) რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. URL:https://sector3.ge/Researches/Download/511 (ხელმისაწვდომია 10.05.2022)


## POTENTIAL AND POSSIBLE EFFECT OF THE DEVELOPMENT OF GEORGIAN FINANCIAL MARKETS


**Alim Kherkhadze**

Doctoral student of Kutaisi University, Georgia

alimi.kherkhadze@unik.edu.ge



**KEY WORDS:** Georgian Stock Exchange; Georgian Securities Market; Financial Stability; Economic Growth, Investments.

**J.E.L. classification:** D530, E440, G230, G410

**For citation:** Kherkhadze A. (2022) Potential and possible effect of the development of Georgian financial markets. Food security as the basis of national security (in Georgian). Vol. 17, 1(23), p. 152-165. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.09


### Summary


The country's central property rests on the institutional and organizational strength of the major price chaos market and the banking sector. Georgian banking system is currently developed not only in the

country, but in all regions, the Georgian securities market and the only licensed representative of this market in the country - the Georgian Stock Exchange is undeveloped and unique. The securities market is a kind of economic barometer of the country, a measure of the pulse, which is primarily reflected in the ongoing political, economic and social changes in the country and in the world.

The securities market provides fast mobilization of temporarily free cash without bureaucratic intermediaries (in this case banks) and with minimal additional fees compared to bank credit, respectively the banking system and the stock market are competitors.

In 1998-2000, with the help of the best government and financial market experts in Georgia, the foundations of the securities market began to form. During this period, everyone was well aware that these two most important financial institutions should be developed together on an equal footing, under conditions of fair competition, and tried not to allow one sphere to be absorbed or oppressed by another. For some reason, the new post-Soviet Georgia had better starting conditions in the banking sector, as enshrined in the 1998 Law on the Securities Market adopted by the Georgian Parliament. By law, the securities industry was separated from the banking sector in order for securities to be newly established mechanisms to enable independent real development opportunities.

JSC "Georgian Stock Exchange" (JSC) was established on January 12, 1999 at the initiative of leading brokerage companies, commercial banks, insurance companies and investment funds. Special activity on the Georgian Stock Exchange began in 2004, when after the change of government, the legislation related to privatization was changed and the economic recovery began, corruption was significantly reduced, the financial market was opened, investments were increased.

The reduction of trading volume on the Georgian Stock Exchange was caused by the financial crisis of 2008 and a change in the legislation, which resulted in the abolition of the self-regulatory system of the stock exchange and its controlling body became the National Bank of Georgia. Since 2007, the stock exchange has been managed by a group of banks that currently own 58% of the stock exchange shares, of which the Bank of Georgia has the largest package with 46%.

As of March 1, 2022, the balance of deposits of legal entities and individuals attracted by commercial banks in national currency is 15.06 billion GEL, weighted by an average of 11.06%, and the volume of deposits of legal entities and individuals attracted in foreign currency - equivalent to 22.03 billion GEL. , On average by 0.81%. (SEB, 2022) In total, 37.1 billion GEL of free cash is deposited in Georgian banks, and if at least a quarter of it returns to the Georgian Stock Exchange, it is easy to imagine the level of economic growth and the size of the national economy.

As of May 6, 2022, about 2.31 billion GEL has been accumulated in the pension fund, 60% of the objects are placed on certificates of deposit, 1.3% - on time deposits, 5.8% - on foreign corporate shares (133.98 million 56 l),% - interest Accounts in foreign currency, and 24.69% - on interest accounts (Pension Agency, 2022). In other words, the funds kept by the citizens of Georgia in the pension fund either go to the banking system and only then take part in the short-term activity, ie by buying their securities for about 134 million GEL with the growth of the foreign economy. The development of the Georgian stock market would have facilitated the growing funds of the pension fund, invested more profitably with bank deposits, and the national economy growing faster,

with more commission and interest rate pressures than bank credit.

As of April 30, 2022, the capitalization of the stock market on the Georgian Stock Exchange amounted to about 2.29 billion GEL, which is only 3.8% of the GDP of Georgia in 2021 (60.2 billion GEL), while this figure has developed stock markets. Countries have more than 100% of GDP. According to the years, the ratio of capitalization of the Georgian stock market to GDP in the same year is declining and was 4.8% in 2020 (due to the pandemic, GDP decreased this year, the capitalization of companies remained largely unchanged), in 2019 - 3.97%; In 2018 - 4.39%; In 2017 - 8.16%. As of May 2, 2022, securities of 23 companies with a total market capitalization of USD 0.748 billion and an average daily turnover of 21 GEL in April 2022 were admitted to the trading system of the CBS.

On March 24-30, 2022, we conducted a survey on how people manage their savings through the platform google forms, in which 629 people participated. The results of the survey showed that the culture of accumulation in the population is quite high and they would like to buy securities on the Georgian Stock Exchange.

In our opinion, the development of the securities market in Georgia will reduce the employment problem partly through self-employment, the economy will be developed thanks to direct financing of economic entities (and not by scheme = population = bank => enterprises) and increase the speed of cash circulation. The state has a big role to play in the process of establishing a securities market in developing economies. The securities market is a necessary and important element of the global economy, without which the normal functioning of a market economy is impossible. Relevant legislative changes and political will are needed to strengthen the Georgian stock market.

**References**

1. Capital Market Working Group - Georgian Capital Market Diagnostic Study and Recommendations, 2015;

URL:http://www.economy.ge/uploads/meniu_publikaciebi/ouer/CMWG_Diagnostic_Report_12_May_2015._GEO.pdf (Available 10.05.2022)

2. Charaia V., (2019) Recommendations of the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, URL:https://sector3.ge/Researches/Download/511 (Available 10.05.2022)

3. Georgian Stock Exchange (GSE). URL: https://gse.ge/capitalizations (Available 10.05.2022)

4. Loladze G., (2015) Securities Market in Georgia - Problems, Challenges and Prospects. URL:https://idfi.ge/ge/securities-market-georgia (Available 10.05.2022)

5. Miminoshvili L., (2020) Capital market in Georgia - where are we and why? URL:https://bm.ge/ka/article/kapitalis-bazari-saqartveloshi---sad-vart-da-ratom/71985 (Available 10.05.2022)

6. National Bank of Georgia. Deposits and Balances). URL: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=729 (Available 10.05.2022)

7. Namchvadze B., (2015) What hinders the development of the stock market? URL:https://forbes.ge/ra-ushlis-khels-saphondo-bir/ (Available 10.05.2022)

8. Pension Agency of Georgia. Change in the size of the pension fund. URL: https://www.pensions.ge/ (Available 10.05.2022)

9. Shonia N., Gugeshashvili T., (2009) Stock Exchange: Emerging Financial Instruments Market, Currency Exchange, International Currency Exchange, Exchange Risk Insurance, Exchange Psychology, Tbilisi.

# საქართველოს საგადასახადო სისტემა პანდემსიტის პირობებში

**ლია ხელაძე**
ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი
kheladze.lia@unik.edu.ge

***საკვანძო სიტყვები:*** საქართველოს საგადასახადო კოდექსი; საგადასახადო სისტემა და პანდემსითი; სახელმწიფო ბიუჯეტი.

**J.E.L. classification:** K200; G300; G320 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.13

**ციტირებისთვის:** ხელაძე ლ., (2022) საქართველოს საგადასახადო სისტემა პანდექსიტის პირობებში. ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), გვ. 166-173. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.13

**ანოტაცია.** *2019 წლის ბოლოდან მსოფლიოს და საქართველოს ეკონომიკა სრულიად ახალი, უჩვეულო გამოწვევის წინაშე დადგა, რამაც თავის მხრივ, საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა გამოიწვია. კოვიდ პანდემიის დაწყების კვალდაკვალ აუცილებელი გახდა, რომ საგადასახადო სისტემა შესაბამისი/ადეკვატური ყოფილიყო ახალ რეალობასთან, რაც იდგა ქვეყნის წინაშე. გამომდინარე აქედან, არაერთი საშეღავათო რეგულაცია/ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოს საგადასახადო კოდექსში. დღესდღეობით კოვიდ-პანდემია დასასრულს უახლოვდება. წინამდებარე სტატია მოიცავს ანალიზს და შეფასებას, თუ როგორია საგადასახადო სისტემა პანდექსიტის პირობებში და რა გავლენა მოახდინა მასზე კოვიდ-19-თან ბრძოლის პერიოდში შემუშავებულმა ცვლილებებმა.*

## შესავალი

კორონავირუსის შედეგად შექმნილმა ეკონომიკურმა რეალობამ სახელმწიფო ახალი ამოცანებისა და გამოწვევების წინაშე დააყენა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთი ტიპის საწარმოთა რიცხოვნობა, რომლებიც ფინანსური სახსრების არასაკმარისობის გამო იძულებულები გახდნენ შეეჩერებინათ თავიანთი საქმიანობა ან შეემცირებინათ საქმიანობის მასშტაბები. ამ მოვლენების შედეგად, ერთი მხრივ, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, ხოლო მეორე მხრივ, ჯანდაცვის სექტორში ხარჯების მნიშვნელოვნად გაზრდისა და სხვადასხვა სოციალური დახმარებების გაწევის ფონზე საგრძნობლად გაიზარდა ბიუჯეტის ხარჯები. ყოველივე ზემოაღნიშნული უარყოფითად აისახა არა მხოლოდ ქვეყნის ბიუჯეტზე, არამედ მთლიანობაში ეკონომიკის განვითარებაზე. კერძოდ, სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც (მათ შორის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის მიხედვით) შეინიშნება სახელმწიფო ვალის (საშინაო და საგარეო ვალის) ზრდის ტენდენცია, რაც ნეგატიურად აისახა ქვეყნის ეკონომიკურ მომავალზე. (პაპავა, 2022)

ნახაზი 1

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით




წყარო: https://mof.ge/analitikuri_monacemebi/saxelmwifo_biujeti

წინამდებარე სტატიის მთავარ მიზანს წარმოადგენს შეფასება და განხილვა იმისა, თუ როგორ გაუმკლავდა საქართველოს საგადასახადო სისტემა პანდექსიტის პირობებში არსებულ გამოწვევებს, განხორციელდა თუ არა ყველა ის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფდა მეწარმე სუბიექტების ფინანსურ მხარდაჭერას არსებულ რთულ რეალობაში და როგორ იმოქმედა აღნიშნულმა ცვლილებებმა/ რეგულაციებმა სახელმწიფო ბიუჯეტზე.

**ძირითადი ტექსტი**

COVID-19-ის პირობებში ეკონომიკის აღდგენისკენ მიმართული ყველა პროგრამა და ღონისძიება ფირმებსა და საოჯახო მეურნეობებზე ზეწოლის შემსუბუქებისაკენ არის მიმართული, რაც წარმოუდგენელია მათთვის სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათების დაწესების გარეშე.

ბიუჯეტში შემოსავლების შემცირება შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობეს:

- საგადასახადო შეღავათები ფირმების, ინდივიდების და საოჯახო მეურნეობებისათვის;
- საგადასახადო არდადეგების დაწესება;
- საგადასახადო პოლიტიკის სხვადასხვა კონტრციკლური ღონისძიებები;

ამ პერიოდში ფაქტობრივად საბიუჯეტო რესურსების შეზღუდულობის

გამო, სამეწარმეო სუბიექტების მხარდაჭერა გამოიხატება საგადასახადო შემოსავლების შემცირებაში - რაც მეტია ეს მხარდაჭერა, მით უფრო მცირეა საგადასახადო შემოსავლები (როცა $0A_1>0A_2$, $0B_1<0B_2$).

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ფუნქციონალური დამოკიდებულება:

$$R = f(X_1, X_2, X_3, \ldots)$$

ნახაზი 2.

ბიზნესის/საოჯახო მეურნეობების შეღავათების და საგადასახადო




შემოსავლების კავშირის ამსახველი გრაფიკული ილუსტრაცია

სადაც, R - არის ფუნქცია, რომელიც დამოკიდებულ ცვლადს (საგადასახადო შემოსავლები) სხვადასხვა დამოუკიდებელ ცვლადებთან აკავშირებს. შესაბამისად, $X_n$ - აღნიშნავს საგადასახადო შეღავათების ცალკეულ სახეობებს (განაკვეთების შემცირება, გადასახადების გაუქმება, საგადასახადო არდადეგების დაწესება, საგადასახადო პოლიტიკის ანტიციკლურ ღონისძიებებთან დაკავშირებული სხვა ქმედებები) (Chikhladze N., Chikhladze N., Rusadze N., 2021:112).

პანდემიის პირობებში საგადასახადო სისტემის სრულყოფის თვალსაზრისით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული. ღონისძიებების უმეტესობა, რომელიც შემუშავდა სახელმწიფოს მიერ, მიზნად ისახავდა, რაც შეიძლება მინიმალურ ვადაში არსებული კრიზისული სიტუაციის განმუხტვას, მეწარმეთა მაქსიმალურ მხარდაჭერასა და თანადგომას, რაც მათ ხელს შეუწყობდა დაბრუნებოდნენ საქმიანობის ჩვეულ რიტმს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს მისცემდა საშუალებას განეხორციელებინა თანხების მობილიზება სხვადასხვა ღონისძიებებისა და სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად.

პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტურობის ამაღლების კუთხით, განსაკუთრების ყურადღება დაეთმო იმ უმნიშვნელოვანეს გადასახადის გადამხდელებს, ე.წ ,,მსხვილ გადამხდელებს", რომელთაც დიდი წვლილი შეაქვთ სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში შეიქმნა მსხვილ გადამხდელთა ოფისი, რომელიც მიზნად ისახავს, რაც შეიძლება მაქსიმალურად იქნას ერთმანეთთან დაახლოვებული აღნიშნული ტიპის გადამხდელთა და სახელმწიფოს ინტერესები. შემუშავებული იქნა მსხვილ გადამხდელთა საქმიანობის მარეგულირებელი პროცედურული სახელმძღვანელო, რამაც უფრო მარტივი გახადა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხების გადაწყვეტა.

განსხვავებული მიდგომა ჩამოყალიბდა იმ გადამხდელების მიმართ, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებით დიდი დავალიანება ბიუჯეტის წინაშე, გატარდა

ღონისძიებები ნებაყოფლობითი გარემოს შექმნის თვალსაზრისით, რამაც ხელი შეუწყო პანდექსიტის პერიოდში სამეწარმეო სუბიექტებში არსებული ფინანსური კრიზისის დაძლევას, ასევე ბიუჯეტში შესატანი თანხების დროულად და სრულყოფილად მობილიზაციას.

კოვიდპანდემიის მიმდინარეობის მანძილზე არაერთმა მეწარმე სუბიექტმა გამოიჩინა არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება დღგ-ს ავტომატური დაბრუნების წესთან მიმართებით. ამის აღმოსაფხვრელად გატარდა ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავდა დამატებული ღირებულების გადასახადის ავტომატური დაბრუნების რისკების შემცირებას, შემუშავებულ იქნა მარეგულირებელი ნორმები ელექტრონულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მეშვეობით ჩათვლის განხორციელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქონლის შემძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევა გადახდილი დღგ-ს ჩათვლის უფლება, თუ ის მიმწოდებლის ნაცვლად განახორციელებს გადასახდელი დღგ-ს თანხის ბიუჯეტში შეტანას. მოცემულმა რეგულაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა სამეწარმეო სუბიექტების მიერ საბიუჯეტო თანხების არამართლზომიერად გამოყენების ფაქტი. უფრო მეტიც, ხელი შეუწყო ბიუჯეტში ფინანსური სახსრების დროულად მობილიზებას. რაც ბუნებრივია დადებითი შედეგის მომტანია (იხ.ცხრილი 1).

ცხრილი 1

სამეწარმეო სუბიექტების მიერ ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების თანხის უკან დაბრუნება (2019-2021 წლები)

| პერიოდი | დღგ-ზედმეტობის დაბრუნება (ლარი) |
|---|---|
| 2019 | 573 000 000 |
| 2020 | 1 039 000 000 |
| 2021 | 1 831 572 401 |

წყარო: შემოსავლების სამსახურის 2021 წლის ანგარიში

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ურთიერთობა სამეწარმეო სუბიექტებსა და სახელმწიფოს შორის, მთავარი აქცენტი არა შეცდომის პოვნასა და შესაბამის სანქცირებაზე, არამედ გადამხდელთა ინფორმირებაზე მათივე შესაძლო შეცდომების შესახებ. აღნიშნული იდეის რეალურად სრულყოფის მიზნით ამოქმედებული იქნა კანონშესაბამისობის რისკის მართვის ახალი პროგრამები, რაც მოიაზრებს გადამხდელთა ადრეულ ეტაპზე ინფორმირებას კონკრეტული დარღვევების შესახებ და მათ გაფრთხილებას.

აღნიშნული მეთოდის დანერგვის შედეგად 2021 წელს გასწორდა 8978 გადასახადის გადამხდელის მონაცემები; დაზუსტდა 3471 დეკლარაცია; გადამხდელად დარეგისტრირდა 281 პირი და დაიბეგრა 7554 საგადასახადო დოკუმენტი;

ლოიალური მიდგომა ჩამოყალიბდა გადამხდელთა მიერ დეკლარაციაში დაშვებულ უზუსტობებთან დაკავშირებით, ამოქმედდა ძირითად გადასახადებში დეკლარაციების აუდიტის პროგრამა, რამაც გადამხდელებს მისცა საშუალება დაეზუსტებინათ თავიანთი დეკლარირებული მონაცემები.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2021 წელს შესწავლილი იქნა 15 969 დეკლარაცია, ხოლო გადამხდელთა მიერ დაზუსტებული თანხის ოდენობამ შეადგინა 67170364 ლარი შეადგინა. შესწავლილი მონაცემების შედეგად 10637 გადამხდელთან განეიტრალებული იქნა გამოვლენილი დარღვევა, 4261 გადამხდელთან პროცესი დაზუსტებით იქნა დასრულებული, ხოლო 681 შემთხვევაში დანიშნული იქნა საგადასახადო შემოწმება (იხ.ნახაზი 3)

ნახაზი 3

2021 წელს დეკლარაციების კონტროლის შედეგად მიღებული შედეგები




წყარო: შემოსავლების სამსახურის 2021 წლის ანგარიში

შემუშავებულ იქნა სრულიად ახალი „სავარაუდო დარიცხვის" მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს შესაძლო/სავარაუდო დასარიცხი თანხების გამოანგარიშებასა და ასახვას იმ გადამხდელითა პირადი აღრიცხვის ბარათზე, რომელთაც არა აქვთ განხორციელებული მიმდინარე პერიოდის საგადასახადო დეკლარირება. რეგულაციამ ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილზე დადებითად იმოქმედა, ასევე შეამცირა დამატებული ღირებულების გადამხდელ პირთა მიერ დეკლარაციის წარმოუდგენლობის მაჩვენებელი.

2022 წლისათვის შემუშავებულია ვალის მართვის ახალი სტრატეგია, რომელის მიზანია მეწარმე სუბიექტების მიმართ საგადასახადადო დავალიანების ამოღებისადმი ლოიალური მიდგომა,

რომელიც გულისხმობს სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებების გატარებას გადასახადებისაგან თავის არიდების შესამცირებლად, ასევე ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების გადახდის მაჩვენებლის გაუმჯობესებას და უკვე არსებული დავალიანებების შემცირებას. არსებული რეგულაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საწარმოებისათვის, რომელთა ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელო იყო პანდექსიტის დროს.

## დასკვნა

ყველა შემამსუბუქებელი რეგულაცია, ეს იქნება ფინანსური დახმარება თუ გადასახადის გადავადება, რომელიც გატარებული იქნა სამეწარმეო სუბიექტების მიმართ არის მნიშვნელოვანი, მათი საქმიანობის შენარჩუნების და ფინანსური კრიზისის მხარდაჭერის თვალსაზრისით, თუმცა აღნიშნულმა არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ თითქოს მათ ყველა ზარალს თუ რისკებს სახელმწიფო ბიუჯეტი აანაზღაურებს.

საგადასახადო სისტემაში განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიება, განსაკუთრებით პანდექსიტის დროს, დიდ ყურადღებას მოითხოვს. მიღებულმა ცვლილებებმა ერთ მხრივ არ უნდა დააზიანოს მეწარმე სუბიექტების ინტერესები, რომლებიც ისედაც რთული გამოწვევების წინაშე იმყოფებოდნენ პანდემიის პერიოდში, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფილი უნდა იქნას სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების მობილიზება და მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი. ვფიქრობთ, რომ განხორციელებული ცვლილებები დადებითი ეფექტის მომტანია სამეწარმეო სუბიექტებისათვის, რადგან მათი უმეტესობა ლოიალურობას ამჟღავნებს საგადასახადო კანონმდებლობის მიმართ. ამ ეტაპზე უფრო მკაცრი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, გადასახადების ადმინისტრირების ღონისძიებების გამკაცრება და საგადასახადო ტვირთის დამძიმება არაეფექტური იქნება. უფრო მეტიც, ეს გამოიწვევს პანდემიის შედეგად ისედაც დასუსტებული სამეწარმეო სუბიექტების დაზარალებას, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახება.

## ლიტერატურა

1. პაპავა ვ., (2022) პანდექსითის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევები, URL: http://papava.info/publications/Papava_Economic-Challenges_Pandexit-Ge.pdf (ხელმისაწვდომია 1.05.2022)

2. შემოსავლების სამსახურის 2021 წლის ანგარიში, URL: https://www.rs.ge/Media/Default/Docs/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1_2021_%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf (ხელმისაწვდომია 1.05.2022)

3. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2022წლისსამოქმედოგეგმა. URL:https://mof.ge/images/File/strategia/2022/15-03-2022/2022,%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf (ხელმისაწვდომია 1.05.2022)

4. Tax and fiscal policies after the COVID-19 crisis. OECD. 2021. https://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/tax-and-fiscal-

policies-after-the-covid-19-crisis-5a8f24c3/ (ხელმისაწვდომია 1.05.2022)

5. Chikhladze N., Chikhladze N., Rusadze N., Challenges of Economic Activities of Cities in the Context of the Covid-19 Pandemic. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 2021, vol. 15, #1 : 110-116. URL http://science.org.ge/bnas/vol-15-1.html (ხელმისაწვდომია 1.05.2022)

## THE TAX SYSTEM OF GEORGIA IN PANDEXIT PERIOD

**Lia Kheladze**

The Candidate of Doctor Degree of

Kutaisi University, Lia.kheladze@unik.edu.ge

**KEY WORDS:** Tax Code of Georgia; Tax system and pandex; state budget.

**J.E.L. classification:** K200; G300; G320 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.13

**For citation:** Kheladze L., (2022) The Tax System of Georgia in Pandexit Period (in Georgian). Vol. 17, 1(23), p. 166-173. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.13

**Summary**

The topic of the article „The Tax System of Georgia in Pandexit Period" is very important and significant, because taxes are one of the main subjects in economic relationship. Generally taxes can regulate the direction of Georgian economic and promote its rapid development.

Following in the footsteps of covid pandemic, it has become necessary for the tax system to be appropriate/adequate to the new reality facing the country. From all these, lots of changes have been made and most of them are easing and loyal. Today we are in the period of the end of covid pandemic, thus it is very important to realize and summarize tax system in pandexit period.

Significant measures were taken during the pandexit to increase the efficiency of tax administration. Special attention was paid to the most important taxpayers „large taxpayers", who make a great contribution to the formation of the state budget. A large taxpayer office has been set up in the Revenue Service of the Ministry of Finance, Which aims to bring the interests of these types of taxpayers and the state as close as possible to each other. Special manuals has been worked out which made it easier to solve various important problematic issues.

During the covid pandemic, a number of entrepreneurs have shown unscrupulous attitudes towards the automatic refund of VAT. New regulations and norms have been implemented so as to control unlawful or illegal refund of paid taxes from budget. The buyer of the goods is entitled to deduct the value added tax paid only in that case if he instead of the supplier, will pay the VAT amount to the budget.

The relation between entrepreneurial entities and the state has significantly improved. The main focus was not on finding fault and appropriate sanctioning but also to inform taxpayers about their possible mistakes. In order to perfect this idea, special rules have developed, which means informing taxpayers at an early stage about specific violations and warning them.

A loyal approach was formed regarding the inaccuracies allowed by the taxpayers in the declarations, there was introduced audit program of declaration which allowed tax payers to verify their data. In 2021, 15 969 declarations were examined,

and the amount adjusted by the taxpayers amounted to 67 170 364 GEL.

An entirely new „hypothetical taxation" mechanism has been developed, which aims to calculate and reflect the possible hypothetical amounts on the personal account of taxpayers. The regulation has had a positive effect on part of the budget as well as reduced the rate of non-submission of declarations by value-added taxpayers.

A new debt management strategy has been developed for 2022, which aims at a loyal approach to the collection of tax debt from entrepreneurs, which involves a variety of preventive measures to reduce tax evasion, as well as improving the rate of debt repayment before the budget and reducing existing debts. The existing regulation is especially important for enterprises whose financial situation was unfavorable at the time of the pandexit.

In conclusion, the article gives us very essential information about changes and enscouraging regulation of taxes. While all regulations, such as financial assistance or deferral of taxes are important in oder to support the financial crisis, this should not give the impression that all their losses will be compensate by the state budget. It is very difficult to make right decision in tax laws, firstly, it should not course the crisis of budget, secondly, it must be loyal towards taxpayers. I think that the implemented changes have a positive effect on entrepreneurial entities because most of them are liberal. To sum up all these, stricter tax policies at this stage will be ineffective, moreover, it will cause damage to business and as a result will have a negative impact on the economy.

**References:**

1. Papava V., (2022) The Main Economic Challinges of Pandexit, URL: http://papava.info/publications/Papava_Economic-Challenges_Pandexit-Ge.pdf (available from 1.05.2022)

2. Annual Report of Revenue Service-2021, URL: https://www.rs.ge/Media/Default/Docs/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1_2021_%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf (available from 1.05.2022)

3. The Plan of Public Financial Management Reform 2022. URL:https://mof.ge/images/File/strategia/2022/15-03-2022/2022,%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf (available from 14.05.2022)

4. Tax and fiscal policies after the COVID-19 crisis. OECD. 2021. https://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/tax-and-fiscal-policies-after-the-covid-19-crisis-5a8f24c3/ (available from 1.05.2022)

5. Chikhladze N., Chikhladze N., Rusadze N., Challenges of Economic Activities of Cities in the Context of the Covid-19 Pandemic. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 2021, vol. 15, #1 : 110-116. URL http://science.org.ge/bnas/vol-15-1.html (available from 1.05.2022)